



1180
1965

მედიკალური მემორიალური კაბადონი

ივ. ჯანაშიაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ქართული წყაროთმცოდნეობა

ტომი I

განმომცემლობა „მედიკალური“

თბილისი — 1965


ქართული წეროთმცოდნეობა

კრებული I

9848

K 13.600
4

1967



(922)

ნუსხის გეოგრაფია

901 (c-41)
902 (47-922)
ქ-279

კრებულში წარმოდგენილია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილების თანამშრომელთა ნამუშევრები, რომლებიც შეიცავეს საქართველოს ისტორიის ქართული და უცხოური (ბერძნული, რომაული, სომხური, ფრანგული) წყაროების შესწავლის შედეგებს.

კრებულის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს თვით წყაროთა პუბლიკაციებს, როგორც ქართულს (XVIII ს.-ის დასასრულის საინტერესო ეპისტოლარული შემკვიდრება, - იოანე ხელაშვილის „მოსახსენებელი“), ასევე უცხოურსაც (რომაელი გეოგრაფოსის პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ და სომეხი მოსე კალანკატუელის ექსცერპტები საქართველოში ხაზართა ლაშქრობის შესახებ), რომელთა ორიგინალების ტექსტებს თან ახლავს პარალელური ქართული თარგმანები და სათანადო შესავალი ნარკვევები.

რელატივისტიკა

საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა დიდი ტრადიციების მქონეა, იმთავითვე ისტორიო-გრაფიის კანონზომიერად თანამავალი.

წყაროთა შორის ყოველთვის ამოუწყველი ჩანდა და ფასდაუდებელი, კერძოდ, ქართული საისტორიო-სამწერლობო მეტეკვიდრეობა. საქმე იყო მისი გამოვლენა, შესწავლა, გაგრძელება. იონა ხელაშვილი XIX ს. 20—30-იან წლებში ამას ჩიოდა: „ყოველთა ჩუქნისა შრომილინი ღვაწლინი, დღე და ღამე რუღუნებულნი, მდებარებენ კუმირსა ქუჭშე (დახურულში — რედ.), საზოგადოთა ერთგან განუხილველად“.

ვინ უარყოფს პროგრესს, მოცემულ სამეცნიერო სფეროში იონას აქეთ 80-იან წლებამდე მიღწეულს? მაგრამ ყველაფერი შედარებითია. ქართველ სამოციანელთა მომდევნო თაობას აწუხებდა მის მოსვლამდე გაკეთებულის სიმცირე. მოსე ჯანაშვილი „საქართველოს მოკლე ისტორიას“ (1884 წ.) იერემიას გოდებით იწყებს: „სიბნელე, წყუდიადი, მასალების უქონლობა; მაციახეთა, სიგელთა, გუჯართა, ზღაპართქმულებათა გამოუგველველობა, კრიტიკულად განუხილველობა; უცხოელთა მწვერალთა საქართველოზედ და, საზოგადოდ, ამიერკავკასიაზედ მოთხრობების და ცნობების შეუკრებელობა და ქართულს ენაზე გადმოუღებლობა“.

ეს იწერებოდა მაშინ, როდესაც აკადემიკოსი ბროსე ესოდენ „დადლილი“ ქართულ საისტორიო წყაროებზე, უკვე გარდაცვლილი იყო, როდესაც ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძესაც არსებითად გავლილი ჰქონდა დალოცვლილი თავისი შემოქმედებითი გზა. მაგრამ უფრო საგულისხმოა ის შეფასება, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა მისცა სათანადო დარგში 1916 წლისთვის მიღწეულ დონეს. მოვიგონოთ, რომ მაშინ ტაისასა მისი ფართოდ მოზომილ-მოფიქრებული, ენციკლოპედიური მნიშვნელობის საკვლევი გეგმა—„ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ესლა“; მაშინ გამოქვეყნდა ამ საერთო სათაურის ქვეშ შიგნი პირველი: „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“. „სამწუხაროა, — წერდა აქ იგი, — რომ ჩვენში სრულებით შეგნებული არა აქვთ და არცა ჰქონდათ, რომ თვითველ ძველ საისტორიო თხზულების განხილვის დროს მკვლევარს მარტო ავტორის თანამედროვეობა კი არ უნდა ჰქონდეს ზათვალისწინებული, არამედ მისი პიროვნებაც, განათლება, აზროვნება და მუშაობა, მისი წყაროების თვისება, ჟამთააღმწერელის წერის წესი და მეთოდები“ (დასახ. შრ., გვ. XII).

დღევანდელ მკითხველს უკვირს საისტორიო დარგში იმ დროისათვის ასეთი ჩამორჩენილობა. მართალია, ძველი ჩამორჩენილობის რეციდივი მერმეც დიდ ხანს „აჭირვება“ საქმეს, აბრკოლებდა წინსვლას. მაგრამ ახლა, ქართული მეცნიერების განვითარების საბჭოურ პერიოდში ნაბიჯი წინსულ სხვა მასშტაბისაა, ვიდრე რევოლუციამდელ პირობებში.

თუ აღრინდელ ვითარებაში მეცნიერებას ბიძგს აძლევდა უმთავრესად კერძო ინიციატივა, ამით შეპირობებული კუსტარულობა, სათაყვანებელ მამულიშვილთა მიერ ვამჩვენებელი შეძახილების ძალა და იმედი, ახლა, საბჭოთა ეპოქაში გაიმარჯვა შემოქმედებითი მუშაობის წარმართველმა სულ სხვა საწყისებმა. საქმის საორგანიზაციო და შემსრულებელ ფუნქციებს ურთიერთ შორის ინაწილებენ უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მოქმედი ინსტიტუტები ჯავახიშვილის სახელობის — ისტორიისა, კეკელიძის სახელობის — ხელნაწერთა; ცალკე — ც. ს. საისტორიო არქივი, საკვლევი ინსტიტუტები საქართველოს მრავალ ადმინისტრაციულ ცენტრში და ა. შ.

ამის შედეგად წყაროთმცოდნეობის დარგშიც მრავალმხრივი პროდუქტისა შეიქმნა. ამ პროდუქტის მოხილვის ჩვენი ერთგვანი ცდა წარმოდგენილია ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უახლეს ერთ-ერთ გამოცემაში „Грузинская советская историография“, გვ. 95—103; თ., 1964; ხელნაწერის უფლებით). ამო იქნებოდა წადილი — აქ „ორიოდე სიტყვით“ მოგვევლო სათანადო საზრიანი ინფორმაციისათვის, გვეჩვენებინა, რა წარმატება ჰქონდა „ქართლის ცხოვრების“ შესწავლას, მისი ახალი ვარიანტების ძებნას, გამოკვლევას, პუბლიკაციას — პუბლიკაციის მეცნიერების მკაცრ მოთხოვნათა დაცვით (ი. ჯავახიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ე. თაყაიშვილი, ილ. აბულაძე); სოციალურისა და ეკონომიური ისტორიის მასალების, დოკუმენტების კაპიტალურ გამოცემათა განხორციელებას (ნ. ბერძენიშვილი, შ. ჩხეტია და სხვ.); გვეჩვენა, რა მაღალხარისხოვნად არის გამოცემული საისტორიო მნიშვნელობის აგიოგრაფიული ძეგლები (ი. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, კ. კეკელიძე);

22193

საქართველოს
ისტორიის
ინსტიტუტი

სამართლის, ეპიგრაფიკის ძეგლები, ნუმიზმატიკური ფაქტები, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამ-
სახველი მასალები, მოგზაურობანი, უცხოური — ბერძნული, ლათინური, არაბული, სპარსული, თურ-
ქული წყაროები (მათი თარგმანითა და გამოკვლევით); მოგვეთვალა საბიბლიოგრაფიო დარგის პუბლი-
კაციები (კვეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის, კერძოდ, ხელნაწერთა აღწერანი — 13
ტომი), წერილობითი წყაროების, ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიები, და ა. შ.

მნიშვნელოვანია მიღწევები, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, პარტიული მშენებ-
ლობის ისტორიის მასალათა და საბუთთა კვლევისა და პუბლიკაციის დარგში.

ამ საერთო აღმავლობის ვითარებაში საისტორიო მეცნიერების დარგთან წყაროთმცოდნეობასაც
თავისი გარკვეული ადგილი მიეჩინა; მისი მიზანდასახული მუშაობის მასტიმულბელი პირობების შე-
საქმნელად ისტორიის ინსტიტუტში (1954 წლიდან) ჩამოყალიბდა წყაროთმცოდნეობის განყოფი-
ლება.

ამ განყოფილებას საკუთარი გეგმა და მიზანსწრაფვა აქვს. პერსპექტივაში მას მიზნად ესახება
იმ დონეზე ასვლა, როდესაც წყაროთმცოდნეობაში კვლევის ფილოლოგიური მეთოდების გვერდით
(რომელთაც ბოლო დრომდე თითქმის განუყოფელი ბატონობა რჩებოდათ ამ დარგში) ისტორიულ
მეთოდები დაინერგება — შათთვის შესაფერისი ინტენსიობითა და სიღრმით; როდესაც, მასასადა-
მე, მკვლევარი წყაროთა ე. წ. გარეგან (ფილოლოგიურ) კრიტიკას ასცილდება, უმადლესი
საფეხურისკენ აღმავალი, რომელ საფეხურსაც საისტორიო მეცნიერებაში შეადგენს წყაროთა შინაგა-
ნი კრიტიკა; შინაგანი კრიტიკა დასაბამი ისტორიის ფილოსოფიური შემეცნებისა, ეს მუდამ
საძიებელი და ძნელად დასაძლველი ამოსაღები ისტორიის სოციალურ-პოლიტიკური შინაარ-
სისა. ამას გულისხმობდა ი. ჯავახიშვილის მოთხოვნაც, რომ ისტორიის მკვლევარმა უნდა გაითვალა-
წინოს ძველ ავტორთა, მემბტიანეთა „აზროვნობა და მიდასეობა“, ჩვენ დავსძენდით — მათი სოცი-
ალური, კლასობრივი სახე და ა. შ.

წინამდებარე კრებული, რომელშიც წარმოდგენილია წყაროთმცოდნეობის განყოფილების მხოლოდ
რამდენიმე ნაშრომი, ვუიქრობთ, თვითონ შთააგონებს მკითხველს, რომ განყოფილებას, საერთოდ, მუ-
შაობის სწორი გზა აქვს არჩეული. თეორიულ თუ პრაქტიკულ დონისპიებებში მისი დასაყრდენია ის
წყაროთმცოდნეობითი გამოცდილება, რომლის შემცველ პუბლიკაციებში — სერიებში, კრებულებში
უხვადაა წარმოდგენილი ჯერ კიდევ განსაზოგადოებელი, თეორიულად ჩამოსაყალიბებელი საწყაროთ-
მცოდნეო მასალა.

ეს გამოცდილება საფუძვლად ედება სპეციალურ ნაშრომს — „ქართული წყაროთმცოდნეობა“,
რომელსაც განყოფილება ამზადებს.

თ. შაუხიშვილი

ფსევდო-სკილაქსის ზომიერთი ცნობის შესახებ

უცნობი ავტორი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია ფსევდო-სკილაქსის სახელით, ძვ. წ. IV ს-ის ათენელი მოღვაწე იყო. მას ეკუთვნის ერთი პერიპლუსი, რომელსაც ეწოდება *Περὶ πλυσῆς τῆς Ἰαλλίας τῆς ἰσθμίου ἑστῆς Ἐβρώπης καὶ Ἀσίας καὶ Λιβύης* („დასახლებული ევროპის, აზიის და ლიბიის ზღვის აღწერა“)¹. ამ ნაშრომში აღწერილია შავი ზღვის სანაპიროც, და მის ავტორს ეტყობა საგანგებო ინტერესი ყირიმისა და საკუთრივ კავკასიის სანაპიროს მიმართ. ცნობები, რომლებიც ამ პერიპლუსშია, უფრო აღრინდელი ჩანს, ვიდრე ძვ. წ. IV ს-ეა. კავკასიის სანაპიროს აღწერას ავტორი იწყებს ჩრდილოეთიდან და მოდის თანდათანობით სამხრეთისაკენ. აღწერისას ჩამოთვლის რიგრიგობით ტომებს, რომლებიც მას ხვდებიან, მდინარეებს, რომლებიც ერთიან ზღვას, ნავთსადგურებს, რომლებიც ზღვის ნაპირასაა, და იშვიათ შემთხვევაში სხვა ქალაქებსაც, თუკი რამეთუ არიან ისინი შესანიშნავი.

ტომთა შორის, მდ. ტანაისიდან (ე. ი. დონიდან) ვიდრე მდ. თერმოდონტამდე (ე. ი. თერმე-ჩაიმდე) ის ჩამოთვლის შემდეგს (ვიმეორებ იმავე რიგს, რაც აქვს ფსევდო-სკილაქსს): სავრომატებს, მამოტებს, სინდებს, კერკეტებს, ტორეტებს, აქაებს, ჰენიოქებს, კორაქებს, კოლებს, მელანქლაენებს, გელონებს, კოლხებს, ბიძერებს, ეკექარიელებს, ბექეარებს, მაკროკეფალებს, მოსინოკებს, ტიზარენებს, ხალიბებს.

ზოგი ტომის ხსენებისას ავტორი ასახელებს ქალაქებსაც, რომლებიც ამ ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზეა. მათ შორის ზოგი ქალაქი ელინურია, ზოგი ბარბაროსულია და ზოგის შესახებ სწერია მხოლოდ „ქალაქი“—ავტორის მიერ არაა განსაზღვრული—ის ელინურია თუ არა. მაგ., კოლხებში ელინური ქალაქებია: გიენოსი, ფასისი; მათი ქალაქია—დიოსკურიისი. მათი დიდი ბარბაროსული ქალაქია მდ. ფასისის ნაპირას, შესართავიდან 180 სტადიონის დაშორებით,² საიდანაც იყო მედეა (ქალაქის სახელი არაა, ის უთუოდ ისე ცნობილი იყო, რომ მისი დასახელება არ იყო საჭირო. დაახლოებით ამ მანძილზე ფასისის ანუ რიონის ნაპირზე დიდი ქალაქი არაა, მის ჩრდილოეთით არის ნოქალაქევი, (ძვ. არქეოპოლისი).² ეკექარიელების ელინური ქალაქია ოდენიოსი, ხოლო ქალაქია ლიმნე. ბექეარების ელინური ქალაქია ბექეარიასი (ეტყობა იგივე არის მათი ნავთსადგურიც), მაკროკეფალების ელინური ქალაქია, ტრაპეზუნტი, მათი ნავთსადგურია ფსორონი. მო-

¹ მისი უკანასკნელი და საუკეთესო გამოცემა ეკუთვნის C. Müller-ს: *Geographi graeci minores*, vol. I. Paris 1882 წ., გვ. 15—96.

² მ. ინაძეს ამ ქალაქად მიაჩნია ქუთაისი (აბოლონიოს როდოსელის კუტაია): „სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში“, კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, II, თბილისი, 1962, წ., გვ. 93.

სინოკების ელინური ქალაქია ქოჯრადესი, მათი ნავთსადგურია ძეფიროსი, ხალიბების ელინური ქალაქია სტამენეა, ელინური აკროპოლისია—იასონია, ხოლო დახურული ნავთსადგურია—გენეტესი.

ზემოთხსენებულ ტომთა შორის ბევრია ისეთი, რომელთა ქალაქებსაც არ ასახელებს ავტორი, მიზეზი უთუოდ ის უნდა იყოს, რომ ამ ტომებს ქალაქები (ან მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტები) არ ჰქონდათ, მით უმეტეს, რომ ზოგ ამ ტომს სხვა ავტორები ჩამორჩენილსა და ველურს უწოდებენ და ისინი მეკობრულსა და მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. ასეთი ტომებია: კერკეტები, აქაეები, ჰენიოქები და სხვ.

ფსევდო-სკილაქსის მიერ ჩამოთვლილი ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე მიედინებიან მდინარეები, რომელთა აღნიშვნა მას საჭიროდ მიუჩნევია³. მელანქლაენების ქვეყანაში არის მდინარეები: მეტასორისი და აფგიპოსი. კოლხების მიწაწყალზე მოედინება გიენოსი, ქერობიოსი, ქორსოსი, არიოსი, ფასისი, რისი, ისისი, ლესტონ პოტამოსი (ყაჩაღთა მდინარე) და აფსაროსი.

ზოგიერთი ტომით დასახლებული კუთხის მდინარეები სულ არაა ნახსენები. ეს ტომებია: კერკეტები, კორაქსები, გელონები, ტიბარენები და სხვ. ეტყობა, ავტორს (ან მის წყაროს) აქ დიდი მდინარეები არ შეუშინებია.

ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსში“ ტომთა მხოლოდ ჩამოთვლა, მათი დახასიათება, შეიძლება ითქვას, რომ სულ არ გვაქვს. მე მინდა შევჩერდე მის მიერ ხსენებულ ორ ტომზე, რომელთაც შავი ზღვის სანაპიროზე ქართველურ ტომთა შორის ბერძენ ავტორთაგან იშვიათად ვინმე ასახელებს და მათ შორის ყველაზე უწინ ფსევდო-სკილაქსი. ესენი არიან მელანქლაენები და გელონები. მათი უშუალო მეზობლები ჩანან—სანაპიროზე ჩრდილოეთით კოლები, ხოლო სამხრეთით—კოლხები.

მელანქლაენებს ფსევდო-სკილაქსამდელ ავტორთა შორის იცნობენ ჰეკატაეოს მილეტელი (ფრ. 154) და ჰეროდოტე (ისტორია, IV, 101, 107 და ა. შ.). ჰეკატაეოსის აზრით, ეს სკვითური ტომია. ფრაგმენტი სტეფანე ბიზანტიელს აქვს დაცული და მეტი ცნობები ამ ტომის შესახებ არაა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჰეკატაეოსი ამ ტომის შესახებ ლაპარაკობდა ევროპის აღწერილობაში, მაშინ, როდესაც თანაგორია, კორაქსები, კოლები, მოსხები etc იხსენიებიან აზიის აღწერილობაში. ჰეროდოტე კი მათ სკვითების ჩრდილოეთით ათავსებს, ზღვიდან 20 დღის სავალზე (ე. ი. 4000 სტადიონის დაშორებით, ზოგი მკვლევარის აზრით, ისინი არიან თითქმის მოსკოვთან, ВДИ-ის შენიშვნის მიხედვით—ხარკოვის ოლქში), ლაპარაკობს მათ შავ ტანსაცმელზე და საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ისინი სკვითურ ჩვეულებებს მისდევენ (არაა ნათქვამი, რომ ისინი სკვითები არიან), შემდეგი ხანის ავტორები (დიონისიოს პერიეგეტი, კლავდიოს პტოლემეაოსი) ჰეროდოტეს ვერსიას იზიარებენ, დიონისიოს პერიეგეტის დაზუსტებით მელანქლაენები მდ. ბორისთენესთან ცხოვრობენ (309). მათ შორის გამოიჩინება ანონიმის „პერიპლუსი“, სადაც მელანქლაენები კოლხების ტომთან ერთად იხსენიებიან (§ 3).

რომაელი ავტორების, პლინიუსის, პომპონიუს მელას და ამიანე მარცელინუსის ცნობები განსხვავდებიან ჰეროდოტეს ვერსიისაგან. პლინიუსი წერს: დანარჩენი სანაპირო უჭირავთ ველურ ტომებს, მელანქლენებსა და კორაქსებს,

³ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მთების დასახლება არსადაა უთუოდ ეს პერიპლუსისათვისაა დამახასიათებელი, რადგან ზღვის გაყოლებაზე, მნიშვნელოვანი მთები არ არის.

კოლხური ქალაქით, დიოსკურიადით, რომელიც მდებარეობს მდ. ანთემუნტ-თან (NH, VI, 15).

პომპონიუს მელა ჩამოთვლის შავი ზღვის სანაპიროს ერთი მონაკვეთის მცხოვრებლებს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ესენი არიან ველური და განუსწავლელი ტომები, მელანქლენა, ტორეტიკა, ექსი კოლიკა, კორაქსიკები, ფთეაროფაგები, ჰენიოხები, აქეები, კერკეტები და მეოტიდის საზღვართან — სინდონები (I, 110. მისი მეორე ცნობა, II, 14, უფრო ჰგავს პეროდოტესას).

ამიანე მარცელინუსის თხზულების ერთ ადგილას (XXII, 31) ერთი ჯგუფი ტომებისა არის მეოტიდაში და აქვე არიან სხვა ტომებთან ერთად მელანქლენები და ჰალანები (= ალანები).

ამ ავტორთა ცნობები თუ მთლიანად არ ემთხვევა ფსევდო-სკილაქსისას, ძალიან ახლოს არიან მათთან (და ამდენად ძალიან შორს — პეროდოტესეული ლოკალიზაციისაგან).

ფსევდო-სკილაქსი მელანქლანების ტერიტორიაზე ორ მდინარეს ასახელებს: მეტასორისს და ავგიპიოსს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელწოდების მდინარეებს მხოლოდ ეს ავტორი იცნობს.

მეტასორისის შესახებ Pape თავის ლექსიკონში წერს, რომ შესაძლოა ეს პტოლემეაოსის Θέσσαριკი არისო (V, 8, 10), ხოლო ახლანდელი Kamisiliar-ი; ხოლო რაც შეეხება ავგიპიოსს, ის უნდა იყოს თანამედროვე Ketchili. კ. მაულერის შინიშენის თანახმად, ეს პტოლემეაოსის კორაქსი უნდა იყოს, ხოლო კორაქსი, ნ. ლომოურის განმარტებით, არის მდ. ბზიფი ან ბზიფის სექტორის რომელიმე მდინარე⁴, მეცნიერთა ნაწილს (Mannert, Dubois) ის მიაჩნია მდ. კოდორად, ხოლო პ. ინგოროყვას — კელასურად. ნ. კეჭალმაძე ბზიფად მიი-
ნებს არიანესთან ხსენებულ მდ. აბასკოსს, ხოლო კორაქსი (seu კორახი) პ. ინგოროყვაზე დაყრდნობით მას თანამედროვე მდ. კელასურად აქვს აღი-
რებული⁵.

მეც მგონია, რომ ეს მდინარეები ვერ იქნებიან კოდორი ან კელასური, რადგან ფსევდო-სკილაქსის მელანქლანები სანაპიროს უფრო ჩრდილო ნაწილში არიან სავარაუდებელი, ვიდრე დიოსკურიაა (§ 79. მელანქლანები, § 80 გელონები, § 81 კოლხები, მათი ქალაქი დიოსკურისი etc).

Pauly'-ს RE-ში ავგიპიოსის შესახებ ტომაშეკის სტატიაა და მხოლოდ ის სწერია, რომ ესაა მდინარე მელანქლანების მხარეში, პონტოს აღმოსავლეთ სანაპიროზე და რომ კ. მაულერი მას აიგივებს კორაქსთან. იმავე RE-ში მეტასორისზე პერმანის სტატიაა; ისიც მხოლოდ იმას წერს, რომ მდინარე მელანქლანების ტერიტორიაზე მიედინება, პონტოს აღმოსავლეთ სანაპიროზე დიოსკურიასა და ფასისს შორის. ეს შეცდომა იქიდან მომდინარეობს, რომ ავტორი თვით მელანქლანებს დიოსკურისა და ფასისს შორის ათავსებს. ამის შესახებ — ქვემოთ.

გელონებს ჩვეულებრივ ავათირსების, მელანქლანების, ბუდინების etc ჯგუფში იხსენიებენ ხოლმე. მათ იცნობენ: პეროდოტე (ისტორია, IV, 108; 10—136), ფსევდო-სკიპონოსი (863), დიონისიოს პერიეგეტი (310), არისტოტელე (Mirab. mundi 29).

⁴ ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეაოსის, გეოგრაფიული სახელმძღვანელო: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32. თბილისი, 1955 წ., გვ. 53.

⁵ ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბილისი, 1961 წ., გვ. 100, 83-78.

ყველაზე დაწვრილებითი ცნობები მათ შესახებ აქვს ჰეროდოტეს, რომელიც მათ ტერიტორიას ზუსტად არ განსაზღვრავს, მაგრამ ამბობს, რომ ისინი თავდაპირველად იყვნენ ელინები, წამოვიდნენ ზღვისპირა ქალაქებიდან⁶ და დასახლდნენ ბუდინებში, რომლებიც ადგილობრივი მკვიდრი იყვნენ (სადაც მელანქლანების მეზობლად). გელონებს ენა ზოგს სკვითური აქვს და ზოგს ელინური. საქმიანობის მიხედვით, ისინი მიწისმოქმედები არიან, ხოლო რაც შეეხება ბუდინებს, ისინი მომთაბარეები და გირჩისმჭამელები (ψευδοπαχυέιστοι) არიან⁷.

ფსევდო-სკილაქსი, როგორც ჩვეულებრივ, გელონების შესახებაც ძალიან ძუნწად ლაპარაკობს (80. მელანქლანების შემდეგ არიან გელონები. 81. ამათ შემდეგ არის ტომი—კოლხები...), დიონისიოს პერიეგეტი ამ ჯგუფის ტომების ჩამოთვლისას იქვე მდ. ბორისტენესაც ასახელებს. ასევე პლინიუსიც (NH, VI, 26), პომპონიუს მელა (1, 19, 19) და ამიანე მარცელინუსი (XXII, 31) მათ მეოტიდასთან ახსენებენ.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ჰეროდოტესა და ფსევდო-სკილაქსს სხვადასხვა წყაროები ჰქონდათ. გელონების საკითხში ვინ იყო ფსევდო-სკილაქსის წყარო, არ ვიცით, მაგრამ ის გარემოება, რომ ჰეროდოტე გელონებს ზღვისპირა ქალაქებიდან წამოსულებად მიიჩნევს (ამას არა აქვს მნიშვნელობა, რომ ის მათ ელინებს უწოდებს; მომთაბარე, თითქმის ველურ ბუდინებთან შედარებით ცივილიზებული გელონები მას ელინებად ესახება) დღევანდელი შუა რუსეთის ველებზე, ხომ არ მიუთითებს იმაზე, რომ მისი წყაროსთვისაც გელონები ოდესღაც ზღვისპირას (სავარაუდოა, შავი ზღვის პირას) ცხოვრობდნენ (უფრო ზუსტი ლოკალიზაცია აქვს ფსევდო-სკილაქსს—მელანქლანებსა და კოლხებს შორის); ხოლო შემდეგ გადასახლდნენ ჩრდილოეთით? გელონების მეზობლები, ბუდინები ჰეროდოტესთან ფთეაროტრაგები (seu ფთეაროფაგები) არიან, ასევე არის კავკასიის ერთი ტომი, ფთეაროფაგები, კოლხების მეზობლები (სტრაბონი XI, 2, 19), ფსევდო-სკილაქსთან კი გელონების მეზობლები არიან კოლხები.

ამდენად, არ შეიძლება ითქვას, რომ ფსევდო-სკილაქსმა მექანიკურად გადაიტანა შავი ზღვის სანაპიროზე ამ ორი, ჩვეულებრივ უფრო ჩრდილოეთით მოხსენიებული, ტომის, მელანქლანებისა და გელონების სახელები. მით უმეტეს, რომ მისი პერიპლუსი პრაქტიკულად სახმარი წიგნი იყო და მას მეტად ევალეობდა შემოწმებული ცნობების შეტანა. შესაძლოა, ეს ცნობები უფრო ძველია, ვიდრე ფსევდო-სკილაქსი იყო თვით, მაგრამ ასეთი ცნობები უნდა არსებულებოდა, რასაც მოწმობს ჰეროდოტეს „ისტორიაც“.

⁶ ἐκ τῶν ἐμπορίων... არის ბერძნულ ტექსტში. τὸ ἐμπόριον ნიშნავს სავაჭრო ადგილს, ჩვეულებრივ საზღვაო ვაჭრობის საწყობ ადგილს, ე. ი. ქალაქს, რომელიც ზღვისპირას არის და ზღვით ვაჭრობის ცენტრია. ასეთებია, ჰეროდოტესთანავე—ნავკრატისი (II, 179), სტრაბონთან ფასისი (XI, 2, 17) და სხვ. ჰეროდოტეს „ისტორიის“ ეს ადგილი (IV, 108) რუსულად თარგმნილია—„Из торговых городов“; ინგლისურად „from the ports“, ე. ი. ინგლისურად მთარგმნელსაც ისევე ესმის ἐμπόριον, როგორც მე.

⁷ „ფთეაროფაგებს“, ტომს, რომელიც ცხოვრობდა სხვა ტომებთან ერთად კავკასიონის მთებში კოლხების ზემოთ, სვანების მეზობლად, იცნობს სტრაბონი (XI, 219). ამ სიტყვაში ა ტომის საკუთარი სახელი იმალება, ანდა ბერძნული ეტიმოლოგიის მიხედვით ეს ტომი—„გირჩის მჭამელი“ ან „ტილისმჭამელი იყო“ (φίειρ ნიშნავს ორივეს).

ამ საკითხს ყურადღებას აქცევს K. Müllenhoff-იც და ის მიდის იმ დასკვნამდე, რომ ფსევდო-სკილაქსის წყარო სხვაა, მაგრამ ჰეროდოტეს მიერ წარმოდგენილ ტომთა თანმიმდევრობას ისიც იცავს და ამ ტომთა მიმართ სხვა ავტორების (არისტოტელე, თეოფრასტე...) ცნობების გათვალისწინებით ამბობს, რომ ჰეროდოტეს მიერ წარმოდგენილი სურათი პონტოს ჩრდილოეთისათვის ძირითადად უცვლელია ძვ. წ. IV ს-ისათვისაც⁸.

Herrmann-ი საენციკლოპედია სტატიაში⁹ ასხვავებს მელანქლაანების ორ ტომს -- ერთია ის, რომელიც თანამედროვე რუსეთის ტერიტორიაზეა და რომელსაც იცნობს ჰეროდოტე, ხოლო მეორეა ის, რომელიც, მისი თქმით, შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდა, დიოსკურიასა და ფასისს შორის (მოიწმეებს ფსევდო-სკილაქსს და რომაელ ავტორებს). ფსევდო-სკილაქსის განსაზღვრით მელანქლაანები სწორედ დიოსკურიამდე, სანაპიროს გასწვრივ ჩრდილოეთისაკენ ცხოვრობენ და არა დიოსკურიასა და ფასისს შორის. ამდენად, ჰერმანის ლოკალიზაცია აშკარად მცდარია (და ამ შეცდომას მოსდევს მეორე, მდ. მეტასორისის განსაზღვრისას რომ უშვებს ავტორი, როგორც ზემოთ ითქვა).

მ. ინაძე სტატიაში „შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ტომთა ისტორიისათვის“¹⁰ სამართლიანად ეკამათება BДИ-ში გამოქვეყნებულ ანტიკურ ავტორთა კომენტატორს (1949, № 2, გვ. 287), რომელიც „მახორონსა“ და „მახელონს“ „მელანხლენისაგან“ წარმოშობილად თვლის. მაგრამ სწორად არ მიმაჩნია მისი ასეთი გამოთქმა: „ნამდვილად კი, მელანხლენები მხოლოდ ფსევდო სკილაქსს ჰყავს დასახელებული ამიერკავკასიაში..., ისიც უთუოდ შეცდომით, რადგან სხვა უფრო სანდო წყაროების მიხედვით, მელანხლენელები რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ერთ-ერთი სკვითური ტომია... (დამოწმებულია ჰეროდოტე, ჰეკატაეოსი. — თ. ყ.)“. როგორც ზემოთაც ვთქვი, მელანქლაანები ამიერკავკასიაში ფსევდო-სკილაქსს გარდა ანონიმსა და რომაელ ავტორებსაც ჰყავთ მოხსენიებული და ყველა ამათი ცნობა თუნდაც ერთი, საერთო წყაროდან მომდინარეობდეს, რაღაცა ძველ, რეალურ ვითარებას უნდა ასახავდეს. ამას გარდა, ჰეროდოტე მელანქლაანებს სკვითურ ტომად არ იხსენიებს (ლაპარაკობს მხოლოდ მათ სკვითურ ჩვევებზე).

⁸ K. Müllenhoff, Deutsche Altertumskunde, III Band, Berlin., 1892, გვ. 34.

⁹ RE, 29, Helbband, 1931, სტატია—Melanchlainoi.

¹⁰ შრომები, IV, ნაკვ. II. თბილისი, 1959, გვ. 83.

ალ. ბაშკელიძე

პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ

პომპონიუს მელა, ახ. წ. I საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე, ავტორია სამწიგნობრივ თხზულებისა „დედამიწის მდებარეობის შესახებ“ (De situ orbis). მას ზოგი ხელნაწერის მიხედვით აგრეთვე ეწოდება ბერძნულიდან მომდინარე სახელიც — „De chorographia“ („ქვეყნის აღწერილობის შესახებ“) და ჩვენამდე სრული სახითაა მოღწეული, რაც ერთადერთი შემთხვევაა მთელს რომაულ გეოგრაფიულ ლიტერატურაში. პომპონიუს მელას ნაშრომი შედგენილია, ზოგი მკვლევრის მტკიცებით, ახ. წ. 40/41 წლამდე¹, ზოგის თქმით—43 წლამდე², ხოლო ზოგი 44 წელს დებს მიჯნად³. ყველა ესენი ეყრდნობიან თვით ავტორისავე ნათქვამს (III, 49), სადაც იმპერატორის ტრიუმფზეა ლაპარაკი ბრიტანეთში ლაშქრობის აღსანიშნავად. ამ ტრიუმფის გმირად ზოგი იმპერატორ კალიგულას სახავს, ზოგს კი იმპერატორი კლავდიუსი ჰგონია. უმრავლესობა მაინც უკანასკნელ მოსაზრებისაკენ იხრება და ამ ნაშრომის შეთხზვის დროდ ახ. წ. 44 წ. მიიჩნევენ.

ჩვენი ავტორი, მისივე გადმოცემით (II, 96), ესპანეთის ქალაქ ტინგენტერადან უნდა ყოფილიყო. მისი დაბადების თარიღი არაა ცნობილი. ხოლო ვარაუდაცვლების შესახებ მას აიგივებენ ტაციტუსის „ანალებში“ მოხსენიებულ (XVI, 17) იმ მელასთან, რომელსაც მაღალი თანამდებობა ეჭირა ნერონის დროს და ახ. წ. 67 წელს ვენები გადაიჭრა, იმპერატორის საწინააღმდეგო მოქმედებაში ბრალის დადების გამო⁴.

პომპონიუს მელას ნაშრომის ღირსებათა შეფასებაში საკმაოდ განსხვავებული შეხედულებანი არსებობენ სამეცნიერო ლიტერატურაში. ზოგი რომ მის თხზულებას კარგ წყაროებზე დაფუძნებულს, მდიდარ მასალიანსა და ჩინებულად გამართულს უწოდებს⁵, სხვანი მის მოწვდილ მასალასაც და ნაწერსაც ფრი-

¹ იხ. მაგ., კ. ფრიკი, პომპონიუს მელას ტექსტის გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. V; აგრეთვე მისი წერილი—Philologus, 33, 1874, გვ. 742.

² Л. А. Ельницкий, Знания древних о северных странах, Москва, 1961, стр. 169; Дж. О. Томсон, История древней географии, Москва, 1953, стр. 321.

³ G. Wissowa, Die Abfassungszeit der Chorographie des P. Mela, Hermes, № 51, 1916, S. 95; Schanz—Hosius, Gesch. der röm. Litt., II, B. 4. Aufl., München, 1935, S. 654; В. И. Модестов, Лекции по ист. рим. лит. СПб., 1888, стр. 665, Ист. римской лит. под ред. С. И. Соболевского и др. стр. 126 და სხვ.

⁴ Ист. рим. лит., под ред. С. И. Соболевского и др. стр. 126—127.

⁵ Teuffel—Kroll-Skutsch, Geschichte der röm. Lit., II B., 6. Aufl., S. 247. М. И. Ростовцев, Скифия и Боспор, стр. 46.

ად დაბალ შეფასებას აძლევენ და არად მიიჩნევენ⁵. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მის წყაროთაგან ბევრი დაკარგულია ან ფრაგმენტულად არის მოღწეული ჩვენამდე და ზოგი, თუნდაც მცირე რამ, მხოლოდ მასთან გვაქვს შემორჩენილი; ამასთანავე თვით თხზულება დასრულებული სახითაა შემონახული ჩვენამდე. — ეს ავტორი მიიხსი საპატიო ადგილს იმსახურებს ანტიკური გეოგრაფიის წარმომადგენელთა შორის.

პომპონიუს მელა თავის პატარა მოცულობის თხზულებაში მთელი მაშინდელი ცნობილი სამყაროს გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ აღწერილობას იძლევა. I წიგნში, დედამიწის ნაწილების ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, ხმელთაშუა ზღვის აუზს მიიჩნევენ ერთგვარ ცენტრად; აქედან იწყებს და ჯერ მის მარჯვენა სანაპიროს და აფრიკას აღწერს. შემდეგ აზიაში გადადის; II წიგნში სკვითიიდან გამოუყვება ევროპისაკენ და გალიასა და ესპანეთამდე მიდის, ამასთანავე ხმელთაშუა ზღვის კუნძულებს აღწერს; III წიგნში კი კვლავ ესპანეთს, გალიას, გერმანიას, სარმატიას და სკვითიას; კიდევ კუნძულებს; აგრეთვე აღმოსავლეთის ოკეანეს და შემდეგ ატლანტის ოკეანეს მიმოხილავს. მასალის დალაგებით მისი ნარკვევი ანტიკურ გეოგრაფიულ ლიტერატურაში ცნობილ პერიპლუსებს მიაგავს და კიდევ ვარაუდობენ, რომ მის მთავარ წყაროთა შორის უნდა ყოფილიყო ძველი იონიური წყაროები — ფსევდო-სკილაქსის ტიპის პერიპლუსი და პეკატაიოს მილეტელის მონათესავე დედამიწის აღწერილობა, ოღონდ აგრეთვე მერე მოპოვებული, განსაკუთრებით ერთნაირს თენეს შემდეგდროინდელი, ცნობებით შევსებულ-გამართული⁶.

თავისი წყაროებიდან თვითონვე ასახელებს ბერძენ ჰიპარქოსს (III, 70), კორნელიუს ნეპოტს (III, 45, 90), აგრეთვე კართაგენელ ჰანონს და ბერძენ ევდოქსოსს (III, 90); მაგრამ მისი მასალიდან ჩანს, რომ გაცილებით მეტი და ნაირფერი წყაროები უნდა ჰქონდეს ხელთ და უმთავრესად სწორედ მწიგნობრულ მასალას ეყრდნობა და არა საკუთარი თვალით ნანახს და განცდილს⁷.

პომპონიუს მელას ბევრი აქვს საერთო პეროდოტესთანაც. ძველი იონიური წყაროების კვალი განსაკუთრებით თავს იჩენს ჩვენთვის საინტერესო შავი-ზღვისპირეთის აღწერაში, რაც კავკასიის მრავალი ეთნიკური და გეოგრაფიული სახელის გადმოცემაზე ეტყობა⁸.

ჩანს, იმდროინდელი რომაული რუკებითაც უსარგებლია, განსაკუთრებით, ოქტავიანუს ავგუსტუსის თანამედროვე ვიპსანიუს აგრიპას რუკით თუ მისი მსგავსი რუკებით, რომელნიც თავიანთი აღნაგობით ცნობილ „ტაბულა პეუტინგერიანას“ ტიპისა უნდა ყოფილიყვნენ (აგრიპას რუკას კიდევ მიიჩნევენ, მაგალითად, „ტაბულა პეუტინგერიანას“ უახლოეს პროტოტიპად). ეს ეტყობა მელას ზოგი მთების სახელების გადმოცემაში, რომელთაც მათ ახლოს მოსახლე ტომების სახელების მიხედვით ნათლავს, როგორც ეს რუკაზე ყოფილა გამოსახული და დაწერილი⁹.

⁵ Дж. О. Томсон, Ист. др. географии, стр. 321—322.

⁷ Л. А. Ельницкий, Знания древних... стр. 169—70.

⁸ Schanz—Hosius, II B., 655; F. S. Gisinger, Pomp. Mela, RE, XXI B., 1952, SS. 2398—2405; М. И. Ростовцев, Скифия и Боспор, стр. 45.

⁹ ВДМ, № 1 (27), 1949, стр. 270—271.

¹⁰ იხ. ლ. ა. ელნიცკის დასახელებული ნაშრომი, გვ. 170.

პომპონიუს მელას, ვითარცა წყაროს, ასახელებს თვით პლინიუს უფროსიც თავის „ბუნების ისტორიაში“ (წიგნები 3, 4, 5, 6, 8, 12, და სხვ.) იგი გამოუყენებია იუვენალის სქოლიასტს, ისტორიკოს იორდანს, სოლინუსს და სხვებსაც. მაგრამ გარდა იმისა, რომ პლინიუსს გამოუყენებია, ჩანს, მათ საერთო წყაროც ჰქონიათ, რომლითაც აგრეთვე ვალერიუს ფლაცუსს, ამიანუს მარცელინუსსა და სხვებსაც უნდა ესარგებლათ¹¹.

პომპონიუს მელას მიერ გადმოცემული მასალა უფრო თვალსაჩინოდ, პლინიუს უფროსის თხზულების გეოგრაფიულ ნაწილშიაც მეორდება, ოღონდ უფრო ვრცლად. მაგრამ აღსანიშნავია, რომ პლინიუსის ტექსტი გაცილებით უფრო დაზიანებული სახითაა მოღწეული და ბევრი გეოგრაფიული თუ ეთნიკური სახელი ძალიან დამახინჯებულია.

გასათვალისწინებელია, აგრეთვე, რომ, როგორც სხვა მისი მსგავსი კომპილატორი მწერლების მიმართ, პომპონიუს მელასადმიც დიდი სიფრთხილით მიდგომაა საჭირო, რადგან სხვადასხვა დროის ავტორების ცნობები ზნობად სრულიად განურჩევლად ერთმანეთის გვერდით აქვს მოთავსებული.

პომპონიუს მელა ქართველ ტომებს, კავკასიის ხალხებს და სკვითებს უმთავრესად პირველ წიგნში ახსენებს.

სკვითებთან ყველაზე ახლოს მცხოვრებლებად თვლის კასპიანებს. რომელნიც კასპიის უბის გარშემო ცხოვრობენ და ამით მას მიაჩნია ისინი კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაპირის ბინადრებად, რაც ეწინააღმდეგება სტრაბონის ცნობას (XI, 4, 5), რომლის მიხედვითაც კასპიანები ალბანელთა ტომი იყო და მის დროს უკვე აღარ არსებობდნენ. აქ უნდა დავსძინოთ, რომ სტრაბონის ცნობა უფრო ახლო უნდა იყოს ჭეშმარიტებასთან, რადგან ეს სახელი, გეოგრაფიული თუ ეთნიკური, კავკასიის (უფრო აღმოსავლეთ კავკასიის) მიდამოებში უფრო მეტად ტრიალებს და ჩანს, ვიდრე სხვაგან.

კასპიანებს ზემოთ მელა ვარაუდობს ამაზონებს. რომელთა უძველესი სამყოფელი, ძველი ბერძნული თქმულებების თანახმად, მცირე აზიაში, მდინარე თერმოდონტის მიდამოებში იყო, მაგრამ ალექსანდრე მაკედონელისა და რომაელი სარდლების ლაშქრობათა შემდეგ ამ ზღაპრული ხალხის საბინადრო ადგილმა, ძველ მწერალთა წარმოდგენაში, ნელ-ნელა აღმოსავლეთისაკენ გადაინაცვლა და პომპონიუს მელას ეს ცნობა შემდეგდროინდელი შეხედულებების ანარეკლი უნდა იყოს.

კასპიის უბის ზემოთ (super), მელას თქმით (I, 13), ცხოვრობენ კომარები, მასაგეტები, კადუსები, ჰირკანები და ჰიბერები, ხოლო ამაზონთა და ჰიპერბორეელთა ზემოთ—კიმერიელები, კისიანტები, აქაელები, გეორგილები, მოსხები, კორსიტები, ფორისტები და რიმფაეები; შავი ზღვის ახლოს — მატიანები და ტიბარანები, აგრეთვე მიდიელები, არმენიელები. შავი ზღვის გარშემო, სხვადასხვა ნაწილში, სხვადასხვა ხალხები ცხოვრობენ, რომელთაც ყველას ერთ სახელს — პონტოელებს — უწოდებენო.

ერთმანეთის გვერდით ჩამოთვლილ ამ ხალხთა ლოკალიზაცია, თუ სიტყვას super გავიგებთ მისი ჩვეულებრივი გაგებით — „ზემოთ“ — გართულდებოდა. ზოგ მკვლევარს იქ ეს სიტყვა ესმის როგორც — „ახლოს“, „გვერდით“, მაშინ

¹¹ М. И. Ростовцев, Скифия... стр 48; F. Gisinger, RE, XXI B., SS. 2405—2407

ამ ტომთა განლაგება (განსაკუთრებით იმ ხალხების, რომელნიც უფრო ცნობილნი არიან სხვა წყაროებითაც — მასაგეტები, ჰირკანები, ჰიბერები) დაუახლოვდებოდა მათ ჩვეულებრივ ადგილსამყოფელებს.

რაც შეეხება კომარებს, რომელნიც ასეთი სახით სხვაგან არსად გვხვდება, მკვლევართა აზრით, დიონისე პერიეგეტის (მისი შრომა დაწერილია, ზოგის აზრით, დომიციანეს [81—96 ახ. წ.], ზოგის აზრით, ადრიანეს [117—138 ახ. წ.] დროს) „დასახლებული სამყაროს აღწერაში“ მოხსენებული (ტაეპი 699) კამარიტები უნდა იყვნენ და აიგივებენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მცხოვრებ ტომებთან ჰენიოხებთან, ზიგებთან და აქაელებთან, რომელნიც თავისებური ნავეებით — „კამარებით“ — ესხმოდნენ თავს მეზღვაურებს და ძარცვავდნენ. სხვათა შორის ცოტა ქვემოთ მოხსენებული „აქაელები“ ერთ-ერთი მკვლევრის მიერ ამოკითხულია დამახინჯებული ადგილიდან და საკმაოდ საეჭვოცაა. ხელნაწერში ყოფილად მხოლოდ — *cissi anthiaca*.

განსაკუთრებით საყურადღებოა აქ. გეორგილების მოხსენიება ცნობილი მოსხების გვერდით. ამ სახელს ცოტა სხვა სახით შემდეგ პლინიუსიც ახსენებს („გეორგები“) და ამაში ზოგნი ვარაუდობენ შემდეგ ფართოდ გავრცელებულსა და საერთოდ ქართული ტომებისათვის მიკუთვნებულ სახელს.

პომპონიუსის ტიბარანები სხვა წყაროებით ცნობილი ტიბარენები უნდა იყვნენ და დაახლოებით უდგება კიდევც მათი ლოკალიზაცია სხვა წყაროთა მონაცემებს.

უფრო ქვემოთ პომპონიუსს მელა, ალბათ უკვე სხვა წყაროს მიხედვით, კვლავ ახსენებს ტიბარენებს — „ტიბარენების“ სახით და მიაწერს მათ თამაშისა და სიცილის მოყვარულობას, რაც ქსენოფონტის „ანაბასისის“ მიხედვით, (V, 4, 34) ტიბარენებს კი არა, მოსინიკებს მიეწერება. მელას ამ ადგილას ტიბარენები გამოყვანილნი არიან ხალიბების გვერდით მცხოვრებლებად, ხალიბები კი — პაფლაგონელთა მეზობლებად. ხალიბების მნიშვნელოვან ქალაქებად დასახლებულია ამისოსი და სინოპე, მდინარეებიდან კი — ჰალისი და თერმოდონტი, რომელზედაც ნათქვამია: აქ ამაზონთა ბანაკიც იყო და ამიტომ ამაზონთა მდინარესაც ეძახიანო. ხალიბების ხსენება ჰალისისა და თერმოდონტის სანაპიროებზე ძველი იონიური წყაროების გავლენით უნდა აიხსნას პომპონიუსის შრომაში.

ტიბარენების (ანუ ტაბერენების) შემდეგ (ეტყობა, აღმოსავლეთით) დასახლებულნი არიან მოსინები, რომლებიც, ქსენოფონტის თანახმად, მოსინიკებად იწოდებოდნენ. მათზე ნათქვამია, რომ ისინი ცხოვრობენ ხის კოშკებში, ტანს იხატავენ, ქუჩაში შეექცევიან საჭმელს, სქესობრივ კავშირს საჯაროდ იჭერენ. მერე აგრეთვე გადმოცემულია მეფის არჩევის ჩვეულება, მისი შებორკილი ყოფნა გუშავთა სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ და მერე მისი „შიშშილით“ დასკა, თუ რაიმეს დააშავებს. ეს ცნობები ზოგი სხვა ძველი წყაროთიც არის ცნობილი.

საყურადღებოა, რომ ალბათ მეფის დასჯის ასეთი ჩვეულება აფიქრებინებდა ზოგ ძველ მწერალს (მაგ., სოკრატეს თანამედროვე პეროდოროს პერაკლიელს, რომლის აზრიც მოყვანილია აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკის ერთ-ერთ სქოლიოში [II, 1284]), რომ პრომეთესის მიჯაჭვის ამბავი თავისებურად გაეშუქებინა და იგი გამოეყვანა, როგორც თვით თავის ხალხის მიერვე დასჯილი, გარკვეულ საჭმეში დამნაშავე, მეფე.

მოსინების, ანუ მოსინიკების, შემდეგ იმავე თავში (I, 106) შავი ზღვის გამოყოფებით დასახელებულნი არიან მაკროკეფალები, ბეხირები და ბუქსერები. ეს ორი უკანასკნელი უნდა შეესაბამებოდეს ფსევდო-სკილაქს კარიანდელის ბეხეარებსა და ბიქერებს. მიუთითებს, რომ ამ მხარეში ქალაქები ცოტაა, მათგან ყველაზე სახელგანთქმულებია კერასუნტი და ტრაპეზუნტიო. შემდეგ ახსენებს კოლხებს, მდინარე ფასისსა და ამავე სახელის მქონე ქალაქს და გულისხმობს, რომ ეს არის შავი ზღვის სანაპიროს ყველაზე უკიდურესი აღმოსავლეთი ადგილი და რომ აქედან უკვე კვლავ დასავლეთისკენ უხვევს სანაპირო ხაზი. ეს ვარაუდი საკმაოდ სწორი ჩანს და ძალიან არ არის დაშორებული ჭეშმარიტებას, რადგან ნამდვილად უკიდურეს წერტილს ჩაქვის მიდამოებში უჩვენებენ.

ფასისის კოლონიის დამაარსებლად ასახელებს თემისტაგორა მილეტელს, რაც სხვა წყაროებით არ არის ცნობილი, თუმცა საერთოდ მილეტელთა მიერ ფასისის კოლონიზაციაზე კი სხვაგანაც არის ლაპარაკი (მაგ., იხ. სტეფანე ბიზანტიონელი ფასისთან დაკავშირებით).

ამის მერე პომპონიუს მელა აღნიშნავს (I, 109), რომ ამ მიდამოებიდან იწყება დიდი მთები, რომლებიც ერთის მხრით მიჭყეულნი არიან ევქსინისა, მეოტიდისა (აზოვის ზღვა) და ტანაისისაკენ (დონი), მეორეს მხრით კი — კასპიის ზღვისაკენ და იწოდებიან ზოგან კერავნულ. ზოგან კი — ტავრულ, მოსხურ, ამაზონურ, კასპიურ, კორაქსიკულ და კავკასიურ მთებადო და თან დასძენს, რომელ ხალხსაც ესაზღვრებიან, იმათი სახელიცა პქვიათო.

ზღვის სანაპიროს ხაზის კვლავ დასავლეთისაკენ შემობრუნების ადგილის ახლოს (ე. ი. ფასისის ახლოს) ასახელებს ქალაქს — კენოსს (ანუ გედს), რომელსაც, თქმულების მიხედვით, ბერძენთა დაარსებულად თვლის, თუმცა ბერძნულ წყაროებში კი თითქოს არ ჩანს.

შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო რკალის მობინადრეებად მელა ჩამოთვლის „ველურსა და გაუნათლებელ“ (*ferae incultaeque*) ტომებს: მელანხლენებს, ტორეტიკებს, ექვს კოლიკს, კორაქსიკებს, ფთიროფაგებს, ჰენიოხებს, აქელებს, კერკეტიკებს და უკვე მეოტიდთან — სინდონებს (ანუ სინდებს (I, 110). აქვე აღნიშნავს (I, 111), რომ ჰენიოხთა ქვეყანაშია დაარსებული დიოსკორია (იგივე დიოსკურია) კასტორისა და პოლუქსის მიერ, რომელნიც იასონს, მამასადაძე, არგონავტებს ჩამოჰყენნო.

აქ ჩამოთვლილი ტომები მეტნაკლებად სხვა ბერძნულ-ლათინური წყაროებითაც არიან ცნობილნი; რაც შეეხება ფთიროფაგებს, რომელიც ასე ამოუკითხავს ტექსტის ერთ-ერთ გამომცემელს სიტყვიდან — *cleptirophagi* — ზოგს ეს სახელი ესმოდა როგორც „ტილიჭამიები“, მაგრამ არ უწევდნენ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ ბერძნულ სიტყვას *φθίρ* სხვა ბევრი მნიშვნელობაცა აქვს, მათ შორის — გირჩისა და ზღვის ერთგვარი ჯიშის თევზისაც კი. ფთიროფაგები ანუ ფთიროფაგები დაახლოებით ამავე მიდამოებში ნახსენები აქვს სტრაბონსაც (გეოგრ., XI, 2, 1) და სხვებსაც.

შემდეგ პომპონიუს მელა გადადის (I წიგნის ბოლო და II წიგნი) ჩრდილო კავკასიის ხალხების აღწერაზე და განსაკუთრებულ ხანგრძლივად ჩერდება სკვითთა ტომებზე და მათ ზნე-ჩვეულებებზე.

III წიგნში სხვა ხალხებთან ერთად სარმატებსაც ეხება და კვლავ უბრუნდება კავკასიისა და კასპიის ზღვის სანაპიროების მიმოხილვას. როგორც ეტ-

ყომა: აქ უკვე სხვა წყაროს გავლენას განიცდის და ცოტა სხვანაირადაც წარმოგვიდგენს კასპიის ზღვის სანაპიროების მოსახლეობას.

ჯერ ერთი, თვით კასპიის ზღვა ჩრდილოეთის ოკეანიდან შემოჭრილ ვიწრო უბედ მიაჩნია, მერე კი მას სამ უბედ ჰყოფს (III, 38): სამხრეთის ნაწილს ჰირკანიის უბეს ეძახის, ახლანდელ ყარა-ბულაზს—სკვითურ უბეს, ხოლო დასავლეთ, ანუ უფრო, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს—საკუთრივ კასპიის უბეს და ემჩნევა, რომ ეს სახელწოდებანი მათ სანაპიროებზე მოსახლე ხალხთა სახელების მიხედვით აქვს შერქმეული. მაგ., კასპიის უბესთან მცხოვრებლებად დასახელებული ყავს კასპიები და ამაზონები, რომლებსაც (ამაზონებს) სავრომატიდებს ეძახიანო. ჰირკანიის უბესთან — ალბანეში, მოსხები, ჰირკანები.

აქ ალბანეები და მოსხები გვერდი-გვერდ არიან მოხსენებულნი და, ზოგი მკვლევრის თვალში, გაკვირვებასაც იწვევს, რადგან მოსხები ჩვეულებრივ იგულისხმებიან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპიროების მიდამოებში, კოლხიდის ახლოს. იქვეა ცნობილი მოსხების მთებიც, რომელსაც მცირე კავკასიონის დასავლეთ ნაწილს უწოდებს სტრაბონი (გეოგრ. XI, 12, 4).

მაგრამ აქ შეიძლება დავსვათ საკითხი, ხომ არ არის პომპონიუს მელას ეს ადგილი რომელიმე ისეთი წყაროს ანარეკლი, რომელიც მოსხების თუ მოსხთა ერთი ნაწილის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გადმონაცვლებაზე მიუთითებდა სასაიერების მსგავსად და ხომ არ არის, სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმული აზრი „მცხეთის“ მოსხ-მესხებთან კავშირის თაობაზე, ამ გადმოსახლებასთან რაიმე კავშირში. თუ ეს ვარაუდი სიმართლესთაფ ახლოა. პომპონიუს მელას ეს ცნობა ფრიად თავისებურ და საინტერესო შუქზე წარმოგვიდგება.

შემდეგ პომპონიუსი ჩამოთვლის, და ზოგს ახასიათებს კიდევ, იმ მდინარეებს, რომლებიც კასპიის ზღვას ერთვის. ამათგან ყურადღებას იქცევს არაქსი. რომლის მდინარეებს აღწერა ძირითადად სიმართლეს შეეფერება, მაგრამ ამის თქმა ჰირს მდინარეების მტკვრისა და კამბისის შესახებ, რომლებზედაც ნათქვამია, რომ ისინი ერთმანეთის ახლოს გამოდიან კორაქსული მთების ძირში, მერე ცალკეედებიან და შორი-შორს მიედინებიან იბერთა და ჰირკანთა ქვეყნებზე. ბოლოს კი ზღვის სიახლოვეს ერთ და იმავე ტბაში ერთდებიან და ერთად ერთიან ჰირკანიის უბეს.

კორაქსული მთები ჩვეულებრივ კავკასიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის სახელად ივარაუდება, კამბისი კი — ზოგი მკვლევრის აზრით, იორთან, ზოგის აზრით, ალაზნთან არის გაიგივებული. ეტყობა, მელას აქ არეული აქვს ცნობები. რომ არაქსზე საგანგებოდ საკმაოდ ვრცლად არ იყოს იქვე, ზემოთ საუბარი, მაშინ კამბისისა და მტკვრის აქ აღწერილი ვითარება მტკვარსა და არაქსს უფრო გვაგულსხმებინებდა, მაგრამ მტკიცედ აქ რამეს თქმა ძნელია.

პომპონიუს მელას ტექსტიდან, აკად. ვ. ვ. ლატიშევის ცნობილ კრებულში გადმოცემულ მასალებთან შედარებით, ზოგი რამ ახალიც გვაქვს შემოტანილი წინამდებარე ტექსტში. ამ მასალებიდან საყურადღებოა ცნობა კასპიის კარის შესახებ, რომელიც მოცემულია ლიკიის აღწერილობაში (I, 15, 80), იქ, სადაც ლაპარაკია ტავროსის მთებისა და მათი შემადგენელი ნაწილების შესახებ (კ. ფრიკის გამოცემის გვ. 1827—1911). ავტორი ახსენებს კასპიის კარებსა (Caspiae pylae) და არმენიის კარებს (Armeniae pylae) და მათ ორივეს სამხრეთის მთიანეთში გულისხმობს და არა კავკასიონის ქედის მიდამოებში, როგორც ეს ზოგ ანტიკურ წყაროშია ნათქვამი კასპიის კარის მიმართ.

იონიის აღწერილობაში (I, 88) ჩართულია სხვა ცნობა მითოლოგიურ ამაზონების შესახებ (20²⁴—21), თითქოს მათ, თქმულების მიხედვით, საფუძველი ჩაუყარეს ეფესში დიანას ტაძარს, მაშინ, როცა ისინი აზიაში ბატონობდნენ. რაკი ამაზონები მცირე აზიის შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროების იმ ნაწილის ბინადრებად იგულისხმებოდნენ, რომლის მეზობლადაც ქართველი ტომების წინაპრები მოსახლეობდნენ, ამდენად ეს ცნობაც საყურადღებოა.

ამაზონები მოხსენებულნი არიან ეოლიის აღწერაშიაც (I, 90) — მათმა დედოფალმა კიმემ გაჰყარა ეოლიის ერთი ქალაქიდან (ტროადის ახლოს მდებარე) ძველი მცხოვრებლები და მას თვითონ თავისი სახელი — კიმე—უწოდაო.

იქ სადაც ბოთინია, პაფლაგონია და პონტოსა და მეოტიდის სხვა კუთხეებია აღწერილი, ლაპარაკია კიზიკოსის თაობაზე და ამასთან დაკავშირებით მოხსენებულია კოლხეთიც (I, 97—98). მინიები (ე. ი. არგონავტები) რომ კოლხეთზე სალაშქროდ მიდიოდნენ, ამ ადგილას მომხდარ ბრძოლაში მოჰკლეს კაცი, სახელად კიზიკოსი, და ამიტომ უწოდეს ამ ქალაქს მისი სახელიო.

ცოტა უფრო ქვემოთ ლაპარაკია კიტოროსის დაარსების ამბავზე ფრიქსის ძის კიტისოროსის მიერ, რომელიც ცნობილია არგონავტთა თქმულების ზოგიერთი ვარიანტის მიხედვითაც. ბოლო ხანებში მის სახელს უკავშირებენ „ქუთაისის“ სახელს და ამ მხრით ეს ადგილი საინტერესოა ჩვენი წარსულის მკვლევრისათვის.

პონტოს, ე. ი. შავი ზღვის, დასავლეთი ნაპირის ქვეყნების აღწერაში (II, 22) ნახსენებია მდინარე ფასისის შესართავი, როგორც ქალაქ ტომესა და სხვა ქალაქების მოპირდაპირე მხარეს მდებარე, რაც დაახლოებით კიდევ შეესაბამება საქმის ნამდვილ ვითარებას.

ეპირის აღწერაში არგონავტთა მითის კიდევ ერთი დეტალი მოხსენებული (II, 44:) — პავსასს ყურეში, ქალაქი პავასა, სადაც მდ. სპერქიონი ჩამოდის, იმითაა ცნობილი, რომ აქედან არგონავტები გაემგზავრნენ კოლხეთშიო.

ამავე თავში (II, 57) მოხსენებულნი არიან აგრეთვე კოლხები, როგორც აღრიატიკის ზღვის სანაპიროზე ქ. პოლას უძველესი მცხოვრებლები. ეს გამოძახილია არგონავტთა მითის იმ ვერსიისა, რომლის მიხედვითაც არგონავტთა მღვეარი კოლხები უკან ველარ დაბრუნდნენ მედეას მამის აიეტის შიშით და შორს უცხოეთში დარჩნენ.

პონტოს ზღვის კუნძულების ჩამოთვლაში (II, 97—98) ნახსენებია კუნძულები ლევკე ანუ აქილეია, რაც სხვა წყაროებითაა ცნობილი; აგრეთვე არესის კუნძული (არია), რომელიც შორს არ არის იმ ნაპირიდან, კოლხებით რომ არის დასახლებულიო. გადმოცემის მიხედვით, ფრინველებმა შეუშალეს ხელი ზღვაოსნებს ამ კუნძულზე გადასხდომაში იმით, რომ ფრთები დაუშინეს, რომლებიც ისრებივით ქლექდა ხალხს.

პომპონიუს მელას თხზულების ეს ადგილები უმთავრესად ზოგ დეტალს მატებენ ან აზუსტებენ კოლხიდის უძველეს წარსულთან დაკავშირებულ არგონავტთა მითს და მათი გათვალისწინება ამ საკითხების სისრულით შესწავლისათვის საჭიროა.

პომპონიუს მელას ლათინური ორიგინალი მრავალი ხელნაწერთაა ჩვენამდე მოღწეული, მაგრამ, როგორც დანამდვილებით არის გამორკვეული, ტექსტის გამორკვევისათვის მხოლოდ ერთადერთს — X საუკუნის ვატიკანურ ხელნაწერს (Vaticanus 4929)—აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინაიდან ყველა დანარჩენი

2. ქართული წყაროთმცოდნეობა

22193
9886
1360

საქართველოს
მართლმადიდებელი
ეკლესიის
ბიბლიოთეკა



მისგან მომდინარეობს¹². ამ ავტორის ტექსტზე დაკვირვებისათვის სხვა ხელნაწერებზე უფრო საყურადღებო მოჩანს ვატიკანურ ხელნაწერში სამი სხვადასხვა ხელით შეტანილი შესწორებები.

საერთოდ, ძველი რომაული მწერლობის შუა საუკუნეებში გადაწერილი სხვა ძველების მსგავსად, ეს ხელნაწერიც ძალიან შერყვნილი სახითაა წარმოდგენილი და ამიტომ მრავალი გამომცემლისა და მეცნიერის ჯათა დასჭირდა პომპონიუს მელას თხზულების ტექსტის რიგიანად გამართვას; თუმცა ბევრი მისი ადგილი დღესაც სადაოდ ითვლება. ამიტომაც, რომ ტექსტის სქოლიოში გამომცემელთა წაკითხვებიც მოგვყავს, რომელთა სრულ დასახელებას აქვე, შემოკლებათა ნუსხაში იპოვის მკითხველი.

ყველაზე საუკეთესო კრიტიკულ გამოცემად ჯერჯერობით მაინც 1880 წელს ლაიპციგში გამოცემული ტექსტი ითვლება, რომელიც კარლ ფრიკმა გამოაქვეყნა ბერძენ და რომაელ მწერალთა ტოიბნერის ცნობილ სერიაში. ამიტომ ჩვენს მუშაობაში ძირითადად ამ გამოცემას ვეყრდნობოდით და ის დავუდეთ კიდევ საფუძვლად, თუმცა სხვა მნიშვნელოვანი გამოცემებიც არ დაგვიტოვებია უყურადღებოდ.

თუ რაიმე გადახვევაა კ. ფრიკის გამოცემისაგან, სქოლიოში მითითებულია. არ მიგვიითებია მხოლოდ ზოგიერთი ორთოგრაფიული შესწორება, რომელიც საჭიროდ ვცანით ლათინური ენის არასპეციალისტი მკითხველის სასარგებლოდ. კერძოდ ასოთა კომპლექსები, მაგ., adf-, adp-, ads-, adt-, -ial-, -inm-, -inr- და სხვ. შესაბამისად aff-, -app-, -ass-, -att-, -ill-, -imm-, -irr- და სხვა ასიმილირებული ფორმებით წარმოვადგინეთ, რაც უფრო მიღებულია ლექსიკონებში და გასაგებია ფართო საზოგადოებისათვის.

პომპონიუს მელას ლათინური ტექსტის აზრის რაც შეიძლება სრულად გათვალისწინებისათვის (რადგან ჩვენი თარგმანი, როგორც მკითხველს მოეხსენება, სპეციალურ მიზანს ისახავს), ზოგ ადგილას ჩვეულებრივი და უფრო ხშირად კი კუთხოვანი ფრჩხილები ვიხმარეთ. ჩვეულებრივ ფრჩხილებში მოთავსებულია ის სიტყვები ან გამოთქმები, რომლებიც ძირითად ტექსტში მოყვანილ ამ თუ იმ გამოთქმის ან სიტყვის მნიშვნელობას აზუსტებს ან ერთგვარად განმარტავს, ხოლო კვადრატულ ფრჩხილებში ის სიტყვებია მოქცეული, რომლებიც ლათინურ ტექსტში შეიძლება არ ეწეროს, მაგრამ კი ივარაუდება.

დასასრულ, სინანულით უნდა აღვნიშნო, რომ ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, პომპონიუს მელას წინამდებარე ტექსტზე სათანადო კომენტარების დართვა ამჟამად ვერ მოხერხდა და იძულებული ვარ, ეს საქმე შემდგომი გამოცემისათვის გადავლო.

ძირითადი კრიტიკული გამოცემა, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენს ტექსტს

Pomponii Melae de chorographia libri tres. Recognovit C. Frick, Lipsiae, Billiotheca Teubneriana, 1880.

¹² Schanz-Hosius, II B., 1935; S. 656; Teuffel-Kroll-Skutsch, II B., 1910, S. 248; Pomponii Melae de chorographia. Recogn. C. Frick, Praefatio, pp. VII—X და სხვ.

მნიშვნელოვანია აგრეთვე G. Parthey-ს (ბერლინი, 1867) და H. Tzschucke-ს (ლაიპციგი, 1807) გამოცემები. სხვა საყურადღებო გამოცემებზე მითითება იხ. ქვემოთ, შემოკლებათა ნუსხაში.

პომპონიუს მელას ექსცერპტებისა და მთლიანი ტექსტის თარგმანები:

В. В. Латышев, Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, ч. II, латинские писатели, СПб, 1904—1906. (ლათინური ტექსტით). მეორე გამოცემა, ლათინური ტექსტის გარეშე, იხ. ჟურნ. Вестник древней истории, 1949, № 1(27), стр. 270—287; 1952, № 2(40), стр. 304—305.

К. Ган, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, ч. I, Тифлис, 1884, стр. 97—98.

Помпониус Мела, О положении земли. Пер. С. К. Апта. В книге — «Античная география», книга для чтения. Составитель проф. М. С. Боднарский, Москва, 1953, стр. 176—237.

Pomponius Mela, *Geographie des Erdkreises*. Aus dem lateinischen übersetzt von H. Phillip, Leipzig, 1912.

Macrobe, Varron, Pomponius Mela (oeuvres complètes), Paris, 1869, pp. 599—711. ფრანგული თარგმანი ეკუთვნის M. Huot-ს, სერიაში — Collection des auteurs latins avec la traduction en Français, publiées sous la direction de M. Nisard.

ძირითადი ლიტერატურა პომპონიუს მელასა და მისი თხზულების შესახებ:

История римской литературы, т. II. Под редакцией С. И. Соболевского, М. Е. Грабарь-Пассек, Ф. А. Петровского, Москва, 1962, стр. 126—128.

Ельницкий Л. А., Знания древних о северных странах, Москва, 1961, стр. 168—181.

Ростовцев М. И., Скифия и Боспор. Ленинград, 1925, стр. 45—48 и др.

Модестов В. И., Лекции по истории римской литературы, СПб, 1888.

Томсон Дж. О., История древней географии. Пер. с английского, Москва, 1953.

Schanz—Hosius, *Geschichte der römischen Litteratur*. II B., 4. Aufl. München, 1935, SS. 654—656.

Teuffel W. S., *Geschichte der römischen Literatur*. 6. Aufl., neu bearbeitet von W. Kroll und F. Skutsch. II B., Leipzig und Berlin, 1910. SS. 247—248.

Gisinger F., Pomponius Mela. Pauly-Wissowa-Kroll-Ziegler, *Realencyklopädie der classischen Altertumswissenschaft*. Stuttgart, 1952, XIXB., SS. 2360—2411.

Wissowa G., Die Abfassungszeit der Chorographie des P. Mela, *Hermes*, LI, 1916, SS. 95 ff.

Fink J., Pomponius Mela und seine chorographie, Rosenheim, 1881.

Schweder E., Die Konkordanz der Chorographien des Mela und Plinius, Kiel, 1879.

ლათინური ტექსტის სქოლიოში ნახმარი უმთავრესი შემოკლებების ახსნა:

A—codex Vaticanus N 4929.

A¹, A², A³—ვატიკანის ხელნაწერში პირველი, მეორე და მესამე ხელით შეტანილი შესწორებები.

Barbarus—Pomponius Mela cum praefatione Hermolai Barbari, 1493.

Bursian—Recensio editionis, quam curavit Gustavus Parthey, in Fleck. annal. 1869 p. 629 sqq.

Frick—Pomponii Melae de chorographia libri tres. Recognovit C. Frick, Lipsiae, 1880.

I. Gronovius—editiones Iacobi Gronovii. Lugd. Bat. 1685, 1696.

Nisard—Macrobe, Varron, Pomponius Mela (oeuvres complètes) avec la traduction en français publiées sous la direction de M. Nisard, Paris, 1863.

Pintianus—Nonii Pintiani editio. Salmanticae 1498.

Reinoldius—Io, Reinoldii editio. Iscae 1711.

Schottus—Andr. Schottii editio. Antwerpiae 1582.

Vadianus—Io. Vadiani editio. Viennae 1518.

Vinetus—Eliae Vineti editio. Parisiis 1572.

Vossius—Isaaci Vossii editiones et observationes. 1658—1686.

ლათინური ტექსტი
და
ქართული თარგმანი

POMPONII MELAE DE CHOROGRAPHIA
LIBRI TRES

Lib er I.

1,7. ... Qua diffunditur alia aliis locis cognomina acceptat. ubi primum
5 se artat Hellespontus vocatur, Propontis ubi expandit, ubi iterum pressit
Thracus Bosphorus, ubi iterum effudit Pontus Euxinus, qua paludi com-
mittitur Cimmerius Bosphorus, palus ipsa Maeotis. [8] hoc mari et duobus
inclutis amnibus, Tanai atque Nilo, in tres partes universa dividitur. Ta-
nais a septentrione ad meridiem vergens, in mediam fere Maeotida defluit.
10 et ex diverso Nilus in pelagus...

2,9. Tribus hanc e partibus tangit oceanus, ita nominibus ut locis p.
differens, Eous ab oriente, a meridie Indicus, a septentrione Scythicus.
...ex illo oceano quem Indicum diximus, arabicum mare et Persicum, ex
Scythico Caspium recipit; et ideo qua recipit angustior, rursus expanditur.
15 et fit tam lata quam fuerat. dein cum iam in suum finem aliarumque fer-
rarum confinia devenit media nostris aequoribus excipitur, reliqua altero
cornu pergit ad Nilum altero ad Tanain. [10]... ab eo iterum obliqua ad
Bosphorum, iterum iterumque ad Ponticum latus curva, aditum Maeotidos
transverso margine attingit, ipsam gremio ad Tanain usque complexa fit
20 ripa qua Tanais est. [11] in ea primos hominum ab oriente accipimus Indos
et Scythas. Seres media ferme Eoae partis incolunt, Indi [et Scythae] ul-
tima... spectant et septentrionem Scythae, ac litus Scythicum, nisi unde
frigoribus arcentur, usque ad Caspium sinum possident. [12]... illic Cas-
piani Scythis proximi sinum Caspium cingunt. ultra Amazones ultraque eas
25 Hyperborei esse memorantur. [13] interiora terrarum multae variaeque gen-
tes habitant,... Dahae super Scythas Scytharumque deserta, ac super Cas-
pium sinum Comari, Massagetae, Cadusi, Hyrcani, Hiberi, super Amazonas
et Hyperboreos Cimmerii, Cissianti, Achaei, Georgili, Moschi, Corsitae,

21 et Scythae ჩამატებულია 1477 წლის ვენეციურ გამოცემაში და მიღებულია თი-
ოქმის ყველა გამოცემის მიერ.

28 Cissianti, Achaei Vossius] cissi anthiacaе A; Zygi, Heniochae Nisard.
Georgili] Gorgippi Nisard. Corsitae] Cercetae Pintianus, Nisard, Frick.

კოპონის მელა—„მეფის აღმართობა“

წიგნი I

1, 7. ... [ჩვენი ზღვა, ე. ი. ხმელთაშუა ზღვა], საითაც მიედინება (ვრცელდება), სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სახელწოდებას იღებს: სადაც პირველად შევიწროვდება, ჰელესპონტს უწოდებენ, სადაც გაიშლება — პროპონტიდს, სადაც კვლავ ვიწროვდება — თრაკიის ბოსფორს, სადაც კვლავ გაიშლება ექსინის პონტოს; სადაც ჭაობს უერთდება — კიმერიელთა ბოსფორს, თვით ჭაობს კი — მეოტიდს. [8] ამ ზღვითა და ორი სახელგანთქმული მდინარით, ტანაისითა და ნილოსით, სამყარო სამ ნაწილად იყოფა. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მომდინარე ტანაისი თითქმის შუაგულ მეოტიდში ჩადის; მოპირდაპირე მხრიდან კი ზღვას [ერთვის] ნილოსი. ...

20 appropinquantium astu frustraturus unum de pluribus omisit, hae proiectum
excipiunt et ad cubilia sua referunt, rursumque et saepius remeant atque idem
efficiunt, donec ad frequentiora quam adire audeant profugus raptor evadat,
[44] ultra Caspium sinum quidnam esset ambiguum aliquamdiu fuit, idemne
oceanus an tellus infesta frigoribus sine ambitu ac sine fiipe proiecta. [45] sed
25 praeter physicos Homerumque universum orbem mari circumfusum esse
disserit Cornelius Nepos ut recentior, auctoritate sic certior: | testem autem p. 66
rei Quintum Metellum Celerem adicit, eumque ita retulisse commemorat:
cum Galliae pro consule praeesset, Indos quosdam a rege Botorum dono
sibi datos; unde in eas terras devenissent requirendo cognosse, vi tempe-
30 tatium ex Indicis aequoribus abreptos, emensosque quae intererant, tandem
in Germaniae litora exisse. restat ergo pelagus, sed reliqua lateris eiusdem
assiduo gelu durantur et ideo deserta sunt.

6.55- Quae [i. e. insulae] Sarmatis adversa sunt ob alternos accessus p. 68-1-1
recursusque pelagi, et quod spatia quis distant modo operiuntur undis mo-
35 do nuda sunt, alias insulae videntur alias una et continens terra. [56] in
his esse Oeonas, qui ovis avium palustrium et avenis tantum alantur, esse

8 corxici A. editi in Ciaccconius] editi et in A. 9 Hyrcanos] hyrcanios A.
11 Iaxartes] Iaxartes A. Sugdianorum Reinoldius] surdianorum A.
15 Paesicas A. aperit ur A².
20 omissis A. 21 remeant] remaneant A. 26 disserit] dixerunt A. 30 indicis A¹,
indicis A².
35 terra-ს შემდეგ 8 ასოს ადგილი ყოფილა გამოტოვებული ხელნაწერში. 36 Oeonas-
B ursian] oeneas A.

ყობა. როცა უფრო მკაცრ [ადგილებს] აღწევს, აქეთ-იქიდან კლდეებში მომწყვდეული, რაც უფრო ვიწროდ არის, მით უფრო სწრაფად მიჰქრის, ეხეთქება შეხვედრილ კლდეებს და ამიტომ უდიდესი ხმაურითა და გრუხუნით მიეჩანება იმდენად სწრაფად, რომ გზაში შეხვედრილ უფსკრულზე გადმოდინების დროს ტალღა მაშინვე კი არ გადმოდის, არამედ წინ გაიჭრება კალაპოტის მიმართულებით იუგერზე მეტი მანძილით და წყალი უკალაპოტოდ ჰკიდია ჰაერში. შემდეგ მდინარე როცა მოუხვევს და მოირკლება, წყნარდება, ველეებზე კვლავ მშვიდად, ზღაზნით მიედინება და სანაპიროს აღწევს. [41] კიროსი და კამბისი, კორაქსთა მთების ძირებში მეზობლად მდებარე სათავეებიდან გამოსულნი, სხვადასხვა მხარეს იშლებიან და ჰიბერებისა და ჰირკანების [მიწებზე] დიდხანს და შორ მანძილზე დაშორებული კალაპოტებით მიედინებიან, შემდეგ ზღვიდან არც თუ დაშორებით, ერთსა და იმავე ტბაში ჩადიან და ჰირკანიის უბეს ერთი შესართავით ერთვიან. [42] სუგდიანების მხარედან მომდინარე იაქსარტი და ოქსოსი სკვითის უდაბნოებზე გავლით სკვითის უბეში ჩადიან. ის სათავიდანვე დიდია, ეს კი სხვა მდინარეების შერთვით არის უფრო დიდი; ერთ ხანს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მომდინარე, იგი პირველად დაჰების ახლოს უხვევს, ჩრდილოეთისაკენ იბრუნებს პირს და ამარდებსა და პესტიკებს შორის აქვს შესართავი. [43] ტყეებში საშინელი ცხოველები იცის, ჰირკანიის [ტყეებში] განსაკუთრებით ბუღობენ ვეფხვები. იგი სასტიკი ჯუჯის ნაღირია და იმდენად სწრაფი, რომ მისთვის ადვილია შორს დაწინაურებულ მხედარსაც დაეწიოს და არა მხოლოდ ერთხელ, არამედ რამდენიმეჯერაც, დაიწყებს რა სირბილს იქიდან, სადაც ჩვეულებრივ ბევრჯერ არის დაბრუნებული. ამის მიზეზი ის არის, რომ როცა ცხენოსანი მათ მოტაცებულ ვეფხვების ლეკვებს სასწრაფოდ მიაქროლებს, მოახლოებული ვეფხვების რისხვას ხრიკით აბათილებენ—მრავალთაგან ერთი ლეკვის დაგდებით. ესენი გადაგდებულს აიყვანენ, ისევ თავიანთ ბუნაგებში მიიყვანენ, კვლავ და კვლავ ბრუნდებიან, და იგივე მეორდება, ვიდრე ლტოლვილი მომტაცებელი უფრო ხალხმრავალ ისეთ ადგილში არ უშველის თავს, სადაც ისინი (ვეფხვები) მისვლას ვეღარ გაბედავენ. [44] ერთ ხანს ბუნდოვანი იყო, რა იქნებოდა კასპიის უბის იქით — იგივე ოკეანე თუ სიცივეებით საშიში მიწა, შეუზღუდავად და დაუბოლოებლად გადაშლილი. [45] მთელი ქვეყნიერება რომ ზღვით არის შემოზღუდული, ამას, გარდა ფიზიკოსებისა და ჰომეროსისა, კორნელიუს ნეპოტიც ამბობს, როგორც უფრო ახალი და ამიტომ მნიშვნელობითაც (ავტორიტეტითაც) უფრო სანდო (საიმედო); ხოლო ამის მოწმედ მოჰყავს კვინტუს მეტელუს ცელერი და მოიხსენიებს, რომ მას უთქვამს: როცა გალიის პროკონსულად ვიყავი, ბოტების მეფისაგან საჩუქრად მივიღე რამდენიმე ინდოელი; როცა ვკითხე, იმ ქვეყანაში საიდან ჩამოხვედით-მეთქი, შევიტყვე, რომ ქარიშხალს ინდოეთის ზღვიდან გამოეტაცა ისინი, გამოეტარებინა შუაში მოქცეული მანძილი და ბოლოს გერმანიის სანაპიროზე გამოსულიყვნენ. მაშასადამე, უკანაც [ე. ი. კასპიის უბის უკან] ზღვაა, მაგრამ მისი დანარჩენი სანაპირო მუდმივი ყინვით არის გამაგრებული და ამიტომ უდაბურია.

6,55. რომლებიც [ე. ი. კუნძულები] სარმატების პირდაპირ არიან, ზღვის თანამიმდევრული მოქცევა-უკუქცევის გამო და რადგან ხმელეთსა და კუნძულებს შორის სივრცე ხან ტალღებით იფარება, ხან კი შიშველია — ხან კუნძულებად ჩანან, ხან კი ხმელეთთან გაერთიანებულად. [56] ამათზე არიან

equinis pedibus Hippopodas et Panuatiōs quibus magnae aures et ad ambiendum corpus omne patulae nudis alioquin pro veste sint, praeterquam quod fabulis traditur, apud auctores etiam quos sequi non pigeat invenio.... [58] Talge in Caspio mari sine cultu fertilis, omni fruge ac fructi- P. 69.
 5 bus abundans, sed vicini populi quae gignuntur attingere nefas et pro sacrilegio habent, diis parata existimantes diisque servanda. aliquot et illis oris quas desertas diximus aequae desertae adiacent, quas sine propriis nominibus Scythicas vocant.

7,59. Ab his in Eoum mare cursus inflectitur, inque oram terrae
 10 spectantis orientem. pertinet haec a Scythico promunturio ad Colida primum ob nives invia, deinde ob immanitatem habitantium inculta. Scythae sunt Androphagoe et Sacae, distincti regione, quia feris scatet, inhabitabili [60] vasta deinde iterum loca beluae infestant, usque ad montem mari imminentem nomine Tabim. longe ab eo Taurus attollitur.

1 Panuatiōs Bursian] sannalos A.

2 veste Vadianus] vecti A.

9 Eoum mare cursus Pintianus] eorum recursu A.

10 ad Colida Schottus] adposita A¹. apposita A²

11 ob nives Mommsen] omnisues A.

12 Sacae Schottus] sagae A.

ეონები, რომელნიც მხოლოდ ჭაობის ფრინველთა კვერცხებითა და შვრიით იკვებებიან; არიან ცხენისფეხებიანი ჰიპოპოდები და პანუატიები, რომელთაც მთელ სხეულზე შემოხვეული დიდი, განიერი ყურები საერთოდ სიმწვლის საფარად (სამოსად) აქვთ. [ეს ამბები] გარდა იმისა, რომ თქმულებაშია გადმოცემული, ისეთ მწერალთა თხზულებებშიაც შემხვედრია, რომელთა დაჯერება არ არის დასაწანი (სამარცხენო)... [58] კასპიის ზღვაში [კუნძული] ტალგე დაუმუშავებლადაც ნაყოფიერია და მდიდარია ყოველი ნაყოფითა და ხილით, მაგრამ მეზობლად მყოფი ხალხები ხელის ხლებას დანაშაულად და მკრეხელობად თვლიან, რადგან ღმერთებისათვის განკუთვნილად და ღმერთებისათვის შესანახავად მიაჩნიათ. იმ ნაპირებთან, რომლებზედაც ვთქვით, უდაბურებიანო, მდებარეობს რამდენიმე ასევე უდაბური [კუნძული], რომელთაც საკუთარი სახელები არ გააჩნიათ და სკვითების [კუნძულებს] უწოდებენ.

7,59. აქედან გეზი იხრება აღმოსავლეთის ზღვისა და მიწის იმ ნაპირისაკენ, რომელიც აღმოსავლეთისაკენ არის მიქცეული. ეს სკვითების კონცხიდან კოლიდამდე აღწევს. იგი, ჯერ ერთი, თოვლის გამო უგზოა, მერე კიდევ — მცხოვრებთა მძვინვარების გამო დაუმუშავებელია. სკვითები აქ არიან ანტროპოფაგები და საკები, რომლებიც განიყოფებიან ნადირებით სავსე და ამიტომ დაუსახლებელი ოლქით. [60] შემდეგ არის კვლავ ნადირებით საშიში უზარმაზარი ადგილები, რომლებიც [აღწევს] ზღვაზე გადამდგარ მთამდე, სახელად ტაბისი. მისგან ტავროსი შორს მდებარეობს.

(საკუთარ სახელთა საძიებელი)*

- აბიდოსი — I, 97.
- აბსირტისი — ადრიატიკის ზღვის კუნძული, II, 114.
- აგათირები — II, 2; 10.
- აზია — I, 9, 11, 15, 19, 88, 101; II, 1, 3, 36.
- ალბანელები — ჰირკანიის უბესთან ბინადრობენ III, 39.
- ალექსანდრია — II, 114.
- ამაზონები — კასპიის ზღვასა და მეოტიდთან მოსახლეობენ I, 12, 13, 116; III, 39. აზია რომ ეპყრათ, ეფესში დიანას ტაძარი ააგეს I, 88;
- ამაზონთა ბანაკები — I, 105.
- ამაზონთა წინამძღოლი კიმე — I, 90.
- მაზონური მთები — I, 109.
- მარდები — III, 39, 41.
- ამაქსაბიები — II, 2.
- ამისოსი — ხალიბების ქალაქია I, 105.
- ანდროფაგები — სკვითური ხალხი III, 59.
- ანთროპოფაგები — სკვითური ხალხი I, 14.
- ანქიალოსი ქ. — II, 22.
- ანციუმი — II, 71.
- აპოლონი — III, 37.

- აპოლონია — ქალაქი თრაკიაში II, 22.
- აპოლონია — ქალაქი ილირიაში II, 57
- აპსოროსი — II, 114.
- არაბეთის ზღვა — I, 9.
- არაქსი — ტავროსის კალთებიდან ჩამოდის და არმენიის ველებზე მიედინება III, 40.
- არგო — ხომალდი, რომელიც პაგასას უბესთან შეაცურეს ზღვაში კოლხიდას მიმავალმა მინიებმა (არგონავტებმა) II, 44.
- არდუა — II, 71.
- არემფეები — I, 117,
- არია — კუნძული, კოლხებისაგან არც თუ შორს მდებარეობს II, 98.
- არიმასები — II, 2.
- არმენე — პეტლაგონიის ქალაქი I, 104.
- არმენია — III, 40.
- არმენიელები — I, 13.
- არმენიის კარი — I, 81.
- არქიასი — კალქედონის დამაარსებელი I, 101.
- ასიაკები — II, 7, 11.
- ასიაკესი მდ. — II, 7.
- ასინე — კუნძული II, 114.

*) მითითებულია წიგნისა და პარაგრაფის (და არა თავის) სათვალავი, რომელიც ტექსტის კუთხოვან ფრაზილებშია მოთავსებული. საძიებელში მარტო პომპონიუს მელას ტექსტის მასალა წარმოდგენილი.

- ასტაკოსი — I, 100.
 ატლანტის ოკეანე — I, 15.
 აფროდისიუმი — II, 71.
 აქეები — ხალხი პონტოს ზღვასთან, მოიხსენება კისიანტებსა და გეორგილებს შორის I, 13; ჰენიოზებსა და კერკტიკებს შორის I, 110
 აქერუსია — I, 103.
 აქილეე — კუნძული, იგივე ლევეკე II, 98.
 აქილეესი — II, 5, 98.
 აქილეესის ნარბენი — II, 5.
 აქსენოსი — წინათ ეწოდებოდა პონტოს ანუ შავ ზღვას I, 102.
 აღმოსავლეთის ოკეანე — I, 9.
 ბასილიდები — II, 4, 11.
 ბელკები — სკვითური ხალხი III, 36.
 ბენირები — ნაკლებ ველური, მაგრამ ტლანქი ხნის ხალხი შავი ზღვის სანაპიროზე I, 107.
 ბიზონე — ქ. თრაკიაში II, 22.
 ბითინიელები — I, 97.
 ბორისთენესი — მდ, II, 6, 98.
 ბორისთენიდი — ქალაქი II, 6.
 ბოსფორი (თრაკიის) — I, 7, 10, 101, 108.
 ბოსფორი (კიმერიელთა) — I, 7, 112, 114, 115; II, 2, 3.
 ბოტები — III, 45.
 ბრიტანეთის ოკეანე — I, 15.
 ბრუნდიზიუმი — II, 114.
 ბუდინები — I, 116.
 ბუქესი — მდ. II, 2.
 ბუქსერები — ნაკლებ ველური, მაგრამ ტლანქი ხნის ხალხი შავი ზღვის სანაპიროზე I, 107.
 გალია — III, 45.
 გალოგრეკები — I, 13.
 გელონები — II, 14.
 გელონონი — I, 116.
 გეორგები — ევროპის სკვითიის ხალხი II, 5, 11.
 გეორგილები — ხალხი აზიაში, აქეებსა და მოსხებს შორის I, 13.
 გერმანელები — I, 19.
 გერმანია — II, 8; III, 45.
 გეროსი — მდ. II, 4.
 გინაიკოკრატუმენები-მეოტიდები — I, 116.
 გრანიკოსი — I, 98.
 დანუეიუსი — II, 8, 57. იხ. აგრეთვე ჰისტერი.
 დასკილოსი — I, 99.
 დაჭები — აზიის ხალხი I, 13; III, 42.
 დელოსი — III, 37.
 დემეტრიონი — II, 44.
 დერბიკები — III, 39.
 დიანა — I, 86; II, 3.
 დიოგენე ცინიკოსი — I, 105.
 დიომედია — II, 114;
 დიონისოპოლისი — II, 22.
 დიოსკორია — ქალაქი ჰენიონთა საზღვრებში, კასტორისა და პოლუქსის მიერ დაარსებული I, 111.
 დირაქიუმი — II, 56.
 დისკელადოსი — კუნძული II, 114.
 ეასი — მდ. II, 57,
 ეგეესის ზღვა — I, 18.
 ევროპა — I, 15, 18, 101; II, 1.
 ევქსინოსი, ევქსინის პონტო, ევქსინის ზღვა — I, 7, 102, 109; II, 3. იხ. აგრეთვე პონტო, პონტოს ზღვა.
 ელექტრიდები — კუნძ. II, 114.
 ეოლია — I, 90.
 ეოლიელები — I, 90.
 ეონები — III, 56.
 ეპიდამნოსი — II, 56.
 ესედონები — II, 2, 9, 13.
 ესტრია — კუნძული II, 114.
 ეფესი — ქალაქი I, 88.
 ექიდნა — II, 11.
 ექინონი — II, 44.
 ექსამპეოსი — II, 7.
 ევგეტები — I, 13.
 ვერძის შუბლი — იხ. კრიუ-მეტრონ II, 3.
 ვისტულა — მდ. III, 33.
 თატები — I, 114.
 თემისკური — ქალაქი; მდ, თერმოდონტის იქით ველზე იყო I, 105.
 თემისტაგორა მილეტელი — ამის დაარსებულა მდ. ფასისის მოსახლე ქალაქი I, 108.
 თეოდოსია — II, 3.
 თერმოდონტი — მდინარე ხალიბების საზღვრებში I, 105.
 თრაკია — I, 18.
 თრაკიის ბოსფორი — იხ. ბოსფორი (თრაკიის).
 იადერი — II, 57.
 იასონი — არგონავტთა ბელადი. იუპიტერის სახელობაზე ტაძარი ააგო I, 101; მასთან ერთად პონტოში შემოვიდნენ კასტორი და პოლუქსი I, 111.
 იაქსარტი — მდ. III, 42.
 იბერები — იხ. ჰიბერები.
 ილირია — II, 57.
 ილირიელები — II, 56.
 ინდოეთის ზღვა, ინდოეთის ოკეანე — I, 9; III, 45.
 ინდოელები — I, 11; III, 45.
 იონია — I, 88.
 იპაკარესი — II, 4.
 ისა — კუნძული II, 114.
 ისავრიელები — I, 13,
 იუპიტერი — I, 101.
 იფიგენია — II, 11.
 იქსამატები — I, 114.

- კადუსები — ხალხი კასპიის უბესთან I, 13.
 კავკასიონი (ინდოეთის) — I, 81.
 კავკასიური მთები — I, 109.
 კასტროსი — მდ. I, 88.
 კალატისი — II, 22.
 კალიპიდები — II, 7.
 კალოს-ლიმენი — II, 3.
 კალქედონი — I, 101.
 კამბისი — მდინარე; კიროსთან ერთად მოედინება ჰირკანებისა და ჰიბერების მიწებზე და ჰირკანიის უბეს ერთვის III, 41.
 კარამბიკის კონცხი, კარამბისის კონცხი — I, 104; II, 3.
 კარია — ნავსადგური II, 22.
 კარკინე — ქალაქი II, 4.
 კარკინის უბე — II, 4.
 კაპადოკიელები — I, 13.
 კასპიანები, კასპიები — I, 12; III, 39,
 კასპიის ზღვა, კასპიის უბე — I, 9, 11, 12, 13 109; III, 38, 39, 44, 58,
კასპიის კარი — I, 80.
 კასპიური მთები — I, 109.
 კასტორი — ამის და პოლუქსის მიერ არის დაარსებული დიოსკორია I, 111.
 კეგე — ქალაქი I, 112.
 კერავნის მთები — I, 109; III, 39.
 კერასუნტი — I, 107.
 კერბეროსი — I, 103.
 კერკეტები, კერკეტიკები — I, 13, 110. იხ. აგრეთვე კორსიტები.
 კვინტუს მეტელუს ცელერი — III, 45.
 კიანის უბე — I, 100.
 კიზიკოსი — ქალაქ კიზიკოსის დამაარსებელი I, 97.
 კიზიკოსი — ქალაქი I, 98.
 კიკნოსი — ქალაქი I, 110.
 კიმე — ამაზონების წინამძღოლი I, 90.
 კიმე — ქალაქი; დარსა ამაზონების წინამძღოლმა კიმემ I, 90.
 კიმერიელები — კიმერიელთა ქალაქები II, 3, 13.
 კიმერიელთა ბოსფორი — იხ. ბოსფორი (კიმერიელთა).
 კიმერიონი — ქალაქი I, 112.
 კინოლისი — I, 104,
 კიოსი — I, 100.
 კირკე — II, 71.
 კირკეია — II, 71.
 კიროსი — მდინარე. იგი კამბისთან ერთად კორაქსთა მთების ძირში გამოდის, ჰიბერებისა და ჰირკანების მიწაზე მიედინება და ჰირკანიის უბეს ერთვის III, 41,
 კისიანტები — I, 13.
 კიტისოროსი — ფრიქსის ვაჟიშვილი I, 104.
 კიტოროსი — I, 104.
 კოლიდა — III, 59.
 კოლიკები (ექვსი) — I, 110.
 კოლირისი — I, 104.
 კოლოფონელები — I, 99.
 კოლხები — მათთან მიემგზავრებოდნენ მინიები I, 98. პონტოს ყველაზე ვიწრო კუთხეში ცხოვრობენ ფასისთან I, 108; ოდესმე ისინი სახლობდნენ პოლაში II, 57; მათგან არც თუ შორს მდებარეობს კუნძული არია II, 98.
 კოლხიდა — კოლხიდას მიმავალი მინიები პაგასას უბესთან შეუკრდნენ ზღვაში II, 44.
 კომაგენები — I, 13.
 კომარები — I, 13.
 კორაკანდა — I, 112.
 კორაქსთა მთები, კორაქსული მთები — I, 109; კორაქსთა მთების ძირში გამოდის კიროსი და კამბისი III, 41.
 კორაქსიკები — I, 110.
 კორკირა — II, 114.
 კორნელიუს ნებოტი — იხ. ნებოტი კორნელიუს.
 კორსიტები — I, 13.
 კრიუ-მეტოპონ — II, 3.
 კრომნოსი — I, 104.
 კრუნოსი — ნავსადგური II, 22,
 ლაგერენტუმი — II, 71.
 ლამბსაკოსი — I, 97.
 ლეკვე — კუნძული II, 98.
 ლიბურნები — II, 56, 57.
 ლინგვარუმი — კუნძული II, 114.
 ლიდეილები — I, 13.
 ლიკაონელები — I, 13.
 ლიკასტო — ქალაქი I, 105.
 ლიკია — I, 80.
 ლიკოსი — ლიკიის მეფე, პანდიონის ძე I, 80.
 ლირისი — II, 71,
 მაკედონია — I, 18.
 მაკროკეფალები — I, 107.
 მარიანდინები — I, 97, 103.
 მარსი — II, 15, 98.
 მასაგეტები — ხალხი აზიაში კასპიის უბესთან I, 13.
 მათიანები — I, 13.
 მეგარელები — I, 100.
 მელანზონე — ტომი პონტოს სანაპიროზე I, 110; II, 14.
 მელანზონეები — ხალხი ევროპის სკვითიაში II, 14.
 მეოტიდები-ქალთამორჩილი I, 116, იხ. აგრეთვე გინაიკოკრატუმენები.
 მეოტიდი, მეოტიდის ტბა, მეოტიდის ჭაობი — I, 8, 10, 14, 15, 109, 110, 115; II, 1, 2, 4 97.

- მეოტიკები — I, 14, 114.
 მესემბრია — ქალაქი II, 22.
 მიდიელები — I, 13.
 მილეტელები — I, 104; II, 22.
 მინიები — არგონავტები. უნებურად მოჰკლეს მათ კიზიკოსი II, 98. კოლხიდას მიმავლებმა პაგასას უბესთან შეაცურეს ზღვაში ხომალდი არგო II, 44.
 მინტურნე — II, 71.
 მირინა — I, 90.
 მირინოსი — ქალაქ მირინას დამაარსებელი I, 90.
 მირლეა — I, 99.
 მისია — I, 90.
 მისიის მთა — I, 98.
 მოსინები — ტაბერენებს იქით ბინადრობენ; ხის კოშკებში ცხოვრობენ; სხეულს ნიშნებით იჭრებდნენ და სხვ. I, 106.
 მოსხები — გეოგრაფიების გვერდით არიან I, 13; ალბანელებსა და ჰირკანელებს შორის ცხოვრობენ ჰირკანიის უბესთან III, 39.
 მოსხური მთები — კერავნის მთების ნაწილია I, 109.
 მურანები — I, 13.
 მურმეკიონი — ქალაქი II, 3.
 მშვენიერი ნავსადგური — იხ. კალას-ლიმენი.
 ნარი — მდინარე II, 57.
 ნარონა — II, 57.
 ნეგრები — II, 7, 14.
 ნეპოტი კორნელიუს — III, 45.
 ნეპტუნი — I, 100.
 ნილოსი — I, 8, 9; II, 8.
 ნიფატები — I, 80.
 ნომადები — II, 4, 5, 11.
 ოდესოსი — II, 22.
 ოინომასი — I, 90.
 ოკეანე — I, 9, 117; III, 44.
 ოკეანე აღმოსავლეთისა I, 9. იხ. აგრეთვე აღმოსავლეთის ოკეანე.
 ოკეანე ინდოეთისა — I, 9. იხ. ინდოეთის ოკეანე.
 ოკეანე სკვითებისა — I, 9. იხ. სკვითების ოკეანე.
 ოლბია, ოლვია — II, 6.
 ოლბიანოსის უბე — I, 100.
 ოლიმპოსის მთა — I, 98.
 ორესტე — II, 11.
 ორიკუმი — ქალაქი II, 56.
 ოსტია — II, 71.
 ოქსოსი — მდ. III, 42.
 პაგასა — ქალაქი II, 44.
 პაგასას უბე — კოლხიდას მიმავალმა მინიებმა (არგონავტებმა) აქ შეაცურეს ზღვაში ხომალდი არგო II, 44.
 პანდიონი — ამის ძეა ლიკოსი I, 80.
 პანტიკაპეონი — ქალაქი II, 3.
 პანტიკაპესი — მდ. II, 5.
 პანუატები — III, 56.
 პართენიონი — კონცხი მცირე ახიაში II, 3.
 პართენიოსი — მდ. I, 104.
 პართიელები — III, 33.
 პარიონი — I, 97.
 პაფლაგონია — I, 104, 105.
 პაფლაგონიელები — I, 104.
 პელასგები — პელასგთა ახალშენები I, 98.
 პელოპსი — I, 90.
 პესტიკები — III, 39, 42.
 პირეელები — II, 56, 57.
 პისიდიელები — I, 13.
 პლაკია — I, 98.
 პოლა — ოდესებ კოლხებით იყო დასახლებული II, 57.
 პოლას უბე — II, 57.
 პოლუქსი — ამის და კასტორის მიერ არის დაარსებული ჰენიოხთა საზღვრებში დიოსკორია I, 111.
 პონტო, პონტოს ზღვა — I, 10, 14, 15, 101, 102, 103, 108, 111, 112, 113, 115; II, 2, 5, 22, 98.
 პონტელები — პონტოს ირგვლივ მცხოვრებ ხალხებს ყველას ერთ სახელს — პონტელებს ეძახიან I, 14.
 პონტოს სანაპირო — I, 18.
 პრიაპოსი — I, 97.
 პროპანისუსი — I, 80.
 პროპონტიდი — I, 7, 15, 98.
 პტელეონი — II, 44.
 რიმფაკები — I, 13.
 რინდაკოსი — მდ. I, 99.
 რიფეის მთა, რიფეის მთები — I, 109, 115, 117; II, 1; III, 36.
 რომაელები, რომაელნი, II, 56, 57.
 საბერძნეთი — I, 90.
 სავრომატები — I, 14, 116; II, 2; III, 39.
 საკები — III, 59.
 სალონა — II, 57.
 სარმატები — I, 19; III, 55.
 სარმატია — III, 33.
 სატარზები — II, 2, 4, 10.
 სეპიადის კონცხი — II, 44.
 სერები — I, 11.
 სესამოსი — ქალაქი I, 104.
 სიდას ნავსადგური — I, 80.
 სინდონები — I, 110, 111.
 სინდოსი — ქალაქი I, 111.
 სინესა — II, 71;
 სინოპე — ხალიბების ქალაქი I, 105.
 სირახები — I, 114.
 სიროკილიკიელები — I, 13.

- სკვიტები — I, 11, 12, 13; II, 2; III, 36, 38.
 სკვიტების კონცხი — III, 59.
 სკვიტების კუნძულები — III, 58.
 სკვიტების ოკეანე — I, 9.
 სკვიტების სანაპირო — I, 11.
 სკვიტების ტრამალები — I, 13.
 სკვიტია — I, 18; II, 6, 8; III, 42.
 სკვიტიის უბე — III, 38, 39, 42.
 სკილაკე — I, 98.
 სპარსეთის ზღვა — I, 9.
 სპარსელები — I, 98.
 სპერქიონი — მდინარე II, 44.
 სუგდიანები — III, 42.
 ტაბერენები — ესაზღვრებიან ხალიბებს; მათთვის უდიდესი ბედნიერება თამაშობა და სიცილია I, 106. იხ. აგრეთვე ტიბარანები.
 ტაბისი — მთა III, 60.
 ტავრები, ტავრიკები — II, 3, 4, 11.
 ტავროსი, ტავრული მთები, ტავროსის მთები — I, 81, 109; III, 40, 60.
 ტავროსის კონცხი — I, 80.
 ტალგე — კუნძული III, 58.
 ტანისი — მდინარე I, 8, 9, 10, 14, 15, 18, 109, 114, 115; II, 1.
 ტარაციანა — II, 71.
 ტაფრე — II, 4.
 ტერგესტე — II, 57.
 ტიბარანები — მატანიების გვერდით ცხოვრობენ I, 13. იხ. აგრეთვე ტაბერენები.
 ტიბრი — II, 71.
 ტიოსი — I, 104.
 ტირა — მდინარე II, 7.
 ტირისტისი — II, 22.
 ტისაგეტები — I, 116.
 ტიტანა — II, 114.
 ტიმე — II, 22.
 ტორეტკა — I, 110.
 ტრაგურიუმისი — II, 57.
 ტრაპეზონისი — ქალაქი პონტოს სანაპიროზე (ტრაპეზუნტი) I, 107.
 ტროელები — I, 90.
 ტროია — I, 90.
 ტურკები — I, 116.
 ფანაგორა — I, 112.
 ფაროსი — კუნძული III, 114.
 ფასისი — მდინარე; ჩამოდის კოლხებში; პონტოს ყველაზე ვიწრო კუთხესთან ერთი ზღვა; იქვეა მისი მოსახლე ქალაქი II, 108; მის მოპირდაპირე მხარეს არის პონტოს მეორე უფრო განიერი კუთხე II, 22.
 (ფასისი) ქალაქი — მდ. ფასისის მოსახლე, თემისტაგორა მილეტელის მიერ დაარსებული I, 108.
 ფთიროფაგები — I, 110.
 ფიკორები — I, 114.
 ფოკელები — I, 97.
 ფორისტები — I, 13.
 ფორმიე — II, 71.
 ფრიგია — I, 100.
 ფრიგიელები — I, 13.
 ფრიქსი — ამის ძეა კიტისოროსი I, 104; მისი ტაძარი და კორომი არის კოლხებში I, 108.
 ფუნდი — II, 71.
 ქალთამორჩილნი — იხ. აგრეთვე გინაიკოკრატუმები I, 116.
 ქიმერა — I, 80.
 ჩვენე ზღვა, ჩვენი წყლები — I, 7, 9, 15; II, 1. იხ. აგრეთვე ხმელთაშუა ზღვა.
 ჭაობი I, 7, 112. იხ. აგრეთვე მეოტიდი.
 ხალიბები — პაფლაგონიასთან ყველაზე ახლოს არიან, მათი ქალაქებია ამისოსი და სინოპე, მდინარეები — ჰალოსი და თერმოდონტი II, 105; მათ ესაზღვრებიან ტაბერენები I, 106.
 ხერონესოსი — II, 3.
 ხმელთაშუა ზღვა — I, 7. იხ. აგრეთვე ჩვენი ზღვა.
 ჰადრიას უბე, ჰადრიას ზღვა — II, 57, 114.
 ჰალოსი — ხალიბების მდინარეა I, 105.
 ჰალონი — II, 44.
 ჰელესპონტი — I, 7, 15, 90.
 ჰემოდები — I, 80.
 ჰენიონები — ფთიროფაგებსა და აქეებს შორის ცხოვრობენ I, 110; მათ საზღვრებშია დიოსკორია I, 111.
 ჰერაკლა — I, 103.
 ჰერკულესი — I, 103; II, 11.
 ჰერმისოუმი — ქალაქი II, 3.
 ჰერმონასა — ქალაქი I, 112.
 ჰიბერები — კადუსებთან და ჰირკანებთან ერთად კასპიის უბესთან არიან I, 13; ჰიბერებისა და ჰირკანების მიწებზე მიედინებიან კიროსი და კაზბისი III, 41.
 ჰიდრია — II, 114.
 ჰიპობოდები — III, 56.
 ჰიპერბორეები — I, 12, 13; III, 36.
 ჰიპანისი — II, 7.
 ჰირკანები — კასპიის უბესთან ცხოვრობენ I, 13. ჰიბერებისა და მათ მიწებზე მიედინებიან კიროსი და კაზბისი III, 41.
 ჰირკანია — მის ტყეებში ბუდობენ ვეფხვები III, 43.
 ჰირკანიის უბე — III, 38, 39, 41.
 ჰისტერი — მდინარე II, 8, 22, 57; III, 33. იხ. აგრეთვე დანუგიუსი.
 ჰისტრია — II, 56.
 ჰისტრიელები — II, 7, 57.
 ჰისტროპოლისი — II, 22.
 ჰომეროსი — III, 45.

ლ. ლავლიანი

ზაზართა ლაზაროზა თბილისსა და ალბანეთში მოსა კალანკატუელის
„ალბანეთის ისტორიის“ მიხედვით

(VII ს-ის 30-იანი წლები)

სპეციალური ინტერესი ძველი სომხური საისტორიო მწერლობის მიმართ საქართველოს ისტორიის მკვლევართა შორის დიდი ხანია გაცხოველდა¹.

წინამდებარე ნაშრომი ეხება ერთ-ერთ წარმომადგენელს ამ მწერლობიდან — მოსე კალანკატუელს და მისი თხზულების — „ალბანეთის ისტორიის“ იმ ნაწილს, სადაც აღწერილია ზაზართა ბრძოლების ამბები თბილისსა და ალბანეთში. ეს ნაწილი იმდენად მნიშვნელოვან მასალას შეიცავს საქართველოს ისტორიისათვის, რომ ის არაერთხელ ყოფილა მოხსენებული ჩვენი ისტორიკოსების შრომებში. მთლიანი ტექსტის ქართული თარგმანი კი დღემდე არ მოგვეპოვება².

ჩვენ მიერ შესრულებული თარგმანიდან ამჯერად საშუალება გვაქვს გამოვაქვეყნოთ „ალბანეთის ისტორიის“ II წიგნის XI—XVI თავები, რომელიც ეხება ზემოთ ხსენებულ საკითხს.

პირველი ცნობები მოსე კალანკატუელის „ალბანეთის ისტორიის“ შესახებ, X II—XIII სს-დან შემოგვცნა. მას უკვე იცნობენ მხითარ აირივანელი (XII ს.), სტეფანოს ორბელიანი (XIII ს.), კირაკოს განძაკელი (XIII ს.)³.

ამჟამად ქ. ერევანში — მატენადარანში დაცულია ამ მატეანის რვა ნუსხა. ამათგან ყველაზე ადრინდელი 1279 წლისაა, შემდეგი სამი — XVII საუკუნეს განეკუთვნება, ერთი XVIII საუკუნეშია შესრულებული, ხოლო დანარჩენი — XIX საუკუნეში.

„ალბანეთის ისტორიის“ ტექსტის გამოცემა XIX ს-ის 40-იან წლებამდე არ განხორციელებულა. დიდი ხნის განმავლობაში ამ ისტორიის ხელნაწერი დაკარგულად იყო მიჩნეული⁴. 1841 წელს ეჩმიაწინის არქივისკოპოსმა იოანე შატერნმა გამოსცა წიგნი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ეჩმიაწინის ბიბლიოთეკა-

¹ ამ საკითხს ერთხელ კიდევ მიეცა მკაფიო გამოხატულება ახლახან გამომცემულ შრომაში ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარე ფარბეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1962, წინასიტყვაობა.

² ნაწყვეტები ამ შრომიდან თარგმნილია წიგნში: ვ. ს. ნალბანდიანი, თბილისი, ძველ-სომხურ მწერლობაში, მთარგმნელი ნ. ჯანაშია, ე. ცაგარეიშვილი, თბ., 1959, გვ. 35—46.

³ К. Патканян, История агван Моисея Каганкатваци, СПб, 1861, гл. IX.

⁴ იქვე, გვ. III.

4. ქართული წყაროთმცოდნეობა

ში ინახება „ალბანეთის ისტორიის“ ორი ნუსხა, რომელთაგან ერთი ყველაზე ძველია ამჟამად ცნობილ ნუსხათა შორის, მეორე კი—XVII ს. განეკუთვნება⁵.

1838 წ. ეჩმიაწინში იმყოფებოდა ფრანგი მოგზაური ევგენი ბორე მას უნახავს „ალბანეთის ისტორიის“ ხელნაწერი და გადაუღია ასლი. მანვე თარგმნა პირველად ეს ისტორია ფრანგულ ენაზე და 1848 წელს გამოსცა პარიზში⁶.

ხელნაწერის შესწავლაზე მუშაობდა აკად. მ. ბროსე, რომელმაც გამოსცა ნაწყვეტები ამ შრომიდან 1851 წ.⁷.

იოსანე შახატუნმა თავისთვის გადაწერა ერთ ეგზემპლარად „ალბანეთის ისტორია“. რომელიც შემდეგ ვაგზავნა პეტერბურგში მეცნიერებათა აკადემიის თხოვნით. სწორედ აქედან იქნა გადაღებული ის ასლი, საიდანაც „ალბანეთის ისტორია“ რუსულად თარგმნა პროფ. ვ. პ. პატკანიანმა⁸.

ალბანეთის ისტორიის გამოცემა განზრახული ყოფილა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში. — ალბანეთის კათოლიკოს ნერსესს ხელნაწერის ერთი ეგზემპლარი გაუგზავნია კონსტანტინოპოლის სომეხ პატრიარქისათვის, მაგრამ, რადგანაც ეს გამოცემა არ მოხერხებულა, 1766 წელს სომეხი კათოლიკოსის სიმეონის მოთხოვნით ხელნაწერი უკანვე დაუბრუნებიათ ეჩმიაწინში⁹.

პირველი სომხური ტექსტი გამოიცა მოსკოვში 1860 წელს ნ. ო. ემინის მიერ, იგი მოკლებულია შესავალ წერილსა და შენიშვნებს, მაგრამ გამომცემელმა დიდი შრომა გასწია ტექსტის დასახვეწად. მან შეძლებისდაგვარად გაწმინდა იგი გადაწერთა მიერ დაშვებული შეცდომებისა და გვიანდელი ჩანამატებისაგან. იგივე გამოცემა მეორედ დაიბეჭდა თბილისში 1913 წელს.

იმავე 1860 წელს, რამდენიმე თვის შემდეგ, პარიზში გამოვიდა „ალბანეთის ისტორიის“ სომხური ტექსტი კ. შახნაზარიანის შესავალი წერილითა და შენიშვნებით.

ტექსტის კრიტიკული გამოცემა ყველა ძირითადი ხელნაწერების გათვალისწინებით ჯერ კიდევ არ განხორციელებულა.

„ალბანეთის ისტორიის“ ავტორის — მოსე კალანკატუელის შესახებ თქმის არავითარი ბიოგრაფიული ცნობები არ მოიპოვება. მხოლოდ ერთგან, ამ შრომის მეორე წიგნის XI თავში, აღნიშნულია, რომ ის უტის ოლქის დიდი სოფლის კალანკატუკის მკვიდრია. ამას კიდევ შეიძლება მივმართო ის ცნობა, რომელსაც შეიცავს ალბანეთის ისტორიის 1855 წლის ნუსხის მინაწერი, საიდანაც ჩანს, რომ მოსე კალანკატუელი ვარდაპეტი ყოფილა.

თუ როდის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა „ალბანეთის ისტორიის“ ავტორი, ამ საკითხის ირგვლივ ყოველთვის იჩენდა თავს ორი მოსაზრება. ზოგი მკვლევარი მას მიიჩნევს VII საუკუნის მოღვაწედ (ე. ბორე, კ. შახნაზარიანი, ო. სომალიანი, ნ. ემინი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ტ. ტერ-გრიგორიანი, ზ. იამპოლსკი, კ. ტრევერი), ნაწილი კი მას X საუკუნეს აკუთვნებს (კ. პატკანიანი, კ. აღონცი, მ. აბელიანი).

⁵ И о а н н Ш а х а т у н и, Описание Эчмиадзина и пяти областей, лежащих у Арарата, Эчмиадзин, 1841, გვ. 330.

⁶ E. Boré, Nouvelles annales de Voyages, t. II, Histoire de M. Galkantouni extraits te traduite du manuscrit arménien, Paris, 1848.

⁷ M: Brosset, Additions et éclaircissements à l'Histoire de la Géorgie, St-Pétersbourg, 1851, Addition XXVI (Extraits de l' Histoire des Aghovans).

⁸ К. Патканян, დასახ. ნაშრომი, გვ. IV.

⁹ К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании. Москва-Ленинград, 1959, გვ. 12.

VII საუკუნის მომხრეთა ძირითადი დასაყრდენია ის გარემოება, რომ ალბანეთის ისტორიაში იმ ნაწილის თხრობა, რომელიც VII საუკუნის ამბებს ეხება, უმეტესად სტოვებს თვითმხილველის შთაბეჭდილებას. ამ ფაქტს გვერდს ვერ უხვევს ვერც ერთი მკვლევარი, ისინიც კი, რომლებიც კალანკატუელს X ს-ს მოღვაწედ მიიჩნევენ¹⁰. კ. პატკანიანი, რომელმაც თავის დროზე დიდი შრომა გასწია ამ ძეგლის შესწავლისა და მისი რუსულად თარგმნის საქმეში, თუმცა კი X ს-ით დათარიღების მომხრეა, მაინც ანგარიშგასაწევად ცნობს იმ გარემოებას, რომ შრომაში VII ს-ის მოვლენები გადმოცემულია ზედმიწევნითი სიზუსტით. მაგალითად, ავტორი, ერთის მხრივ, დიდი სიყვარულით და სიამაყის გრძნობით ყვება VII ს-ის მთავრის ჯეჯანშირის შესახებ, ბრძოლებში მის წარმატებებზე. მისი მმართველობის წლებში სამშობლოს აყვავებაზე; მეორეს მხრივ, მეტად მუქი ფერებით აქვს აღწერილი მისი სიკვდილის შემდეგ ალბანეთის დაცემა და უზღვობა. ავტორი ცდილობს თანაგრძნობა გამოიწვიოს მკითხველში თავისი გაწამებული სამშობლოს მიმართ. მეორე წიგნის X-L თავები მხოლოდ თანამედროვის მიერ უნდა იყოს შექმნილი¹¹.

ამის მიხედვით კ. პატკანიანი მზად არის „ალბანეთის ისტორიის“ ავტორი VII საუკუნეს მიაკუთვნოს, მაგრამ აბრკოლებს ის გარემოება, რომ არც ერთი ძველი სომეხი ისტორიკოსი არ ასახელებს კალანკატუელს, როგორც ორი ნაწილის ავტორს, ხოლო რადგანაც მესამე ნაწილში თხრობა მიყვანილია X საუკუნის ბოლომდე, ამიტომ კალანკატუელიც მკვლევარს X საუკუნეში მცხოვრებად მიაჩნია.

კ. პატკანიანის აზრით, კალანკატუელმა დამოუკიდებლად დაწერა სწორედ მესამე წიგნი, ხოლო პირველი და მეორე წიგნების წერის დროს მან გამოიყენა ყველაფერი, რასაც კი რაიმე კავშირ ბჭონდა მისი სამშობლოს წარსულთან. ამდენად კალანკატუელი მთლიანად იწერს წერილებს, ლეგენდებს, აღწერილობებს, რასაც კი პოულობს სამონასტრო ბიბლიოთეკებში¹².

ამავე აზრს ავითარებს მ. აბელიანი თავის „ძველი სომხური ლიტერატურის ისტორიაში“. მისი აზრით, კალანკატუელის შრომა შექმნილია X საუკუნეში. ეს ნაწარმოები არც ისტორიაა და არც მატიაზე, არამედ კომპილაციური კრებულება, სადაც მასალა დალაგებულია ქრონოლოგიური წესით. მისი ენა არაერთგვაროვანია, ხან გაუგებარი და დიდებული, ხანაც ნათელი და ცოცხალი, რაც დამოკიდებულია იმ წყაროზე, რომლითაც სარგებლობს ავტორი. უმეტეს შემთხვევაში ის პირდაპირ იწერს თავის წყაროს, ხან სიტყვასიტყვით, ხანაც შემოკლებით. ეს კომპილაცია შედგენილია იმდენად მექანიკურად, რომ შენახულია პირველწყაროს გრამატიკული ფორმები, და ამდენად შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს თვითონ კალანკატუელი იყოს აღწერილი ამბების თვითმხილველი¹³.

მ. ი. არტამონოვსაც კალანკატუელის შრომა X საუკუნის კრებულად მიაჩნია, მაგრამ მან ვერც ის უარყო, რომ ზოგიერთი ნაწილი მხოლოდ თანამედროვისა და თვითმხილველის დაწერილი უნდა იყოს¹⁴.

¹⁰ ამჯერად ჩვენ საშუალება არა გვაქვს შევჩერდეთ ყველა მკვლევარზე, რომელსაც თავისი აზრი აქვს გამოთქმული ამ საკითხის შესახებ.

¹¹ К. Патканян, *დასახ. ნაშრომი*, გვ. V.

¹² იქვე, გვ. X.

¹³ М. А. Абегиан, *История древнеармянской литературы*, т. I, Ереван, 1948, გვ. 391.

¹⁴ М. И. Артамонов, *Очерки древнейшей истории хазар*. Ленинград, 1936 г.

ამ საკითხის დასაზუსტებლად ტ. ტერ-გრიგორიანი ავტორის ენის ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ ალბანეთის ისტორიის მესამე წიგნი მთლიანად სხვა პირის მიერ უნდა იყოს დაწერილი, ხოლო პირველი ორის ავტორი VII ს-ში მცხოვრები მოსე კალანკატუელია. მანვე ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ აქ სრულიად გამოტოვებულია IX საუკუნის შუახანის ამბები, კერძოდ არაბების ბრძოლები ალბანელებთან და სხვ.

განსაკუთრებით სარწმუნოდ მიაჩნია მას ის ფაქტი, რომ „ალბანეთის ისტორიის“ დამწერი ხშირად იყენებს IV—VI სს. ავტორთა შრომებს—მოსე ხორენელის, ელიშეს, ფავსტოს ბუზანდის, აგათანგელოსის, აბრამ მამიკონიანის, პეტროს სივნიელის, მაშინ როდესაც არც ერთხელ არ ახსენებს VII—X სს. ავტორებს — იოანე მამიკონიანს, შაპუხ ბაგრატიუნს, იოანე კათოლიკოსს ან თომა არწრუნს.

ტერ-გრიგორიანს მოსე კალანკატუელი მიაჩნია ალბანეთის კათოლიკოსის ვიროსა და ალბანეთის მთავრის ჯევანშირის თანამედროვედ. ის უპირისპირებს ვიროს გადასახლებიდან დაბრუნების თარიღს (628 წ.) ჯევანშირის მმართველობის წლებს (638—670) და ასკვნის, რომ მოსე კალანკატუელი ცხოვრობდა VII საუკუნის ბოლოს, და 670 წელს შესაძლებელია, რომ 62—67 წლისა ყოფილიყო¹⁵.

ზ. იამპოლსკიმ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ალბანეთის ისტორიის ავტორად, მოსე კალანკატუელთან ერთად, დასახელებული იყო მოსე დასხურანელიც. XIII საუკუნეში კირაკოს განძაკელის მასწავლებელმა მატეანის ავტორად ეს მეორე მოსე დასხურანელი, მიიჩნია. ასეთივე ცნობას იძლევა მხიარ გოში (XIII ს.), რომელსაც თვითონ უნდოდა ალბანეთის ისტორია თავის დრომდე მიეყვანა. ის მიუთითებს მოსე დასხურანელის ისტორიაზე, რომელიც სრულად გადმოგვცემს ამბავს ალბანური ტომის შესახებო. „სრულად გადმოცემაში“ უნდა იგულისხმებოდეს მატეანის გაგრძელება X საუკუნემდე, როდესაც ალბათ ცხოვრობდა მოსე დასხურანელი¹⁶.

ამ ცნობის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ალბანეთის ისტორია, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება; დაწერილი უნდა იყოს ორი ავტორის მიერ*. პირველი ორი წიგნის ავტორია VII საუკუნეში მცხოვრები ვარდაპეტი მოსე კალანკატუელი, ის, როგორც სასულიერო პირი, ალბათ რომელიმე მონასტერში მოღვაწეობდა. სავარაუდოა, რომ ალბანეთის ისტორიის პირველი ორი ნაწილი დიდი ხნის განმავლობაში უცნობი იყო მონასტრის კედლებს გარეთ, ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის, რომ სტეფანოზ ასოლიკი (X—XI სს), როდესაც ჩამოთვლის ყველა სომეხ ისტორიკოსს აგათანგელოსიდან დაწყებული იოანე კათოლიკოსით გათავებული, არსად არ ახსენებს მოსე კალანკატუელს. ე. ი. ის ჯერ კიდევ არ იცნობს ალბანეთის ისტორიას და მის ავტორს¹⁷.

საფიქრებელია, რომ X ს-ის ბოლოს „ალბანეთის ისტორიის“ ორი წიგნი უნახავს მის მეორე ავტორს — მოსე დასხურანელს და გადაუწყვეტია მისი გაგრძელება თავის თანამედროვეობამდე, რაც შეუძლებელია კიდევ. ამის მიხედ-

* რაც უკვე ცნობილია ლიტერატურაში.

¹⁵ Т. И. Тер-Григорян, Критический очерк „К истории страны алванской М. Каланкатуйского“, Бако, 1940, აზერბ. სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქივი, ნივნიტი. № 991 ა, გვ. 28—36, იხ. აგრეთვე—К. Тревер, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

¹⁶ З. И. Ямпольский, К изучению летописи Кавказской Албании. Извест. АН Азерб. ССР, 1957, 9, გვ. 150.

¹⁷ К. Патканян, დასახ. ნაშრომი, გვ. IX.

ვით გასაგები ხდება მესამე წიგნის ენობრივი სტრუქტურის დიდი სხვაობა პირველ ორ წიგნთან შედარებით და ისიც, რომ ამ მატინის უძველესი აღმნიშვნელი მას ცნობენ როგორც სამი ნაწილისაგან შედგენილს. მოსე დასხურანელის დეწლი თუმცა კი სკოდნიათ XIII საუკუნეში, მაგრამ მთლიანად ალბანეთის ისტორიის მაინც მხოლოდ მოსე კალანკატუელის შრომად ასახელებენ.

იმის შემდეგ, რაც აღმოჩენილი და გაანალიზებულ იქნა ეჩმიაძინის ხელნაწერი, რომელიც მანამდე უცნობ ალბანურ ანბანს შეიცავს¹⁸, ზ. იამპოლსკის მიერ გამოთქმული იქნა მოსაზრება, რომ ალბანეთის ისტორია თავდაპირველად ალბანურ ენაზე უნდა ყოფილიყო დაწერილი¹⁹. ამჟამად ამავე აზრს იზიარებს კ. ალიევი, ის წერს: „По всей видимости, труд М. Каганкатваци изначально был написан не на древнеармянском языке (грабар), а на одном из языков Албании, который в то время употреблялся в качестве литературного албанского языка“²⁰.

ამ საკითხის გადაწყვეტას, ჩვენის აზრით, უფრო მეტი დასაბუთება ესაჭიროება, ვით უმეტეს, რომ უტის ოლქის დიდი ნაწილი VI საუკუნიდან უკვე არმენიზირების პროცესშია²¹.

მოსე კალანკატუელის წყაროების შესწავლაზე ბევრი უმუშავნია თავის დროზე კ. პატკანიანს. მისი კვლევის მიხედვით, კალანკატუელს უმთავრესად უსარგებლია მოსე ხორენელის, ელიშეს, აგათანგელოსის, პეტრე სივინელის, აბრაჰამ მამიკონიანის შრომებიდან და წმიდათა ცხოვრებიდან. მეორე წიგნის IX—XV თავები კი მხოლოდ თვითმხილველის დაწერილი უნდა იყოს, შესაძლებელია ამ ნაწილის ავტორი თვითონ „ალბანეთის ისტორიაში“ მოხსენიებულ გზოთლიკოსი ვიროც ყოფილიყო²².

ასევე სპეციალური კვლევა აქვს ჩატარებული ამ საკითხის ირგვლივ ტერგიორიანს. ის ალბანეთის ისტორიის წყაროებად ასახელებს: 1. ხალხურ თქმულებებსა და გადმოცემებს, 2. სასახლეებისა და მონასტრების არქივებში დაცულ ოფიციალური ხასიათის ეპისტოლეებსა და სასულიერო და საერო პირთა მიმოწერას, 3. IV—VI სს-ის სომეხ ისტორიკოსთა შრომებს (განსაკუთრებით მოსე ხორენელს და ელიშეს) და 4. ცნობებს იმ ამბავთა შესახებ, რომლის თვითმხილველი ან თანამედროვე იყო ავტორი²³.

ალბანეთის ისტორიის პირველი ორი წიგნი შეიცავს თხრობას უძველესი დროიდან VII საუკუნის ბოლომდე, ხოლო III წიგნში აღწერილია ამბები VIII საუკუნის დასაწყისიდან X ს-ის ბოლომდე.

ამგერად, როგორც აღნიშნული იყო, ჩვენ შევჩერდებით მეორე წიგნის XI—XVI თავებზე.

* * *

სასანიდურ სპარსეთსა და ბიზანტიას შორის ხანგრძლივი ომების შედეგი მეტად მძიმე იყო ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის. 571 წელს სასანიდების წი-

¹⁸ А. Шанидзе, Новооткрытый алфавит Кавказских албанцев и его значение для науки; И. Абуладзе, К открытию алфавита Кавказских Албанцев. ენიკის მოამბე, IV, 1938. № 1.

¹⁹ З. И. Ямпольский, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

²⁰ К. Г. Алиев, К вопросу об источниках и литературе по истории древней Кавказской Албании, Вопросы истории Кавказской Албании, Баку. 1962 გვ. 17.

²¹ Очерки Истории СССР, III—IX вв. გვ. 305.

²² К. Патканян, დასახ. ნაშრ. გვ. XI—XII.

²³ Т. Тер-Григорян, დასახ. ნაშრ., გვ. 43—45, იხ. აგრეთვე Тревер, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

ნაღმდეგ სომხეთში, ქართლსა და ალბანეთში ახალმა აჯანყებამ იფეთქა, რის შედეგადაც ქართლისა და სომხეთის დიდი ნაწილი სპარსეთის ბატონობისაგან განთავისუფლდა. ახლ ბიზანტიამ მოიწადინა ამ ქვეყნების დამორჩილება. ამან დასაბამი მისცა ახალ ომს ბიზანტიასა და ირანს შორის, რომელიც ოცი წლის შემდეგ ბიზანტიის გამარჯვებით დასრულდა. ბიზანტიის იმპერატორ მავრიკესა და ხოსროვ II-ს შორის ზავი იქნა დადებული, რომლის ძალით ქართლის დიდი ნაწილი და სომხეთი ბიზანტიას გადაეცა. ხოსროვ II-მ, მავრიკეს სიკვდილის შემდეგ, ისარგებლა ბიზანტიაში შინაარეულობით და არა თუ უკან დაიბრუნა სომხეთისა და ქართლის ტერიტორია, არამედ დიდი დაპყრობითი ომების წარმოებასაც შეუდგა. 614 წელს მან აიღო ქ. იერუსალიმი. ამან საბაბი მისცა ბიზანტიის ახალ იმპერატორს ჰერაკლე I-ს (610—641) აქტიური მოქმედება დაეწყო ხოსროვის წინააღმდეგ.

ჰერაკლე კეისარმა ბრძოლა დაიწყო არა უშუალოდ სპარსეთის მთავარი მხედრობის წინააღმდეგ, არამედ მის ჩრდილოეთის სამფლობელოებში. „ალბანეთის ისტორიის“ ცნობით, ჰერაკლემ მიაღწია ატროპატაკანამდე, დაანგრია და დასწვა ქალაქი გაიშავანი (განძაკი). ზამთრის გატარებას აპირებდა ალბანეთის იბერიისა და სომხეთის ქვეყნებში. ჰერაკლე წერს ამ ქვეყნის დიდებულებს, რომ ემსახურონ მას ზამთრის განმავლობაში; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ განადგურებას ემუქრებოდა. რადგანაც ამ დროს ალბანეთი ისევ სპარსეთს მორჩილებს, ხოსროვ II-ის ბრძანებით აქაურმა დიდებულებმა დასტოვეს ქალაქი პარტავი (ბარდავი, და სხვადასხვა ციხე-სიმაგრეებში გამაგრდნენ. ბიზანტიის ჯარები უტის ოლქში მდინარის ახლოს განლაგდნენ, სოფელ კალანკაიტუკის საზღვრებთან; იქიდან გაემართნენ მდინარე ტრტუსაკენ (ტერტერი), სოფელ დივტაჟანის მახლობლად. აქ ბიზანტიის ჯარს თავს დაესხენ სპარსელები შაჰრაბლაკანის მეტაფრობით. ამავე დროს მოვიდა კიდევ ერთი სპარსელი მხედართმთავარი ბიზანტიიდან, და ჰერაკლე აიძულეს სივნიეთისაკენ გაქცეულიყო. ამჯერად სპარსეთის ჯარი დიდად დაზარალდა, მაგრამ მაინც შესძლო შეეჩერებინა მოწინააღმდეგე და თავის ქვეყანაში გაებრუნებინა. ჰერაკლეს მიერ მიტაცებული ქალაქები სპარსელებმა უკანვე დაიბრუნეს²⁴.

ამ დროს ჰერაკლეს მოკავშირეებად ჰყოლია ლაზები, აფხაზები და იბერთა ერთი ნაწილი. იბერთა მეორე ნაწილი თბილისითურთ სპარსელების მომხრედ რჩებოდა. ჰერაკლემ დაასვენა და დააკომლექტა თავისი ჯარი. მას განსაკუთრებული ჰქონდა ერთი წლის შემდეგ უშუალოდ სპარსეთის ჯარს შეებოდა. მაგრამ მის ჯარს, განსაკუთრებით კი ლაზებს, აფხაზებს და იბერებს არ მოუწოდომებიათ ბრძოლის გავრძელება, ხოლო მათ, რომლებმაც ირაკლის სპარსთა ლაშქარი მოსწევია, ლაზებსა და აფხაზებს მოკავშირეობაზე ხელი აუღიათ და შინისაკენ წასულან²⁵.

ჰერაკლე კეისარი ახალ მოკავშირეებს ეძებს და პოულობს მათ ხაზარბთს სახით. ხაზართა სახაკანო, რომელიც დასავლეთ-თურქულ სახაკანოს გამოეყო, ჩამოყალიბდა VI საუკუნის ბოლოს. ის სწრაფად გაძლიერდა მეზობელი ტო-

²⁴ შაქსხის ყაიხანსკოთაღსიყ შათმიოქის სკილასჩე სკუსარჩი, თბილისი, 1913 გვ. 150—151.

²⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი, 1960, გვ. 261.

მების დაპყრობის გზით და VII საუკუნისათვის უკვე საკმაოდ ძლიერ პოლიტიკურ წარმონაქმნს შეადგენდა.

ხაზართა მეთაური, ხაკანის ტიტულით ცნობილი, რომელიც ხაზართა შორის წმიდა პირთგნებად ითვლებოდა, მუდამ ერთიდამივე ცნობილი გვარიდან ირჩეოდა. ფაქტიურად მთელი ხელისუფლება სახაკანოში ხელთ ეყვრა ხაკან-ბეგს, რომელიც მეფის სახელით მართავდა ქვეყანას. ხაზართა ქალაქებში კი ხაკანის წაცვლები ისხდნენ²⁶.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ხაზარეთის სახაკანოს მართავდა ჯიბლუ (ჯიბლა). წყაროებში ხაკანად წოდებული (იგივე ჯებუ—სომხური წყაროებით და ზიებილი — ბიზანტიურით). პროფ. მ. ი. არტამონოვს მიაჩნია, რომ ჯიბლუ სათავეში ედგა დასავლეთ-თურქული სამფლობელოს იმ ნაწილს, რომელიც დიდი სახაკანოს უკიდურეს დასავლეთის ოლქს შეადგენდა და მოიცავდა უზარმაზარ ტერიტორიას — თანამედროვე თურქესტანიდან მოყოლებული კასპიის ზღვის გარშემო, ჩრდილოეთ კავკასიამდე. ჯიბლუ თავისი თანამდებობით, და შესაძლებელია დიდ ხაკანთან ნათესაური კავშირითაც, მეორე კაცი იყო მის შემდეგ²⁷.

ხაზართა სახაკანოს დედაქალაქი თავდაპირველად ქ. სემენდერი (თანამედროვე დაღესტანში) ყოფილა, ხოლო VIII საუკუნის 30-იან წლებში, არაბებთან ბრძოლების გამო, ხაზარებმა თავისი სამეფო რეზიდენცია მდ. ვოლგაზე, ქ. იტილში გადაიტანეს.

ხაზარეთის მიერ დამორჩილებული ხალხები ხარკს იხდიდნენ სახაკანოს სასარგებლოდ. სახელმწიფო შემოსავლის მეორე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა ბაჟი, რომელსაც ისინი ვხად მიმავალი ვაჭრებისაგან ლეზულობდნენ. ხაზართა ქალაქებზე გადიოდა ის საქარავნო გზა, რომელიც დასავლეთს აღმოსავლეთთან აკავშირებდა. ხაზარები ხდებოდა უზამავალნი ბეწვეულით, მარილით, მონებითა და ხეტყის ვაჭრობის საქეში სლავურ ტომებსა და ირანს შორის. ამასთან დაკავშირებით იზრდება იმ სავაჭრო მაგისტრალის მნიშვნელობა ანიერკავკასიაში, რომელიც ხაზარულ ქალაქებზე — ვარაჩანსა და სემენდერზე გადის, ხოლო შემდეგ დერბენტის, პარტავისა და ბაილაკანის გავლით ირანში სრულდება²⁸.

არა ნაკლებ მნიშვნელოვან აქლევს სახაკანოს ის მძარცველური თავდასხმები, რომლებსაც ისინი განუწყვეტლივ აწარმოებენ მეზობელი ხალხების მიმართ. ცხადია, პერაკლე კეისარმა გაითვალისწინა ხაზარების მუდმივი მისწრაფება ომისაკენ. აგრეთვე ისიც, რომ მათ მარჯვე მსროლელები და მამაცი მებრძოლები ჰყავდათ, და გადაწყვიტა შეკავშირებულიყო მათთან ხოსროვ II-ის წინააღმდეგ. აღბ. სეისის ისტორია მოგვითხრობს, რომ ხოსროვის მეფობის 36-ე წელს პერაკლე კეისარმა ერთი თავისი დიდებულთაგანი მოამზადა და გაგზავნა ხაზარებთან მის ლაპარაკებლად, რათა გამოეთხარა კავკასიის დიდი მთები, გაეღო ჩოლას კარი, გამოეყვანა სხვადასხვა ბარბაროსი ტომები და მათთან ერთად გაეძევებინა სპარსეთის ამაყი მეფე ხოსროვი. მრავალი დაპირებების წყალობით ჩრდილოეთის მეფის ნაცვალმა ჯიბლუ ხაკანმა, რომელიც ზემოთ თქმულისამებრ, მეორე კაცი იყო სამეფოში, თანხმობა შესცა. ამასთანავე პერაკლე კეისარის ელჩს

²⁶ P. M. Магомедов, История Дагестана, Махачкала, 1961, гл. 60.

²⁷ М. И Артамонов, ДСХС, № 75.

²⁸ С. Т. Еремян. Политическая история Албании III—VII вв., Очерки истории СССР, III—IX вв. Ленинград, 1958, гл. 320.

გამოაყოლა 1000-მდე რჩეული მხედარი, რომლებიც გადავიდნენ დერბენტს იქით და არწივებივით გაფრინდნენ მდინარე მტკვრისაკენ, შემდეგ კი ქართველთა და ეგერთა (ეგრისის) ქვეყნების გავლით გადასცურეს შავი ზღვა და სამეფო კარს მიაღწიეს. იქ, კეისრის წინ, განამტკიცეს ფიცი²⁹.

ალბანეთის ისტორიის ეს ცნობა ნატყუარად იქნა მიჩნეული კულა, რუსკის მიერ³⁰. მართლაც, თუ ჩავთვლით, რომ ხოსროს მეფობის 36-ე წელი 626 წელია, ისიც უნდა მივიღოთ, რომ ამ დროს, ბიზანტიური წყაროების ცნობებით, კეისარი ლაზიკაში იმყოფება. მაშინ ხაზართა ელჩებს აღარ უნდა დასჭირებოდათ კონსტანტინეპოლში ჩასვლა და სპარსეთის ხელში მყოფი დერბენტის ძალით გარღვევა. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ალბანეთის ისტორიის ავტორი აქ მოგვითხრობს ჯერ კიდევ 625 წლის ამბებზე, როდესაც კეისარი მართლაც იმყოფებოდა კონსტანტინეპოლში, იმის შემდეგ, რაც ბიზანტიის ჯარმა ჭკან დაიხია სპარსეთის მხედრობის წინაშე და კილიკიამდე მივიდა. 625 წელი უნდა იყოს მოლაპარაკებას დასაწყისი, ხოლო ამის შემდეგ გულდაჯერებული ჰერაკლემ 1 ამიერკავკასიაში მეორე ლაშქრობისათვის ემზადება, ის მიდის ლაზიკაში, რათა აქედან საბოლოოდ მოეთათბიროს ხაზარებს. თეოფანე ყამთააღმწერელის ცნობით, ჰერაკლეს ლაზიკაში გამგზავრება იმ დროს ხდება, როდესაც ხოსროვ II-მ სალაშქროდ გაამზადა თავისი დიდი ჯარი ავარებთან ერთად კონსტანტინეპოლის წინააღმდეგ, ე. ი. 626 წ. როდესაც კეისარი გებულობს ამ ლაშქრობის დაწყების შესახებ, თავის ჯარს სამ ნაწილად ჰყოფს. ერთ ნაწილს გზავნის ქალაქის დასაცავად, მეორე ნაწილს თავისი ძმის — თეოდორეს წინამძღოლობით სპარსეთის სარდლის — საინის წინააღმდეგ მიმართავს, ხოლო მესამე — თვითონ მიჰყავს ლაზიკაში³¹.

შემდეგ, თეოფანეს სიტყვით რომ ვთქვათ, „ლაზიკეში ყოფნის დროს მან მოკავშირეებად მოიწვია აღმოსავლეთის თურქები, რომელთაც ხაზარებს ეძახიან.. ხაზარებმა გადმოლახეს კასპიის კარები და სპარსეთში, აღრაბიგანის ქვეყანაში შეიჭრნენ თავიანთი სარდლის ზიებილის მეთაურობით, რომელსაც თავისი თანამდებობით მეორე ადგილ იეჭირა ხაკანის შემდეგ, რომელ ადგილებსაც გაივლიდნენ ხოლმე ისინი, ყველგან არყვევებდნენ სპარსელებს და ქალაქებსა და სოფლებს ცეცხლში ხვევდნენ. მეფემ (ჰერაკლემ) დატოვა ლაზიკე და ხაზარებთან შესახვედრად გაემართა. ზიებილმა რომ დაინახა ის, გაემართა მისკენ, კისერზე მოეხვია მას და თაყვანი სცა. სპარსელები კი ამას ყველაფერს ხელაღდნენ ქალაქ ტფილისიდან. თურქთა მთელი ჯარი მიწაზე დაემხო. პირით დაემხვნენ და მეფეს მიუძღვნეს წარმართთა უჩვეულო პატივი. ამგვარადვე მათ უფროსებიც ქვის ლოდებზე ავიდნენ და იმავე წესით დაემხვნენ. გარდა ამისა ზიებილმა, მეფის სიტყვებით ნასიამოვნებმა და მისი გარეგნობით და გონიერებით გაკვირვებულმა, მართლაც მას თავისი პირმშო ვაჟი. ზიებილმა აგრეთვე შეარჩია ორმოცი ათასი წარმოსადეგი კაცი და მისცა მას დასახმარებლად, თვითონ კი საკუთარ ქვეყანაში გაბრუნდა. მეფემ (ჰერაკლემ) წაასხა ეს ხალხი და გაილაშქრა ხოსროს წინააღმდეგ“³².

²⁹ *У. 4.* დასახ. ნაშრომი, გვ. 160—161.

³⁰ *Ю. Кулаковский, История Византии, т. III, гл. 345.*

³¹ თეოფანე ყამთააღმწერელი, ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტომი მეოთხე, ნაკვ. 1, გვ. 98—99.

³² იქვე, გვ. 99—100.

თითქმის ანალოგიურია მეორე ბიზანტიელი ავტორის — ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის ცნობა. მხოლოდ აქ პერაკლე კეისარი მოლაპარაკებას აწარმოებს არა სარდალ ზიებილთან, რომელიც მეორე კაცი იყო სამეფოში, არამედ თვითონ „თურქთა ბატონთან“: რადგანაც სხვა წყაროები (როგორც ბიზანტიური, ისე ქართულ-სომხური) ამიერკავკასიაში გადმოსვლას მხოლოდ ზიებილს ალუ ჯიბლუ-ჯებუს და მის შვილს შათს მიაწერენ, ამიტომ მიგვაჩნია, რომ ნიკიფორეს „თურქთა ბატონი“ იგივე ზიებილი უნდა იყოს. ნიკიფორეს მიხედვით, (პერაკლეს), „ეშინოდა რა თურქთა ბატონს სწორედ იგივე ავართანაც არ ექნა (ე. ი. არ შეკავშირებოდა) და რათა იმის მხრით გულდაჯერებული ყოფილიყო, მასთან კიდევ უფრო მტკიცე კავშირი შეჰკრა. უჩვენა მას თავისი ქალიშვილის, ევდოკიას სურათი... ხოლო იგი ხურათის სილამაზითა და შემკობილობით გატაცებული, პირველსახისადმი ტრფობით განიმსჭვალა და კიდევ უფრო მეტად მოინდომა ბრძოლაში შეკავშირება. მაშინვე თურქთა ლაშქარი და სარდალი მისდა მივდეს. ამასთან ერთად პერაკლე სპარსეთში შეიჭრა. ქალაქები აიღო და ცეცხლის ტაძრები გაანადგურა“³³.

ალბანეთის ისტორია შემდეგი ამბების შესახებ აღნიშნავს, რომ ხოსროს მეფობის 37-ე წლის დასაწყისში „ჩრდილოეთის მეფე“ თავისი ძმისშვილის შათის მეთაურობით მეზობელ ჯარს უგზავნის კეისარს. ხაზართა ჯარმა გაიარა ალბანეთი, დაარბია ატროპატაკანის ერთი ნაწილი და მდინარე ერასხთან (არაქსთან) დაბანაკდა. აქედან შათი მაცნეს უგზავნის ხოსროვ II-ს და აცნობებს პერაკლე კეისართან შეკავშირების შესახებ, ამასთანავე მოითხოვს სპარსეთის ჯარის მიერ მტრული მოქმედების შეწყვეტას ბიზანტიის წინააღმდეგ. ყველა მიტაცებული ქვეყნისა და ქალაქის უკან დაბრუნებას და ტყვეთა განთავისუფლებას³⁴.

ხოსროვ II აღაშფოთა ხაზართა მხედართმთავრის ამგვარმა ცნობამ. მან საყვედურებითა და რისხვით აღსავსე წერილი გაუგზავნა შათს, იმ მუქარით, რომ მოუხმობს თავის საუკეთესო მხედართმთავარს — შაჰ-გარაზს მამაც მეზობლებთან ერთად და იქამდე იბრძოლებს, ვიდრე დაღუპვის პირამდე მიიყვანდეს მათ.

ამ მუქარამ ხაზარებზე გავლენა იქონია. მათ შეწყვიტეს ძარცვა-რბევა და დროებით უკან გაბრუნდნენ. შემდეგ, როდესაც ხაზართა მთავარმა დაინახა მრავალი ნაღველი, რაც ამიერკავკასიიდან იყო წაღებული, გადაწყვიტა თვითონ გადასულიყო იქითა მხარეს. მან შეაგროვა ღიდი ჯარი და თავის შვილთან ერთად სალაშქროდ გამოემართა. ალბანეთის ისტორიის ცნობით, ეს მოხდა ხოსროს მეფობის 38-ე წელს³⁵.

ხაზარებმა პირველი დარტყმა დიდ ქალაქს ჩოლას მიაყენეს. იმის შემდეგ რაც სასანიდური სპარსეთი საბოლოოდ დამკვიდრდა ალბანეთის ტერიტორიაზე (IV ს. ბოლოს), მან ხელი მიჰყო კავკასიის მთავარ ქედზე სუსტად დაცული საზღვრების გამაგრებას, რათა უზრუნველყო თავისი სამფლობელოები ჩრდილოეთის ხალხების თავდასხმებისაგან. ჩოლა-დერბენტის გასასვლელი ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი იყო სტრატეგიული თვალსაზრისით. აქ კავკასიის ქედი მეტად უახლოვდება ზღვას და სტოვებს ვიწრო სანაპირო ზოლს, რომელიც ქმნის გასასვლელს აღმოსავლეთ იმერკავკასიიდან — ამიერკავკასიისაკენ. ეს მნიშვნე-

³³ ალ. გამყრელიძე, ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის ცნობები ირაკლი კეისარის საქართველოში ლაშქრობის შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, გვ. 223—224.

³⁴ შ. ჯ. დასახ. ნაშრ. გვ. 161—162.

³⁵ იქვე, გვ. 153.

ნელოვანი სასაზღვრო ციხე-ქალაქი სასანიდებმა ხელოვნური კედლებით გაამაგრეს. ალბანეთის ისტორიის გადმოცემით, მის ასაშენებლად სპარსეთის მეფეებმა ძალა გამოუღიეს ქვეყანას, აგროვებდნენ ხუროთმოძღვრებს და სხვადასხვა მასალას, მაგრამ დიდებული ქალაქი ხაზარებმა მიწისთან გაასწორეს; კალანკაიტუელი დიდის გულისტკივილით აღწერს „ზოროტი, უტიფარი, ფართოსახიანი და უწამწამო“ ხაზარების უსულგულობას, რომლებიც არვის ინდობდნენ, მათი მსროლელები განურჩევლად ანადგურებდნენ ქალაქის დამცველებსაც და მის მოსახლეობასაც.

ამ დროს ალბანეთის სპარსელი მმართველი ვინმე გააშაქი ყოფილა. ის სხვადასხვა ოლქების მოსახლეობას თავს უყრის დედაქალაქ პარტავში. აპირებს აქ გამაგრებას და მტრის წინააღმდეგ დადგომას. მაგრამ ჩოლას ხვედრმა ის იმდენად შეაშინა, რომ ხალხი მიატოვა და თავისი ოჯახით სპარსეთის მხარეებს შეაფარა თავი. გზააბნეული ალბანელები პარტავიდან გარბიან და არცახის ოლქის მთიან მხარეებში ეძებენ თავშესაფარს. ხაზარები ფეხდაფეხ მისდევენ მათ და ერთ ნაწილს ეწვეიან კიდევ მთის ძირას, სოფ. კალანკაიტუის მახლობლად.

ხაზარები ტოვებენ განადგურებულ ალბანეთს და ქართველთა ქვეყნისაკენ მიეშურებიან.

როგორც ალბანეთის ისტორია მოგვითხრობს; ისინი ალყას არტყამენ სასელოვან ქალაქ თბილისს. ჰერაკლე კეისარი როდესაც ტყობილობს ამ ამბავს თავისი ჯარით მოკავშირე ხაზარებისაკენ მიდის. ისინი ერთმანეთს ხვდებიან თბილისში და მეფური საჩუქრების გაცვლის შემდეგ სწრაფად იწყებენ საომარ მოქმედებას.

თუ ერთმანეთს შევადარებთ ბიზანტიურსა და ქართულ-სომხურ წყაროთა ცნობებს, მაშინ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს შეხვედრა თბილისის მიდამოებში ჰერაკლე კეისარსა და ჯიბლუ ხაკანს შორის იყო არა პირველი, არამედ მეორე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ალბანეთის ისტორიის“ მიხედვით, ამჯერად ჯიბლუს მოსვლა ამიერკავკასიაში თავის შვილთან ერთად. ხდება ხოსროს მეფობის 38-ე წელს. ის ჯერ ალბანეთში იბრძვის, ხოლო შემდეგ ქართველთა ქვეყანაში გადადის და თბილისის გარემოცვას იწყებს. ქართულ წყაროთა ცნობითაც, ჯიბლუ თბილისში ჩანს. სუმბატ დავითის ძე მოგვითხრობს, რომ თბილისის პირველი გარემოცვის შემდეგ ირაკლი კეისარმა „დაუტევა ტფილისს ჯიბლუ ერისთავი ბრძოლად ციხესა ტფილისისასა, და თვთ წარემართა ბაღდადს“-ო³⁶. ე. ი. სომხური და ქართული წყაროები ადასტურებენ ჯიბლუს მონაწილეობას თბილისის გარემოცვაში.

ბიზანტიური წყაროებით კი, ჰერაკლე კეისარი ხვდება ხაზართა ხაკანს ზიებილს თბილისის მიდამოებში, მაშინ, როდესაც სპარსელები ავარებთან ერთად უტევენ ქ. კონსტანტინეპოლს, ე. ი. 626 წ. ამავე ცნობებით ზიებილი, კეისართან შეხვედრის ცერემონიალის შემდეგ, მოკავშირეს უტოვებს მეგრძოლ ჯარს თავისი შვილის წინამძღოლობით, ხოლო თვითონ უკან ბრუნდება თავის ქვეყანაში. თეოფანეს სიტყვით, კეისარმა „წაასხა ეს ხალხი და გაილაშქრა ხოსროს წინააღმდეგ“; ნიკიფორე კონსტანტინეპოლელიც ამასვე ადასტურებს: ამ ჯართან „ერთად ჰერაკლე სპარსეთში შეიჭრა, ქალაქები აიღო და ცეცხლის ტაძრები გაანადგურა“-ო. არც ერთი ბიზანტიელი მწერალი არ იხსენიებს ამ დროს ბრძოლას თბილისის მიდამოებში და, მით უმეტეს, ამ ბრძოლაში ჯიბლუს (ზიე-

³⁶ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტომი 1, თბ., 1955, გვ. 375.

„ამად უამად აღგვმზადა პატრიარქმან იერუსალიმისამან წარსვლად საქართველოდ, და გვიბოძეს წიგნი და მზა ვიქმენით წარსვლად, ხოლო ყოფასავე მუნ ჩვენსა მივედით სალაროდ პატრიარქისა და ვიხილეთ ძველი სამოსი ეპისკოპოსთა: თავსახურავად შლაპა იისფერი და ჯუბა... რამეთუ იტყოდენ მოხუცებულნი მათნი, ვითარმედ ასი ოდენ წელი არსო გარდასრული იმის უწინ, ეპისკოპოზთ ეს ემოსათო, ახლა მონახენის კუნტული დააწესესო. მომეკვნენა — ქართლს, მცხეთას სვეტცხოველზედ დახატული კათალიკოზი სამზეურით და აფხაზეთის კათალიკოზის მურასა სამზეური ჭეშმარიტი ყოფილა“. (ტ. გაბაშვილი, მინოსელა, გვ. 98).

ტიმოთე გაბაშვილის ცნობას—სამზეურის „ქუდის“ მნიშვნელობით გაგებას ადასტურებს სვეტიცხოველის ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე დღემდე შემორჩენილი მნატრობა. აქ წარმოდგენილ სასულიერო ერთ პირს (ტიმოთეს თქმით: ქართლის კათალიკოზს) თავზე მართლაც ფართოკალთიანი ქუდი ჰხურავს (იხ. ვ. ბერიძე, მცხეთის კათედრალის „სვეტიცხოველი“ და ქართლის მოქცევის სიუჟეტები მის ფრესკებში, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XV—B, 1948 წ., 152, სურ. 3).

²⁷ ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, II, 432, III, გვ. 486.

²⁸ ასეთი ღილები—„თოთო ას ას მარჩილად ნასყიდი არის“-ო, აღნიშნულია ამავე ხანის ერთ-ერთ საბუთში. იხ. ს. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, II, 1925 წ., გვ. 189.

²⁹ თ. ყორღანიძე, ქრონიკები II. 275.

კური შიომღვიმის ჩრდილო-დასავლეთით, ბერშოეთთან ახლო მდებარე ადგილი უნდა იყოს, სადაც ჩვენი საბუთის მიხედვით შიოს საყდარი ყოფილა.

საბუთის მიხედვით, ფურნაგელნი და ოკმელნი ერთად იხსენიებიან და ერთნაირი გამოსაღებით შიომღვიმეში ბზობა დღეს ალაპს იხდიან (23 — 28).

საფიქრებელია, რომ ფურნაგი ოკამის ახლოს მდებარეობდა. დღეს საქართველოს ისტორიულ რუკაზე ოკამსა და კოდისწყაროს შორის (უფრო ზუსტად, შიომღვიმიდან ჩრდილო-დასავლეთით, სამთავისსა და იგოეთს შორის) აღნიშნულია სოფელი ფუნგირი.³⁰ ეს ადგილი ერთ-ერთ წყაროში კვლავ ოკამთან და იგოეთთან ერთად იხსენიება „ფუნგის“ სახელით³¹.

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ რაკი „ფუნგი“-ს შესახებ ცნობა საბუთის დაზიანებული პირიდან მომდინარეობს³², შესაძლებელია, აქ სოფლის ასეთი სახელი „ფურნაგი“-ს დაქარაგმებული სახე იყოს და ამავე გზით იყოს წარმოშობილი დღევანდელ რუკაზე აღნიშნული ფუნგირიც. ყოველ შემთხვევაში ჩვენს საბუთში და სხვა წყაროებშიც ფურნაგი, ფუნგი და ფუნგირი მოხსენებულია ოკამის გვერდით; შეიძლება დავუშვათ, რომ საბუთში ოკამთან ერთად მოხსენებული ფურნაგი დღევანდელ რუკაზე ოკამის ახლო ჩრდილო-დასავლეთით მდებარე იგივე ფუნგირი იყოს.

სოფელი ბერშოეთი³³ კი ვახუშტის აღწერილობით ცხვილოსის მთის სამხრეთით, კირბალთან ახლოს, მდებარეობს³⁴. დღეს ეს ადგილი საქართვე-

³⁰ იხ. ივ. ჯავახიშვილის საქართველოს ისტორიული რუკა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა, 1923 წ.

³¹ თ. ყორღანიძე, ქრონიკები II, გვ. 275

³² თ. ყორღანიძე, ქრონიკები II, გვ. 272, სამთავნელთა სარგოს და საკანონოს სიგელი 1449 წლისა, გადაწერილი დაზიანებული დედნიდან 1673 წლის ნუსხურით.

³³ სოფ. ბერშოეთის წარმოშობასთან და მის სახელთან დაკავშირებით არსებობს გადმოცემა, რომ—

„კლარჯეთში (სამხრეთ საქართველო) ოთხ ძმას შერვაშიძეებს მამულის გაყოფის ნიადაგზე შექმნილ დავის დროს შემოკვდომიათ უფროსი ძმა. ამის შემდეგ, რაკი მათ თავის სამფლობელოში არ ედგომებოდათ, გადაცემულნი ფარულად გადმოხვეწილან კლარჯეთიდან. ხანგრძლივი სავალი გზით გატანულნი, უბრალო სამოსში გახვეულნი, მისულან შიომღვიმის მონასტერში და მის უფროსისათვის გაუნდვიათ თავიანთი საიდუმლო. მონასტრის უფროსს ისინი შეუფრდომებია და ჩადნილ ცოდვის მოსანანიებლად, სამი წლის განმავლობაში, ყოველ დილა-საღამოს მონასტრისათვის ჩოქვით შემოვლა დაუვალებია.

ამბობენ: დილით, მზის ამოსვლისას და საღამოს მზის, ჩასვლის ჟამს მონასტრის ყრუდ კედლებთან ხშირად შეინიშნებოდა დაჩოქილი სამი სილუეტით.

სამი წლის შემდეგ მონასტრის უფროსს მათთვის ცოდვა მოუხსნია, მონასტრის თავისუფალ მამულზე დაუახლებია და იმ ადგილისათვის „ბერშოეთი“ უწოდებია, ხოლო ცოდვაგანტევებულ ძმებისთვის ძველი გვარი შერვაშიძე — „გლურჩიძეთ“ შეუცვლია.

გლურჩიძეები დღესაც აქ ცხოვრობენ—გადმოგვეცეს თქმულება — და კავშირი აქეთ შიომღვიმის მონასტერთან. ყველიერის ხუთშაბათი მონასტრის საეკლესიო დღესასწაულია, გლურჩიძეები ახლაც მოცვას და შესაწირავს იხდიან და უამინდობის შემთხვევაში უსათუოდ წარმომადგენელს მაინც გზავნიან შიომღვიმის მონასტერში“—ო.

ცნობა გადმოგვცა დამსახურებულმა პედაგოგმა ალექსანდრა იოსების ასულმა ნებიერიძემ რისთვისაც მადლობას მოგახსენებთ.

ამ გადმოცემაში საბუთის ტექსტთან დაკავშირებით, საინტერესოდ გვეჩვენება ყანჩაველის საბუთში მოხსენებული ფორმა გვარისა „გლარჯაძეები“; იქნებ იგი კლარჯეთის სახელს უკავშირდებოდეს.

აღსანიშნავია, რომ 16—17 საუკ. საბუთებში მხოლოდ გლურჩიძეები არიან მოხსენებული და არა გლარჯაძე, როგორც ეს ჩვენს საბუთშია.

³⁴ ვახუშტი, აღწერა სანეფოს საქართველოსა, 1941 წ., გვ. 73.

ლოს ისტორიულ რუკაზე ბერ შუეთის სახელით არის აღნიშნული და შიომღვიმიდან ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით 70 კილომეტრამდეა დაშორებული³⁵.

ამრიგად, მთლიანად საბუთი წარმოადგენს ძვირფას წყაროს და ეხება საქართველოს ისტორიის მრავალ საინტერესო საკითხს-

³⁵ იხ. ივ. ჯავახიშვილის დასახელებული რუკა.

ი. ტაბაღაშვილი

ს. -ს. ორბელიანის მგობრის უკუგადასახლება
ერთი საბუთის შესახებ

ცნობილი ქართველი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, დიპლომატი სულხან-საბა ორბელიანი (1658—1725) ერთხანს (1713 წლის აგვისტოდან 1716 წლის ივლისამდე) დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

პარიზში, აკად. მ. ბროსეს უნახავს ფრანგი მისიონერი ჟან რიშარის¹ ერთი წერილი², რომელიც ს. -ს. ორბელიანის ამ მისიასთან არის დაკავშირებული და რომლის შედგენის თარიღი შეცდომითაა აღნიშნული წერილის ავტორის მიერ, რის გამოც აკად. მ. ბროსეს ეჭვი დაბადება: შეიძლება სულხან-საბა ორბელიანმა, პარიზში ჩასვლამდე, ხუთი წელი იტალიაში გაატარაო.

საკითხის სიცხადისათვის დავასახელოთ ს. -ს. ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი თარიღი: 1698 წლის 18 მარტს სულხან ორბელიანი ბერად აღიკვეცა და საბად იწოდა; 1710 წლის 10 ნოემბერს სულხან-საბა მეფე ქაიხოსროს მიწვევით ხორასანში (სპარსეთი) გაემგზავრა; სულხან-საბა ქართლში დაბრუნდა 1711 წლის 11 მაისს; 1712 წლის 23 აპრილს იგი ვახტანგ VI გაჰყვა ისფაჰანში; სულხან-საბა სპარსეთიდან საქართველოში დაბრუნდა იმავე წლის 20 დეკემბერს³.

1713 წლის 17 აგვისტოს ფრანგ მისიონერ ჟან რიშართან ერთად ს. -ს. ორბელიანი გორიდან საფრანგეთში გაემგზავრა⁴. იმავე წლის 16 ნოემბერს ისინი ჩავიდნენ კონსტანტინოპოლში, სადაც დარჩნენ ერთი თვე.

1713 წლის 17 დეკემბერს სულხან-საბა ორბელიანი თავისი თანამგზავრებით⁵, საფრანგეთის გემით „l'Assomption“ („მიძინება“) გაემგზავრა საფ-

¹ რიშარი (და არა „რიშარდი“) — ფრანგი მისიონერი, იეზუიტი. ჟან რიშარმა რვა წელი დაჰყო აღმოსავლეთში.

² M. Brosset, Documents originaux sur les relations diplomatiques de la Géorgie avec la France vers la fin du règne de Louis XIV. (Suite). II. Réponse du roi wakhtang à une lettre de Louis XIV. „Nouveau Journal Asiatique“, Paris, 1832, t. IX, pp. 339—340.

³ M. Brosset, Notice sur le dictionnaire géorgien de Soultchan Saba Orbeliani, „Nouveau Journal Asiatique“, t. XIII, p. 171; ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი. ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა. თბილისი, 1959, გვ. 13—26; ლ. მენაბდე, სულხან-საბა ორბელიანი. თბილისი, 1953, გვ. 35, 44—45.

⁴ M. Brosset, „Nouveau Journal Asiatique“, Paris, 1834, t. XIII, p. 171; ალ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 89; ლ. მენაბდე, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

⁵ დასავლეთ საქართველოს პატრიარქის გრიგოლის თხოვნით, სულხან-საბასთან გაემგზავრა გრიგოლის თანაშემწე ბერი დავითი, რომელიც თან ახლდა ს. -ს. ორბელიანს ევროპაში.

რანგეთში⁶. 1714 წლის 22 იანვარს (და არა 23 იანვარს, როგორც ეს დღემდე იყო მიღებული) ისინი ჩავიდნენ მარსელში⁷. იმავე წლის მარტის მეორე ნახევარში ს.-ს. ორბელიანი პარიზშია, სადაც ის დარჩა იმავე წლის ივნისამდე. 1714 წლის ივნისში სულხან-საბა გაემგზავრა იტალიაში—რომიში; შემდეგ, კუნძულ სიცილიაზე და მალტაზე გაეღიო, 1715 წლის 19 იანვარს ჩავიდა კონსტანტინოპოლში, სადაც ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ჯერ საელჩოს შენობაში, ხოლო შემდეგ კაპუჩინების მონასტერში. კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს სულხან-საბას ყველა ხარჯი საფრანგეთის ელჩს კონსტანტინოპოლში გრაფ დეზალორს⁸ აუღია თავის თავზე. 1716 წლის ივლისში ს.-ს. ორბელიანი დაბრუნდა ევროპიდან საქართველოში⁹.

სულხან-საბა ორბელიანის დასაველეთ ევროპაში დიპლომატიური მისიისა და საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის შესახებ ბევრი ისტორიული და ლიტერატურული ხასიათის ნაშრომი დაიწერა საქართველოში¹⁰. გამოიცა საფრანგეთისა და იტალიის არქივებში არსებული მთელი რიგი საბუთი¹¹.

ჩვენ აქ არ შევჩერდებით იმ დოკუმენტებზე და ნაშრომებზე, რომლებიც ეხებიან საერთოდ სულხან-საბას და კერძოდ, მის მისიას ევროპაში. ჩვენ გვინტერესებს მხოლოდ ერთი საბუთი, რომელიც ეხება სულხან-საბას ევროპაში ყოფნის საკითხს.

ამ საკითხის შესახებ, 1832 წელს, აკად. მარი ბროსე წერდა: „მამა რიშარის წერილი, რომელიც დათარიღებულია 1710 წელს მარსელში, გვაცნო-

⁶ Archives du Ministère des Affaires Etrangères. Paris. Turquie, t. 52, f°. 257.

⁷ Archives Départementales des Bouches du Rhone. Marseille. Les registres de la Santé 200 E. Santé.

⁸ გრაფი დეზალორი (1643—1725) — საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში 1709—1716 წწ.

⁹ იხ. ს.-ს. ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში. სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებით, ლექსიკონით. თბილისი, 1940; ს.-ს. ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები, სძიებელი და შენიშვნები დაურთო რევაზ ბარამიძემ. რედაქტორი ვარლამ დონდუა. სულხან-საბა ორბელიანი, თხზ. ტ. I, თბილისი, 1959.

¹⁰ ნ. ბეძენიშვილი, I. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე; II. XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბილისი, 1944; ვ. გაბაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი. წიგნი: სულხან-საბა ორბელიანი 1658—1958. საიუბილეო კრებული, თბილისი, 1959, გვ. 61—76; ვ. დონდუა, ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან 1712—1745 წწ. „მიმოხილველი“, ტ. III, გვ. 28—66. თბილისი, 1953; ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი. ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა. თბილისი, 1959; ლ. მენაბდე, სულხან-საბა ორბელიანი. თბილისი, 1953; აკ. გაბაშვილი, ლიტერატურული წერილები. თბილისი, 1954; ჯ. ლომაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი. თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კრებული, 1950, წიგნ. V, გვ. 71—80; ბ. გიორგაძე, ახალი მასალები მეფე ვახტანგ მე-VI-სა და სულხან-საბა ორბელიანზე. „მნათობი“, 1959, № 9, გვ. 122—126; И. М. Табарья. Материалы о Грузии в архивах Франции. Жур. „მაცნე“, 1964, № 3, გვ. 122—133; და სხვ.

¹¹ M. Brosset, Documents originaux sur les relations diplomatiques de la Géorgie avec la France vers la fin du règne de Louis XIV. „Nouveau Journal Asiatique“, t. IX, pp. 193—221; 339—357; 359—363; 437—441; 444—448; 451—456; D. M. Lang, Georgian Relations with France during the reign of Wakhtang VI (1711—24). „Journal of the Royal Asiatic Society“. Parts 3 and 4, pp. 114—126, October, 1950; მ. თამარაშვილი, ისტორიკათოლიკობის ქართველთა შორის. თბილისი, 1902; M. Tamarati, L'Eglise géorgienne des origines jusqu'à nos jours. Rome, 1910.

ბებს ჩვენ, რომ მან (ჟან რიშარმა.—ი. ტ.) დატოვა რომი უფრო ზღრე, ვიდრე ის ამას მოელოდა, რათა ჩასულიყო საფრანგეთში იმავე ფელუკით¹², რომელმაც მანამდე ჩაიყვანა რომში პრინცი სულხან-საბა¹³.

აქვე შენიშვნაში აკად. მ. ბროსე აღნიშნავს, რომ ვახტანგ მეფე „საქართველოდან წაყვანილ იქნა 1708 ან 1709 წელს, მაგრამ არა უგვიანეს“¹⁴.

შემდეგ მ. ბროსე აგრძელებს; ხოლო „ვახტანგის ეს ბიძა გამოჩნდა პარიზში მხოლოდ 1714 წელს; მაგრამ, უნდა ვიფიქროთ: 1. რომ ამ დესპანმა დიდი ხანი დაჰყო იტალიაში¹⁵ და 2. რომ შუალედში საფრანგეთის მთავრობამ დაამყარა კავშირი ვახტანგთან; ვინაიდან სულხან-საბამ ჩამოიტანა შემდეგი პასუხი მეფის წერილებზე“¹⁶.

როგორც ჩანს, აკად. მ. ბროსესათვის აქ არაა გარკვეული, თუ როდის დატოვა სულხან-საბამ რომი ან როდის ჩავიდა ის პარიზში.

ორი წლის შემდეგ მ. ბროსე წერდა: „არსებობს მხოლოდ ერთი საკმაოდ სერიოზული წინააღმდეგობა. ჩვენ ვთქვით...¹⁷, რომ სულხანი უნდა ჩასულიყო რომში 1710 წელს, ვეყრდნობოდით რა მამა რიშარის ერთი წერილის შინაარსს; ალბათ, ცუდად დაწერილი „3“ მოგვეჩვენა ნულად და წავიკითხეთ 1713-ის ნაცვლად 1710. მართლაც, სულხანს რომ ეცხოვრა ევროპაში 5 წელს, მაშინ ამის შესახებ [აქ მთელი სიცხადით იქნებოდა ლაპარაკი. ჩვენ მეტი არაფერი არ ვიცით მისი ცხოვრების უკანასკნელი წლების შესახებ“¹⁸.

ჩვენ დავგვიანტერესა ჟან რიშარის ამ წერილმა და საფრანგეთის არქივებში მუშაობის დროს (1961—1962 სასწ. წელი) გადავწყვიტეთ გავცნობოდით მას და ვნახეთ კიდევ ჟან რიშარის ეს წერილი.

წერილი შედგება 4 ხელნაწერი გვერდისაგან. ყოველ გვერდზე ზემოთ შუაში დასმულია ჯვარი. საბუთი დაწერილია ფრანგი მისიონერის ჟან რიშარის ხელით. წერილის თავსა და ბოლოში შესანიშნავად ჩანს 1710 წლის 13 აგვისტო. ისე, რომ ამ ციფრებში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

ამასთანავე აკად. მ. ბროსეს ცუდად დაწერილი 3 ნულად რომ მოჩვენებოდა (ე. ი. ნულის ნაცვლად სამი ყოფილიყო), მაშინ ნაცვლად 1710 წლისა გამოვიდოდა 1713 წელი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სულხან-საბა ორბელიანი თითქოს რომში იყო 1713 წელს. სინამდვილეში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სულხან-საბა რომში არ ყოფილა არც 1710 წელს და არც 1713

¹² ფელუკა (იტალ. felucca)—იალქინიანი პატარა ხომალდი, რომელიც დადიოდა ხმელთაშუა ზღვაში, შავ და კასპიის ზღვებში.

¹³ M. Brosset, Op. cit., t. IX, pp. 339—340.

¹⁴ ვახტანგი ისფაჰანში წავიდა 1712 წლის 23 აპრილს.

¹⁵ M. Brosset, Op. cit., t. IX p. 340.

¹⁶ M. Brosset, Op. cit. აკად. მ. ბროსეს აქ მოჰყავს ვახტანგ VI წერილი საფრანგეთის მეფე ლუი XIV-სადმი, რომელიც ვერსალში მიიღეს 1714 წლის 7 აპრილს. იხ. Archives du Ministère des Affaires Etrangères. Paris. Perse, t. 3, f^o, 121; M. Brosset, Op. cit., t. IX, pp. 340—341; D. M. Lang, Op. cit. p. 120.

¹⁷ M. Brosset, Op. cit., t. IX, pp. 339—340.

¹⁸ M. Brosset, Op. cit., t. XIII, pp. 172—173. აკად. მ. ბროსე ჟან რიშარის ამ წერილის შინაარსს არ ენება და არც ეს წერილი გამოუთქვეყნებია მას მთლიანად

წელს¹⁹. მარზალია, მ. ბროსე დაწმუნებული არაა იმაში, რომ სულხან-საბამ ნამდვილად იცხოვრა თუ არა ხუთი წელი რომში (ევროპაში)²⁰, მაგრამ მას ბოლომდე სიცხადე არ შეუტანია ამ საკითხში.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში ჟან რიშარის ეს წერილი თარიღის მიხედვით (1710 წლის 13 აგვისტო) მოუთავსებიათ სპარსეთის იმ საქმეებში, სადაც იხსენიება 1708—1711 წწ. მასალები²¹.

მაგრამ სპარსეთის სხვა მასალებში, სადაც იხსენიება 1712—1715 წწ. დოკუმენტები, ჩვენ აღმოვაჩინეთ მეორე საბუთი, დაწერილი იმავე ჟან რიშარის მიერ 1714 წლის 13 აგვისტოს თარიღით. იგი შედგება 4 ხელნაწერი გვერდისაგან. ყოველ გვერდზე აქაც, ზემოთ შუაში დასმულია ჯვარი²². ჩვენ ხელთ გვაქვს ამ ორივე დოკუმენტის ფოტოპირი, რომელთა სრულ თარგმანს ქართულ ენაზე აქ ვათავსებთ.

საბუთი № 1.

„1710 წლის 13 აგვისტო.

92

თქვენო უმაღლესობაე²³,

მე პატივი მექნებოდა მომეწერა რომიდან თქვენი დიდებულებისათვის, რომ იძულებული არ ვყოფილიყავი, ბატონი დე პონმარტრენის²⁴ ბრძანებით, წამოვსულიყავი იქიდან თითქმის მაშინვე, როგორც კი იქ ჩავედი. მან ბატონ კარდინალ დე ლა ტრემუის²⁵ აცნობა, რომ მეფეს ჩააბარა ანგარიში იმის თაობაზე, რაც ბატონმა დ'არნუმ²⁶ მას დაავალა ჩემს შესახებ. მისმა უდიდებულესობამ მას უბრძანა მე ჩავესვით გალერების იმავე ფელუკაში, რომელმაც რომში ჩაიყვანა ბატონი სულხან-საბა. მან (დე პონმარტრენმა. — ი. ტ.) თხოვა კარდინალს მე მაშინვე გამოვემგზავრებინე, რათა მქონოდა შესაძლებლობა ვყოფილიყავი საფრანგეთში სპარსეთის ელჩის ჩამოსვლისას²⁷, რომლის შესახებ მიღებული იყო ცნობა, რომ იგი უკვე ჩავიდა სმირნაში.

¹⁹ ჟან რიშარიც არ იყო ამ წლებში არც საფრანგეთში და არც იტალიაში. იგი 1713 წლამდე, დაახლოებით რვა წელი აღმოსავლეთში, კერძოდ, სპარსეთში იყო. 1713 წლის 17 აგვისტოს ჟან რიშარი ს. — ს. ორბელიანთან ერთად გორიდან საფრანგეთში გაემგზავრა.

²⁰ ამაზე მიუთითებს ის, რომ აკად. მ. ბროსე ერთ ადგილას აღნიშნავს, რომ ს. — ს. ორბელიანი ევროპაში გაემგზავრა 1713 წლის 17 აგვისტოს. ამასთანავე, მოჰყავს ს. — ს. ორბელიანის მოღვაწეობის ძირითადი თარიღები. იხ. M. Brosset, Op. cit., t. XIII, p. 171.

²¹ Archives du Ministère des Affaires Etrangères. Paris. Perse, t. 2, f^o. 199—200 r^o v^o.

²² Archives du Ministère des Affaires Etrangères. Paris. Perse, t. 3, f^o. 199—200 r^o v^o.

²³ იგულისხმება საფრანგეთის სახელმწიფო მდივანი საგარეო საქმეებში მარკიზ ჟან-ბატისტ დე ტორსი (1665—1746), რომელიც ამ თანამდებობაზე იყო 1696—1715 წწ.

²⁴ გრაფი დე პონმარტრენი (1643—1727)—ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე; ლუი XIV დროს ჯერ სახლვადო მინისტრი (1690—1699), შემდეგ კანცლერი (1699—1714).

²⁵ დე ლა ტრემუი—კარდინალი პაპი კლიმენტი XI (1700—1721) დროს.

²⁶ პიერ დ'არნუ (1651—1719)—გალერებისა და ვაჭრობის გენერალური ინტენდანტი მარსელში 1710 წლიდან და არა ქ. მარსელის მერი, როგორც ეს ეგონა მ. თამარაშვილს (იხ. მისი ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 314. შენიშვნა).

²⁷ იგულისხმება სპარსეთის ელჩი მოჰამედ რეზა ბეგი—ერევნის ქალანთარი, რომელიც შაჰის დაჯვარებით ინკოგნიტო მიემგზავრებოდა საფრანგეთში, მაგრამ თურქეთში დააკავს. იგი, მთელი რიგი საინტერესო თავგადასავლის შემდეგ, 1714 წლის ოქტომბერში ჩავიდა მარსელში, ხოლო 1715 წლის თებერვალში—პარიზში.

მას შემდეგ რაც მე მოვახსენე მის უწმიდესობას და წმიდა კონგრეგაციას ყოველივე ის, რაც შეეხება საქართველოს მეფეს და ახალ მისიებს, მას შემდეგ რაც მივიღე მეორე ეპისტოლე ზეფისათვის გადასაცემად, წმიდა კონგრეგაციის წერილი ბატონი დე პონშარტრენისათვის და, ბოლოს, მას შემდეგ რაც მე ყველაფერი გავაკეთე რომში, რაც იქ უნდა გამეკეთებინა, წამოვედი იტიდან და 17 [დღის] ზღვით მოგზაურობის შემდეგ, ჩამოვედი მარსელში ამა თვის 10-ში. ჩამოსვლისას იქ ვნახე ჟაკობ ჟანი²⁸, ეროვნებით სომეხი, სპარსეთის მეტად მდიდარი სოფდგარი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა გადაეცა მეფისათვის წერძნელები და საჩუქრები. აქ მან უნდა უცადოს ნამდვილ ელჩს, რომელმაც გამოიჩინა რა ნამეტანი პატივმოყვარეობა, ვერ შესძლო სმირნაში ჩამჯდარიყო საფრანგეთში მიმავალ გემში. მაგრამ გადაწყვიტა გამგზავრებულიყო კონსტანტინოპოლში, საიდანაც უნდა ეცადნა გამოეძებნა შემდგომი მოგზაურობის საშუალებანი.

მე მივიღე წერილი, საიდანაც გავიგე, რომ ბატონი გრაფი დე პონშარტრენი განაწყენებული იყო იმ ცუდი შთაბეჭდილებით, რომელიც მან მიიღო ჩემს მომართ წმიდა მამის მიერ შეთხზული ანგარიშების კითხვის შედეგად, რომელმაც მისწერა ბატონ გრაფ დეზალორს იმ ნდობის აღსანიშნავად, რომელიც მათ ჰქონდათ ჩემს მომართ და რომელიც მისწერეს სმირნაში ჩემი იქ [ყოფნის] დროს²⁹.

აი წერილი, რომელიც ბატონმა კარდინალმა დე ლა ტრიზუიმ დამავალა ჩავაბარო თქვენს დიდებულებას. მან მე დამავალა, რომ დაწერილებით ძველტყობინო თქვენს დიდებულებას ყოველივე ის, რაც გაკეთდება რომში ბატონ სულხან-საბასათვის. იმ წერილებში, რომლებიც თქვენმა დიდებულებამ პატივი დამდო და გადმომცა მისი უსამღვდელოებისათვის და ბატონ კარდინალების — ოლტობურისა და გუალერისათვის გადასაცემად, დიდად წასწიეს წინ ჩემი საქმეები. ბატონმა კარდინალმა გუალერიმ გამოიჩინა ჩემს მომართ სრულიად განსაკუთრებული სიკეთის ნიშანი; ერთხელ სადილადაც კი მიმიპატივა თავისთან. იგი განუწყვეტლივ მელაპარაკებოდა თქვენი დიდებულების, ქალბატონისა და ჩვენი ახალგაზრდა ბატონ მარკიზ დე საბლეს შესახებ. მან მითხრა, რომ სურს იხილოს მარკიზ დე საბლე, რაც შეიძლება მალე რომში ვფიქრობ, რომ თქვენ უკვე მიიღებთ ფოსტით მის პასუხს და რომ თქვენი დიდებულება საჭიროდ ჩასთვლის, რომ მე თავს ვიღო პატივი, ვაცნობო მას ყოველივე ის, რაც მოხდება სპარსეთის ელჩის მიმართ, და რომ თქვენ კეთილსინებებთ განაგრძოთ ჩემდამი ისეთი კეთილი დამოკიდებულება, რომელმაც შეგაგულიანათ თქვენ მოგეცათ ჩემთვის ის, რაც მე გავბედე მეთხოვა თქვენთვის.

არ ვიცი, გავბედავ თუ არა გადმოგცეთ ჩემი უმდაბლესი პატივისცემა ქალბატონ დე ტორსისადმი.

²⁸ ჟაკობ ჟანის (ალბათ, აკოპიანი) პიროვნებაზე ჩვენ აქ არ შეგჩერდებით. შევნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ჟაკობ ჟანი, მოჰამედ რეზა ბეგის ამაღლის ერთ-ერთი წევრი, 1714 წლის 15 მარტს გავიდა ერევნიდან და სპარსეთის ელჩზე უფრო ადრე ჩავიდა მარსელში, სადაც მას უნდა დაეცადა მოჰამედ რეზა ბეგისათვის. საფრანგეთ-სპარსეთის 1715 წლის ხელშეკრულების ხელმოწერისა და მოჰამედ რეზა ბეგის საფრანგეთიდან სპარსეთში გამგზავრების შემდეგ, ჟაკობ ჟანი დაინიშნა სპარსეთის კონსულად მარსელში.

²⁹ წერილის ეს ადგილი მეტად ბუნდოვანია.

დავითები უღრმესი პატივისცემით,
 თქვენო უმაღლესობავ,
 თქვენი დიდებულების
 უმდაბლესი და უმორჩილესი მსახური
 - ვ. რიშარი.

მარსელში,
 ამ 1710 წლის 13 აგვისტოს“.

საბუთი № 2

„13 აგვისტო. ბატონი რიშარი.
 მარსელში.

ვაჭრობა ლევანტში. № 3816.
 ბატონი რიშარი. 13 აგვისტო, 1714 წელი.
 1714 წლის 13 აგვისტო.

74

თქვენო უმაღლესობავ,

მე თავს ვიდე პატივი — მომეწერა წერილი თქვენი დიდებულებისათვის რომიდან და მეცნობებინა ყოველივე, რაც აქ მოხდა ბატონ სულხან-საბას მიმართ. ვაკეთებ ამას დღეს, რათა გაცნობოთ, რომ 17 დღის მოგზაურობის შემდეგ, მე ჩამოვედი ამა თვის 10-ს მარსელში.

ჩამოსვლისთანავე ვესაუბრე, ჯერ კერძოდ, შემდეგ ბატონ დ'არნუსთან ერთად, ჟაკობ ჟანს, სომეხ ვაჭარს, რომელსაც მინდობილი ჰქონდა შაჰის წერილებისა და საჩუქრების ჩატანა მეფისათვის. დ'არნუმ მითხრა, რომ თქვენს დიდებულებას მეტად დაწვრილებით აცნობა ყველაფერი ის, რაც ამ სომეხმა მე მითხრა, რასაც მე ვფიქრობდი მის შესახებ, მისი მისიისა და სპარსეთის ელჩის მისიის შესახებ, რომელიც იმყოფება კონსტანტინოპოლში, მათ შორის არსებული უთანხმოებისა და ბევრი სხვა კერძოდ მომენტის შესახებ. მან ამას გარდა მითხრა, რომ მან გაცნობათ თქვენ, თუ რამ აიძულა იგი გამოეცვალა ბინა ამ უცხოელისათვის და რატომ მიუჩინა მას რამდენიმე პიროვნება და, ბოლოს, რომ მან კარგად გაცნობათ თქვენ ყველაფერი; ასე რომ არა მგონია — მქონდეს რაიმე სხვა განსაკუთრებული, რომ გაცნობათ თქვენ ამის შესახებ.

აი წერილი, რომელიც ბატონმა კარდინალმა დე ლა ტრიმუიმ მე დავალა ვადმომეცა თქვენი დიდებულებისათვის და კიდევ ერთი წერილი სულხან-საბასაგან. მე დაუყოვნებლივ უნდა მივიღო მისი უწმიდესობის მეორე წერილი მეფისათვის საქართველოს მეფის ვახტანგის სასარგებლოდ და წმიდა კონგრეგაციის პრეფექტის ბატონ კარდინალ საკრეპანტის წერილი თქვენი დიდებულებისათვის იმავე საკითხზე.

მისმა უწმიდესობამ, კერძო აუდიენციის დროს, რომელიც მან კეთილი ინება ებოძა ჩემთვის, მითხრა: რომ მას სურდა წარმედგინა მისი წერილი მისი უდიდებულესობისათვის, მაგრამ რამდენადაც მე ვხედავ, რომ ჩემთვის შეუძლებელი იქნება გავემგზავრო აქედან ასე მალე, მე გავუგზავნი ერთსაც და მეორესაც თქვენს დიდებულებას, თუ თქვენ ამას კარგად ჩათვლით. მე რომში ვფიქრობდი, რომ მას შემდეგ, რაც მივიღებდი ინსტრუქციას ჟაკობ ჟანისაგან ამ ელჩობის შესახებ, ზედმეტი არ იქნებოდა წამოვსულიყავი თქვენს დიდებულებასთან, რათა პირადად მომეხსენებინა უკეთ, ვიდრე ამის გაკეთება წერილობით შეიძლებოდა, თუ რა გავიგე მე, განსაკუთრებით კი როცა გაიგებენ ლევანტიდან მიღებული რამდენიმე წერილიდან, რომ სპარსეთის ელჩს არ შეუძლია გაემგზავროს საფრანგეთში ან არ გადადებს თავის გამგზავრებას. გარდა ამისა მე ვიფიქრე და ვუთხარი ბატონ დ'არნუსს, რომ საჩუქრების უშიშროების მიზნით, შესაძლებელია ცუდი არ იქნება, რომ თქვენს დიდებულებას ებრძანა, რათა ეს სომეხი გამგზავრებულიყო პარიზში. იქ თქვენ თვითონ შეგეძლოთ გაგვეოთ მისი და სპარსეთის ელჩის განზრახვები.

დავშთები უღრმესი პატივისცემით,
თქვენო უმაღლესობავ,
თქვენი დიდებულების
უმორჩილესი და მეტად გამგონი მსახური
ჟ. რიშარი, მისიონერი.

მარსელში,

ამ 1714 წლის 13 აგვისტოს³⁰.

ასეთია ჟან რიშარის ამ წერილების შინაარსი.

როგორც ჩანს, საქმე გვაქვს მეტად საინტერესო მომენტთან. უდაო ფაქტია, რომ ორივე წერილი დაწერილია ფრანგი მისიონერის ჟან რიშარის ხელით. ამას მოწმობს ისიც, რომ ორივე წერილი დაწერილია ერთი და იგივე ხელით. მაგრამ როგორ მოხდა, რომ წერილის ავტორმა სხვადასხვა თარიღი დასვა ამ წერილებზე?

ჩვენი აზრით, პირველ წერილზე ჟან რიშარმა შეცდომით დასვა 1710 წელი, ნული 4-ის ნაცვლად, რაც უნდა ჩაითვალოს კალმის შეცდომად. მაგრამ მისი გადასწორება და გადასწორებული თარიღით წერილის გაგზავნა ჟან რიშარმა, ალბათ, უხერხულად მიიჩნია. მან ხელახლა დაწერა მეორე წერილი, სადაც თარიღი დასმულია სწორად (1714 წლის 13 აგვისტო). წერილების შინაარსიც ამაზე მეტყველებს: მეორე წერილი უფრო კონკრეტულია და დახვეწილი, ვიდრე პირველი.

ჟან რიშარის მეორე წერილი, სადაც თარიღი დასმულია სწორად, არ უნახავს აკად. მ. ბროსეს.

ამრიგად, სულხან-საბა ორბელიანი 1714 წლის 22 იანვარს ჩავიდა მარსელში, ხოლო შემდეგ პარიზში. მანამდე ის იტალიასა და საფრანგეთში არ ყოფილა.

³⁰ ჟან რიშარის ეს ორივე წერილი ქვეყნდება პირველად.

И. М. ТАБАГУА

 ОБ ОДНОМ ДОКУМЕНТЕ, СВЯЗАННОМ С ПРЕБЫВАНИЕМ
 С.-С. ОРБЕЛИАНИ В ЕВРОПЕ

(Резюме)

Известный грузинский ученый, общественный деятель, дипломат Сулхан-Саба Орбелиани одно время (август 1713 г. — июль 1716 г.) с дипломатической миссией находился в Западной Европе.

В 30-х годах XIX в. акад. М. Броссе в Париже нашел документ, относящийся к пребыванию С.-С. Орбелиани в Европе, составленный в Марселе французским миссионером Жаном Ришаром. В этом документе дата «13 августа 1710 г.» поставлена ошибочно (вместо 13 августа 1714 г.). Основываясь на этом документе, акад. М. Броссе, в некоторых своих работах, выражает сомнение: может быть, С.-С. Орбелиани до приезда в Париж, пять предыдущих лет провел в Италии.

Для ясности вопроса в нашей статье приведены основные даты жизни и деятельности С.-С. Орбелиани и соответствующие места из работ акад. М. Броссе. Во французских архивах мы нашли два документа, составленные Ришаром в Марселе: на одном документе стоит «13 августа 1710 г.», на другом — «13 августа 1714 г.». Первый из этих документов был известен акад. М. Броссе, а другой — нет, он его не видел. Полные тексты этих двух документов впервые печатаются нами. Оба они идентичны и касаются пребывания С.-С. Орбелиани в Риме.

Ознакомившись с содержанием этих документов, мы пришли к следующему выводу: оба документа написаны рукой Ж. Ришара. В первом документе автор ошибочно поставил 1710 год, где ноль, по недоразумению, поставлен вместо «4». Это мы принимаем лишь за ошибку пера. Допускаем, что исправить ее Ж. Ришар счел неудобным. Он заново написал письмо, где дата поставлена правильно — 13 августа 1714 г.

Таким образом, С.-С. Орбелиани 22 января 1714 г. прибыл в Марсель, а оттуда в Париж. Стало быть, отпадает вопрос об его пребывании перед тем в Италии.

მამს. ბარძნიშვილი

ერეკლე მეფის კონფიდენტ გოდერძის ვინაობისათვის

კარგა ხანია ე. თაყაიშვილმა დაბეჭდა მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტის პირი ასეთი საგულისხმო სათაურით: „მოსხენება გოდერძისაგან და პირის დადგომა ამის მთქმელთანა“¹. ეს არის არსებითად კონფიდენცია ერთგული გოდერძისა ერეკლე მეფისადმი მირთმეული და რომ იგი მართლაც მნიშვნელოვანია, ამისათვის კმარა გავიხსენოთ მისი ერთი ნაწყვეტი. მისკარბაში იოსებ ბებუთაშვილი, მოქალაქენი სტეფანე ბასტამაშვილი, გოგია ნაზარბეგისშვილი და სხვანი ქალაქიდან გავიდნენ ავლაბარში გიორგი ბატონიშვილთან, რომელიც მამამ — ერეკლე მეფემ — კახეთიდან გამოგზავნა თბილისში ქალაქის აღდგენაზე თვალის დასაჭერად 1795 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში. მეფის ძესთან შეხვედრისას ერთი მათგანი, სახელდობრ, ბასტამაშვილი მას შემდეგ ეტყვის: „გვიპატრონეთო ამ დაღუპილთაო, დიამც მამაშენმა არ მოგვიარა და ასე დაგვლუპა, შენ მაინც მოგვიარეო... [ყველას] აყრას და სიმაგრეს უბრძანებდა, ჩვენ კი ასე დაგვლუპაო. კურთხეულმა პაპათქვენმა რომ მამათქვენი კახეთის მეფედ ყო, შენზედ პატარა იყოო...“².

ამ ნაწყვეტიდან მკითხველი მშვენივრად ხედავს, რამდენად საყურადღებო საბუთია ზემორე „მოსხენება გოდერძისაგან“ — მოქალაქეთა ერთი ნაწილის განწყობილებას რომ გამოხატავს. „მოსხენების“ უაღრესი ინტერესის გამო საჭიროა მისი ავტორის ვინაობის გარკვევა, მით უფრო რომ დანარჩენ პირებს (იოსებ ბებუთაშვილს, სტეფანე ბასტამაშვილს, გოგია ნაზარბეგისშვილს) ჩვენ სხვა საბუთებითაც ვიცნობთ.

ვინაა ეს გოდერძი (ქვემოთ მას კონფიდენტის სახელითაც ვიხსენიებთ), რა მოხელე იყო და რა გზით შეეძლო მოეპოვებინა დანასმენი მასალა, ეს ჩვენ გადაჭრით არ ვიცით. ამ კითხვებზე გადაჭრილი პასუხის გაცემა შეუძლებელია, თუ საგანგებოდ არ გამოვიძიეთ და არ შევისწავლეთ მთელი ის მასალა, რაც კი ამ კონფიდენტის ვინაობას ავად თუ კარგად, მეტად თუ ნაკლებად გაგვირკვევს.

მაინც რა ვიცით გოდერძის შესახებ გადაჭრით, გარკვეულად? შიომ სულხანის ძე თუმანიშვილი 1796 წ. 26-30 აგვისტოს ბიძას — მანუჩარ თუმანიშვილს თავის ბოლნაკულ წერილში, რომელიც სოლომონ ლიონიძის გასამართლების აღწერას შეიცავს, სწერს. სოლომონ „მ წ ე რ ლ ი ს შ ვ ი ლ ი გ ო დ ე რ ძ ი ე მოვნა და ბატონისათვის მოეხსენებინა ეს ამბავიო“³. დაბეჭდილ

¹ საქართველოს სიძველენი, თბ., 1910, ტ. III, № 138, გვ. 106—108. ქვემოთ მამს და სხვა ტომებსაც ყველგან აბრევიატურით („სძვლნი“), ვასახელებთ. გამოცემული ეჭვთ. თაყაიშვილი ამ საბუთს ათარიღებს 1795—1797 წლებით (გვ. 369—370), ჩვენ კი მას ვაკუთვნებთ 1796 წ. იანვარ-თებერვალს. თარიღის არგუმენტაცია, და ერთობ ამ საბუთის განხილვა-შეფასება ცალკე გვექნება მოცემული, რადგან აქ მასზე შეჩერება თემატიკურად უადგილოა.

² სძვლნი, III, გვ. 107.

³ საქ. ცენტ. საისტ. არქივი, ფ. 226, საბუთი № 3565.

დოკუმენტებთან შედარებით ჩვენი კონფიდენტის მიმართ აქ ახალი ის არის, რომ იგი ყოფილა მწერლის შვილი. ოღონდ არ ვიცით, პროფესიით მწერალი მამის შვილია გოდერძი თუ ეს მისი ნამდვილი გვარია? ამას გვირკვევს მეორე, ასევე გამოუქვეყნებელი, საბუთი. ესაა ქალაქის მელიქის დარჩიბა ბებუთაშვილის (მისკარბაშ იოსების ძმისწულის) წერილი 1796 წ. 26 აგვისტოს თარიღით სულხან თუმანიშვილისადმი, თელავიდან გაგზავნილი. აქ იგი სწერს: მეფესთან დამასმენელი „მწერალ პაპუას შვილი გოდერძი იყო“—ო⁴. აქედან ვრწმუნდებით, რომ „მწერალი“ ყოფილა კონფიდენტის მამის პროფესიის მაჩვენებელი და არა გვარის აღმნიშვნელი. ეს სრულიად ცხადია და უცილობელი. მაგრამ რაღა გვარისა იყო გოდერძის მამა—მწერალი პაპუა? ეს კიდევ საძიებელი რჩება. მაინც ამით ხელთ გვეძლევა საიმედო ინდიცია და სხვა საბუთების მოშველებით ხერხდება მისი გვარის დადგენა და eo ipso ჩვენი კონფიდენტის ვინაობის გარკვევა. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

მეთოდოლოგიურად ჯერ საჭიროა თვითონ კონფიდენტის ხელიდან გამოსული საბუთების ანალიზი. ხელჩასაჭიდს რას ვვაძლევენ ესენი მისი ვინაობის გარკვევისათვის? ეს საბუთებია მისი „მოხსენება“ და აგრეთვე მეორე საბუთი, რომელსაც მოხსენებისგან ვასარჩევად ვუწოდოთ „მონანიებთი წიგნი“. ესეც მოხსენებასავით პირის სახით არის მოსული და, რაც მთავარია, უთარიღია. მაგრამ რაკი იგი დაწერილია გამოძიების პროცესში, გამოძიება კი წარმოებდა 1796 წ. აგვისტოში, ჩვენც ამ დროით უნდა დავათარილოთ⁵.

აქ კონფიდენტის ვინაობის გარკვევისათვის ნიშანდობლივად გვეჩვენება შემდეგი ადგილი: სოლომონ ლიონიძემო „ამ თელავში ახლა ორჯირაც (sic) მითხრა: „ბატონს ის ამბავი გაუახლე, აღარ ეხსომებო“ და მოქალაქეთ სახელს ეგ მაგონებდა“—ო. აქედან აშკარად ჩანს: რადგან გოდერძის აქვს შესაძლებლობა მეფეს „გაუახლოს“, ე. ი. გაახსენოს-ერთხელ დანახმენი, მაშ, ის მეფის ხშირი მნახველია, მის კარზე დამავალი და ამიტომ რაღაც თანამდებობის კაციც უნდა იყოს. ეს ერთი დასკვნა.

მერე: გოდერძი ისმენს გიორგი ბატონიშვილთან სტეფანე ბასტამაშვილის უაღრესად პოლიტიკურ სიტყვას და წინადადებას — მამაშენმა არ მოგვიარა, შენ გვიპატრონეო⁶. ცხადია, ამგვარ ლაპარაკს შემთხვევითი დამსწრე ვერ მოისმენდა, ის უთუოდ შინა კაცი უნდა იყოს ბატონიშვილის კარზეც.

ამ აზრს უფრო გვიძლიერებს ის ფაქტი, რომ გოდერძიმ იცის სოლომონ ლიონიძის მიერ გიორგი ბატონიშვილის სახელით „შავის გაკეთების“ ამბავი. ვალაპარაკით შიოში. 25-30 აგვისტოს ის ბიძას სწერს: „სოლომონ ლიონიძეს ბატონისშვილის გიორგის მაგიერ მეფესთან მისაწერათ ერთი შავი გაეკეთებინა... შავი რომ მიერთმეოდა, გიორგი ბატონისშვილს არ ეყაბულებინა. ჩუმაღ გარდაეწერინებინა შავი, შეენახა და თავისი წერილი მიეცა“—ო.

შავის არსებობა, რასაკვირველია, შეეძლო სცოდნოდა მარტო სამ კაცს: შავის გამკეთებელს, ე. ი. ავტორს სოლომონ ლიონიძეს, მერე გადამწერინებელს. ე. ი. გიორგი ბატონიშვილს და, ბოლოს, გადამწერს. შავის გადამწერის ფაქტი კი უნდა სცოდნოდა მარტო ორს: გადამწერინებელს გიორგის და უცნობ გადამწერს, ავტორს კი (სოლომონს) ეს მზაკვრული ქცევა ბატონიშვილისა არ შეეძლო სცოდნოდა, რადგან გადამწერა მოხდა მის „ჩუმაღ“, მისგან საიდუმლოდ.

⁴ იქვე, საბ. № 3554.

⁵ სძვლნი, III, № 137, გვ. 105—106; შენიშვნა იხ. იქვე, გვ. 369—370.

⁶ იხ. ზემოთ, შენ. 1.

ამავე დროს კი გამოძიების პროცესში გოდერძი ყველაფერს გადააბრალებს სოლომონ ლიონიძეს და თავის გამართლების მიზნით მეფეს განუცხადებს: „თქვენს შვილს გიორგის რომ შეადგა და აბრეყებდა და შავი გაუკეთა წიგნისა, მამაშენს ასრე მისწერე, მე გამატანერ, ის მოიტანეთ და ყოველსავე შავის ანბავს იქილამ სცნობთ და გამოცხადდება ყველა... თუ თქვენს შვილს შეადგა ასე — ხომ ის წიგნი გაარჩევს! — მე, რასაკვირველია, შემამადგებოდა და არ იცოდებდა ჩემს აბრეყებასა“-ო⁷.

საიდან უნდა სცოდნოდა გოდერძის სოლომონისგან გიორგის მავიერ „შავის ვაკეთება“, თუ ეს შავი მან არ გადასწერა? მისი გადაწერა ხომ მარტო ორმა კაცმა იცოდა — გადამწერიანებელმა და გადამწერმა! ცხადია, გადამწერი შავისა ყოფილა გოდერძი.

აკი სოლომონ მსაჯული პირდაპირ მას ადებს კიდევ ხელს: „რომელიც ასეთი მტერია ჩემი, რომ ჩემს წიგნილამ პირს იღებს და ჩემს მტრებს აძლევს, გოდერძა არა, ანგელოზიც რომ იყოს, ცის ქვეშეთ სამართალი არა მგონია მიიღებდეს არც სიტყვას და არც გადაწერილს“-ო⁸.

სინამდვილეში ვის გულისხმობს სოლომონი თავის მტრად — გიორგი ბატონიშვილს თუ მართლა გოდერძის, ამის გარკვევას აქ ნუ შევეუდგებით. ის ხომ ცხადია და უეჭველი, რომ სოლომონ ლიონიძის წარმოდგენით გოდერძის თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის წყალობით შეეძლო ბატონიშვილისათვის ვაკეთებული „წიგნილამ პირი გადაელო“. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა გამომდინარეობს: გოდერძი არა თუ მიღებულია გიორგი ბატონიშვილის კარზე, არამედ იმდენად მისანდოა, რომ გიორგი საიდუმლო წერილებსაც კი აწერინებს; მოკლედ: ის უნდა იყოს მისი მწერალი თუ პირადი მდივანი. ამას ისიც შეიძლება დავუმატოთ, რომ გოდერძი მწერალ პაპუას შვილია და იმ დროის წესისამებრ შვილიც შეიძლება მამის პროფესიისად, ე. ი. მწერლად ვიგულისხმოთ.

აი ის ორად ორი დასკვნა, რასაც ვგაძლევს კონფიდენტის წერილების გამოწვლილვა მისი ვინაობის გარკვევისათვის.

ახლა ვიკითხოთ: ვიცნობთ კი ვისმე გოდერძის, 1795 წელს რომ მდივნობდეს გიორგი ბატონიშვილთან, თვით მეფესთანაც რაღაც სამსახურს ასრულებდეს და ამიტომ ხშირად დაიარებოდეს მის კარზე და თანაც მწერალ პაპუას შვილი იყოს?

წარმოიდგინეთ, ვიცნობთ. ესაა გორელი გოდერძი ფირალიშვილი. იოანე ბაგრატიონი, შვილი სწორედ იმ გიორგისა, ვისი დავალებითაც „მოხსენებისა“ და „მონანიებითი წიგნის“ ავტორმა გოდერძიმ გადასწერა ლიონიძის „ვაკეთებული შავი“, თავის „კალმასობაში“ სწორედ გოდერძი ფირალიშვილს და არა სხვას ასე ალაპარაკებს: „მდივნად მიწოდდა თვისად თვისსა ბატონიშვილობაში მეფე გიორგი და იმაზედ მტერ მექმნენ სხვანი“-ო⁹. აქედან დასტურდება, რომ გოდერძი ფირალიშვილი გიორგი მეფის სწორედ ბატონიშვილობაში, ე. ი. 1798 წლამდე, როცა ის გამეფდა, ე. ი. ჩვენთვის საინტერესო წლებში მის კარზე მართლაც საკანცელარო საქმიანობას ეწეოდა. მდივნობის მსგავსს, და ამიტომაც ეძახდა თავის საკუთარ მდივანს („მდივ-

⁷ სძვლნი, III, № 137, გვ. 106.

⁸ იქვე, № 387, I, გვ. 370.

⁹ ტ. II, თბ., 1948, გვ. 29.

ნად მიწოდდა თვისად“). სხვაგვარად რომ ვთქვათ, სავსებით მტკიცდება ის ეოთი დასკვნა, რაც მოგვცა კონფიდენტის „მონანიებითი წიგნის“ ანალიზმა.

ასევე მტკიცდება მეორე დასკვნაც, იმავე ანალიზის გზით მოპოვებული-ვეგულისხმობთ მეფესთან კონფიდენტის დამავლობას, მეფის კარზე მის სამსახურს. აი საამისო ფაქტიც: ჩვენ ვიცნობთ ერთ საბუთს, ფშველ ფუნხულა ტურაშვილისადმი ერეკლე მეფისაგან 1794 წელს ბოძებულს, რომელიც „აღწერილი იქნა ხელითა კარისა ჩვენისა ფეშქაშნივისის ფირალოვი გოდერძისათა წელსა ჩლუდ“ (1794-ს)¹⁰. ცხადია, გოდერძი ფირალიშვილი, როგორც მეფის კარის მოხელე—ფეშქაშნივისის, მეფესთან მუდმივ დამავალი იქნებოდა და სრულიად ადვილად შეეძლო თავისი დანასმენის „განახლება“ ანუ გახსენება.

მამის სახელიც გოდერძი ფირალიშვილისა და კონფიდენტ გოდერძისა ერთმანეთს ემთხვევა. მელიქ დარჩიას სიტყვით, გოდერძი კონფიდენტი ხომ მწერალ პაპუას შვილია; რუსეთს წასული გოდერძი ფირალიოვიც პავლოვიჩად იხსენიება. ამის საბუთად დავასახელებთ გრაფ პ. ვ. ზავადოვსკის დასკვნის გამო დართულ ბიბლიოგრაფიულ ცნობას, რომელიც შეეხება გოდერძის შედგენილ „თვთ-მასწავლებელს“¹¹ და ძირითად ტექსტისაგან გასარჩევად დაბეჭდილია პეტიტით: „Самоучитель, содержащий в себе грамматику, разговоры, нравоучения и лексикон на российском и грузинском языках“ — Годерзия Павловича Фиралова. Напечатан был в 1820 г. в С. Петербурге, в т (ипографии) Иоаннесова. Смирдин, № 5679. Сравни дело № 9981, № 219“.¹²

ასევე პავლოვიჩად იხსენიება გოდერძი ეპიტაფიის რუსულ ტექსტში. აქედ მარი ბროსე ეპიტაფიის ქართული ტექსტის ფრანგულად თარგმნისას შენიშნავს: „l' epitaphe russe ajoute -Pawlowitch“ (რუსული ეპიტაფია პავლოვიჩ-ს უმატებსო“).

მართალია, აქ არა გვაქვს სრული დამთხვევა სახელებისა, მაგრამ ეს პავლე—პაპუას გაიგივებას ოდნავადაც ვერ არღვევს, რადგან მამინ — ეს საყოველთაოდ ცნობილია — ერთობ მიღებული იყო რუსებისათვის გასაგებად „ქართული“ სახელების გადარქმევა-გადანათვლა. ამის მაგალითი ბევრია, მარტო რამდენიმეს დავასახელებთ. თამაზი თომად არის გადანათლული (ასე იწოდებოდა თამაზ ორბელიანი); მამუკა მაკარის სახელით იხსენიება (ამ თამაზ = თომას ძე) ან კიდევ მათედ (ამ თამაზის და, იმერეთის დედოფალი ანა. დავით მეფის ქვრივი, იხსენიება *Анна Матвеевна-დ*); ზალი იწოდება ზაქარიად (გენერალი დიმიტრი ორბელიანი იხსენიება ზახარევიჩად); ზურაბ ორბელიანს, პოეტ გრიგოლის მამას, რუსები ეძახდნენ დიმიტრის, და ამიტომაც თვითონ გრიგოლი ხშირად დიმიტრიჩად იხსენიება, თუმცა ის სინამდვილეში ზურაბის ძე იყო. ეს ფაქტი განსაკუთრებით საყურადღებოა: სხვა შემთხვევებში, ზემოთ რომ დავასახელებთ, ინიციალები მაინც ერთნაირია (ზაალი-ზაქარია, მამუკა-მათე-მაკარი და სხვ.), აქ კი ეს ინიციალებიც არ ემთხვევა; ამავე დროს კი დანამ-

¹⁰ საქ. ცენტრ. საისტ. არქივი, ფ. 229, დავთ. 50, საბუთი 19.

¹¹ „ქართული წიგნი“, ბიბლიოგრაფია, ტ. I, თბ. 1941, № 122, გვ. 91. აქ გოდერძის მამის სახელი არაა აღნიშნული.

¹² Описание дел архива Министерства народного просвещения, т. II, Петроград, 1921, стр. 105—106, № 115.

დედლებით ვიცით, რომ ქართველობაში ზურაბად ცნობილ ორბელიანს, პოეტის მამას, რუსები ეძახდნენ დიმიტრის.

მაგრამ თემატურად უფრო საჭიროა ჩვენთვის პაპას პავლედ გადანათვლის ფაქტები. ასეთებიც გვაქვს. გვახსენდება საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ვრცელი ლექსი იოსებ მუშრბიზის მელოქიშვილისა, 1804 წელს შეთხზული, სადაც ავტორი ხოტბას ასხამს მთავარ-მართველ ციციანოვსა და იმპერატორ ალექსანდრე I-ს. ეს ლექსი თავის ანთოლოგიაში შეტანილი აქვს ცნობილ მწიგნობარსა და ნაელჩარს გიორგი ავალიშვილს მეტად საგულისხმო სათაურით: „იოსებ პავლეს ძისა, ესე იგი პაპა მუშრბიზის შვილის, იოსებ მუშრბიზის მიერ თქმული“-ო¹³. აქ სრული გარკვეულობით ხაზი აქვს გასმული პავლესა და პაპას იგივეობას: პავლეს ძე, ესე იგი პაპას შვილიო. მეორე ფაქტის დასახელებაც შეგვიძლია: ესაა თარგმნილი ხელნაწერის ქვედა ყდაზე დაცული მინაწერი: „პაპა პაველ ჭეოდორიჩ არღუთოვი“¹⁴. აქაც ქართული პაპა გადარუსებულია პავლედ ამის შემდეგ, რასაკვირველია, გოდერძის მამის—პაპა, resp. პაპუა მწერლის—პავლედ გადანათვლა საეგზეთ ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენს და პაპუა-პავლეს იგივეობა ოდნავადაც საეჭვოდ ვეღარ ჩაითვლება.

ახლა გავარკვიოთ გოდერძი კონფიდენტის სადაურობის საკითხი. აქამდე დასახელებული და გამოყენებული საბუთები ამაზე არას ამბობენ. შეიძლება მართო იმის ვარაუდი, რომ გოდერძი გორელი იყო, რადგან მისი მამიდაშვილი შაქარა ჩარჩიშვილი გორელია. მაგრამ, ცხადია, ასეთი ვარაუდი კონფიდენტის გორელობის დასამტკიცებლად არ კმარა. საბედნიეროდ, ჩვენ ვიცნობთ ერთ საბუთს, გოდერძი კონფიდენტის სადაურობას რომ შუქსა ჰფენს. ესაა გორელების კოლექტიური თხოვნა 1781 წლის 13 მაისის თარიღით, ერეკლე მეფისადმი მირთმეული. აქ ისინი მოახსენებენ: „ჩვენი საქონლის საძოვარი ალა პაპა-შვილს პაპას უჭირავს ...და ღალას თითონ იღებს... მთელი გორი, დიდი თუ მცირე, ერთობლივ გვედრებით, რომ ჩვენი საძოვარი ჩვენვე დაგვენდეს“-ო. ამაზე ერეკლე მეფემ 1781 წ. 4 ივლისს შემდეგი წააწერა: „ჩვენი ბრძანება არის, პაპა მწერალ... ეგ მამული... ამას წინად რომ შენ მოვეციო, ...შენ ყალბათ (ე. ი. შეცდომით.—მ. ბ.) გავისიჩხებია და ისე გამოგირთმევია. ჩვენ იმ მამულს ვერ გავცემთ და გორელებს ვერ გამოვართმევთ ის მამული ისევე უნდა დასდვა და ღალაც ჩვენთვის უნდა აიღონ“¹⁵.

ჩვენ განგებ მოვიყვანეთ ასე ვრცლად ეს საბუთი, რომ მკითხველისთვის ნათელი იყოს პაპა ალა პაპაშვილისა და პაპა მწერლის იგივეობა: პაპა ალა პაპა-შვილმა მეფე შეცდომაში შეიყვანა და ასე მოტყუებით მისგან დაისაკუთრა გორელების საქონლის საძოვარი, მეფე კი პაპა მწერალს უბრძანებს — ის მამული ისევე უნდა დასდვაო. ცხადია, პაპა ალა პაპაშვილი და პაპა მწერალი ერთი და იგივე პირია.

პაპა მწერალს კი ჩვენ უკვე ვიცნობთ: დარჩია მელოქის სიტყვით, ეს კონფიდენტ გოდერძის მამაა, მაგრამ ჩვენი ჯვლევის მიხედვით ის გვარად ფირალიშვილი უნდა იყოს და არა ალა პაპაშვილი, როგორც გორელების თხოვნაში არის მოხსენებული, ნუ თუ ეს სხვა „პაპა მწერალია“? მით უფრო რომ დარჩია კონფი-

¹³ S—303, გვ. 143.

¹⁴ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, 1960, S—188, გვ. 205, მონტესკიე, „გულისხმისყოფისათვის ჰსჯულობასა“, დავით ბატონიშვილის თარგმანი.

¹⁵ სძვლნი, I, № 195, გვ. 208—209.

დენტის მამას პაპუს ეძახის და არა პაპას. ან იქნებ ალა პაპაშვილად მიტომ იხსენიებენ გორელები პაპა მწერალს, რომ ის ალა პაპას ჩამომავლია, მის გვარს კი აღარ ასახელებენ? მართლაც ჰკუას ახლოს იქნება, რომ პაპა მწერალი თავის პაპის სახელს ატარებდეს. რომელიც გორელებში ალა პაპის სახელით ყოფილა ცნობილი.

ამას გვაფიქრებინებს მეორე საბუთი 1768 წ. 26 ივნისისა, სადაც, ჩვენი აზრით, იგივე და არა სხვა პაპა არის მოხსენებული. ეს არის ერეკლე მეფის წყალობის წიგნი, რომლის ძალით ამ პაპას და მის ძმას იოსებს ებოძათ გორს ერთი ხარაბა საწისქვილე¹⁶. გორელების საქონლის საძოვრის დამსაკუთრებელი პაპა მწერალი გორს მცხოვრებია, გორელთა სათემო საძოვარსაც ამიტომ იჩემებს. 1768 წ. 26 ივნისის საბუთის პაპაც გორელია, აქ პირდაპირ წერია: გორელ პაპას ვიბოძეთო. მერე: 1781 წ. საბუთის მიმღები პაპას სახელს ატარებს, ასევე პაპა ჰქვია 1768 წ. საბუთში ხარაბა საწისქვილის ახალ პატრონს. ასე რომ ორივე საბუთის მიმღებთა სეხნაობა და გორელობა აძლიერებს მათი იგივეობის აზრს, ახლა რომ გამოვთქვი.

1768 წლ. საბუთში გასახაზია ის, რომ პაპა იხსენიება უკვე გვარით და ამრიგად შესაძლებელი ხდება მისი ნამდვილი გვარის დადგენა. აქ ვკითხულობთ: „ვიბოძეთ თქვენ, ჩვენთა სახასო ყმათ, გორელს ფირალიანთ გოდერძის შვილს პაპას და ძმასა შენსა იოსებს, შვილთა და მომავალთა თქვენთა“-ო. მაშ, პაპა ყოფილა „ფირალიანთ“ გვარისა, ე.ი. ფირალიშვილი და შვილი გოდერძისა. გამოდის, რომ ალა პაპაშვილი მართლაც აღნიშნავს მარტო მის უახლოეს წინაპარს, ჩვენი ფიქრით, პაპას. სწორედ ამიტომაცაა, რომ გოდერძის შვილი პაპა მწერალი თავის პაპის სახელს ატარებს.

ხაზგასასმელია პაპას გოდერძიშვილობაც. სრულიად შემთხვევითი არაა, რომ პაპაც თავის შვილს, მომავალ კონფიდენტს, დაარქმევს გოდერძის, თავისი მამის სახელს, სწორედ ისევე, როგორც თვითონ მას პაპის (ალა-პაპის) სახელი უწოდებს. ეს საბოლოოდ გვარწმუნებს პაპა მწერლის ფირალიშვილობაში და ორი ზემო საბუთის მიმღებთა იგივეობაში.

ეს ორი საბუთი შესაძლებლობას გვაძლევს მეტ-ნაკლები სიზუსტით და სისრულით აღვადგინოთ კონფიდენტ გოდერძის გენეალოგია: მისი მამაა პაპა მწერალი; ამისი მამაა გოდერძი, ვისი სახელიც მისცეს მერე კონფიდენტს; გოდერძის მამაა ალა პაპა, ამის წინაპრად კი, ყოველ შემთხვევაში გვარის ფუძემდებლად ჩანს გორელი ფირალი. გავამახვილოთ ყურადღება 1768 წლის საბუთში ამ სიტყვებზე: „ვიბოძეთ თქვენ, გორელს ფირალიანთ გოდერძის შვილს პაპას...“ გრამატიკულად სიტყვა „გორელს“ ეკუთვნის პაპას. მაგრამ შეიძლება აქ იგულისხმებოდეს გორელი ფირალი და სიტყვა „გორელს“ ეკუთვნოდეს „ფირალიანთს“-ს.

გარეშე ამისა, მაინც აშკარად ჩანს, რომ ფირალი არის გვარის დამაარსებელი. ეს ფირალი კი საკმაოდ ცნობილია: მისი ხელით ნაწერი საბუთი ჩვენამდე ბეჭდურად არა ერთია ცნობილი¹⁷. ამათში უადრესი არის 1630 წ. 22 აპრილისა,

¹⁶ საქართველოს ცენტრ. არქივი, ფ. 226, № 36.

¹⁷ ესენია: ვ. ფუთურიძე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბ., 1956, საბუთები: ა) № 35; ბ) № 64; შდრ. სძვლნი, III, № 565; გ) № 73; დ) № 85; ე) № 91; ვ) № 93; შდრ. სძვლნი, III, № 568; ზ) № 109; ი) სძვლნი, III, № 576; თ) თ. ყორღანიძე, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, ფოთი, 1903, გვ. 5; ი) სძვლნი, I, № 16; ია) № 43.

უგვიანესი კი 1662 წ. 27 ივნისისა, მაშასადამე, სამოქმედო ასპარეზზე. მას ვხედავთ მთელი 32 წლის მანძილზე. ფირალი საკმაოდ თვალსაჩინო პიროვნებაა. სულ მეფის კარზეა, სვიმონ მეფის დროს ის მდივან-მწიგნობრად იწოდება, როსტომ მეფის დროს—მეფის სალაროს მუშრიბად, ხოლო ვახტანგ V-ის ანუ შაჰ-ნავაზის ზეობისას ეს ორ საბუთში თავს იხსენიებს მდივანად, ერთში კი პირვანდელივით მდივან-მწიგნობრად იწოდება. ჩანს, ფირალი მოქნილი და თვინიერი ხასიათის კაცი ყოფილა, რაკი სამივე მეფის ზეობისას შესძლო სამეფო კარზე სასახურებრივი მდგომარეობის შენარჩუნება. როსტომის დროს ის და მისი ძმა ფარსადანი ლიახვის პირას ჭალას და სხვა უძრავ ქონებასაც კი მოიპოვებენ, ამას ვრცლად მოგვითხრობს როსტომის სიგელი, 1652 წლის თარიღით¹⁸. ცნობილია ერთი სომხური საბუთიც, სომეხთა კათალიკოსის აკოფ ჟულაეცის 1667 წ. 28 აპრილის სიგელი, რუსულად ა. დ. ერიკოვის თარგმნილი. ამ საბუთიდან ჩანს, რომ როსტომ მეფეს ეჩმიაძინში გაუგზავნია სომეხი აზნაური ფირალი აკოფ კათალიკოსთან მოკითხვის წერილით და საჩუქრებით და მერეც, როცა აკოფ კათალიკოსი თბილისს ჩამოვიდა როსტომის კარზე, იგივე ფირალი მოახსენებს მეფეს კათალიკოსის თხოვნას — ეჩმიაძინს საქართველოში ებოდოს რომელიმე სოფელი¹⁹. აღსანიშნავია, რომ 1638 და 1662 წ. წ. საბუთებში ფირალი საჭიროდ თვლის თავისი სადაურობაც აღნიშნოს: „კელითა გორელის ფირალისათა“.

გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ გარემოებასაც: ფირალი კალმის კაცია, ასეთივეა მისი შორეული ნაშიერი — პაპა მწერალი და ამისი შვილიც გოდერძი კონფიდენტი.

მაგრამ ეს სხვათა შორის. მთავარი ჩვენი აზრი კი ამ ექსკურსის დროს ის იყო, რომ წარმოგვეჩინა ამ გორელი ფირალის ჩამომავლობის, განსაკუთრებით კი გოდერძი კონფიდენტის, სადაურობა, ეს კი, მგონი, შევძელით: ის მამა-პაპით გორელი მკვიდრია.

გოდერძი ფირალიშვილიც ასევე ქალაქ გორის მკვიდრად ჩანს. იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ვკითხულობთ: იმერეთს მიმავალი „დიაკვანი“ (იგულისხმება იონა ხელაშვილი.—მ. ბ.), რა შევიდა ქალაქსა შინა გორს, ქუჩასა ზედან შემოეყარა გოდერძი ფირალოვი... იცნო დიაკვანი და თავის სახლში მიიპატიეთა... უბნობით მივიდნენ სახლსა გოდერძისასა“²⁰. ამ სიტყვებს განმარტება არ ესაჭიროება: ცხადია, გოდერძი ფირალიშვილი ქ. გორის მკვიდრია — იქ მას სახლი აქვს და მოკალმასე ხელაშვილს მასპინძლობს.

შევაჯამოთ ყოველივე თქმული. აქ ნათლად ვხედავთ:

1) გოდერძი კონფიდენტი გიორგი ბატონიშვილთან მწერლობს, გოდერძი ფირალიშვილიც ასევე მასთან მდივნობს სწორედ მის ბატონიშვილობაში;

2) გოდერძი კონფიდენტი დამავალია ერეკლე მეფის კარზე, გოდერძი ფირალიშვილიც ასეთივეა, რადგან მეფის კარზე ის ფეშქაშნივისის თანამდებობაზე მსახურობს;

3) გოდერძი კონფიდენტი პაპუა მწერლის, resp. პაპა მწერლის შვილია, გოდერძი ფირალიშვილიც ასევე პაპას სინონიმად მაშინ მიღებული სახელის მქონე პავლეს შვილია;

¹⁸ ვ. ფუთურძე, ციტირებული შრომა, № 102, გვ. 233—235.

¹⁹ Д. П. Пурцеладзе. Грузинские крестьянские грамоты. Тифл., 1882. стр. 94—97.

²⁰ ტ. II, თბ., 1948, გვ. 28.

4) გოდერძი კონფიდენტი გორელია მამა-პაპით, გოდერძი ფირალიშვილიც ასევე გორელია.

ყველა ამ ნიშნის მიხედვით შეიძლება კატეგორიულად დავასკვნათ, რომ ერეკლე მეფის კონფიდენტი, რომელსაც დღემდე ვიცნობდით მარტო სახელით — „გოდერძი“, არის გორელი გოდერძი ფირალიშვილი, პაპა, resp. პაპუა მწერლის შვილი, რუსული საბუთებით — პავლეს ძე.

ამრიგად, კონფიდენტ გოდერძის ვინაობა შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს.

მამისა ბერძენიშვილი

მასალები XVIII ს. ბოლო წლების საქართველოს ისტორიიდან
(ვახტანგის მასალი)

წინამდებარე კრებული წარმოდგენს სხვადასხვა პირთა მიმოწერას ერეკლე II-ის დროინდელ ერთ გავლენიან მოხელესთან—მანუჩარ თუმანიშვილთან. ეს წერილები ქრონოლოგიურად მე-18 ს. ბოლო წლებს და XIX ს. დასაწყისს მიეკუთვნებიან.

ჩვენი კრებული ქართულ საისტორიო წყაროთა გამოცემის პრაქტიკაში ეპისტოლარული მასალის გამოქვეყნების პირველი ცდაა. ეპისტოლარული მასალის, როგორც საისტორიო წყაროს, მნიშვნელობა, საერთოდ, ცნობილია ქართული ეპისტოლარული მემკვიდრეობა კი ჯერ-ჯერობით სათანადოდ არ არის შეფასებული. მართალია დოკუმენტთა ზოგ კრებულში ჩვენ აქა-იქ გვხვდება კერძო პირთა მიმოწერის ნიმუშები (მაგ., ე. თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენ“-ში და ნ. ბერძენიშვილის „მასალებში საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“), მაგრამ იმის გამო, რომ ისინი გაფანტულნი არიან სხვადასხვა გამოცემებში და თანაც სულ სხვადასხვა პირებსა და დროს მიეკუთვნებიან, სრული სახით წარმოდგენა იმ დიდი მნიშვნელობისა, რაც ეპისტოლარულ მასალას აქვს კერძოდ ჩვენი ქვეყნის წარსულის შესასწავლად, ძნელდება. ეპისტოლარულ მასალაში კი მისი შემქმნელის თვალთახედვით ასახულია უტყუარი სურათი თანადროული ხანისა.

ჩვენს კრებულში შეხულ წერილთა ადრესატი მანუჩარ თუმანიშვილია. ესაა წარმომადგენელი ქართლის ერთ-ერთ შეძლებულ თავადთა საგვარეულოსი, რომლის წევრებსაც მრავალი ათეული წლების მანძილზე ეკავათ მდივნის თანამდებობა ქართლის სამეფო კარზე. მანუჩარი, თანამდებობით მდივანი და ლაშქარნივისი, სამეფო კარზე მომხდარი ყოველგვარი ამბის ცენტრში იდგა. პოლიტიკასთან კავშირს მანუჩარი არც მაშინ სწყვეტდა, როცა ზოგჯერ მას სამეფო კარის მიტოვება უხდებოდა და თავის მამულში, სოფ. ხელთუბანში, იმყოფებოდა. ასეთ დროს საგარეო პოლიტიკის საქმეების კურსში აყენებდნენ მას მისი ძმა, ასევე მდივანი სულხანი და ძმისშვილი მდივანი შიოში. მანუჩარის ინტერესი პოლიტიკისადმი შეპირობებული იყო მისი წმინდა ვაჭრულ-მევახშეობითი ინტერესებით. მანუჩარი და მისი ოჯახი ტრადიციით ვაჭრობასა და მევახშეობას ეწეოდნენ. მევახშეობას — ფულის პროცენტით გასესხებას არ ერიდებოდა არც სასულიერო წოდების წარმომადგენელი თბილისის მიტროპოლიტი ქრისტეფორე თუმანიშვილი, მანუჩარის გარეშე ბიძა¹. თუმანიშვილთა მევა-

¹ მასალები საქ-ის ეკონომიური ისტორიისათვის, II, გვ. 45, 72, 110.

ხშეობა იმდენად ძირგადგმული იყო საქართველოს მოსახლეობაში, რომ თვით სამეფო ოჯახის წევრებსაც კი მათი ვალი ემართათ. ამ საქმიანობაში საგარეო პოლიტიკა იყო მისთვის გეზის მიმცემი.

ასეთსავე თვალსაზრისს ადგანან მანუჩარის ახლობლებიც: როგორც ვაჭარნი და მეფახშენი, ისინი თავის მოქმედებას საზღვრავდნენ ქვეყნის პოლიტიკური და საგარეო მდგომარეობისდა მიხედვით. ამიტომ მანუჩარისადმი მიწერილი წერილები ვაჭარ-მეფახშისათვის საინტერესო ფაქტების აღწერის გარდა, შეიცავენ მრავალ უტყუარ ცნობას საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდანაც. საგარეო ურთიერთობათა დეტალებს, ცნობებს ერეკლეს კარზე მიმდინარე ინტრიგებისა და საზოგადოებრივ განწყობილებათა შესახებ. ამ მხრივ ამ წერილებით ვტყობილობთ მრავალ მნიშვნელოვან, სხვა წყაროებით უცნობ ფაქტს. (ასეთია თუნდაც ცნობა იმის შესახებ, რომ 1797 წლის მარტში ერეკლემ საგარეო პოლიტიკის კურსის გადასაჭრელად მოაწყო ე. წ. „საქვეყნო რჩევა“, რომელშიაც ბატონიშვილებს გარდა მონაწილეობას იღებდნენ „ქართლსა და კახეთში უფროსი თავადიშვილი და აზნაურშვილი“).

ჩვენს კრებულში შესულ წერილების კორესპონდენტები ძირითადად არიან სულხან და შიოშ თუმანიშვილები ერთის მხრივ და მანუჩარის სიმამრი სტეფანე და ცოლისძმა სოლომონ ტერშმოვანოვები მეორეს მხრივ. ამათგან პირველნი, თანამდებობით მდივნები, სამეფო კარზე ტრიალებენ, სულხანის ხელშია სახელმწიფოებრივი მიმოწერა, შიოში კი მეფის სიველებისა და ოქმების მწერალია. ამიტომ, მათ იციან ყველაფერი ის, რაც კი ხდება საქართველოს სამეფო კარზე — მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა იქნება ეს თუ საქართველოს მკვიდრთა მემამულური ინტერესები — და ისინიც მანუჩარს ატყობინებენ ყველაფერს, რაც კი მათ იციან და რაც მათი თვალსაზრისით არის გამოსადეგი. ამ მხრივ სულხანი ისე შორს მიდის, რომ მანუჩარს უგზავნის ბაბახანისაგან ერეკლესადმი მოწერილ ფორმანის პირს (1798. 5. VII). თითოეული მომხდარი ფაქტი მათ სურთ თავის ოჯახის საკეთილდღეოდ გამოიყენონ. წმინდა მეფახშურ ინტრესებს ისინი არც ალა-მაჰმად-ხანისაგან თბილისის აოხრების მძიმე დღეებში იფიქვებენ. სწორედ მაშინ შიოში სწერს თავის ბიძას: „თუ იშოვნოთ, ცოტა თეთრი წამოიღე ქალაქისა, კარგი დრო არის, ეგებბის ცოტათი ბევრი ვიშოვნოთ“.

მეორე ანდრესანტები — ტერ-შმოვანოვები — თბილისელი მოქალაქენი, ვაჭრები არიან. (სტეფანე თბილისის ქეთხუდაა). ესენი მანუჩარს წერილებს წერენ ჯერ თბილისიდან, შემდეგ ასტრახანიდან. მათი ინტერესები წმინდა ვაჭრულია. და როგორც ვაჭრებს, ბუნებრივია, ქვეყნის სიმშვიდე უნდათ. მშვიდობა კი მათ საქართველოში რუსის ჯარის ყოფნაში ეხატებათ. ამიტომ ისინი გულისფანცქალით ადევნებენ თვალს რუსეთის მთავრობის მოქმედებას და საქართველოს სამეფო კარის საპასუხო ნაბიჯებს კრიტიკულად აფასებენ. მათი წერილები სავსეა ყოფაცხოვრებითი ფაქტებით, ქალაქის ეკონომიური მდგომარეობის ამსახველი დეტალებით და თბილისის მცნოვრებთა სხვადასხვა განწყობილებების მაჩვენებელი უამრავი ცნობებით. ამ წერილებით ვიგებთ ერეკლეს მრავალ საინტერესო და მნიშვნელოვან, სხვა წყაროებით უცნობ, ეკონომიურ ღონისძიებებს.

კრებულში შესულია ზოგი სხვა პირის წერილებიც მანუჩარისადმი.

კრებულში მოთავსებული წერილები ნათელს ხდიან აგრეთვე იმ ინტრიგას, რომელიც 1796 წელს ერეკლეს წინააღმდეგ გაიშალა და რომელიც სოლომონ ლეონიძის დამარცხებით დამთავრდა.

მაგრამ მკითხველი თვითონ შეაფასებს გამოქვეყნებული წერილების მნიშვნელობას.

კრებულში შესულია აგრეთვე XIX ს. დასაწყისის წერილები. წერილებში კარგად ჩანს ამ დროის ეკონომიური მდგომარეობა და საზოგადოების განწყობილება:

თვით თუმანიშვილთა ოჯახი XIX საუკუნეს შეხვდა საკმაოდ დაზარალებული. 1799 წელს გიორგი XII-ის ბრძანებით თუმანიშვილები აიკლეს: თუმანიშვილთა ოჯახიდან უამრავი ნივთი წაიღეს. (ჩვენამდე მოაღწია მანუჩარის ხელით შედგენილმა ამ წაღებული ნივთების ნუსხებმა²). აკლების მიზანი იყო თუმანიშვილისაგან ლეკის ჯარისათვის მისაცემი ფულის შოვნა. ამ ფულის გაღებაზე თუმანიშვილები მხოლოდ ასეთი მკაცრი ზომისა და პატიმრობის შემდეგ დათანხმდნენ. მათ 600 თუმანი ივალეს და ისე გადასცეს გიორგი მეფეს ლეკის ჯარისათვის. (საამისო დოკუმენტი იხ. — მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, II, № 197—198).

ჩვენს კრებულში შესულია სულხანის წერილები მიწერილი მანუჩართან საპატიმროში.

საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ თუმანიშვილები ცდილობდნენ თავისი ვალების განაღდებას. ჩვენამდე მიაღწია უშველებელმა საქმემ „Дело о возвращении долгов царской семьи кн. Тумановым“.

თვით მანუჩარი XVIII საუკ. საქართველოს ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა. ესაა მეტისმეტად აკურატულ სიზუსტისა და ანგარიშის მოყვარული ადამიანი. სწორედ მისმა ამ თვისებებმა განსაზღვრეს ის, რომ XVIII ს-დან ჩვენ შემოგვრჩა უამრავი დოკუმენტური მასალა. — მანუჩარის ხელით შესრულებული თუ მანუჩარისაგან მოგროვილი, — ხარჯის ნუსხები, ხელწერილები, ქონების სიები, წერილები თუ სხვა. მანუჩარი, როგორც ლაშქარნივისი, მოვალე იყო ეწარმოებინა ხალხის აღწერა. ჩვენამდე მოაღწია მანუჩარის ხელით შესრულებულმა ქსნისა და არაგვის საერისთაოების 2 სხვადასხვა დროის აღწერის რამდენიმე ნუსხამ.

მანუჩარი 1819 წლის ივლისში გარდაიცვალა.

№ 1. 1795 წლის 8 ოქტომბრის წერილი შიოშისა სულხან და მანუჩარისადმი. დედანი. დაწერილია მოყვითალო ქაღალდზე. ზომა 29×10,4 სმ.

საქ. ც. ა. ფ. 226, № 3544

სულხან და მანუჩარი.

ქ. ბატონო მდივანო

კელს კოცნა მომიხსენებია. მერე ბატონი თიანეთს წაბძანდა, თავი ვერ დავახწიე. თან ვიახელ. აქ დარჩა ჩვენი ყუთები, დამტვრეული და უკლიტო, საბლევით შემიკრავს და თვითოეულად დამიწერია. აქ დუშეთს მიშკარბაშს და

² მასალები საქ-ლოს ეკონომიური ისტორიისათვის, ტ. III, № 197—203.

ქალუას მივბარე. ესენი რომ წავლენ, სახლის პატრონს მიაბარებენ. ჯორება გამოგზავნეთ და წააღებინეთ. ერთი ნაბადი აქ არის. სხვაც გამოგზავნეთ, რომ შეიმოსოს და წვიმამ არ წაახდინოს. ბძანება არის რომ რაც დაგვაკლდება, წიწუაშვილმა და ფასანამ უნდა მოგვცეს პასუხი. ბიძა ჩემო, თქვენ წამობრძანდი და თქვენ (verso) წაიღეთ. ეგების კიდევ იპოვნოთ რამე. ერთი ჩემი ბალიშისა და საბნის მეტი ვერა ვიპოვნე რა. ესეც ვერ წავიღე, ტიტველა, უნაბლო და უსაცვლო წაველ. ბატონო მამავ. ბატონმაც ომანის პირით დაგიბარა, მალე წამობრძანდი. ახლა მაინც მნახეთ. თქვენ რომ მობძანდები, მე კი წამოვალ. თუ იპოვნოთ, ცოტა თეთრი წამოიღე ქალაქისა. კარგი დრო არის, ეგების ცოტათი ბევრი ვიპოვოთ. ოკლომბერს 5 ქკს უბგ შიომ.

საბუთის ბოლოს:

ქ. სულხან მდივანს და მანუჩარ მდივანს მიერთოს
recto-ზე, განის აშიაზე, მანუჩარის ხელით მიწერილია:
დაკარგულის საქონლის საქმეზეა მოწერილი.

№ 2. 1791 წლის 10 ოქტომბრის წერილი შიომ თუმანიშვილისა მანუჩარ მდივანისადმი. დედანი. დაწერილია მხედრულით, მოყვითალო ფერის 2 ცალ ქაღალდზე.

ზომა თითო ქაღალდის: 34,5×14,5

საქ. ცსა ფ. № 226 საბ. № 3545

ქ. ბატონო ბიძა ჩემო მდივანო!

თქვენი ძმისწული შიომ კელს კოცნას მოგახსენებ. მერე თქვენი წიგნები მოპოვიდა და რაც გებძანებინათ ყველა ვსცან. პდ ჩვენის საქონლის ასე მოგხსნდეს, რომ რადგანც თქვენც იმავე დღეს მალე წამოხვედით, მეგონა მოეწოდდი და თან წაიღებდით და არც ეს მეგონა, რომ ჩვენები დღუშეთს არ იქნებოდნენ. თორემ რად გამოგვგზავნიდი. იმ დღეს ხომ ჯარი თქვენობასას მოვიდა და გაველ ბატონთან. იმ დღეს, როგორც იყო, საქმემ გაიარა. მეორეს დღეს, სამშაბათს, გავედით და ის განსაცდელი მოგვადგა. საითაც გამოვიქცე წინ ცხენიანმა ჯარმა სოღანლულის გზიდან ახლო მომასწრა. და ბატონის მიზეზით ძალიან წინაც ვიყავ. გამოიქცა ჯარი და მოგვყვნენ, რომ მოვედით მელიქის აბანოს ზეით, იმ ვიწროში ვავიჭედენით, ერთმანერთი აღარ გაუშვით. ასე გახდა ჩემი ცხენი ოფლში, რომ ჰარაქათის იმედი აღარა მქონდა. როგორც იყო, ქალაქს შემოვასწარ და წაველ გარეთუბნისაკენ წასასვლელად. როგორღამაც გუნებამ ავლაბრისაკენ გამწია, დავბრუნდი და ავლაბრის კარზედ გაველ. იქით ჯარი აღარ გამოგვყვა. და გარეთუბანი ჯარით აივსო, სოლოლაკიდან, უყურებდი გაღმიდან ხოცას და ჭერას. დიღმის მინდვრამდინ სდიეს. იმ დამეს მოველ წილკანს თითქმის უამხანაკოთ. დღუშეთისაკენ ამიტომ (verso) არ წაველ, ელი მრავალი იყო გზაზედ და სცარცვიდნენ და ზოგს ხოცდნენ, ამ განსაცდელს აქაც ვერ მოვრჩი. დაიძრა ელი და საათნახევარი იმათში ვიარე. იმ დამეს გათენებამდინ კალოზე ვიყავით, ცხენები კელში გვეჭირა. მეორეს დღეს მიველ დღუშეთს. მრავალი ხალხი მოსულყო და დიდი ყალ-მყალი იყო. იმას ზეით ცხენების პატრონი ვნახე და მითხრა, ცხენები შეუტარებიათო ზეით, მეგონა თან წაიღებდა. წაველ, მიველ, დედუფალი მთიულეთს ბძანდებოდა, ბატონიც მობძანდა. ვეძებე და ველარ ვიპოვნე ელისბარა. ნიადაგ დღე ავი დარი, წყალი დიდი, საზარელი ტალახები და არც ბატონი მიშვებს, რომ წავიდე და მოვნახო. იქიდან ბატონი თავკაცით ციხისძირს რომ მობძანდებოდა, მიბძანა—რასა იქო, შენს მეტი



მდივანი არა მყავსო. ჩემი დარდი მოვასხენე და იმ ღამის დასტური ვთხოვე. თითქმის უარი მიბძანა, მარამ მაინც წაველ. ვიპონვე ელისბარა. ვჰკითხე და მი-
თხრა, დღუშეთს დავჰყარეო წიწუანთ სახლში. ღთმა შენს მტერს მისცეს, მე
შევსწუხდი. ვიცოდი, რომ დღუშეთი აკლებული და გაქურდვილი იყო. რა უნდა
მექნა, წამოველ ბატონთან. ბატონსაც წიგნები მოსდომია, ვერავინ უშოვნია და
ამრეზით დამხვდა. არც არას მეუბნება, მაგრამ წარბებზედ ვატყობ, ორიოთ სა-
ათს უკან გაიხსნა წარბი და საქმე კარგად მოხდა. ამის მნახავი ველი. არც დღუ-
შეთს წასვლას ვებდავ. რომ იმდენი საქონელი მოუკითხავი მაინც არ დავჰკარ-
გო. ოქმი დავაწერინეთ. წავედი დღუშეთს. ვნახე ყუთები დამტვრეული და სა-
ქონელი სულმთლად აკლებული, ორიოდ ქურდი დავიჭირე, მაგრამ რა გაუა
მთელი დღუშეთი და მთიული ზოგნი სულ ქურდები არიან და დაუფანტავთ. და-
ვაწყებინებ ზიდვა, მაგრამ რა ჰქმნას კაცმა; ის მურასა ნივთები ორმოში უფ-
ლავთ და ეს ავი დარი ზედ დასდენია. მოვატანინეთ, ოთხი ყუთი ავაგსე. რა
ექნა, ჩაწყობაში არ მინახავს და სია არა მქონდა. ზოგს ნივთს კი ვსცნობდი, უფ-
რო მეტს. თქვენ რომ მოგეწერათ წიწუაშვილთან რადგანაც არისო. უხათრი-
ჯაშო ადგილი არ არისო; თურმე რაც კარგები (ნე-2-ე ვერდის recto) ყოფილა,
თითონ მოუპარავს და ამხანავათ ჰყოლია არღუთაშვილი ფასანა და პაპა. კარგა
ხანი გამოვიდა, რომ ვერა გავიგეთ რა, წიწუაშვილიც ჩვენთან იყო. ქურდების
გალახვაში და მოტანაში გეგვეპარა და რომ შეუტყუევით, კელში ველარ ჩავიგ-
დეთ. საწყალის მულუმას წმინდა საქონელი და ზოგი ჩვენი მთხრობლით საცა
იყო იქილამ გამოვიტანეთ. წიწუაშვილი ველარ დავიჭირეთ და ფასანა და პაპა
დავიჭირეთ. ბატონმა ეს სამი ქურდი მოგვცა, თქვენი საქონელი ამას გამოართ-
ვითო. წიწუაშვილსა ჰქონდა თერთმეტი ცალი ბამბა და ოცდახუთი ლიტრა
ნასთი. დამკარგავნიც იმის სახლში მულუმა არის. ავეტიქაშვილები და ჩვენ. რაც
დაგვაკლდება, ამით უნდა პასუხი გავცენ. თქვენ უნდა თქვენი სია გამომიგზავ-
ნოთ, რომ ვიცოდე, რა არის და ისე მოვიკითხო. თორემ, აბა რა ვჰქნა, რაც არა
ვიცირა. თეთრი შტოტის ქათიბი ჩემს რძლისა და მათზედ ნაკერი ქურთუკი
გუშინ საშაბუროდამ მიპოვნია. ბატონთან მოეტანათ, სოლომონ მდივანს ეცნა
და გამოერთმია, იმას მე გამოვართვი. ასე დაფანტულა. მარამ ღთით არა დაი-
კარგებარა. ილაჯი გამიწყდა, ჯერ ერთის ქურდის ლაპარაკი და მოკითხვა რა
არის, რომ ასის ქურდისა რა იყოს. რაც გადამხდა თუ სულ დავსწერე. ერთი
დასტა ქალაღი მოუნდებოდა და კელი ავიღე.

თქვენი სიამბრი და მოყვარე სტეფანე ცოლით, შვილით და რძლით დატყ-
ვევებულ იყო ურდოში. თითო-თითოდ დაეხსნა და წამოსულან. თურმე გზა-
ზედ ორი ჯარისკაცი უკან დარჩომილი შემოხვდნენ, მოიტაცეს კიდევ სოლომო-
ნას ცოლი და წაიყვანეს. სხვანი მოსულიყვნენ ქალაქს. ესენი ოჰანენა მალაქელა-
შვილმა მიამბო და მე დავაპირე, რომ შვიდი-რვა ცხენი მექირავნა, წავსულიყავ
და წამომეყვანა. მითხრა ოჰანენამ არ წამოვლენო, სხვა რამ უფიქრეთ, შიმველ-
ნი არიანო. ექვსი შილა, ორი ხლის ჩითი, ორი ლეინი ვიშოვნე და მზად დავი-
ჭირე. შეუთვალე, თუ წამოხვალ, ცხენებს მოგაშველებ, თუ არა. რაც აქ შეიძ-
ლება. საშიშვლოს გამოვიგზავნი. პასუხს (verso) ველი და რაც მომივა, ისე მო-
ვიქცევი. თუ წამოვლენ, მოვიყვან, თუ არა საცემელს ვაუგზავნი.

ქ. ჩემს პაპანთი არა ვიცი რა, თუ მანდ არ არიან, ქსანზედ იქნებიან. ადრე
გამოვიდნენ. დარჩა ვინმე თუ არა, ეს არ ვიცი.

ქ. სიძე ასატურა დაუჭერიათ. გამოჰპარვია და ქსანზედ არის. ორმა-სამმა
ვნახავმა მითხრა.

ქ. სხვა, ვინც შინ იყვნენ, სულ დატყვევდა. ავეტიქა გამოპარულიყო ისევ შინ გაგზავნენ, რომ თუ რამ შენახული დარჩა, ეგების არ წაეღოსთ. ამით მაქვს იმედი, რომ ცეცხლი მალე მოჰკიდებია ჩვენს სახლს, იქნება ველარ მიუდგნენ; კარგი იმედი მქონია!

ქ. ბატონის სასახლე და მელიქისა, მილახვისა, თუ სხვა ჩინებული სახლები გადაუწვავთ, ბაზარი მთლად დაუწვავთ და ცუდი სახლი კლდის უბნისკენ, თუ სხვაგან იშვიათ მორჩომილა.

ქ. წითელი მიწა აქიმებს არა ჰქონდათ და იოანეს მალამოს გაკეთებას თათულა დამპირდა. ჩვენ დუშეთსა ვართ, ის ციხისძირს, ცოლი ავადა ჰყვანდა. თუ შევძელ ორსაოდ დღეზედ ეგების გამოგზავნო. მრავალი ტყვე გამოპარულა და ზოგნი გაუშვიათ, იქნება ჩვენიც მოსულიყვნენ. გიქუა მეღვინე ხუთ აბაზათ დაუხსნიათ, ვინც იხსნება. იაფათ არის სადმე.

აღა-მაჰმად-ხან განჯას მივიდა, გაცილებასაც ამბობენ. მიეშურებაო თურქ-მანს, ასტრახათი დაურბევიათ, რაც ტყვე დარჩენიათ, ყველასთვის გამოუერთმევია, ჯავადხანისათვის მიუცია. ამბობენ თუ არ იქნას, ვალსამით შეურთგდო. ოკდომბერს ვ. ქვს უბგ. შიოშ.

საბუთის დასაწყისში შიოშის ხელით სწერია:

ქ. მანუჩარ მდივანს მიერთოს

თუმანოვს

შიოშის მოწერილია დუშეთს

იქვე მანუჩარის ხელით მიწერილია: შიოშის მოწერილია დუშეთს.

დაკარგულის საქონლისა, ქვს უბგ ამ წლისა. ქალაქის წახდენისა და დუშეთს დაკარგულის საქონლის სწერია.

№ 3. 1795 წ. წერილი შიოშ თუმანიშვილისა მანუჩარისადმი. დედანი. დაწერილია მკაფიო მხედრულით რუხი ფერის ქალღაღზე. ხელრთვა და თარიღი არა აქვს, შინაარსის მიხედვით 1795 წლისა უნდა იყოს.

ზომა: 30,3×11,5 სმ

საქ. ც. ა. უ. № 226 საბ. № 2118

ქ. ღთმნ თქვენი ჭირი თქვენს ძმისწულს შიოშს მოცეს. ხითარაშვილის ჯვლით თქვენი წიგნი მეზოძა. ერთი ახალუხი, ერთი პერანგი და ერთი პერანგის ამხანავი რომ გეზობებინათ, მომივიდა. როგორც იცით, რომ ჩემთვის საჭირო იქნებოდა, ეგრეთ მადლობელ ვიქმენ. ამას წინათაც მოგახსენე — რვა ლულა ფარჩა იმასთან იყო. ოსმალის ვერცხლის ხანჯალი, ორიოთ თოფი შეიდიში, მარამათის ნაჭერი და ფუსტული განდიდურის ნაჭერი—დიად კარგათ მახსოვს, რომ მულუმას საქონელს გაჰყვა. სხვაც მეგულვება, მაგრამ ეს უთუო არის. არზა მივართვი ბატონს. ოქმი და იასაული მზადა მყავს. რომ თუ უარი თქვენს, ისე გამოვართვათ. მაგრამ არა მგონია უარი შეეძლოსთ. (verso) ცხადი საქმე არის. ჯერ თქვენ ნურცა სთხოვთ, ნურც შეატყობინებთ. კიდევ მგონია ვიპოვნო, რომ იმ საქონელში იყოს. ეს თქვენის სიით ვიპოვნე და ეხლა, რაც იმათ მიჰპარებია, იმის სიას ვეძებ.

მრავალჯერ მოგახსენე წიწუაშვილს საათები უბეში თურმე უწყვია და პატრონი არავინ არის, რომ გამოართვას. დავითა ბიჭს ეთხოვნა, არ მიეცა. ბამბებიც ხომ წაუერთმევია, ალბათ იმისი ქომავი უფრო ძლიერი ყოფილა ბატონზედ, რომ ამის საქმე ამ გვარის ძალით მოშალეს. ჩვენც უნდა დრო ვეძებოთ. სხვა რა შე-

გვიძლიან! თუ შჯობდეს, მობძანდით დუშეთს, მგონია იპოვნოთ რამე, თუ არა, ნება გაქვსთ.

რუსების ამბავს თქვენც შეიტყობდით. ხვალ-ზეგ ბატონი თელავიდან აიყრება, ან რუსების მისაგეგებლად წავალთ, ან ქისიყს და ან ქალაქისაკენ. ჯერ ესეც სწორე არ ვიცით.

კელთუბნის სურსათს ნუ მისცემთ. მიზეზი ეს უთხარით—ელმა აიკლო-თქო და ბატონს მოვასხენებთ-თქო, სარგო ახლო სოფლიდან სხვა აიღევით.

დათუა მაჩაბელს მონასილობა მე გაუტრიგე, პურს დამპირდა. ბარაქიანს ორს უტრემზედ ნაკლებს არა მგონია მოგვეცემს, თუ არ მოერთმიოს, სთხოვთ, კარგი კაცია, ისეც არ დაგვიჭერს. რიცხვი ამიტომ არ ვათქმევინე, ნამუშზედ მიიჩეძა. არიან იმ გვარი თავადი...

(recto-ს განის აშიაზე):

ქ. ჩემს რძალს მდაბლად მოკითხვას მოვასხენებ. ჯიმშერს, ელისოს და დავითს ჩემს საყვარელს პირს ვაკოცებ.

ქ. მირზა აფრასიობმა მოკითხვა მოვასხენა.

საბუთის დასაწყისში მანუჩარის ხელით მიწერილია:

დუშეთს ჩვენის დანაკარგის საქონლის საქმეზეა მოწერილი.

№ 4. 1796 წლის 28 მარტის წერილი შიოშისა მანუჩარისადმი. დედანი. ზომა 2E×12,8 სმ. საქ. ც. ა. ფ. 226 № 3547

ქ. თქვენი ორი წიგნი ახლა მებოძა. ერთი—კდ. მარტს დაწერილი და მეორე კზ. რიცხვში და რაც თქვენი ბძანება იყო, ვისმინე.

ყუთებისა ასე მოიხსენეთ, როგორც თქვენი ნება არის, ისე გავაკეთებინებ და-ჩითებიც მომივიდა. მაგრამ მეზანდუკე მიგვიანებს, თუნუქა არ იშოვებოდ და ახლა კი აღარ დავაგვიანებინებ. მეშებიც (sic) დღეს არუთენამ მითხრა მზა არისო და შეღებვა აკლიაო. ამასაც გამოვართმევ, როგორც მოგეწერათ, ძირს სარტყლებს გაუკეთებინებ ყუთებსა და, როდესაც შესრულდება, მოგართმევ.

ღვინის მოტანა რომ გებძანაო, მეც მეშურება. მაგრამ თუ ტიკები და ქირა თან არ გავატანე, არ მოხერხდება. და ეს მიზეზი რამდენსამე დღეს დაავგიანებს. ამიტომ რომ დიად **ქამხარჯობაში** ვართ და არას კაცისაგან ხელის გამართვის ილაჯი არ იქნა. მეტად შეიკრა ქვეყანა.

ბატონისშვილი ვახტანგ ჯერ არ მობძანდა. თუ ამჯობინოთ, თითო წი (verso) გნი კიდევ მისწერეთ.

ბალის კედლების გაკეთებისა ხვალ პირობა არის. თავად პლუტი იყო, ახლა მოვალეებიც უკან დასდევენ. თესლეულზედ კი შეჰპირდა და ზოგი კიდევ გამოართვეს. ერთი ბარი ჩვენ უყიდეთ. ვცდილობ რომ მოვახერხო რაც ნაკლებობა არის, თუ **ლტმა** შეგვძალდებინა. პურსაც ითხოენ მებაღეები, არ ვიცი რა პური არის. ქოშს ვაკერვინებ რუსულსა და მოგართმევ. სამი ადლი ნიმი რომ გებძანათ, თუ ვიშოვნეთ, მოგართმევ. ჯერ გასასყიდელი არსადა ჩანს. რაც იყო, ის აღარ არის. დიდი ხანია გაიყიდა.

რაც აქაური ამბავი არის, ისიც ბატონისშვილს მოსწერა ბატონმა და იარანალის წიგნის პირიც გამოუგზავნა. ამაზედ ახლა გული დააჯერეთ. აღა მაჰმად ზან თერანს წავიდა და გზა რომ გაიხსნება, რუსიც გადმოვა. მარტის კ **ჭ** ქქს უბდ.

თქვენი მონა შიომ.

საბუთის ბოლოს:

ქ. მის ბრწყინვალეობას მანუჩარ მდივანს მიერთოს.

№ 5. 1796 წლის 16 ივლისის წერილი სტეფანე ტერ-შმოვანოვის მანუჩარ თუმანიშვილისადმი. დედანი. მხედრული ხელით დაწერილია ორად გაკეცილ მოცისფრო ქაღალდზე.

ზომა 20×17 სმ

საქ. ც. ს. ა. ფ. № 1448, საბ. № 3386.

მის ბრწყინვალეობას უფალს მანუჩარ მდივანს

ჩვენს მოწყალეს ხელმწიფეს

ქ. ამ თვის ვ ემანდას შვილი სტეფანას ხელით აქაური ყველა აფალი მოგვიხსენებია, მაგრამ წინ თუ უკან რაც განჯის აფალი მოგვეხსენებინა, სულ ცუდათ და ფუჟად გაიარა. ჩვენ რა იმედი გვქონდა, რა რიგათ კვეხულობდით და ყველას ალავს რაებს ვიწერებოდით, სულ ყველასთან ტყვილათ და შერცხვენებულნი გამოვედით. ასე რომ იბრეიმ-ხან რაც უნდოდა გამოართო. ლეკებს ჯამაგირი მიაცემინა. შვიდი ქალი და მაჰმად ემინ ბეგ ზევლათ გამოართო, თითონ ადგა წავიდა და ჩვენს ბატონს ისე ურჩია და იმისი მასლაჰათით ადგა ცარიელი გამობრუნდა. რამთონი ასი ტყვეს მეტი არა მოუცია. ყველას წყალი დაგვესხა. მიზეზი რა იყო, ვერ შეგვიტყვია.

ზუბოვთან მალაქელას შვილი გაეგზავნა, იძღონი არ მოეცადა რა იმისგან ანბავი-მოსულიყო, ბატონი ამ თვის ი მობძანდა, მალაქელას შვილიც ია მოვიდა. მართალი არა გვესმის, რა მოგვეხსენებინა. ბატონი მდივანი თუ შიომ შვილობით მობძანდნენ, ყველა აფალს იმათ მოგწერენ.

თქვენი ამ თვის 5 მოწერილი წიგნი თ გვებოძა. თქვენი შვილობა, მერმე რომელიც გებძანათ. ყველა შავიტყვევით. თქვენი წიგნის დავგვიანებისათვის დიდი ვწუხდით. ჰალა, მადლობა უფალსა, რა არა გემიზეზებოდით და ველირსენით თქვენ წიგნსა და მშვიდობის ანბავსა. ჩვენც ღთსმოწყალეებით ვინცა ვინა ვართ, აქ ცოცხალ გახლავართ. ჩვენი მოწერილი ოთხი რიგობა არზები მოგრომევიათ. რომელიც პასუხიც გებძანათ და მადლობა მოგვიხსენებია.

ზ ადლი ქათანი მოგრომევიათ და ბძანებთ, რომ თუ კიდევ ჩავგივარდეს ასე მუნასიბათ ვ ადლიც ვიყიდოთ. დიად, ბატონი ბძანდებთ. (verso) თარხან ადის შვილის წიგნი თუ მდივანისა მივართვით და ლუკასას შვილი ხო მანდავ გაიხლათ. იმის წიგნი ჩვენთან დარჩა.

ილი წინაზე მოეტანათ ა სტილი ვიყიდე ჩქ (1. 60 კაპ.) ასე. ამისი ა რუბს ჩვენ ავიღებთ და გ რუბს თქვენ გაახლებთ და ნუში და ჩამიჩი ხო ბძანებთ რომ მანდ ვიყიდინათ. კვეზერელის შვილს, რაც გებძანათ, უთხარით. დიად. ბატონი ბძანდებო. ელისაპეტს უწყენია ძაფისაგან რა არ აუღიათ, თქვენმა მზემ, რა მე უთხარ აიღონ. ჩვენ გვაქვსო ჯერ ხანათ არ გვეჭირებო, თორემ დიად აიღებდენ.

ჩვენი ხარჯის ნუხსა მოგრომევიათ, თქვენც თქვენი დანახარჯის ნუხსა გებოძათ. მაგრამ წმინდა სამოსელი ჩვენ დ აგველო, თქვენ ბ დაგიწერიათ და რამთონი ნაჭერი იმერეთის ტილოც არ გიბძანებიათ, დავგიწყებია.

მარმარილოს ქვისა ბძანებთ, რო როდისაც მობძანდებით, ნახამთ. თუ მოიწონეთ და შეგრიგდა, აიღებთ, დიად კეთილი. მაგრამ ა მელიქისათვის მიუციალ (4 თუმნათ) ასე და ორი კი აქვს ჯერ ამ ხანათ.

დ ლურჯი ლეინეც რომ გებოძებინათ მოგვივიდა.

თაყთანთა ისაია ვიახლათ, ის მეპრაბ-ალას წიგნი თუ სარუბეყანას თამასუქი ისევ მოუტანია. ჩემი წასვლა არ მოხდაო და არც სხვა ვინმე წამსვლელი იყო, რო გამეგზავნათ. ვნახოთ, აქიღამე ვინ მივა, გაუგზავნით.

ახალციხის ანბავი გებძანათ, მადლობელი ვახლავართ.

ტერ-აკოფას თავის დისწულისათვის რაც გებძანათ, უთხარ. დიად არავინ ვეღარას გამოართმევს ან ვის შეუძლიაო.

გარსევან ეშიკალასბაში ჯერ არ მობძანებულა. დღეს ხვალ მოელიან, შვიდობით მოვიდეს, ვნახოთ, ქალაქისათვისაც წყალობა იქნება რამე.

(მე-2-ე გვერდი recto) ელისაბეტის შალის თეთრისა ბძანებთ რო ყირმიზი ბაგრასტი ვთხოვთ. ჯერ არ მიგვიწერია რა. ვნახოთ. ჯერ თქვენი სიღედრი წიგნი უნდა მისწეროს მაიასა, რო თეთრი გამოუგზავნოს თაყასა, მერმე იმას მივწეროთ-რალაც გამოსავზავნია, გამოგვიგზავნოს.

ამ თვის ვ მოგვეხსენებინა აქაური პუჩის ძვირობა. მართლა რო იმ დღეებში რმ (14 კაბ) ასე პური ვახდა. მაგრამ არც სულ არ იშოებოდა. მანამ სამიოთ დღის უკან ბატონი რო მობძანდა, ჯარის კაცმა, რაც ქვილი ქრნდათ, მოიტანეს. მაშინვე ორ შაურათ ვახდა და მრავალიც იყო, კარგისა თუ ავისა, ღთნ იცის.

აბა თქვენ რო მარაბდის თქვენი მეწისქვილეზე თუ თქვენი ყმის გაღეგა არუთინას ცოლზე ბარათი გებოძებინათ. რო ა ურემი იყოს, თუ მეტი ნაკლები ქვილი, იქიღამე გამოგვიგზავნონ და ა ურემიც აქ მზათ გარეთუბანს იმ არუთინანთს არის, გამოვართოთ. დიად მადლობელი ვახლავართ.

აბა მარაბდისათვის ვისაც ვკითხვით, მოგახსენეს, რო კარგა შენობა არისო და იმისთანა ვერავინ ვიშოვნეთ, რომ ეს ბარათი გაგვეგზავნა იქ. შევიტყოთ რამე ამას უკან ვნახოთ. და აქაური ქვილისათვის ბარათი შალის ხელით გავგზავნე. ეთქვათ თუ: აქ ჩვენთან მზათ არის, გინდათ წაღებინეთ. შეუთვალეთ თუ: ათიოთ ლიტრა მოგვეცით, ვნახოთ, თუ მოვიწონეთ, ავიღებთ. არ მოეცათ, ერთი მუჭით ცოტა მოეტანა. შინ ნახეს, არ მოიწონეს—დიად ხარჯი პურიო, არ ავიღეთ.

მანდიღამე თუ ურემები მოდიოდეს ა იყო თუ ბ ურემი, კაი წმინდა ქვილი თუ იქნებოდეს, გვიბოძეთ. ჩვენ და ისაიამ გავიყოფთ და სამიოთ ურემიც თუ კაი ხორბალი იყოს მუნასიბ ფასათ გვიბოძებთ, დიად დავმადლებთ (მე-2 გვერდის recto-ს აშოზე): ამისთანა რამეებისათვის თქვენთვის მოხსენება და თავის სტკივლის მოცემა დიად უგზო და ურეგო არის და უკაცრავათა ვართ. მაგრამ რა ვქნათ, უღონობით პირშაობას კისერზე ვიღებთ და მოგახსენებთ (მე-2 გვერდი verso): აქაური ხორავის ძვირობა რო მოგვეხსენებინა ბძანებთ, რო ერბო, ყველი და ზეთი დაგიმზადებიათ მანდ რო როცა ურემები მოდიოდეს, გვიბოძოთ, ღთნ თქვენი თავი და სიკეთე ნუ მოგვიშალოს, მაგისთვის არ მოგვეხსენებინა, რომ მაგისთანა რამეებსათვის თქვენ ვაისარჯოთ და მანდიღამე გვიბოძოთ. მოგახსენეთ, რო შეიტყოთ ნება თქვენია, რაც თქვენგან წყალობა იქნება, ყველა კეთილია და მადლობით მივიღებთ.

აბა ბატონი რო მობძანდა, აქ ყველა რამ ხორავმაც ფასი დაიკლო, თუ კიდევ ის ოხერას განჯისკენ არ გაიტანენ. ჯერ ბატონს ხო უაღაღა უქნია, მაგრამ არა მგონია, თავი დაიჭიროს; კიდევ გაიტანენ: მკითხავი ან პატრონი ვინ არის.

კიდევ მცხვენია და ხაჯალათსა ვწევ რო ამისთანა ცუდი რამეებისათვის თავს გაწყენთ; ჩვენგან არ გეკადრებათ, მაგრამ უღონობით მოგახსენებთ. ვიცით რო იმდონი მოწყალე ბძანდებით, რო არ გეწყინებათ, აქ ბანბა და სამოსელი დიად ძვირად არის, სამიოთ სამოსელი და ორიც წითელი ლენი გვინდა, არ ვიცი, მანდ წითელ ლენსაც ვააკეთებენ თუ არა. თუ იყოს, უბძანოთ ბ წითელი ლენი რო თითო შვიდ აბაზამდინ ფასი იყოს და გ. თოფი სქელი სხვილი სამოსელი რო თითო ექვს აბაზამდინ შვიდაბაზამდინ ფასი იყოს, ასყიდვინოთ და გვიბოძოთ და ჩვენი უკაცრაობა გვაჩუქოთ.

გ. რუბი ილი ამ წიგნის მოძტანის ხელით მოგერთმევათ, შიგ ქალაღი ცოტა ბადიანიც არის.

კათავის იე ქქს უბდ უბედურ ქალაქს. მათი უბედური და დიდად შეწუხებული მონა სტეფან ტერ-შამოვანოვ. 1 გვ-ის recto-ს აშაზე: ჩვენს საყვარელს ელისაბეტს, ჯიმშერს, ელისოს და თვალის სინათლე დავითს მოკითხვისათვის მადლობა და სიყვარულით მოკითხვას მოგახსენებთ.

2-გვ-ის verso-ს აშაზე: ჩვენი ალა ფითოაანთ და ისაია თუ ანშანანთ არუთინა მოკითხვა, სამსახურის ნატრა მოგახსენეს.

№ 6. 1796 წ. 22 აგვისტოს წერილი შიოშ ფუმანიშვილისა მანუჩარ მდიენისადმი. დედანი, დაწერილია მხედრული რუხი ფერის ქალაღზე. ზომა: 26×13,5 სმ.

საქ. ც. ა. ფ. № 226 საბ. № 3546.

ჩემო კელმწიფევ!

ქ. შეწუხებულის გულით ერთი კვირა იქნება, რომ წიგნი მოგართვი და თქვენგან ჯერაც პასუხი არ მიმიღია. იფიქრეთ რას გუნებით ვიქნები და ან როგორი სიცოცხლე მექნება. გევედრები, რაც ჩვენი სასიხარულო ამბავი იცოდეთ, არ დამიგვიანოთ. სხვა ამბის მოწერის გონება არა მაქვს, თორემ მრავალი საკურველი საქმე გამოცხადდა სოლომონ მდივანბეგისაგან და უფრო ამიტომ არ მოგახსენე, რომ არ გარდაწყვეტილა. და თუ ღთი მშვიდობას მოგვცემს, ყველას მოგახსენებ. პატრი უფროსს ბატონმა წიგნი მოსწერა და მდიენის მოვლაზე დიად გააბეჯითა და ბატონმაც მოკითხა. არ ვიცი, რას გონებითა ვსწერ ამასა უბედური.

1796 წელს აგვისტოს კბ, მდაბალი მონა შიოშ.

(recto-ს განის აშაზე):

მილახვარმა და ალაღუამ მდივანს მრავალი მოკითხვა და სამსახურის წადილი მოახსენეს, მილახვარმა თქვენც მოგახსენათ მოკითხვა. ალაღუამ მდაბლათ სამსახურის წადილი მოგახსენათ.

№ 7. 1796 წლის წერილი შიოშისა სულხანისადმი. წერილი ხელმოუწერალია. აღრესატი დადგენილია შინაარსისა მიხედვით. წერილი დაწერილია შიოშის ხელით. დაწერილია ცისფერ ქალაღზე.

ზომა: 34×14 სმ

საქ. ც. ა. № 226. № 3565

ჩემო კელმწიფევ!

ქ. კბ. მ თქვეს დაწერილი თქვენი წიგნი მივიღე, რომელმაც მრავლია მწუხარებისაგან შეპყრობილი გული მხიარული მიყო. ამისთანა საშინელი ავადმყოფობები რომ შეხვედრია, ჭეშმარიტად ღნს მოწყალება ყოფილა, თორემ დიდის განსაუდელისათვის მიუცივართ სოფელს. ღთნ დაგვიხსნას ამ მოუთმენელის მწუხარებისაგან. ჩემი ამბავი რა მოგახსენო. დიდათ შეგებრალეები რომ მნახოთ. თუმცა თქვენის წიგნით ამბავი არ მაკლია და ჩემს გულს ნუგეშს ვაძლევ, მაგრამ მწუხარების ტანჯვა გულს არა შორდება. რალა ჩემგან ვედრება და მოხსენება გეჭირებათ. ფარეზით გაუფრთხილდით. ახლა ამის იქით ამისი ფიქრი მაქვს და ვსწუხვარ.

აქაური ამბავი ეს არის — შემოკლებით მინდა მოგახსენო; — ბატონმა რომ მელიქი და მოქალაქენი დაიბარა, თურმე სოლომონ ანდრია დეკანოზის შვილისაგან სხვა და სხვა რიგის მანქანებით, მუხანათობით დაბეზღებული ყოფილიყვენ. (sic) პდ მთიულეთს თურმე მოახსენა ბატონს: (ბატონი გამორჩეული ჰყავთო, ალა მაჰმად ხანთან კაცი გაგზავნილი ჰყავთო, წიგნსაც სწერენო და თუ ამ სამს დღეზე შენს საქმეს არ უშველე, საქმე წასულიაო)!. მასუკან დუქნების საქმეზე მიშკარბაშს და სოლომონს რომ ჩხუბი მოსვლოდათ, გაჯავრებულს სოლომონს ბატონიშვილის გიორგის მაგიერ მეფესთან მისაწერად ერთი შავი გაეკეთებინა რომ მრავლის საშინელის დაბეზღებით აევსო და უფრო ბასტამაშვილის საქმეზედ და უძლიერესი (verso) სიტყვები ეს ეწერა: მოქალაქეები და მიშკარბაში ამბობენო, ჯერ რუსს უყუროთ და მერე ალა-მაჰმადხანს წიგნი მივსწეროთო. ბატონი კახეთს ბძანდებოდეს და იქ იბატონოსო. ბასტამაშვილი ასე ჯანყურად მელაპარაკა, რომ ქვეყანას გაუკვირდაო და თუნდ თქვენი შვილიც არ ვიყო, რადგანაც თქვენი გამოგზავნილი ვარ, ამისთანა ურჩება რად უნდა მჭირდესო. ასე მოუწოდებია სოლომონს, რომ გიორგი ბატონიშვილს ესეები ბატონთან მოაწერინოს. შავი რომ მირთმეოდა გიორგი ბატონიშვილს, არ ეყაბულებინა. ჩუმათ გარდაეწერინებინა, შავი შეენახა და თავისი წერილი ისევ მიეცა. ამაზედ ბატონიშვილი რომ ვერ აეყოლიებინა, მერე მწერლის შვილი გოდერძი ეშოვნა და ბატონისათვის მოეხსენებინა ეს ამბავი: მიშკარბაში იოსებ, ბასტამაშვილი და ნაზარბეგის შვილი გოგია ბატონიშვილთან მოვიდნენო და მოახსენეს — ღიამც მამაშენი არ გვივლის და დაგვლუბაო. შენ მაინც მოგვიარეო. მამაშენმა თავისი მამა რუსეთს გადაკარგა და იქ მოკლაო, რომ მაშინ შენზე უფრო პატარა იყოო. მრავალი ავი სიტყვა არის, სულ მოწერა არ იქნება. ეს ასე მოხსენებოდა შვიდი-რვა თვის უწინ და გოდერძის დაეფიცებინა ბატონი — ნუ გამცემო. ესეები ბატონმა გამოაცხადა, სოლომონ აშკარადა თქვა მოქალაქეების დამბიზღებლად და გოდერძის სახელს არ ბძანებდა და მოხსენებულს სიტყვებს ატხადებდა. და მომხსენებელი თქვენ იპოვნეთო. მე ნაფიცი ვარო. როგორც მოხდა, ვიპოვნეთ და დავიჭირეთ. მოვიდა და კიდევ როგორც დაებიზღებინა, წერილით მოართო და მოეხსენებინა: მართალი მომიხსენებია, სამართალში პირს დაუდგებო. შეიყარა ხალხი და მიშკარბაშის და მოქალაქეთ დაბეზღება და მუხანათობა აშკარად წაიკითხეს. შენი მტერი (ვანის აშიაზე) რაც მწუხარება ჩვენ დაგვიდგა. ვინცავენ ამათი მოყვარენი ვიყავით. გაგზავნა ბატონმა ყდ სამღვდელონი, დარბაისელნი და მეც მოციქულებში გამრია და ფიცით ჰკითხა

1 ეს ფრაზა დედანშიაც ფრჩხილებშია ჩასმული

თავის შვილს გიორგის — მართლა ამათგან ეს შენ გაგიგონიაო თუ არა. სანინელი ფიცი შემოუთვალა: ჩემთან არა უთქვამთარაო და მაშინვე ფიცი ირწმუნა და ბატონი ხათრიჯამი შეიქნა. გოდერძი წამოდგა დე სთქვა: ამ საქმეს ასე ვავარჩევ, ყველანი გაშტერდეთო და წაიყვანეს დაჭერილი.

№ 8. 1796 წ. 30 აგვისტოს წერილი დარჩია ბებუთოვისა მანუჩარ თუმანიშვილისადმი. დედანი. დაწერილია მხედრულით მოყვითალო ფერის ქაღალდზე. ზომა: 35×10 სმ.
საქ. ც. ა. ფ. 226, საბ. № 3553.

მის ბრწყინვალეობას უფალს მდივანს. ჩემს მოწყალეს
კელმწიფეს!

თქვენის ბრწყინვალეობის წიგნი მეზოდა, ჩვენი განმართლება მოგელოცა და გიამებოდათ დიხს ვიცი, რომ ამისთანას ცილისათვის შეგებრალეობდით. უმეტესათ, რომ ბასტამაშვილის ამხანაგობაში ვიყავით.

მისმა უმაღლისობამ ქალაქს გამომიტუმრა მეცა და მოქალაქენიც. გამართლების განაჩენი მე მიზოდა, რომელსაც პირს აბასოლომას კელით მიირთმევ და ჩვენი სამართალი იკბას კელით მოგვივა, მაგრამ მგონია მაგდენი არა დაგვიდგეს რა: ყმა და მამული ფარნაოზ ბატონისშვილმა წაიღო, სახელოები თავისმა პატრონებმა. ამას გარდა უმაღლისობას თხოვს სამართალს უგანათლებულესობა და ჩვენ რაღა გვერგება.

მომილოცავს მის უმაღლისობის წყალობა თქვენი სახელოს რუსუმის ნაკლების ისევ ბოძება. ღთ იმის ერთგულობაში მოგახმაროსთ. სოლომონ დეკანოზის შვილმა ყაბზი მომცა, რომ ამ რუსუმის სიგელი აქ თავის სახლობას და შიომშას გაუგზავნე. ესეც ასე მოგხსენდეს. სოფელს არა გაუკვირდება რა.

გარსევანის დაჭერის ამბავს შეიტყობდით—ისევე აუშვიათ. ყაზახის ჯარი დაებარებინა. დღეს ხუთი დღე არის, რომ წავიდნენ. ღთ ამ სამსაოდ დღეში უნდა გაჩნდეს, აქაურს ამბავს იმასგან ველით, თორემ სხვის წიგნებისას მოგახსენებდი. სწორე იმას ეცოდინება. ალა-მაჰმად-ხან ბაშათის მხარეს არის, ჯერ ახლო-მახლო იმისი არა ისმის-რა.

ჩემს მოწყალეს უფალს მდივანს სამსახურის წადილს მოგახსენებ და კდ მოულოცავ.

თქვენის მშვიდობის ამბავს მიბძანებდეთ,
მარადის თქვენის ბრწყინვალეობის სამსახურის მწადეს. მღაბალს
მონას. დარჩია ბებუთოვი.

1796

აგვისტოს 30

ტფილისს

verso-ს განის აშიაზე—: ჩემს მოწყალეს გივს თაყვანისცემას მოგახსენებ.

საბუთის ბოლოს: ბატონს მდივანს მანუჩარს მიერთოს.

№ 9. 1796 წლის 31 აგვისტოს წერილი შიომ თუმანოვისა სულხან თუმანოვისადმი. დედანი. დაწერილია ცისფერ ქაღალდზე მხედრულად. ზომა 24×11,5 სმ.

საქ. ც. ა. ფ. 226, № 3380

ჩემო კელმწიფევ!

ქ. ვმადლობ ღმრთსა რომ თქვენი მშვიდობით მორჩენა გავიგონე და ამას იქით ფარეზით გავრთხილებსათვის გევედრები.

მომილოცავს ბატონის წყალობა: რაც ძველი და ახალი მდივნობის სარგო დაკლებული გქონდათ, სრულად გიბოძათ, რომლისაც თქმის პირი ბიძიჩემის წიგნში არის და სოლომონის ვითარებაც იმის წიგნში სწერია. ვითხოვ უმდაბლესად გონება ტანჯული თქვენის აღწერილის წიგნით განმანათლოდ და ამ მწუხარებისაგან თავისუფლება მომცეთ. ჩემო კელმწიფევ.

მდაბალი მონა თქვენი უღირსი ძე შიომ

თუმანოვი.

1796 წელსა

აგვისტოს 31 თელავით

განის აშიაზე მიწერილია:

ქ. მილახვარმა იოსებმა და ალალოამ მრავალი მოკითხვა მოგახსენათ. მილახვარმა: კარგი კალატოზი ვყოფილვარო.

ქ. ჩემს მწყალობელს ბატონს მდივანს სამსახურის ნატრას მოგახსენებ. ვინც ორმო ვამითხარა, ღთით თვითან ჩავარდა ასეთს რიგათ. ამოსვლა გაჭირებულა. დუშმან ფათოლდი. თქვენი მშვიდობით მორჩენა მომილოცავს. ბებუთოვი იოსებ.

ქ. თუმანოვს (მდი)ვანს სულხანს მიერთოს გორს.

№ 10. 1796 წლის 8 სექტემბრის წერილი შიომისა მანუჩარ თუმანიშვილისადმი. დედანი, დაწერილია რუხ ქაღალდზე. ვანკვ. ნიშნად ნახმარია შიგადაშვიგ თითო წერტილი.

ზომა: 22,5×13 სმ.

საქ. ც. ა. ფ. 226 № 3379

ჩემო კელმწიფევ.

ქ. რაც აქაური ამბავი იყო, როდენ შეიძლებოდა გარჩევით მოგწერეთ და ის წიგნები ოქრომჭედლის შვილს დავითს გამოვატანე და აქამდინ მოგერთმეოდათ. სხვა რაც ახალი ამბავი იყო გარსევანისა, მდივანს მოგახსენე და თქვენც მოგხსენდებათ. კზ ოკდომბერს დაწერილი თქვენი წიგნი მებოძა, წმინდა საფლავისა და მეფის ირაკლის მზის ფიცით მდივნის მორჩენაზე ხათრიჯამი გავეხადე, როგორც ამით ჩემი გული გაამხიარულეთ, მადლობის მოხსენება არ შემოძლიან.

ღვინო ვებძანებინათ, ათიოთ თუნგი გარსევანის ღვინისა მდივნისათვის გამოგზავნეთ. თუ წამომღები იყოს, ოცს თუნგსაც გამოგზავნი. მაგრამ აქედამ ვინ წამოიღებს. დიდის ზევწით და გაჭირებით ერთი ტიკტორით გარსევანის ღვინისა ამ მახატელს გამოვატანე ლაქით დაბეჭდილი. ქალაქსაც არის. სამის კაც (verso) ისათვის მომიწერია, იქიდამაც მოგერთმევათ ღვინოები.

პურის შოვნა ვებძანებინათ, იმაზე მეტი არა მოხერხდებოდარა. ჩვენის ყმების სურსათი ჩვენთვის აიღევით სარგოს გარდა და სარგოყსაც მთლად აღებას ეცადენით. ჩვენის ყმების სურსათის ბარათი გივისათვის მომიწერია ბატონის შვილს იულონს გამოართვას, რომ რასაულმა კელი აიღოს. როგორც იქნება ან-

ნალთუნი და 1 აბაზი). ასე. ავთანდილას შვილი წინაზე გიახლათ. ვაძლიეთ, ვერ წამოიღო. ამ წიგნის მამტანის ხელით გაახლებთ. ორი-სამი ურმის ქვილის ჭურჭელი გებძანათ დავამზადოთ რო ამ თვის გასულამდინ გვიბოძებთ. ანბარი ან ტომარა ლო არა გვაქვს, ძავრამ გოდრები გვაქვს. რამითიც ქვილი რო გვიბოძოთ, ადვილი გვექნება და დავალაგებთ.

შაქარას და ქართველი იოსეფას მოცემული ა ყალამქარი და ა მოვი ამ თვის კვ გურგინბეგანთ სტეფანას ხელით გვიახლებია. ყასაბაც იმედი გვაქვს რო გავმოვართოთ და გაახლოთ.

ბატონისათვის მოგახსენებენ, რო ამ კვირაში უნდა ჩამობძანდეს, რო წაბძანდეს ყაზახს რუსის ჯართან გაერთდეს.

(verso)

ოსეფ ვართაპეტას წერილით რუსის ჯარი ამ თარიღში უნდა მოსულ იყვნენ ტკერის ნაპირას. სხვა ახალი ანბავი არა არის რო მოგვეხსენებინა.

სულთნისა შვილი მანუჩარ გიახლებოდათ, ბიჭის ნაბადი იმას გამოვატანეთ. მოგერთმევათ.

თქვენი წიგნის მამტანი კაცისათვის რო შაბუდალანთ ვაყებს გებძანებინათ, ერთი თუმნის ფარჩა მისცენ, უკისრიათ რო რაც უნდოდეს, აძლიონ.

ყარა ანტონის შვილს ის სამი თუმანი ჯერ არა მოუცია რა. მაჭარი არ გამოიყენიათ, როცა გავყიდი, თეთრს მოგცემო. ღონ იცის.

ბატრი უფროსი მობძანდა. თქვენი წიგნი არა ქონდა. არ ვიცით, ხელთუბანს გამოივლიდა თუ არა.

განჯის ურმები ჯერ არ მოსულან. მოელიან და არ ვიცი მართლს არის ურმები მოსასლელი თუ არა.

ჯარი დიად კარგა მუშაობს. კაის ღროს ასე არ მუშავნია. ასე კვირა არ გავა, რო ერევენიდამ, ყარსილამ თუ ახალციხილამ ქარავანი არ მოვიდეს. ვინც საქონლის მომტანია, სულ ბაჟის მიმცემნი არიან. ბანბაც დავარდა. ლიტრა ჩღ (1 მან. 70 კაბ.) ასე გაყიდეს. მოგახსენებენ, მგონია, რო უფრო დაიკლოს.

მათი მდაბალი მონა უბედური სტეფან ტერ-შმოვანოვი.

ღვინობისთვის კვ. ქქს უბდ. კვირას

მინაწერები განის აშიაზე verso:

ისაია, თუ ჩვენი ქალები, თქვენ, თუ ელისაპეტს მოკითხვა და მადლობა მოგახსენეს.

ოჰანეზა, დავითა, აფრიამა თქვენ, თუ ელისაპეტს ხელზე კოცნას მოგახსენებენ.

recto

ჩვენს საყვარელ ელისაპეტს, ჯიმშერს, ელისოს, სანატრელი დავითს სიყვარულით მოკითხვას მოგახსენებთ.

თქვენმა სიდედრემ (sic), სოლომონამ, შუშანამ, რძალმან თქვენ, თუ ელისაპეტს, თუ ყმაწვილებს სიყვარულით მოკითხვა და მადლობა მოგახსენეს.

№ 13 (1796) 1 დეკემბრის წერილი სტეფანე ტერ-შმოვანოვისა მანუჩარისადმი. დაწერილია ლერჯ ქალაქში. თარიღი არა აქვს, მაგრამ 1796 წლით უნდა დათარიღდეს: ჯავახიანმა განაა რუსს უომრად დაუთმო 1796 წ. ნოემბერს (П. Бутков, Материалы... т. II, стр. 412) ამის მიხედვით თარიღდება საბუთი 1796 წლით.

ზომა: 21×13,4 სმ

საქ. ც. ა. ფ. 226. № 5183.

ჩემო მწყალობელო ხელმწიფევ

ქ. ამ თვის კ გოგია მეურმის ხელით და კვ ერთი ვაჟი გიახლათ, თქვენი წიგნების პასუხი, ჩვენი თუ აქაური, ყველა აფალი მოგვიხსენებია და ამ თარიღამდის არც ერთის პასუხი არა მაქვს. ასე რომ თორმეტი დღეა თქვენგან წიგნი არ მინახამს. არ ვიცი, მიზეზი რა არის. ჩემი საცოდავი ლალისაგანაც მოსული წიგნი იყო, ისიც ამ თვის კვ-ში მიახლებია. რო წაიკითხოთ და ისევ ჩვენვე გვიბოძოთ. დარაია რო გებძანათ. იმ ფერებისა ვერ ვიშოვნეთ, არც რეზდისა, არც თავრეზისა.

ხარაზი ავეტიქას შვილი სტეფანასი რო გებძანათ, სწორეთ აგრე არის, რაც თქვენ გიბძანებიათ. უზბაშის შვილი შაქარასი ხო მამიხსენებია, რო ცივი პასუხი მამცა. — არაფერის შეძლება არა მაქვსო და გოგია ნაზარბეგის შვილმა, რამთონჯერ მინახამს, უთქომს—კარგია. არ ვიცი, რამეს მამცემს თუ არა. **ლთნ იცის.**

ჩვენი ბატონი არუთენას ავანთყოფობა შავიტყვევით. კიდევ მორჩომილა. **ლთნქნას**, შვიდობიანათ მორჩეს და წამოვიდეს. მაგისა ფიქრისგან მოვრჩეთ. აქაური ანბავი მოიხსენოთ. (verso) **ლთის** მადლით, შვიდობა არის.

რუსის ჯარბე წყალს გამოსულან. ისე რო მოგახსენებენ. ჯავახიანს უთქომს თავისი უფროსი კაცებს რო: მე ასე ვამჯობინებ რო წავიდე, მივეგებო და თავი დაუკრა. ყველას უთქმით თუ: ჩვენც მაგას გვედრებთ. ახლა ტყვილი და მართალი **ლთნ იცის.**

ჩვენი ზურაბის ხელით ქალაქში გახვეული ერთი სტილი ჩაი მოგვირთმევი.

კიდევ მოგვიხსენებია, რო თელავს გასაგზავნი თეთრი ამ თვის კ გამიგზავნია.

ბანბა დაძვირდა. ლიტრა ცუ (2 მანეთი და 4 აბაზი) ასე გახდა. ეს წიგნი დაწერილი მქონდა, თქვენი იმ თვის კვ მოწერილი წიგნი. თუ ლ მოწერილი, ორივე ერთად და კვირას კრაქი ანთებული მებოძა. თქვენი მშვიდობა და რომელიც გებძანათ, ვსცანით. და მადლობა მივეციოთ ღმერთსა. ჩვენი ანბავი მოიხსენოთ, **ლთს** მოწყალებით, ყველანო ცოცხალი გახლავართ. ჩემი ლალის წიგნი ისევ გებოძათ, მოგვივიდა.

ჩვენი ზურაბა დილაზე ადრე გამოსლას აპირებდა. სოსოია ჯერ არ მინახამს. თავის წიგნს მივეცემ და რაც გიბძანებიათ, იმასაც დიად ბეჯითათ ვქნებთ. ისე გოგია ბაზანასაც ვნახამ, რაც ვითხოვნიათ, გამოვართმევ და ვინც გიახლებათ. მოვართმევთ.

ბატონი არუთენას საქმის გარიგება და თავისი შვიდობით მორჩენა გებძანათ. მადლობელი გახლავართ.

მაფრასისათვის გებძანათ, რო როგორც შერიგებულვართ, ფასი ხუთი მინალთუნი მივეციოთ.

ჩემის ლალის დახსნისა ბძანებთ რო თუ მ(4 თუმანი) ასე ე (5 თუმანი) ასე ვარიგდებოდეს. გალაგებული (?)აღარა უქნიათ. ასე რო დაიხსნებოდეს, რა-

ლა ღთის წყალობა მინდა. (განის აშიაზე) ეს კაცი ჯერ აქ არის. ვნახოთ, ღთს გა-
რიგოს. მათი უბედური და მდაბალი მონა სტეფან ტერ-შამაგანოვ. დეკტენბერის
ა.

ჩვენი ქალია, ოპანეზა, დავითა და აფრიამა თქვენ თუ ელისაპეტს ხელზედ
კოცნა მოგახსენათ.

(recto-ს განის აშიაზე):

ჩემს საყვარელს ელისაპეტს, ჯიმშერს, ელისოს. სანატრელ დავითს სიყ-
ვარულით მოკითხვა, ნახვის ნატრას მოგახსენებთ.

თქვენმა სიდედრემ, სოლომონამ, შუშანამ, რძალმა თქვენ თუ ელისაპეტს
სიყვარულით მოკითხვა და მადლობა მოგახსენათ.

№ 14. 1797 წლის 20 იანვრის წერილი ოპანეზასი მანუჩარისადმი. დაწერილია მხედრუ-
ლად თეთრ თხელ ქაღალდზე. დედანი ა-მეტია. განკვ. ნიშნად ნახმარია თითო წერტილი ყო-
ველი სიტყვის შემდეგ. ზომა: 13×11 cm.

საქ. ხ. ი. ფ. Sd № 3611

მანუჩარ დივნის

ქ. ღთს ბატონი¹ ჭირი მოსცეს მათ სამსახურის მონატრეს ოანეზას. მერმე.
ბანდისათვის წიგნის შაფალათი გექნა, მამივიდა. რაც გებძანა, ყველა შევიტყე
რატომ სარწმუნე არა ბძანდები. მე შენთვის თავს არაზე დავზოგამ. აქ საყიდელი
იშოებოდეს, არ გიყიდო და არ მოგართვა?! უშნოთა ნაყიდი, ვიცი, არ ვიამე-
ბა. ღთს ერწმუნე და სხვათა კითხე, რაც ეს უსამართლო რუსი ჩაგვიდგა. აქა-
ურობა ყალბანდი გახდა. აღარც სოფლიდამა გაიარა ვაჭარი. ოსი სულ დაფთხა.
რაც გებძანა, ყოველის შოვნა მინდოდა (verso) მეყიდნა და მეახლებინა. ვერა
ვიშოვნე რა. თქვენ სამღურავს იწერებით. ღთს ერწმუნე, ოთხი აბაზი არის ყვე-
ლის შოვნა არ არის; ხუთი აბაზი არის ერბო. არ არის; სამკრხო გებძანა — ავი
მოგწერე, — არ იშოება. ამ ყალბაყალით არავინ მოდის სოფლებიდან რომ მე-
შოვნა. ფ (10 შაური) არის ყვერული, არ იშოება. ქათამი ცუდი ს (1 აბაზი),
არ იშოება. ამისთანა ყალბადში ვართ. ოსი სულ დაფთხა, სოფლებში შინ უდ-
განან — ეს რუსის ჯარი იმიტომ არავინ მოდიან. თორემ იშოებოდეს, რო-
გორ დავზარდები. შენის თეთრითა შენ გიყიდო, ჩემი გარჯა დავზოგო, რა ვქნა
ნასყიდას პირითაც მოახსენე.

recto, განის აშიაზე. სხვა მელნით: ქ. გასპარასი იკითხო. ღილა დაშვებული
გაუშვია, სამღებრო დაკეტა, თელავს წავიდა. რო მომეწერა ოქმი გაგერიგა. ჩე-
მის ღისა ამილახვრის შვილზე, იმას ამისი მოხმარება არ შეუძლია. ოქმი მანდავ
მიახლებია. (გრძობლება verso-ს აშიაზე) იანვრის :კ: ქქს უბე.

საბუთის ბოლოს: ქ. ბატონ მანუჩარ დივანს მიერთოს

№ 15. 1797 წლის 1 თებერვლის წერილი სულხან თუმანიშვილისა მანუჩარისადმი. დაწერილია მხედრულით მოყვითალო ქაღალდზე.

ზომა: 27×13,5 სმ

საქ. ც. ს. ა. ფ. № 1448 საქ. № 2464

ქ. მე რომ მანდედამ წამოველ, შენ მიზეზიანად გავიშვი და არ ვიცი ახლა
ღთით როგორა ხარ. შენი ვითარება მაცნობე. ჩვენ ღთით ყველანი მშვიდობითა
ვართ. სოლომონ არღუთოვი და იმისი ძმა მოვიდნენ ზუბოვიდამ. კელმწიფეს
ისევ ზუბოვისათვის უბძანებია სპარსეთის ლაშქრობის საქმე, და ზუბოვი ღიღს
სიხარულში შესულა, რომ არ გამოუცვლიათ. და აღა-მაჰმად ხანის ძმა მურასა-
ყული ხანიც ზუბოვთან არისო.

¹ დატოვებულია ადგილი სახელის ჩასაწერად.

წისკვილის ქვის ზომა გამოგზავნე. ეგების თეთრი ჩავეგდოთ ხელში, წისკვილის ქვა ვიყიდოთ, რომ ეგ წისკვილი აუბრუნებელი (აშაზე) არ დაგვრჩეს. სირცხვილად ესეც კმარა, რომ ქვრივმა და ობოლმა შეიძლო და ჩვენ ვერა. ამდენ ხანს შევსცქერით რომ იმისი ბრუნავს და ჩვენი (verso) კი არა. ეს რა მიზეზისგანაც არის, მე დიად კარგა ვიცი. სხვას შენის მშვიდობის ამბავს ნუ დამავალებ.

თებერვლის ა ქეს უბე

verso-ს აშაზე იგივე ხელით მიწერილია:

ქ. ღთით გორ[ს] მსნ[უხარ] მდივანს მიერთოს.

№ 16. 1797 წლის 3 თებერვლის წერილი სტეფანე ტერ-შმოვანოვისა მანუჩარისადმი. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე

ზომა: 19,5×16,5 სმ

საქ. ც. ა. ფ. 226. № 3385

ეს წიგნი, რამთონი დღეა დაწერილი მქონდა, არავინ გახლდათ რო მამერთმევიცა.

თქვენი ამ თვის ია და კგ მოწერილი წიგნებიც ამ თვის კვ მივიღევი. რომელიც გებძანათ, ყველა ვისცანით და დიდი მადლობა მოგახსენეთ. ჩვენი ანბანი მოიხსენოთ, ყველანი ცოცხალი გახლავართ. ველაქნურის მორთმევა გებძანათ. დიად კეთილი ხამი კაცი იყო. დიად ვერდიდობდი, ვაი თუ არ მოგართვას. დავითნი მთელი ან ტიტრი იყოს, არ გვინდა. ა. კანონიანი გვინდოდა, მოგახსენეს, თუ მანდ არის; რათგან არ არის, თქვენ კარგათ ბძანდებოდეთ. ჩინაგლუხარისათვის წინაზედაც მოგვიხსენებია. რო არც სულ არ არის; ლილისათვის როგორც გებძანათ, შავიტყევით, მოგვიხსენებია, რომ ნახევარი გაჰყიდა ათიოდ ლიტრა ძლივ იქნება. მე იმედი მქონდა როგორც მამეხსენებინა, ის, მანდ ხელიდამ ამოიღებთ. აქაც სხვას არავისა აქვს. არც მოვა. ამ ხანათ ზედა გზები შეკრულია, მგონია კარგა ფასიც მოემატოს. ცოტა ხანი თუ მოიცადა, აქაც გასაღდება. თქვენ კარგად ბძანდებოდეთ. ეგ ორი სოფლის (?) ფასი გებძანეთ აქ მივცეთ, სხვა თითონ იცის.

ზაალ ყაფლანის შვილისათვის მიცემული ელისაბეტს ზოგი რამისთვის გებძანათ. ნება თქვენია, მაგრამ კაბა კი იაფათ მიგიციათ. ხეირი ნახოს. მაგრამ ღონქნას დანარჩომი იდ თუმნისათვის არ გალაპარაკოს და ნაჭერი დიბა ან ყურის ბალიში არავისა აქვს. ის მაშინდელი ო ადლი დიბა დაჰკარგვიათ. აღარ იყო იზ (17) თუმანი მზათ რა თეთრი არის იმისი გებძანათ. ამ დროს უფირავოდ ვის უნდა ენდოს კაცი. იყოს; ამის იქით ვნახოთ. ღორის ქონის და ხორცის გებძანათ, რაც რუსის ჯარი მოვიდნენ, ხორცი თუ ქონი აბაზათ გახადეს. და ახლა ხო არც სულ აღარ იშოვება.

(verso) სამარხოსათვის ბძანებთ, რო რაც ურმები წამოვა, გვიბოძებთ. ღთნ თქვენი თავი დიდხანს გვიცოცხლოს. მაინც თქვენი ცოდვანი გამხდარვართ. ნება თქვენია. მაგიერი ღთისაგან მიიღოთ. თქვენ ის ძველი მაფრამაც გვიბოძოთ, პატრონმა ძალიან ბეჯითათა გვთხოვს. ილაჯი აღარ გვაქვს.

გუდლოვიჩის წასვლა თუ სიკვდილი, თუ სხვა, სულ გამტყუნდა. ისევ თვის პატივზე არის. იმაზე მეტი: რო აქეთგან გამოსული მთელი ჯარის უფროსობაც ამ ყოვლად მოწმალე ახალს ხელმწიფეს იმისთვის უბოძებია და ზუბოვსაც დაუბარებიათ: ასე მოგახსენებენ, ალა მაჰმად-ხანის ძმაც ზუბოვთან

არის. ვართაპეტას ძმისწულები სოლომონ და მიორემ (?) ზუბოვთან არიან. იმათ მოელიან. დღეს-ხვალ უნდა გამოჩნდნენ. სწორეს ანბავს იმათ მაიტანენ. სხვა მაგისტანს ახალი ანბავი არა არის რა.

აქ ჩვენ რა .ა. საქათბე დ+ადლი ზარის მახმარი გვაქვს, მოსკოვს თ^ზხ (9 თუმანი, 6 მინალთუნი) ასე ნაყიდი, ეგება მანდ ვისმე მოუნდეს ან მთხოველი იყოს, გვიბძანოთ, გაახლებთ. ეგება გაჰყიდოთ, დიად დაგიმადლებთ. ბატონი თქვენი ძმა მდივანი მობძანდა. ვართაპეტა აპირობს მიორემ კვირას გიგს დააქორწილოს. დიად ბეჯითათა დგას. მდივანს მოციქული გაუგზავნა. მერმე თვითონ თავისი პირით მოახსენა. ჩემს მძახალსაც დაიბარეთო. მდივანმა არც ჰო, არც უარი არა მოუხსენა რა. და მდივანმა ბძანა თქვენი შეუძლებლობა. რა საკურველია, რო ასე შეგონა, ქვეყანა თავზე დამექცა. თქვენი სიდედრი, თუ შეეჭყო, ნაღვლით მოკვდება. უიმისოთაც ნაღვლით სულ გდია, რადაც ემიზეზება. ღთის გულისათვის თქვენი შვილობის ანბავი გვიბძანეთ და გვაცოდინეთ. ჩვენ რალა მეტი ნაღველი გვინდა.

ეს წიგნები რამითონი დღეა დაწერილი მაქვს. მე აგრე ხშირათ ბაზარში აღარ დავდივარ და მანდეთ მამსველელი ვერ მიპოვნია, რო გაახლოთ.

ვართაპეტას ძმისწულებიც მოვიდნენ. კაი ანბავი მოიტანეს. ყოვლად მოწყალე ახალს ხელმწიფისგანაც ბძანება მოსულა ისევე ზუბოვზე. როგორც უწინ ჭონია, ჯარიც მოუმატებია. სხვა თუ მანდ რამე ჭორი მოგხსენდებოდესთ, ნურას დაიჯერებთ. სულ ტყვილი ანბავია. ღთთ ყველა კაი ანბავია.

თებერვალს: გ:ში ქკს უბე მათი უბედური მდაბალი მონა
სტეფან ტერ-შმოვანოვ

recto-ზე, ვანის აშიაზე მიწერილია:

უზბაშის შვილი ისაია მანდიდამა გაახლათ თავგსი წიგნიც. ჩემი წიგნიც წავაკითხე. ჰოდა უფრო კაი გირავო არ უჭირავს ხელშიო, ბალი. სხვა მე არაფერი შეძლება არა მაქვსო ჯერ ამ ხანათ. ამას იქით ღთნ გაარიგოსო. ამისთანები მიპასუხა. ნება თქვენია.

№ 17. 1797 წლის 3 თებერვლის წერილი სტეფანე ტერ-შმოვანოვისა მანუჩარ თუმანი-შვილისადმი. დედანი. რუხი ფერის ქაღალდზე მხედრული ხელით ნაწერი. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. ზომა 20×17 cm.

საქ. ც. ა. ფ. 1448 № 2527

ჩემო მწყალობელიო ხელმწიფეც!

ამ თვის ით ყაფლანის შვილის ზალბეგის ხელით წიგნი მოგართვი და აქაურო ყველა აფალი თუ თქვენი წიგნების პასუხი მომიხსენებია. და ქართველი იოსეფას მოცემული ა ყალამქარი, ა. ყირმიზი მოვი და ჩემი ნასყიდი ა დიდი ალი დარაია ქაღალდში შეკრული და დაბეჭდილი, ზედ თქვენი სახელი დაწერილი, ზალბეგის ხელით მიახლებია. იმედი მაქვს მოგართმევოდესთ.

თქვენი ამ თვით ით და კა მოწერილი ბ რიგობა წიგნი კ და კვ-ში მივირღევი. თქვენი მშვიდობა, მერმე რომელიც გებძანათ, ყველა ვისცანით და მადლობა მოგახსენეთ.

ალექსანდრე ბატონიშვილის მსახური ანანია ამ თარიღამდინ არც თითონ მოსულა, არც მისი წიგნი და ა კანონიანი დავთარი და ა ტიტრი მამსლია. არ ვიცისად დავგვიანებულა.

ისაი გარდუკეტას შვილი აქ არ გახლდათ. კიდევ მანდეთ წამოსულიყო. რა-
ცა ვიხსენებთ, თავის წიგნს მივცემ და, რაც გიბძანებიათ, ისე ვეტყვი და ველ-
პარაკები. ვნახოთ რა გამოვა.

ბატონს თქვენს დისათვის თალხი შალი რო გებძანათ, მთელი ქალაქი ვა-
ტარე, თქვენმა მზემა, ვერ ვაშოვნივ. ჩ ა მ ჩ ა, ქ ა ფ ჩ ი თ უ ა რ უ ბ ი წ -
თ ე ლ ი ხაიათი მზას არის. ვინც მომტანი გამოჩნდა, გაახლებთ, ყვითელი ღარა-
იას ნაჭერი გებოძათ და გ: ჩარქი იმის გებძანებინათ. ესეც ვერ ვაშოვნივ ამ
ფერისა.

რა დიბის ნაჭერი და ყურის ბალიში ბძანებთ? ის წიგნი არ მამსლია, მაგრამ
არც ერთი არ არის და ვერ ვიშოვით. შაბუღდანთ შორის (?) და გოგიას კი-
დევ ვნახე, უთხარ ცხენის ჩული და მატყლი გვიყიდნია, მიმტანი ვერ გვიშო-
ვნია, რო გაუგზავნით. წამსლელი მეურმეც იყო. ვაჩვენე. გეონია რომ მოუტო-
მევიათ. პაპა ჯერაც თათრებში არის, არ მოსულა.

რაც ის უკანა ლილა გვიახლებია, დ რიგობა წიგნი გიბოძებიათ, და მინდლე-
ში აღარა ბძანებთ და სახელსაც არ ახსენებთ. არ ვიცი როგო საქმეა. თუ რომ ვედ-
რებით და ბეჯითათ მოგახსენეთ. რომ ჩალი გვაცოდინოთ. მაგისი მლოდენი
ვართ. ნაჩევარი აქ გაუყიდნია, ისიც თუ არ იქნება, სხვა ფიქრსა ვიქო. ამ კაცს
გავისტუმრებთ. გზებაც შეიკრა. წამსლელ—მომსლელიც აღარავინ არის. ლი-
ლაც დაძვირდება. მახლას, თუ მოგიციათ დიად კარგი. თუ არა. დროიან გვიბ-
ძანეთ. შავიტყოთ.

ის ძველი მაფრანსის პატრონმაც აჯიზი უქნია, თხოულობს, პალბათ გვიბო-
ძოთ, მივცეთ, მოვრჩეთ.

გარსევანსაც ისტუმრებენ ყოვლათ მოწყალე ხელმწიფის კარზე. ასე რო
გვემსის, ამ ხუთით დღეში გეონია წავიდეს.

ყველი და ერბოსი გებძანათ, რო ვიყიდოთ. ამ ხანათ ჯერ ხო ძალიან ძვი-
რათ არის, არა თუ მარტო ყველი და ერბო. ყოველი რძე ცეცხლის ფასათ არის.
ხორცი ტ (6 შაური). ასე. ერბო შ (18 შაური) ასე. ყველი ქ (3 აბაზი) ასე. თაფ-
ლი ჩ (1 მინალთუნი) ასე. ზეთი ჩ (1 მინალთუნი) ასე. ყოველი რძეც ამ რიგათ
იცოდეთ. (თუ) ამის იქით მოვა და დავარდება, ღონ იცის. ტერ-დავითამ წიგნი
მამცა, რო ამ წიგნით მოგართვით. ის ამ თვის ით-ში ჩემი მორთმეული წიგნი და
ამანათისათვის მოგვეხსენებინა, თუ თბილელის ყმა სიმონას ხელთ მოგვირთ-
მევია, მაგრამ ის აღარ წამოსულიყო და ზალბეგისათვის მიეცათ. ქართველი
დავითა გახლავსთ, იმის ხელით მორთმეულა. ასე მოიხსენეთ.

ქკს უბე მათი უბედური და მდაბალი მონა
თებერვლის გ. სტეფან ტერ-შმოვანოვი

განის აშიაზე მანუჩარის ხელით მიწერილია: ჩვენს საყვარელ ელისაბეტს. ჯიმშერს.
პატარა ელისაბეტს. სანატრელ დაუთს სიყვარულით მოკითხვა მოგახსენებთ.

თქვენი სიდედრი, სოლომონა, რძალი შუშანა თქვენ, თუ ელისაბეტს სიყვარ-
ულით მოკითხვა მოგახსენეს.

ჩვენი ტერ-გრიგორა, ჩვენი ქალები თქვენ, თუ ელისაბეტს ლოცვა-კურთ-
ხევა და სიყვარულით მოკითხვა მოგახსენეს.

ქალია, ოპანეზა, აფრიამა, დავითა თქვენ. თუ ელისაბეტს ხელზედ კოცნა
მოგახსენათ.

№ 18. 1797 წლის 22 თებერვლის წერილი სტეფანე ტერ-შმოვანოვისა მანუჩარ თუმანი-შვილისადმი. დედანი. მხედრული ხელით ნაწერი რუხი ფერის ქაღალდზე. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

ზომა 21,5×11,5 cm.

საქ. ც. ა. ფ. 1448. № 2545.

ჩემო მოწყალე ხელმწიფევ!

ამ თვის კბ ყველა ავალი თუ თქვენი წიგნების პასუხი მოგვიხსენებინა და მიგვეცა პატრისათვის და თქვენი ამ თვის იშ და კ თქვენი მოწერილი წიგნები ამ საპათში მივიღევი. რაც გებძანათ, ვისცანით და ყველას პასუხი გარჩევით ვედარ მოგახსენეთ. ამას იქით მოგახსენებთ და რაც გიბძანებიათ, რომელიც ვიწოვნეთ, გაახსენებთ. და ბაბანას ბარათი გებოძებინათ. დღეს ხო კვირა იყო და ხვალ ვნახავ. მაგრამ ეს საწყალი სულ ხუთი მინალთუნისა არა აქვს რა დუქანში. შექარისა რა მოგახსენო, მაგრამ ჩაი გირვანქა ჭ (5 მინალთუნი) ასე არ იშობა. რუსები დადიან ჩაისთვის, ვერ უშოვნიათ. იმას ვინ მისცა ჩაი! ვნახოთ რას მეტყვის. ამ თარიღში შექარი სტილი ტ (6 შაური) ასე აძლევენ, ნიგოზი ლიტრა უ (2 აბაზი) ასე აძლევენ. ზეთს აქ მომტანი არავისა აქვს და მედუქნებისაგან ჩრ (1 მინალთუნი და 2 შაური) ასე გყიდულობთ. მანდ ქ (3 აბაზი) ასე გებძანათ. როგორც იყოს ერთი ათით ლიტრა გვიბოძეთ.

verso-ზე: ა ოყა ლილაც მოუტანია; ჯერ არ მოუცია, გამოვართმევთ recto-ს ამაზე მიწერილია: ბატონი სტეფანას პურისათვის გებძანათ, როგორც იყოს, უნდა უშოვოთ და იყიდოთ.

თებერვალს კბ კვირას. მდაბალი მონა სტეფან ტერ-შმოვანოვ

№ 19. 1797 წლის 22 თებერვლის წერილი სტეფანე ტერ-შმოვანოვისა მანუჩარ თუმანი-შვილისადმი. დედანი. რუხი ფერის ქაღალდზე. მხედრული ხელით ნაწერი. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი.

ზომა 22,5×17cm.

საქ. ც. ა. ფ. 1448 № 2528.

ჩემო მოწყალე ხელმწიფევ!

კარგა ხანია თქვენი წიგნი გვაკლდა და დიად შეწუხებული ვიყავით, მანამ რო თქვენი ამ თვის ია და იზ-ში მოწერილი წიგნი ი ამ თვის ით მივიღევი და თქვენის შვილობით ბძანების ანბავისათვის მოხარული ვიქმენით, და მადლობა მივეცი თმერთსა. ჩვენს ანბავს მოიხსენოთ, ცოცხალი გახლავართ დიდით პატარამდინ.

ყალამქრისათვის გებძანათ. იოსეფს უთხარ, ვისგანაც ეყიდნა მაჩვენა. ერთ თუმნათ მიყიდნია, იმისაც ისე მიმირთმევიანო.

უზბაშის შვილის ისაიას გებძანათ. ნაზარბეგანთ იოსეფას შვილი ყიზლარიდამე მოსულა. აქ გახლავსთ. თავის მამის ვალისა და მამულს უპატრონოს. იმასთან ვლაპარაკობ. ვნახოთ, ეგება ერთრიგათ გარდავწყვიტოთ და ბადის სიგელის ურთუთის მიბარების არა ვიცით რა. ვნახოთ, შავიტყოთ. მოგახსენებთ.

ზარაფხანა დიად კარგა მუშაობს, რუსები მანეთი მოაქვთ, ჩვენი აბაზსა ჭრიან. ხუთას თუმნათ აუღიათ: შადინანთ აბელა, თქვენი დისწული გასპარა, წაკოსკორა და ისე. თუ როგორც ახლა მუშაობს, ასე წავიდა, კაი სარგებელს იქმენ.

თქვენი ბალის დვინისაგან ნ თუნგი ჩვენ მოვატანიხეთ, დანარჩომი მანდ გამოუგზავნიათ. პაპამ ასე მითხრა, ტყვილი და მართალი არ ვიცი.

ეგ მაფრაშა რო მანდ. გახლვსთ. ასეთი ვისმესი არ არის, რო გასასყიდი იყოს. ეგ გვიბოძეთ, მივცეთ პატრონს და, თუ გვიბძანებთ, თათრები ბევრი მოაქვთ გასასყიდი, ვიყიდით.

ლილისა გებძანათ, რომ ა ჰო ყ ა გაგიყიდნიათ ა (1 თუმანი) ასე და ა ჰო ყ ა ისე არის, რომ გვიბოძეთ. დიად კეთილი. ბათმანი თუ ვ (6 თუმანი) ასე მიეცა, ადრე მორჩებოდა. ამანაც ამ კვირას მოვა.

ის ხინა იეზიდის დარაია გურგინზეგანთ სტეფანასი იყო. გაუყიდნია. ლობიო რო გებოძათ, იმისი ძველი ტომარა აქ არის და სხვა რამეთენი რიგობა რაც გიბოძებიათ სულ მთლათ და შვიდობიანათ მოგვსვლია.

ვისიც წიგნი გებოძებინათ, პატრონს მივართვით.

(verso) ჩვენი მეგობარი სტეფან აღისათვის რაც გებძანათ, მოვახსენეთ. დიდი მადლობა მოვახსენათ. ესეც ჩვენი უბედურება იყო, რო ჩვენ ქალაქს გიანელით და თქვენი ნახვა არ გვეღირსათ. ნება ღთისა შეთავდეს და თქვენ კარგათ ბძანდებოდეთო. და სამოცის კოდის პურის სყიდვა, კოდი ჩრ (1 მინალთუნი და 2 შაური) ასე ვ კოდი ისაისათვის და მ კოდი ამ ბატონი სტეფანასათვის რო ბძანებთ. ვ (3 თუმანი) ამდენიც ამ თავიდან ბეჭი მიგიციათ, რო პური მოგცესთ, მერმე დანარჩომიც უბოძოთ და ამისთვის მეტი ფასი მიეცესთ და გაყიდულიყოს, თითონ ჯავახეთს გაქვეუღიყოს. ესენი როგორც გებძანათ, ვისმინეთ. ნება თქვენია, მაგრამ ისაიმ მოვახსენათ, მე თქვენის იმედით უპუროთ დარჩომილი ვართ. ეგენი მე არ ვიციო, როგორც გებძანებიათ ა ურემი პური უნდა მიბოძოთო.

ჩვენი ზარფარჩისათვის როგორც გებძანათ, თუ მთხოველი იქნება, დაიბარებთ რო გაახლოთ. და ფასი, ნება თქვენია. ჩვენი ნათხოვნი ჭილობისათვის, რომელიც გებძანათ, ვისცანით. გორითგან მომსვლელს ს ა ლ ა ვ ა თ ი არ მოუნდება; უიმისოთაც რაც გიბოძებიათ. მეტია. თქვენი არაფერი ვალი არ დარჩომილა. ოღონთ შვიდობით თქვენ მობძანდეთ და თქვენი ნახვა ღთი გვადიროსო. ესეც კმარა, ჯერ საყოფი ჭილობი გვაქვს. ეგენი როდისაც ინებოთ, მაშინ გვიბოძეთ; მადლობელი ვართ.

მელიქ შაქარა ჯერ არ მოსულა, მაგრამ ერეგნიდამ განგებ რამეთენი რიგი კაცი მოსულა. თათრებისგან თუ სომხებისგან მუჯალამა მოუტანიათ. ისეც ხანმა იწერება, თუ დროიან მოგვეშველენითო, მანამ რამეთონი ათასი თუმანი თეთრი არის მზათ იმ ძალღისათვის წასასვლელი და ვ დიდი თოფი, დროიან მოდით, ესენი მანამ არ წასულაო. მაგრამ ამათგან მინდღეში ჰარაქათის ნიშანი არ არის. ღთნ ბოლო კეთილი ქნას.

პირსახოცი ქოჩორა ადარა ქსოვს და სხვაგან არავისი ქონდა. ამის იქით ეგება ვიშოვნოთ, გაახლებთ. ფანარი გასასყიდი ვერ ვიშოვნეთ მუნასიბი. და ჩვენ შინა გვექონდა ა ფანარი, დ ალი მაპუდის ყ ა რ ა ჩ ი ფანარი შიგ დავახვივე და პატრის ხელით მოვართვით.

თებერვლის კბ ქკს უბე

უბედურს ქალაქს

არშიაზე იმავე ხელით მიწერილია: (recto)

მათი უბედური და მდაბალი მონა

სტეფანე ტერ შმავეანოვი

ჩვენს საყვარელს ელისაპეტს. ჯიმ-

შერს, პატარა ელისაპეტს, სანატრელ დავითს მადლობა და სიყვარულით მოკითხვას მოვახსენებთ. თქვენმა სიდერმა, სოლომონამ, შუმანამ რძალმან თქვენ, თუ ელისაპეტს, მადლობა და სიყვარულით მოკითხვა მოვახსენესთ.

(verso) ჩვენი ტერ-გრიგორამ ლოცვა-ქურობევა, ჩვენი ქალები მადლობა და სიყვარულით მოკითხვა მოგახსენათ თქვენ თუ ელისაპეტს.

ქალიამ, ოპანეზამ, დაუთამ, აფრიამამ თქვენ თუ ელისაპეტს ხელზედ კოცნა მოგახსენათ.

სამღებროც თქვენმა დისწულმა აულია მარტის დამდექილამ, ათის თვით. სამას ოც თუმნათ.

№ 20. 1797 წლის 24 თებერვლის წერილი სულხან თუმანიშვილისა მანუჩარისადმი. დედანი დაწერილია მკაფიო მხედრულით მოციხფრო ქალაღლზე.

ზომა: 42×15 სმ

საქ. ცსსა ფ. № 1448 საბ. № 2466

ქ. ფებერვალს იზ დაწერილი შენი წიგნი ოცდა ერთს ფებერვალს მივედე. რომლითაც ვსცან თქვენი მშვიდობა და ღთს მადლობა შევსწირე. და რაც მოგეწერა ყველა ვსცან.

ტიკები გამოგეგზავნა, ოთხი ტიკი მოგვივიდა. შენის სიმამრისა ღვინის მიცემა მოგეწერა, პაპას უთხარ, რაერთიც ითხოვს მიეც, ორმოცდაათი თუნგი ღვინო-ეთხოვნა და მიეცა. ღვინო თუმცა კარგი იყო, მარა ჩვეულებისაებრ მომბალიყო.

პურის სყიდვის ბარობაზედ რომ მოგეწერა, ვითამც მანდ ზმა დაეგდოსთ, რომ განჯას პურის წაღების დასტური მიეცესთ და მიჰქონდესთ. იმისი ასე იყო: იარანალს შეხვეწნოდენ და იარანალმა ბატონს მოახსენა, ასამდის ჭარვარის ფეტვის დასტური მისცა და კიდევ წაიღეს. ამას გარდა არც პურისა და არც ფეტვის დასტური არ არის განჯას წაღებისა. და თუ დაახელეს ვინმე წამლები, ბძანება ასე არის, კიდევ წაართმევენ. მელიქ აპოვსაც დასტური ებძანა და ორმოცდახუთი ურემი, მცირე პური და უფრო ბევრი ფეტვი წაიღო და ვინც ზემო ქართლს თათარი მოსულიყო და ფეტვი ეყიდნათ, ბატონმა ასე იწყინა, ვინც მოახალეს, ფეტვიც დაკარებიც სულ წაართვეს და ისე ცარიელი გარეკეს. მროველდეს, მომყიდდო და უარი ეთქვა: ამის გამგონს მე რაღა მეთქმოდა და ამ მიზეზისათვის მე აღარ უთხარ და არც დაველაპარაკე. ბატონს რომ უარი მოახსენა, მე რაღათ გამომიჩენდა. ქერის გამოისათ რომ თეთრი დაგებარებინა, შენ ნუ მომიკვდები, როგორც ამჟამადაც შენ აქ არა გიშოვნია რა, რა ჩამოვსულვარ ერთის ფულის მშოვნელი და მნახველი არა ვარ. დღეში პურზე, ქერზე, ბზეზე და სხვას ხორაგზე სამი მინალთუნი ხარჯი გვაქვს, აქა იქ თუ გვერგება რამე, იქილამ დღიურად ვიღებთ და ვხარჯამთ, მშეირი ზომ არ გაიძლება და რა ვქნათ, დიდად დასაღონია ჩვენი საქმე, ნება უფლისა იყოს, რაც მოხდეს. ღთმან ამის უარესისაგან დაგვიხსნას თავის უხვის მოწყალებით.

წისქვილის ქვისა რომ მოგეწერა, როგორც მოგეწერა იმ ზომისა ავიჩინეთ, ფასზედ ვლაპარაკობთ: (verso) ქერ არ შევრიგებულვართ. გაურიგდებით, როგორც მოგეწერა ისე; აქავ გავათლევინებ, შევამსუბუქებივინებ, დავამზადებ და ღთით გამოგვზავნი.

მანდ რომ რუმბით ღვინო მოგვვლიათ ჩვენის ბალისა, მე პაპასთვის მეთქვა გამოგზავნა, იმას მგზავრი დაეხელებინა და გამოგვზავნა. შენ ასე მოგეწერა ორმოცდაათი თუნგი გამოვიდაო. და პაპამ ასე მითხრა სამოცდაერთი თუნგი იყო; პალბათ ან რუმბს ვასდენია, ან მომტანს დაუღვევია. ჩემის დის მაიას საქმეზედ გოგია ნახარ-ბეგოვისათვის რომ წიგნი მოგეწერა და ჩემთვისაც სიტყვის თქმა დაგეპატიუნა, რა აქ მოვსულვარ მე გოგია არსად მინახავს. ვიკითხე და

ასე მითხრეს: შინადამ კარში არ გამოდისო. ერთხელ გარსევანთან მიველ, იქ კი თვალი მოვკვარ, ერთმანერთისათვის ხმა არ გაგვიცია. შენი წიგნი რომ მომივიდა, კაცი გავგზავნე და დავიბარე, ასე ეთქვათ, შინ არ არისო. არ ვიცი, დამალულიყო, თუ მართლა შინ არა ყოფილიყო. ვეცდები, რომ მოვაყვანინო, ველაპარაკო და რასაც პასუხს მამცემს, შეგატყობინებ, თუ მუნასიბს ვნახამ, შენს მოწერილს წიგნსაც უჩვენებ.

შენი კიდევ მიზეზიანად ყოფნა მოგეწერა, ჯერ მართლა არ გამომდგარვარო. გძლად ხომ ავით არა ყოფილხარ და რა არის მიზეზი შენის ხაზმუზიანობისა. მე ვგონებ სევდის ქარი იყოს. ნუ სწუხხარ, ძმაო, იმდენი ღთის წყალობა გაქვს, რამდენი ჩვენგან უკეთესი კაცი გაღარიბებულიყო. ღარიბობა საქართველოს მკვიდრთი და ძველი სენია. თუ ცოცხალი იქნება კაცი, იქნება საქმე კიდევ გამობრუნდეს.

პურის ასე გავიგონე, რომ რუსები სესხებას უპირებდნენ. იმ მიზეზით, რომ ფქვილის წახდენისა ერიდებოდნენ. ვგონებ ეს აზრი მართალი იყოს, თუ იქნებოდეს და ან ამჯობინო რუსებიდამ ივალე პური საახლოთ. ესეც ერთი რიგი ცდა არის და ამას გარდა სხვაგანაც გაცეადე, რომლის ღონითაც შემძლებელი იყო და თუ არ შეიძლება, მადლობა ღთსა, ნუ შესწუხდები. როგორც მოხდეს, მოხდეს. (verso-ს განის აშიაზე) ყველა გავივლის.

მოგეწერა ჩემის წიგნის პასუხს არ მაძლევო. ასეთი არა მახსოვს რა შენი მოწერილი, რომ პასუხ უპოვნელი საქმე ყოფილიყო, რატომ არ უნდა პასუხი მოგეცე, მე რა ბრალეულება მაქვს ისეთი, რომ პასუხის მოცემა შეუძლებელი იყოს. მე მქონია რამე თუ არა, შენთან დამალული, არა მქონია და შენი ხომ შენვე იცი, როგორც ყოფილა. შენთან პასუხმოუცემელი საქმე მე არც არა მქონია და არც არა მექნება. შენ ასე ფიქრობ, რომ შენს მეტს არცა ვის საზომი ჰქონდეს და არცავის სასწორი. ამის მეტს აღარას მოგწერ ახლა, მარა თუ ცოცხალი ვარ, რა მეორეთ მე რუსეთს წაველ, რაც მას აქეთ სათქმელი მაქვს, ხომ ამ უამადლის არ მითქვამს, ყველას გეტყვი და შეგატყობინებ, როდესაც ღთით შევიყრებთ. მე რომ ჯერ ხანად შენი წამოუსვლელობა მოგწერე იმგვარი ამბები მესმა (recto-ს აშიაზე) და ისე დავინახე. შენი წამოუსვლელობა რჩევით მოგწერე, თუ შენ სამჯობინარად ვერ ხედავ, როგორც ამჯობინო ისე ჰქენ. ჩემიანთ როგორც მწყალობენ, იციო და სხვა რაღაც მიზეზები. ეს გსმენია, ვინც რას დასთესს, იმას მოიმკის. წამოსვლაზე და მანდ დგომაზე ჩემს რჩევას ნუ ენდობი. შენ როგორც ამჯობინო, ისე ჰქენ. ამას სწორეს გულით გწერ, მერწმუნე, მაგრამ როგორც მე ვხედევდი ის რომ არ მეთქვა ძმებრივი და ქრისტიანებრი საქმე არ იქნებოდა ბატონიშვილს აღმასხანთან და მის ნაზირთან ლაპარაკი რომ მოგეწერა დანაკარგის საქმეზე, მანამ შენი წიგნი მომივიდოდა, ორსავ ველაპარაკე, ბატონისშვილმა იქ მიმიწვია. მოდი და ვეცდები, რომ ყველა გაგირიგოო. ნაზირმაც ეს პასუხი მომცა, იქა მაქვსო, აქ ხომ არა მაქვსო, მოხვალთ და მოცემო. ახლა ბატონიშვილი შულავერში ბძანდება, იქიდან გამობრუნდება და არაგვზე წავა. თებერვლის კდ ქქს უბე.

№ 21. 1797 წლის 5 მარტის წერილი სულხან თუშანიშვილისა მანუჩარისადმი. დედანი. დაწერილია მხედრულით რუხ ქაღალდზე. ზომა: 32x12 სმ. საქ. ც. ს. ა. ფ. № 1448 საბ. № 2465

ქ. ფებერვალს კდ დაწერილი შენი წიგნი მარტის ა მივიღე და რაც მოგეწერა ყველა ვსცან. მწერ, რომ შენგან ჩემთან მოწერილის სამის წიგნის პა-
10. ქართული წყაროთმცოდნეობა

სუხი ჯერ არ მიგედოს. ამას წინათ მოგწერე შენის წიგნის პასუხები და არტი-
ლერის აცილარს კაქკაქოვს იოანეს გამოვატანე. ვგონებ ღთით აქამდის მოგი-
ვიდოდა.

აქაურის ამბის ნატრულობა მოგეწერა. მე ამიტომ არას ვიწერები, რომ დას-
ტური ამბავი არა არის რა. ვის როგორ უნდა, თავისის გონებით ლაპარაკობენ
და ზმას აგდებენ, ვითარცა ჩვეულება არის ამ ხალხისა.

ამ ყამად ერევნიდამ მოსულის წიგნით ეს ამბავი არის, რომ ექვსას კაცს
სომხებს სთხოვენ, ორიათას ოთხასს კაცს ერევნელს თათრებს, აღმაჰმადხანის
იასაული ადგიათ, რომ ხანი ერევნისა და ეს სამიათასი კაცი საჩქაროდ წაიყ-
ვანონ, რომ ნაეროზამ დის ხანი და ეს ჯარი ერევნიდამ გამდგარნი უნ-
და იყვნენ. კიდევ, ამას გარდა იასაული ადგასთ და თოთხმეტი ათასს თუმანს
თეთრსა სთხოვენ. კიდევ იასაული ადგასთ და ათს დიდს ზარბაზანს და ათასს
ზარბაზნის ტყვიას სთხოვენ, რომ უნდა ახლავ წააღებინონ. ამაებს რომ გამო-
ართმევენ. ჯაფარ-ყული-ხანს ბძანება აქვს, რომ ერევანი უნდა აჰყაროს. ამასაც
ამბობენ, რომ ალი-ყული-ხან არდაველს ჯარით მოსულიყოს, სულეიმან-ხან ყა-
რადადს მოსულიყოს და ჯაფარ-ყული ხან აღირბეყანის ჯარით თავრებს იყოს და
თვით აღამა-მაჰმად-ხანიც ნავროზს უკან თერანიდამ აიყაროს და წამოვიდეს. ეს
ხმები ასე არის და ასე ლაპარაკობენ.

რუსეთიდამ სოლოლაშვილი ზაზა მოვიდა, რომელიც თავის ძმასთან პეტრე-
ბრუხს (sic) ყოფილიყო, გუდოვიჩისათვის ისევ თავისი ადგილი უბოძებია
ახალ კელმწიფეს და იეგორევის კრებულტში მოსულა. მეფისათვის საიმედო
წიგნი მოგწერა. კელმწიფე თქვენი მწყალობელი არისო და ამბავი ეკითხა. შირ-
ვანის წიგნიც მიერთო მეფეს კელმწიფეს კაბარდინის პოლკის შეფობა უბოძე-
ბია და ლინიაზედ დასადგომად განუწყესებია და ახლა ლინიაზედ იმყოფება გუ-
დოვიჩთან.

აქ ზოგი ერთს მოქალაქეთ წიგნები მოსვლიათ, რომ რუსის ჯარი დაბრუნე-
ბას აპირებსო და ამ ამბავზე ხალხში დიდი მწუხარება არის და სხვა ამბავი ასე-
თის ადგილიდამ არა ვიციოთ რა, რომ დასაჯერებელი (verso) იყოს. ზუბოვი სა-
დაც იდგა, იქავა დგას და კარვა ხანია, რომ იმისი ამბავი არა მოსულა რა.

შენი ხველისაგან შეწუხება და ხორხის ღებინება მოგეწერა, როგორც
შენ, მეც სწორეთ აგრე მახველებს და ხორხს მალეზინებს, მაგრამ ფეხზედ კი
ღვეიარები.

გორის იჯარისა რომ მოგეწერა, არავის უჭირავს და ბატონის დაბარებულს
პურს ქირის მიცემა უნდა და იმ მიზეზით მამასახლისი ვერ ისტუმრებს, რომ ქი-
რის მიმცემი არავინ არისო. ახლა ხითარაშვილმა აიღო და იმას უნდა გამოერ-
თოს ქირა.

იჯარებიდამ ათიოდ თუმნის ფარხის მოხერხება რომ მოგეწერა, ამას წინა-
თაც მოგწერე ჩემი ამბავი; როგორს საშოვარშიაც ვარ; დღეში ცხენებზე და
ჩვენზე სამი მინალთუნი ხარჯი მაქვს. დღე და დღე ძლივ ვლონიერდებით იჯარე-
ბილამ, თუ კი შევიძელ, მეც ვიცი, დიდად გვეჭირება. რასაკურველია ვეცდები.
მარა ახლა რა მაგდენი გვერება იჯარებიდამ.

წისქვილის ქვები ვიყიდეთ თვრამეტ მინალთუნად ვათლევინებთ. ეგების
ჩვენი კაცი მოვახლოთ ვინმე და წამოვალეზინოთ.

პურის საქმე ამას წინათაც მოგწერე, თუ ღონე იქნება ჰალბათ ეცდები,
რომ იყიდო. ერთის თვის ღონეს მაშინაც გახდი, რომ მაგდენი სული მშიერი
არ დაგვრჩეს. მანამდის ვნახოთ ღთი რასა იქს. სხვას თქვენს ამბავს ნუ და-

მაკლებ. თებერვლის ე¹ ქკს უბე.

ქ. ლით მანუჩარ მდივანს მიერთოს.

№ 22. 1797 წლის 6 მარტის წერილი სტეფანე ტერ-შმოვანოვისა მანუჩარ თუმანიშვილისადმი. დედანი. მხედრული ხელით ნაწერი ორად გაკეცილი რუხი ფერის ქაღალდოვ. განკვეთილობის ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. ზომა თითო გვერდისა 21,5×17 cm.

საქ. ც. ა. ფ. № 1448 ს. № 2529.

ჩემო მოწყალე ხელმწიფე!

ამ თვის კე სტეფან ვაყის ხელით წიგნი, ა ყვითელი თავრეზის თავთა და ა ჩარეჭი შავი ფისი მიახლებია. თქვენი იმ თვის კე მოწერილი წიგნი ამ თვის გ მივიღე. თქვენი მშვიდობა, მერმე რომელიც გებძანათ, ყველა ვისცანით. ჩვენს ანზავს მოიხსენებთ, ღთს მოწყალებით ყველანი მშვიდობით გახლავართ.

ატლას ბავთი თუ დარაი ბავთისათვის მომიხსენებია, რომ იმ ფასათ არ არის, რო ჩვენ სყიდვა შევიძლოთ. იმისთანა ვინმე არა აქვს, რომ მუნასიბი ფასათ მოგვეცეს, თუ სადმე არის ორი ადლიანი, ორ თუმნათ გვეუბნებიან. და სეთკაც ახალი მომტანი არავისა აქვს. სხვა თუ ვინმე აქვს, მისხალი უ (2 აბაზი), ასე აძლევენ. კაი სიქადარიც არ არის, წინაზედაც მომიხსენებია.

იოსეფას ყალამქრისათვის ბევრჯერ მინახამს. ყალამქარი მამეციო, ერთს თუმანს თეთრს მოგცემო. ვერ ვაძლევ, ვაი თუ ვეღარ გამოვართო. და თუ თეთრი მამცა, მერმე კი ყალამქარს მივცემ. ვნახოთ როგორ იქნება. ღვინისათვის რო ბძანებთ. ჩვენი შენახულისავით ხო არ იყო, მაგრამ ავი ღვინოც არ იყო, კარგი იყო. ბაბანას ბარათი მივეცე. ჩაისა მომიხსენებია, რო არც სულ არ იშოვება. არა თუ ვირვანქაქ (5 მინლთუნი) ასე, ერთ თუმნათაც არ იშოვება. შაქარი მისრიდანისა თვითონ არ ქონდა და სხვაგან ვერ იყიდა. ბ თავი ისპაპანის შაქარი გამოვართვი. წონა იყო თ. სტილს ა რუბი ნაკლები, თუ მისრიდანისაც გინდათ, მიბძანებთ, მე ვიყიდი და გაახლებთ. ამ ბაბანასაგან ნულარას თხოვეთ ღთს გულისათვის იყოს კაცი ცოდვით ივსება. დუქანში სულ ზუთი მინალთუნისა არა აქვს რა. ნება თქვენია, ნუ გამიწყურებით კი.

მარილი ქვა რო გებძანათ, ათიოთ დღე მეტია, ძალიან ავი დარი ქნა და დიდი თოვლი მოვიდა, ასე რომ შინადამ კაცი ვერ გამოდიოდა. არსაიდამ ქარავანიც არ მოსულა. ბაზარში მარილი ლიტრს რნ (სამი შაური) ასე ვყიდულობთ. როდისაც თათრებითგან მოვიდა, ა ქვას ვიყიდი და გაახლებ. ძველი ტომარა აქ არის. ვინც წამოვიდა გაახლებთ. აქ ზეთის ტიკი ვერ ვიშოვნე. კიდევ მანდ იშოვოთ და გვიბოძოთ, დიდი წყალრბა იქნება. ა თოფი შავი ყაითანი ვიყიდე ი ადლია. მივეც ტნ (შვიდი შაური), ამდენი და ა რუბიც ნავთის ფერი ყაიათი ვიყიდე, მივეც ქ (სამი აბაზი) და ხუ-ის თეთრი. ნარმა კი მომტანი არავინა ქონდა ქარავანი აღარ მოდის და მედუქნებისგან კი ვერ ვიყიდე. ა ადლიანი პირსახოციც ვიყიდე, ის მირისთავი არ იყო, ცოტა ხანი ამდთ იოლას წახვალთ, მანამ თუ იმასაც ჩავიგდევით, გაახლებთ.

ჩვენი ისაის ღთნ ვაყი უბოძა იმ თვის კ-ში. ვიცი ვიამებათ. სხვა აქაური შიმშილობა ვეღარ მოგახსენებთ. განჯელებით ქალაქი ავსილა. კიდევ მუდამ

¹ წერილის დასაწყისში დაწერილი სიტყვები გვაფიქრებინებს, რომ ეს წერილი 5 თებერვალს კი არა, არამედ ზუთ მარტს უნდა იყოს დაწერილი. თებერვალი შეცდომით წერია.

მოდიან. კაცი შინ ვერ დაჯდომილა. ილაჯი არა გვაქვს. განჯას ჩქ (ერთი მინალ-
თუნი და სამი აბაზი) ასე პურს მოგახსენებენ. შეშას უფრო მეტათა. მაგრამ ბა-
ზარში რო ჩახვიდეთ, ხუთის თუმნის გამომცხვარი პური რო გინდოდეს, იშოვ-
ნიო. და აქ ერთი ღთის რისხვა არის, ასე რო მთელი ქალაქი დაიარო ა გამომ-
ცხვარ პურს ვერ იშოვნი. ძვირი იყოს და იშოვებოდეს, ღთის წყალობა იქ-
ნება. აბა ასეთი ღთის წყრომა და შიმშილობა არის, რო ლიტრა ტ (6 შაური),
ასე ვერ უშოვნიათ. ასე უპატრონო ქვეყანა გამხდარა: ღთნ შეძლება მოსცესთ
ამ ქალაქის წამხდარს დროს. სადიდამე შოულობენ, ან როგორ იცხოვრებთან.
თქვენ ნუ მომიკვდებით, რო დიად ძნელია ქალაქის საქმე. ღთნ ბოლო კეთილი
ქნას.

უზბაშის შვილის ისაიას საქმისა მოგახსენით. რო თითონაც წიგნი მოგარ-
თოთ. შარშანდელი ვერის ბაღის იჯარის თეთრი დიდის ფიცით მოგახსენათ. რო
ისევ მთლათ ბაღზე დახარჯულათ. ოსეფას შვილის პატრონი მეღიქე დარჩია და
მირიშკარი გამხდარან და იმათ ლაპარაკობენ. ბატონისგანაც ჰუქმი მიუღიათ,
როგორც მდომებიათ. იმათი ხიალი სხვა არის. მე ასე ვამჯობინებ. რო როგორც
იცოდეთ მეღიქს და მირიშკარს ერთი წიგნი მოსწეროთ, თუ ბაღი ჩემთან გი-
რავოთ არის და თეთრი მე უნდა მამებაროს. უბრალოთ ნუ გაირჯები. ასე ნუ
შვრებით, რო უმასართლო იყოს. ამისთანები. ნება თქვენია.

თქვენი ძმისწული გივი გახლდათ, ამას გამოვატანეთ ბაბანასს მოცემული
ბ თავი შაქარი, ქალაღში დახვეული და ა პირსახოცი, ი ადლი შავი ყაითანი, ა
რუბი ხაიათი. ესენიც ერთი ქალაღში დახვეული რო მოგერთმევათ. ბაბანასს
მოწერილი წიგნი გრძლად დაბეჭდილ მე გამიხსნია და პრტყლათ ჩამიდვია პა-
კეთში. ისე მოიხსენით.

სამარხო არც სრულ არ არის და არ იშოვება, რო არ გაგონილა ამისთანა
საქმე. ყველა რამის ღთის წყრომა ახლა მოვიდა. დიად ავი ნიშანია. ღთნ ბოლო
კეთილი ქნას.

ბატონი სტეფანა ჯერ აქ არის. ვისთვინაც ტყავის თეთრი მიუცია და სიკე-
თე თუ მაღლი უქნია, არც ერთმა არ აძლევენ. ბ ცხენი მოჰყვა. ორიც აქ დაი-
ხოცნენ. განჯიღამაც ანბავი მოზღის, რომ ასე ძვირობა და შიმშილობა
არის. ეს ჯანაბას, ბაიმათლუ მოღის, არბევენ, ტყვეს იჭერენ და მიჰყავთო. ისე
თითონ განჯელები, თათრები სომხის ყმარწვილებს იჭერენ და მიჰყავთ, ყიღი-
ანო. პატრონი და მკითხავი არავინ არის. რუსები ხო ციხიღამ არ გამოდიანო.
ღმერთი შეიბრალოს საცოდავზ ჩვენი სომეხი. ძნელი საქმეა. განჯელებით ავ-
სიღან ქალაქი. ჩვენი ხეირისათვის უწინვე დაქცეულიყო განჯა. მახლას ღთნ ბო-
ლო კეთილი ქნას. სხვა ჯარისაგან, თუ აქეთ, თუ იქით, ახალი ანბავი არ არის.
რო მომეხსენებინა ამას მეტი, რო ერევნიღამე ღღეში ერთი ყასიდი მოღის თუ
მოგვეშველენით, ის ძალი იქაურს ყველას დაუბარებია, თუ ჰოქვერტერს, თუ
მაჰმადხანს, თუ უზბაშსა, თუ მეღიქსა, რამთონი თოფით და ათასი კაი ცხენოსა-
ნი ვაჟაკითა, აქიღამ ხო მიმშველნი არავინ არის.

ნაზარბეგის შვილის თამასუქის პირი ერთი უბრალო ქალაღზე გადმოაწე-
რინე და გვიბოძეთ, ეგება მოგვინდეს.

აშოაზე იმავე ხელით მიწერილია: ზარაფხანის იჯარა კიდევ მოემატა, რო ანტო-
ნამ ექვსას ორმოც თუმნათ აიღო. ასე რო იმაზე რაც მეტი სარგებელი იყოს.
იმისი ნახევარიც ბატონს მიერთვას, და ნახევარი თითონ ანტონის იყოს.

ჩემს საყვარელ ელისაპეტს, ჯიმშერს, პატარა ელისაპეტს, სანატრელს და-
ჯითს სიყვარულით მოკითხვას, ნახვის ნატვრას მოგახსენებთ. თქვენმა ხიდედრემ

სოლომონამ, შუშანამ რძალმა თქვენ. თუ ელისაპეტს სიყვარულით მოკითხვა ნახვის ნატვრა მოგახსენათ.

ჩვენი ქალები მადლობა და სიყვარულით მოკითხვა, ნახვის ნატვრა მოგახსენეს თქვენ თუ ელისაპეტსა.

ქალიამ, ოპანეზამ, დაუთამ, მაფიამ თქვენ იუ ელისაპეტს ხელზედ კოცნა მოგახსენეს.

ბატონი სტეფანამ სამსახურის ნატრა მოგახსენათ.

მარტის ვ ქქს უბე

მათი უბედური მდაბალი

უბედურს ქალაქს

მონა სტეფანე ტერ-შმოვანოვ

№ 23. 1797 წლის 7 მარტის წერილი სტეფანე ტერ-შმოვანოვისა მანუჩარ თუმანიშვილისადმი. დედანი. მხედრული ხელით ნაწერი მოყვითალო ქაღალდზე. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. ზომა: 18,5×11,5 cm.

საქ. ც. ა. ფ. 1448 № 2530

ესეც მოიხსენოთ. რო აქ რამთონი დღეა სხვადასხვა ჭორი ანბავებს ლაპარაკობენ, მითამ თუ რუსის ჯარი დაუბარებიათ და უნდა გაბრუნდეს; ამისთანები. აბა, გუდოვიჩისაგან ბატონს წიგნი მიერთო. დიად კაი და დიდი იმედის წიგნი იყო. და ეს ჭორვების ნიშანი მინდლეში არა ჩანს. დღეს ერთი თვის წიგნი არის. გარსევანის, ან იენარალის ანბავი არ არის. იმათ ჯერ არ მოსულან. და მირიან ბატონიშვილისათვისაც ყოვლათ მოწყალე ხელმწიფემ კაი წყალობა უქნია, ჩინი მოუმატებია. ორი ათასი კაცის უფროსობა უბოძებია და მობძანებულა მოზდოკს. და გუდოვიჩმა ბატონისათვის შვილის მოსვლა მოულოცავს. ჩემს მანდაში უნდა იყოსო. დიად დიდი იმედს იწერება და შუშის ხანს თუ სხვა თქვენს მეზობლებს ხანებს, ყველას წიგნი მისწერეთო. თუ ყოვლათ მოწყალე ხელმწიფის მორჩილნი არიანო, ასე წყალობა დაემართებათო. იმედი მიეც, ყველას ხათრიჯამ უყავითო, წიგნი მოაწერინეთო (recto-ს აწიან) და ყოვლათ მოწყალე ხელმწიფის ტახტზე დაჯდომა მოულოცონო. ამისთანები. იმის წერილით მინდლეში ჯარის დაბრუნების ნიშანი არა ჩანს (verso) მაგრამ ეს დაწყევლილები ასე ლაპარაკობენ და ქალაქი ერთმანეთს დასცემია და დიდი შფოთი ჩავარდნია. ღონთავისი მოწყალემა მოიღოს და ბოლო კეთილი ქნას. თქვენი მტერი, რო ჩვენა ვართ, როგორც კვდარი. არ ვიცი თუ რა არის ჩვენს თავს მოსასვლელი. ღონ გვიფიქროს.

თუ დასაწერი ქაღალდი არა გაქვს, მე მაქვს ერთი ნაირი ქაღალდი. მიბძანებთ. ორი დასტას მოგართმევთ.

მარტის ზ. მათი მდაბალი მონა სტეფან

24. 1797 წ. 12 მარტის წერილი სტეფანე ტერ-შმოვანოვისა მანუჩარ თუმანიშვილისადმი. დედანი. მხედრული ხელით ნაწერი მოყვითალო ქაღალდზე. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. ზომა: 21×14 cm.

საქ. ც. ა. ფ. 1448 № 2532

ჩემო მოწყალე ხელმწიფე!

ამ თვის ვ გვიის ხელით და ი მელიქიანთ ავეტიქას ხელით წიგნი მომიერთმევია და ყველა აფალი მომიხსენებია. იმას აქეთ მოსახსენებელი არა მაქვს

ამის მეტი, რო ღმერთი გაგვიწყრა ჩვენს ქვეყანას, რო რუსის ჯარის დაბარება და დაბრუნება გამართლდა. თქვენი მტერი რაც ჩვენი, ან მთელი ქალაქის ყოფა არის და დაღონდეს თქვენი მტერი, როგორც ჩვენ დაღონებული ვართ. არაფერი გზა და წამალი ვერ გვიპოვნია არ ვიცი, თუ რა წყალში უნდა ჩავცვივდეთ, ან ჩვენი ბოლო რა უნდა იქნას, ან რა გვეშველება. ამდენი სული რა უდა ვქნა, ან რომელს ერთს უშველო, თუ თქვენ მანდიდამე ერთი გზას არ გვაჩვენებთ, ან ერთ წამალს არ დაგვიღებთ, თქვენი მტერი, რო ჩვენი საქმე ძნელი და დასაჭირი იქნება. თავში ჭკვა აღარ დამჩხომია. დაკარგულების ცეცხლში (recto-ს აწიაზე) ვიწვებოდი, ისინი დამავიწყდნენ, აქ ვინცავენ არიან. ამათი ნაღველში ვარ. ერთი პატრონი არ გვყავს, რო ჩვენი ფიქრი ნახოს, ან ერთი გზა მოგვცეს. რა კარგი რო თქვენც აქ (verso) ჩამობრძანდეთ ქალაქს. აბა, მშინდელსავით უპატრონო არ უნდა გაგვიშვათ და არ დაგვკარგოთ. ზევით ღმერთი. ქვეით თქვენა ხართ ჩვენი პატრონი. თუ ერთი საქმე იქნას, ან სადმე გასვლა მოხდეს, ჩვენი ფიქრიც უნდა ნახოთ ჩვენის თეთრით და ხარჯითა. ნება თქვენია. ამდენი სული მიორეთ არ დავიკარგოთ თქვენი იმედი გვაქვს. ნება თქვენია.

ის ყალამქარი ველარ გამოვაცვლევნეთ. ბატონი ღთისავარის ხელით გვიახლებია, თუ გვიბძანებთ, რაც მაგისტანა სუბუქი და წმინდა რამე გვაქვს, ერთი ბოხჩას შევაკვრევნებ და თუ მამტანი იქნება, მანდ ვახლებთ.

verso-ს არწიაზე: თქვენთვის ნასყიდი ა თავი დიდი შაქარი რო მაქვს, თუ მიბძანებ, გაახლებთ.

verso-ს მარტის იბ ქს უბე

მათი მართლა უბედურად და
დაკარგული მონა სტეფან ტერ-შამავანოვ

გარსევანისთვის მოგახსენებენ: იქავ არის, გუდოვიჩმა არ გაუშვია. მიზეზი არ ვიცი.

№ 25. 1797 წლის 17 მარტის წერილი შიომ თუმანიშვილისა მანუჩარისადმი. დედანი დაწერილია მხედრულით მოყვითალო ქალაღზე.

ზომა: 19×12,5 სმ

საქ. ცსა ფ. № 1448 საბ. 2467

ჩემო კელმწიფე ბიძავ!

ქ. რაც რუსული ამბავი არის ჭრტი ბატონისშვილის იულონისათვის მომიწერია და მომიხსენებია. ჩემს წიგნს წაგვაკითხებსო და რაც შეგეძლოს, თ ა დ ა რ ი ქ ი დაიჭირე. რასაც აიღებ, რასაც შეინახავ, ან გაგზავნი რივიანად, შენი იქნება, ვერავინ წაგართმევს. ჩვენ აქა ვართ. მანდაური ჩვენი სახლის საქმე თქვენ უნდა მოგახსენდეს. ცხენის იარაღები რაც ძველი იყოს ან გაწყვეტილი, გააკეთებინეთ. სხვაც ყველასი ნება გაქვსთ. საჩქაროდ დავსწერე ეს წიგნი. მარტის იბ ქს უბე. მდაბალი მონა შიომ (verso) — ქ. მდივანს მანუჩარს მიერთოს თუმანოვს.

№ 26. 1797 წლის 22 მარტის წერილი სტეფანე ტერ-შმოვანოვისა მანუჩარ და ელისაბეტ თუმანიშვილისადმი. დედანი. მხედრული ხელით ნაწერი მოცისფრო ქალაღზე. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი.

ზომა: 18,5 × 13,5cm.

საქ. ც. ა. ფ. 1448 № 2531

ჩემო მოწყალე ხელმწიფე, და თვალის სინათლე
შვილო ელისაბეტ!

ამ თვის ი, იბ და იზ ქალაქი დამ წიგნი მომირთმევია და არც ერთის პასუხი არ მიმიღია. რუსის ჯარის აყრა და ქალაქის შიშობას ჩავარდნა ყველა მომიხსენებია. და მანდ თქვენც მოგხსენებოდათ. და ჩვენი საქმე ასე მოხდა, რო რუსეთს წასასვლელი შევიქენით, რო ამ თვის იზ მომიხსენებია. და შინა დამაც და მეც ასე ვარჩიეთ, რო ოპანეზასაც თან წავიყვანო. და მელიქმა ბატონიშვილთან ჩემი ბამპორტისათვის წიგნი მამცა და ოპანეზასათვის არ მისწერა. თქვენ ნახეთ და იმისი სახელიც ჩააწერინეთ. ბატონიშვილიც რაც ქალაქს მობძანებულყო სულ ყორულშიაც ვერა ვნახეთ: ცხენები დაჭერილი მყვანდა, არ დადგენენ ვართაპეტამ მიბძანა: თქვენ წადით, დუშეთს იყავითო, მე გამოვართმევო, სოლომანიც ისე მითხრა. ავდექი ოთხშაფათს დღეს წამოველ და ოპანეზასაც თან წამოვიყვანე. მოვედიო. აქ დუშეთს ჩვენი აღანთა ვარ. და ბატონიშვილის წიგნი არ მამესწრა აქ, სარგადანი (recto-ს აშიაზე) დარჩომილ ვარ. ხატისანთ ონანა აქ იყო. დიად კაი გზის ამხანავი იყო. მე რო დავიგვიანე, აღგა, წავიდა. მე აქ დავრჩი; არ ვიცი, როგორ იქნება. დაღონდეს თქვენი მტერი, როგორც მე დაღონებული ვარ. სურგუნანთ მკრტუმაც მოსასლელა. მითხარ, წადი, დუშეთს მომიცადე, მე მოვალ, წავიყვანო. ბატონიშვილის წიგნი მოსულიყო, წასვლა ადვილი იყო. ჩვენი ზურაბა მანდიდამე გეახლათ — თქვენი მშვილობა მითხრა. მე მეგონა ჩემი (verso) გამოსლის წიგნი მოგერთმევოდათ და შეტყობილი იქნებოდით. აბა ზურაბა მითხრა არ იცოდით: დიად, ურიგობა და პირშავობა იყო ჩემი ამ დროს ქალაქი დამე გამოსლა და იმათგან მოშორება. მაგრამ ასეთი მიზეზი ჰეცა და თქვენი სიდედრი თუ სოლომონაც დიად დამიჯინეს. ასე საქმე დამე მართა, რო ავდექე წამოველ და თქვენი საცოდავი სიდედრი, თუ მ ი ო რ ე ბ ი ყმარწვილებით ყველას, ჯერ ღმერთს მივაბარე, მერმე თქვენა. ნება! გაქვთ. ზევით ღმერთი, ქვეით თქვენ უნდა უპატრონო თავიანთ თეთრით, თავიანთ ხარჯით.

თქვენი ანგარიშის პირი სოლომონასათვის მიმიცა. მამლადი მოსაცემი ვარ. თქვენი რაც პური ან სხვა იმისთანა რამე გიბოძებიათ, იმისი ფასი არ გეძძანათ და არ ვიცოდი. თორემ თამასუქს მოგართმევდი. გვედრებით, რო ნუ გავგიწყრებით. როგორც თქვენი ნება იქნება, ისე მალე მოგართმევთ. ხათრიჯამი ბძანდებოდეთ. ოღონდ შვილობა იყოს და ცოცხალი დავრჩეთ. თქვენი წიგნი და შვილობის ანზავის ნუ დაგვაკლებთ.

ქალაქში ბატონი, ბატონისშვილები, ვართაპეტა, ყორულში და დიდი მასლაპათში იყვნენ. არ ვიცი, რა ბნა დადევს. ღონ ასეთი გონება მისცესთ, რო ერთი მართებული ბნა და გზა იპოვნონ, რო მეორეთ ქალაქი არ აირევოს. თუ კიდევ ქალაქი აიყარა, რაც ახალი აშენებული სახლი, თუ დუქანი არის, ისინიც მიორეთ დიაქვევა და, რაც დარჩომილა, მთლათ გაფუჭდება. კიდევ მომიხსენებია. ღონ ნუ ქნას, თუ ქალაქი აიყარა. ჩვენიანებს თავათ ორი თორემ ათი ურემი ხო მოუხდება, როგორც თითონ მოგახსენებენ. ზევით ღმერთი, ქვეით თქვენა ბძანდებით იმათ პატრონი. ღონ ნუ ქნას, ასე საქმე არ იქნას, რო მაშინდელსავით მიორეთ წავხდეთ. სულით, ხორციით დაგტყვევდეთ. თქვენ იცით verso-ს არშიაზე: იყავით შვილობით და ლოცვაზე ნუ დაგვივიწყებთ. ღონ კიდევ გვადირსოს თქვენი ნახვა.

მარტის კბ ქკს უპე
ღუშეთს

მათი უბედური და დიდათ შეწუხე-
ბული სტეფან ტე-შმაგონოვი.

№ 27. 1797 წლის 24 მარტის წერილი სულხანისა მანუჩარისადმი. წერილს არა აქვს ხელ-
არსით ჩანს, რომ ადრესატი მანუჩარია.

ზომა 41×14,5 სმ

საქ. ც. ა. ფ. 226, № 3396.

ქ. შენი ოთხი რიგობა წიგნი მივიღე და ამ ჟამამდის ვერც ერთის პასუხი
ვერ მოგწერე. მიზეზი ეს იყო: ბატონი კურიელად თამაზა კაპიტანს უმაღლესს
კარზედ ისტუმრებს და სარუსეთო წიგნების წერაში ვართ. როგორც ჩვენი ჩვე-
ულება არის წერისა, იცი. ამისთვის თავი ჯელთ ვერ მოვიცე, რომ წიგნი მომე-
წერა ერთს აზრზედ რომ მე შენთვის მამეწერა, შენც იმაზედ გძლად გელაპარა-
ქნა. ამ ჟამზედ იმაზედ ლაპარაკი დაუტევოთ, ვინც ბრალეული იყოს. ორთავ
ღისაგან ვითხოვთ, რომ მიეტეოს და ღრის სათნო საყოფელს სიყვარულზედ ვეგ-
ნეთ მადლითა მისითა.

ცხენების ქერის მოჭრა უშოვნელობის მიზეზით მოგეწერა. ეგ ცხენები, ვგო-
ნებ. აღარ გააწევენ ამ ზამთარს, დაიხოცებიან და უფრო ბევრი ზიანი მოგვეცე-
მა. რა ექნათ, მადლობა ღმერთსა, აქამდე ცხენით გვივლია, ახლა ქვეითად ვაა-
როთ. სოფელს არა გაუკვირდებარა.

წისქვილის ქვებისა მოგეწერა, ვიყიდეთ, გავათლევინეთ, მზას არის. ჩვენი
კაცნი რომ ურემს ჩამოიტანენ. იმათ ღთით გამოვაცან.

ჩვენის ღის მაიას საქმისა მოგეწერა. გოგია ვნახე. ფიცი მითხრა, რაც უნდა
მიყო, თეთრის შოვნა არ შემიძლიან, თუ გინდა ლანდრას და მაუდს გიშოვნე ხუ-
თის თუმნისას და თუ გინდა, ენდროს იჯარა ჩემია ქართლში, ენდროზედ ბა-
რათს მოგცემო. ჰკითხე მაიას: როგორც უნდოდეს. მამწერე. იმას გამოვართმევ,
რომელსაც ეგ იყაბულებს.

პურის საქმეზედ კნიაზ დიმიტრისთან ლაპარაკი მოგეწერა. შენმა წიგნმა
ველარ მომისწრო, რომ მეთქვა რამე; თეთრი წამოიღო ამ მიზეზით, რომ პური
უნდა ვიყიდოო. მანდ იქნება, თუ ეტყვი რასმე, შენ იცი. ვახდები რამე, კარგი;
და თუ არა ვახდება რა, მადლობა ღმერთსა, ვახდებია, რომ ახლა შენი აქ ხიზ-
ნით ჩამოსვლა არას გზით არ იქნება. აქ რაც პური ჩამოგზავნე — თადა-
(verso) რიქისათვის, რადგანაც ველარ ჩამოხვალ, მოსწერე შენს სიმამრს, რომ
ის პური გაყიდოს, თეთრი გამოგიგზავნოს და პური მანდ იყიდე. ორი კოდი
პური კი ჩვენ მოვატანიინეთ შენის სიმამრიდამ.

წიწუაშვილის საქმისა რომ მოგეწერა, თუ რამ მოგცეს, ნუ დაამწყრალებ,
გამოართვი. ასეთი ამბები არის, რასაც ჯელთ იგდებ, ხეირი იმაში არის.

აღმასხან ბატონიშვილი აქედამ წაბძანდა. ისევ ბატონმა დაბარა. ახლა აქ
იმყოფება, მარა ლაპარაკის ჟამი არ არის. ასეთი ხმებია გაჩენილი, იულონიც
დაბარებულია, ჰალბათ ეგეტ მობძანდება. გიორგი ბატონიშვილიც აქ ბძანდება
და ვინც ქართლსა და კახეთში, სახლში უფროსი თავადიშვილი და აზნაურში-
ლი არის, ისინიც დაბარებულნი არიან საქვეყნო რჩევისათვის.

აღა მაჰმად ხანისა აქ ჯერ სწორე ამბავი ამის მეტი არა ვიციოთ რა: თეი-
რანს არისო.

ზუბოვი სადაც იდგა, იქიდან აიყარა და უკან გაბრუნდა და აქ მყოფის ჯარისასაც წასვლას ამბობენ და ქალაქის ხალხი დიდს ღელვაში არის. აქ მყოფი ჯარის უამანდობრი ბატონს გულს აჯერებინებს—ამ ექვს თვეს ჩვენი აქედამ წასვლა არ იქნებაო. ზოგიერთი ხალხისა ქალაქიდან აყრა მოახსენეს ბატონს. ბატონმა კაცები აჩინა, რომ ქალაქიდან ნურავის გაუშვებთო. მაგრამ აქ მყოფი ხალხი დიდს მწუხარებაში არის. ღთმა ნუ ქნას, რომ ქალაქი აიყაროს. მაგ ხალხსაც მანდ დგომა ხომ არ შეუძლია; არ ვიცი, ჩვენ რა უნდა ვქნათ. ვფიქრობ და ვერა გამომიჩჩევია რა, ამის მეტი: ღთმნ წარმართოს თავის მოწყალებით ჩვენი და ამდენი დაღონებულის ხალხის საქმე. დიდს განსაცდელში ვართ მიცემულნი, თუ ღთმა არ გამოგვიხსნა: უკანიდამ იმისთანა მტერი და წინი ადგილი არსადა ჩანს მოსარჩენათ საიმედო.

ფირანიშვილის მამულზედ ლაპარაკისა რომ მოგეწერა, ახლა უკამი არ არის. ნეტავი რაც კელთ გვეჭირავს, ის შეგვჩჩეს ღთით. ცარიელაშვილისა რომ მოგეწერა, შეწერილს პურს ნუ სთხოვ და სურსათი ხომ ჩვენი სათხოვარი არ არის, საბატონოა; მარა ჯერ ხანათ ევეც დააცალე.

კაციაშვილის ბირთველისა რომ გეკითხა, რაც გამიგონია მართალია. მუხრანის ბატონი და ავეტიქ მდივანი იყვნენ სადმე მოციქულნი. ფე შქა ში რც ვეკობ ოთხმოცი თუმანი ყოფილა. ორმოცი ახლა და ორმოცი დედა რომ მოუვიდეს მაშინ. ხმა ასე გამოვიდა, რომ უბოძაო. მარა ჯერ მუხლს არ უკოცნიებია, ასე გგონებ, ამ არეულობის მიზეზით ბირთველს ფეშქაშის მირთქევა ეძნელება და არის დაჩოჩოლი.

მარაბდისა რე მოგეწერა, ოქმი გავგზავნეთ ბატონისა და ზაზა მეწისქვილეს ყადაღა უყო, ნურავის რას მისცემო. რაც მოვიდეს, ჩვენთვის შეიჩხებო. მარა ჯერ იქიდან არა მოგვიტანინებია რა.

ელისოსათვის სააერანგე და საკაბე გეთხოვნა, თუ ვიზოფნი რასმე, მოუტან. ბაღისა გეკითხა, კრჩხა გალუგაშვილებს დავადევით თავს, რომ ამათ უნდა მოიტანონ. ზოგი მოუტანიათ და ზოგსაც მოიტანენ.

ამ თვის ოცდაორს რუსეთიდან კაცი მოვიდა. ასე თქვა, გარსევან არ გაუშვია გულდოვისის და გზის გასაკეთებლათაც ჯარი მოსულა სადმე და გზას აკეთებენ. და აქ მყოფი რუსები კი ამას მოახსენებენ ბატონს—ოთხ-ხუთ თვეს აქა ვართ, არ წავალთო. ამ თვის (ით) რუსის ჯარი განჯას წავიდა. განჯას მდგომი ჯარი უნდა წამოიყვა (recto, განის აშიაზე) ნონ და ციხე დაცალონ.

ამ წიგნის წერაში ვიყავ, კიდევ შენი წიგნი მომივიდა. მოგეწერა აქ ყალმაყალი არისო. აქაც ყალმაყალია და შეწუხება: მაშ რა იქნება, რომ ყალმაყალი არ იყოს: სპარსეთიდან რუსის ჯარი დაბრუნდა და აქ მყოფის ჯარის წასვლასაც ამბობენ. და მაშ რა იქნება, ამ ამბავზედ ყალმაყალი და მწუხარება არ იყოს?! მანდა ვართ და რაც მაგ ხალხს მოუვა, ჩვენც იმას უნდა დავჯერდეთ.

ქ ბატონთან რჩევა არის, ვნახოთ რა: გამოიჩჩევა იმასაც გაცნობებ. მე ჩემს მკუთთ კარგს ვერას ვხედავ და ღთი როგორც მოახდენს, მისა ნება იყოს.

არქიერი იოსებ თავის ბარგის გასტუმრებას ამ ორს-სამს დღეზედ უპირებს და ჩვენი მოყვრებიც, ვეკობ, ზოგიერთს რასმე ისტუმრებენ. ძვეც მითხრეს, შენც ასე ჰქენ. თუ მაგისთანა რამ გქონდეს, გამოგზავნეო; ახლა ხომ ვეღარ მოვასწრებთ. შენ როგორ არჩევი?! თუ სამჯობინრად დინახავ, არქიერი რომ წავა, თუ გვექნება რამე, იმას უნდა გავატანოთ, თუ არა და; არაფერი, ვაი ის არის და ვაგლახი ეს. ვერა გამიგია რა, თუ რა უნდა ვქნათ. როგორც იყოს. ერ-

თის თვის პურს მაინც გაღონიერდი, ჩემს მოსვლამდის ეგ ხალხი მშიერი არ დაგვრჩეს. მას უკან მე ეგების მოვიდე და ერთის გზით გავღონიერდეთ როგორმე. ჩვენგან დანახარჯი სურსათის სია რომ გამოგვეგზავნა, მომივიდა. რაც შენ დაგწერა, ზაალს იმის ბარათს მივსცემ. სხვას თქვენსა და მანდაურს ამბავს ნუ დამაკლებ.

მარტის კდ. ქკს უბე

№ 28. 1797 წლის 9 აპრილის წერილი სტეფანე ტერ-შმოვანოვისა მანუჩარ და ელისაპეტ თუმანიშვილისადმი. დედანი. მხედრული ხელით ნაწერი ორად გაკეცილი რუხი ფერის ქაღალდზე. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია თითო წერტილი. წერილის თან ერთვის ცალკე ბარათიც. ზომა თითო გვერდისა 19,5×14 cm.

საქ. ც. ა. 1448 № 2533

მის ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე ბ ა ს უ ფ ა ლ ს მ ა ნ უ ჩ ა რ მ დ ი ვ ა ნ ს დ ა ჩ ე მ ს ს ა ყ ვ ა რ ე ლ ს შ ვ ი ლ ს ე ლ ი ს ა პ ე ტ ს ჩ ე მ ს მ ო წ ყ ა ლ ე ს ხ ე ლ მ წ ი ფ ე ს !

მარტის იზ ქალაქიდან გამოსლის დროს, თუ კბ დღეშეთიდან, ანახანულის ხელით, ჩვენი შინადამ გამოსლა და აქეთკენ წამოსლა მოგვისხენებია. მოგერთმე-ვოდათ და შაიტყობდით. აბა, ამ თვის ბ დიდხუთშაფათს დღეს აქ, მოზღოკს, გი-ახელით შვიდობიანათა, მაგრამ ძალიან ავი გზა იყო და დიდი თოვლი თეთრის ძალით გიახელით. სამი დღე სულ ქვეითათ წამოსული ვარბ და ჩენი თბანება კი სულ ზურგით და მხარით წამოუყვანიათ. ჰალა მადლობა ღმერთსა! შვიდობიანათ გარდმოვიარეთ, მაგრამ საცოდავი ჩვენიანების ნაღველი და ცეცხლი თან გამამყვა. მაგათი ფიქრით დღე და ღამ მოსვენება აღარა მაქვს. ან ამას იქით ჩვენი სიცოცხლე რა უნდა იყოს, ღონ ჩვენს მტერსაც ნუ მისცეს და ბოლო კეთილი ქნას. ჩემო მოწყალე და ხელმწიფე! მოგესხენებათ (II გვ.) მაგათ თქვენს მეტი პატრონი არა ყავთ. თქვენი ცოდვანი არიან. რა ვქნათ, ჩვენი ცოდვისგან ასე უბედური შევიქენით, რო ამისფანა დღეებს დავესწარენით. ყოველფრივ გვედრებით, მაგ საცოდავებს თავიანთ ხარჯით უპატრონოთ და იელი მოუმართოთ. მაგერი მადლი თქვენ ღთისგან მიიღოთ. ჰალა, მე დიად იმედი მაქვს, რო იმისთანა საქმე, ან სადმე გაყრა არ მოხდეს. ღმერთი მოწყალე არის, ერთის გზით შეგვიბრალეებს და წყალობას გვიზამს. მაგდენი სული და ქრისტიანობა და წმინდა საღდრები მთლათ არ წაახდენს.

გარსევანასთვის მოგახსენებენ: ბძანება მოსულა და გაუსტუმრებით.

ყოვლათ დიდებული და მოწყალე ხელმწიფე მობძანებულა მოსკოვს. მოგახსენებენ, ამტარხანს უნდა მობრძანდესო, ყველას ადგილს დიდი მოწყალეება უქნია. ნახჩევანელებს კიდევ ოცის წლით თარხანობა უბოძებია. (III გვ.) ისე ამტარხანელებს, რაც უღებო, ან მეტი საქმეები ყოფილა. სულ აუღია. ფოსტი, რო დიად დიდი ძალა იყო, ის აუღია. ამას წინათ სომხებს რო ძალათ გელდი დაუწერიანებიათ, ის აუღია. თავიანთ სამართალი თავიანთ ხელთ იყოს. სხვა მრავალ რიგათ წყალობა უქნია აზიაკის კაცისათვის. როგორც ნეტარათ ხსენებული დიდი პეტრე ხელმწიფის უქაზი ყოფილა, ისე უნდა იქნასო.

თუ ჩვენი ბატონისა ან ქვეყნის ნაღველისა მოხსენდა ყოვლად მოწყალე ხელმწიფეს, არ იქნება, რომ ჩვენც წყალობა არ გვიყოს. სხვა ჩვენი ფიქრიც ღთნ ნახოს. გუდოვიჩს ხო უბძანებია მანდ პოლკოვნიკისათვის, რო ჯავათ-ხანი დაიქი-

როს, მოაყვანინოს, ბატონის ხელთ მისცეს. თქვენ ნუ მომიკვდებით, რო'ეს ყვე-
ლაზე დიდი საქმეა. ჩვენ იმის მეტი მტერი არა გყავს. სხვა ყოველ ფრიგ ღმერ-
თი თავისი მოწყალება მიიღოს და ჩვენი ფიქრი ნახოს.

დუშეთიდანაც მოგვიხსენებია, რომ თქვენი ანგარიშის პირი (გრძელდეთა
განის აშიაზე) სოლომონასთან გამიშვია. სხვა რაც პური თუ სხვა რამ გიბოძე-
ბიათ, რო ფასი არ გიბძანებიათ, ისინიც გვიბძანებთ და, რაც თქვენი მოსაცემი
ვიქნებით, თავისის ანგარიშით მოგერთმევათ.

(IV გვ.) დიდათ გევედრებით, როგორც ჩვეულობა გაქვთ, თქვენი წიგნი არ
დაგვაკლოთ. თქვენს მშვიდობასა და ყმარწვილების ყველას ანზავს გვიბძანებ-
დეთ, რო ჩვენთვის დიდი სიხარული იქნება. აბა ამ უცხოს ქვეყანაში და შეწუხე-
ბულს დროს თქვენი სიყვარული და მოწყალებას ნუ დაგვაკლებთ; თუმცა უბე-
ღური და ურგებელი ვართ. ნება თქვენია.

ამ თარიღში ჩვენც აშტარხანისკენ წასასვლელი შევიქენით. თქვენ ბძანდე-
ბოდეთ შვიდობით და სიხარულითა და ღ'თნ ცოცხალი გვაღირსოს თქვენი
პრწყინვალე ნახვასა.

აპრილის თ ქს უბე

მოზდოკს.

მათი უბედური და მდაბალი მონა
სტეფან ტერ-შმაგანოვი.

(II გვერდის არშიაზე იმავე ხელით მიწერილია) საყვარელს ჯიმშერს, პატარა
ელისაბეტს, სანატრელი დავითს სიყვარულით ნახვის ნატვრა, თვალებში კოც-
ნას მოგახსენებთ.

გარსევანის დაბარება და წასვლა გამართლდა. კაის პატივით წაუყვანიათ.
ო (70) თუმანი გზის ხარჯი მიუტიათ ბ. კარეთა. რამთონი ყაზახი
მარტის ლა წასულა.

ოჰანეზა ხელზედ კოცნა მოგახსენათ.

(ცალკე ქაღალდზე) ეს წიგნი დაწერილი მქონდა. დღეს აშტარხანიდანამე ბა-
ტონი ფარსადანა მოვიდა. ჩვენი დავითს ოთხმოცი დანა ოქრო გამოგზავნა, რო-
დალაქ ბეროანთ ნონის ხელით გამომიგზავნია ჩვენი სოლომონაზე, რო გამოარ-
იოს და თქვენ მოგართოს. გევედრებით ჩვენს ანგარიში მიირთვათ. დანარჩომ-
საც, რაც თათიმა მოსაცემს ვიქნები. ღ'ი თუ ცოცხალ დავრჩით, ისიც მოგართ-
მევთ, ამასაც გევედრებით, რომ გარდუქეტას შვილი ისაის ვექსილი თუ საცო-
დავი ჩემი სიძის სტეფანას თამასუქი რო არის, თოლონას შვილ ბეჟანას სახე-
ლით, მგონია სამოცი თუმანისა იყოს, უბოძეთ სოლომონას. რო ვინც მოდიო-
დეს, გამამიგზავნოს. ჰალბათ, ჰალბათ.

№ 29. 1797 წლის 12 აპრილის წერილი სულხან თუმანიშვილისა მანუჩარისადმი დედანი.
დაწერილია მკაფიო მხედრულით რუხი ფერის ქაღალდზე

ზომა: 42,5×14,5 სმ

საც. ც. ს. ა. ფ. № 1148-საბ. № 2468

ქე აღდგა

ქ. შენი ორი რიგობა წიგნი მომივიდა, რაც მოგეწერა ყველა ვსცან. აქამ-
დის რომ პასუხი ვერ მოგწერე, მიზეზი ისევ იყო, რომელიც ამას წინათ მომეწე-

რა. რუსეთს გასაგზავნი წიგნები იწერება და იშლება და თამაზა კაპიტანი ჯერაც იქვე არის, რომ არ წასულა.

ძიძის შვილი დათუა ჩაფრად გაიგზავნა გულდოვიჩთან, იმ აზრით, მანამ მათს დიდებულებას ყდ მოწყალეს კელმწიფეს მოვახსენებდეთ და იქიდან პასუხს მივიღებდეთ, აქედამ ჯარს ნუ წაიყვანთო და მას უკან როგორც ბძანება მოვიდეს, ისე მოხდესო. გულდოვიჩს მოეწერა: თქვენი თხოვა კელმწიფესთან ჩაფრად გამიგზავნია და პასუხს მოველიო; ესეც მოეწერა: სპარსეთში მყოფს უძლეველს მხედრობას ბრძოლის ძალი აღარა აქვს, უნდა გამობრუნდესო, მაგრამ მე გარწმუნებთო, რომ კელმწიფის საფარველი თქვენ არ აგხდებათო. და აღარც აღამაჰმად ხანს შეუძლია თქვენზედ მოსვლა, იმისთვის რომ ნახა და შეიტყო რუსეთის მხედრობის ძალიო. ამ თვის: ვ: ღენერალ მაიორი ბოური რუსეთიდან მოვიდა, რომელიც მანდ გორს მყოფს დოლოროუკის პოლკოვნიკის პოლკის შეფი არის და ის პოლკი უნდა იქედამ წაიყვანოს. დოლოროუკის პოლკოვნიციც გამოუცვლიათ და იმის მაგიერ იარანაღს სხვა პოლკოვნიკი მოჰყვა.

ალა-მაჰმად-ხანის ამბავი ზოგჯერ თქვეს—მოკვდაო. ზოგჯერ თქვეს—თერანიდამ ორ მანძილს აქეთკენ ჰარაქათი ქნაო და ახლა ასე მოვიდა ამბავი, რომ ხორასნისაკენ წავიდაო. ჯერ მართალი არ ვიცით, ღთი როგორ მოახდენს.

განჯიდამ, რაც რუსის ჯარი იყო, გამოვიდა და განჯის ციხე დაცალეს. თუ რამ განჯაში ზარბაზნები იყო და ან ტყვია-წამალი, ისიც თან წამოიღეს. ალი სულთანი. ფანა ყაზახის ვეჟილი, მალხაზ ქიზიყის მოურავის შვილი, სოლომონ მეითრის შვილი, ქაიხოსრო მურვანიშვილი,—ესენი ყაზახისა და შამშადილის ჯარით განჯას წავიდნენ განჯიხან (verso) ის კელთ ჩასაგდებათ და ბატონთან მოსაყვანათ. წინათვე შეეტყო, ქლისაქანთში გამავრებულიყო და ჩვენი კაცნი განჯის ციხეში შესულიყვნენ, ლაპარაკი დაეწყით. ერთი განჯელი ქალი, რომელიც ჯავადხანის ცოლი არის, ის მზეველად მოეცა. ეგრეთ ისრაფილისა და ოთხის ქეთხულის ცოლი მოეცა. ესენი წამოესხათ და წამოსულიყვნენ.

შენის სიდდრისა მანდ წამოსვლა რომ გოგეწერა, სოლომონას უთხარ და ჯერ სწორე პასუხი არ უთქვამს; თუ წამოსვლას მოინდომებს, ვეცდები, რომ გამოვაშვებინო და გამოვისტუმრო.

წისქვილისათვის ათის ლიტრის რკინის გამოგზავნა რომ მოგეწერა, იმის შოვნა ერთს კაცს უთხარ. დაელო, ასე მითხრა, ვერ ვიშოვნეო. ახლა მითხრეს ერთ ალაგს შევიგულეო, ვიყიდი და გამოგზავნი. წისქვილის ქვები ერთი ხომ ახალდაბელებს მოუტანიათ და ერთიც ბერძენაშვილმა და კოჩუაშვილმა წამოიღეს. ჰალბათ ისინიც მოიტანდნენ. საღარე ხე უნდა იშოვნო და დაამზადებინო. აქ მითხრეს, ბერბუქს ერთს კაცს აქვს, წისქვილისათვის უნდოდა, ვეღარ დააბრუნაო; ეგების მოიკითხო და იმ კაციდამ იშოვნო. და თუ იმისგან არ იქნას, სხვაგან უნდა ეცადო და დაამზადო.

სამის თვის პურის დამზადება მოგეწერა. ღია კაი საქმე მომხდარა, მარა აქ მდივნებს ძალიან გვაწუხებენ; თქვენს სარგოზედ მეტი დაგიხარჯავსთ, უკანვე უნდა სარქარს უბრუნოთო. იასაული მუხრანის ბატონი არის. ჩვენს წილად ექვსი ხარჯარი გვერგო. ერთის წლისაც ჩვენის ყმისა ბატონის ოქმით ვიპატიეთ და დანარჩომს კი გვთხოვენ ჩვენც, ჩვენს ამხანაგებსაც. ვნახოთ, როგორ იქნება. ბატონიშვილის ბარათი რომ გვქონდა, ის ანგარიშში არ გაატარეს.

ბირთველს ბატონმა მდივნობაზედ მუხლს აკოცინა და ნახევარი დიმიტრის სარგო იმას უბოძა. ამჟამად შეწუხებულსავით ვიყავ, ამაზე მეტი ვერ მოგწერე რა, ნუ დამემღერები. თქვენს კეთილ ცხოვრების ამბავს ნუ დამაყლებ. აპრილის იბ, ქკს უბე.

მაიას სატანისამოსო რომ მოგეწერა, ჩვენ ჩვენსაც ვცდილობთ და გოგია თავისას, ვნახოთ როგორ გარიგდება

verso-ს არშიაზ: ე. ღითთ მანუჩარ მდივანს მიერთოს
verso. განის აშიაზე მანუჩარის ხელით მიწერილია: ეს წიგნი აპრილის კვ

მამივიდა ქკს უბე

№ 30. 1797 წ. 4 მაისის წერილი შიომ თუმანოვისა მანუჩარისადმი. დაწერილი მოციფრო ქალაქზე, რომელიც კონვერტად ყოფილა დაკეცილი და ლუქით დაბეჭდილი.

ზომა 32,5×14 სმ.
საქ. ც. ა. ფ. 226. 8 2469

ჩემო მოწყალე!

ქ. აპრილის ლ დაწერილი თქვენი წიგნი მივიღე და რაც მოგეწერათ, ვივუწყე: სამი ოთხი დღე არის წიგნები მოგართვი და მოგახსენე, რომ რაც ან გოგისაგან, ან იმის მამისაგან, და პაპისაგან მოცემული იმ მამულის საბუთი წიგნები იყოს, პირები აღებინეთ, რამდენსამე გვამთ დააბეჭდინეთ და მალო მიბოძეთ. ახლა მე ვეცდები, ღთათა და თუ ასის აღთმისილულის ადგილს აქ სადმე მიჩვენებთ, დიად კარგი იქნება, თუ დამპირდა იმ საქმის შესასრულებლად, მოვიხმარებ; თუ არა და არ გამოგართმევ. და თუ მე აქა ჩქონოდა, ან ამას რად მოგახსენებდი. სხვა რაც ლაპარაკები მოგეწერათ, იმისი პასუხის მოუწერლობა ვამჯობინე. იღვას, ვითარცა კატელორიისა შინაო, ასეა თქმული. პურის საქმეზე, ჩვენის კაცებისათვის არზი რომ გამოგეგზავნათ, ამ წიგნს იმის პასუხის გაზოსვლამდინ არ მოვაცდევინე. მე ძალიან ვეცდები, მაგრამ დიდათ გაჭირებული გეგონოსთ. ასე გასფოთებული არის ბატონი რუსების პურის საქმეზე, რომ მართი აღარ იქნება და არც მოიწერებოდა, რაგვარადაც ზძანდება. მგონია, დიდრონი წყენები მოხდეს პურზედა. მაისს დ. ქკს უბე. შიომ თუმანოვი.

კონვერტად გასწავილის გარე პირზე.

ქ. თუმანოვს მდივან ლაშქარნივისს მანუჩარს მიერთოს.

№ 31. 1797 წ. მაისის წერილი სტეფანე ტერ-შოვანოვისა მანუჩარ და ელისაბეტ თუმანიშვილებისადმი. დედანი. მხედრული ხელით ნაწერი მოყვითალო ქალაქზე, ვანკევილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი.

ზომა: 22×18,5 cm.
საქ. ც. ა. ფ. 1448 № 2534

მის ბრწყინვალეებს, უფალს მანუჩარს მდივანს და ჩემს საყვარელს
შვილს, ბატონს ელისაბეტს, ჩემს მოწყალეს
ხელმწიფე!

ქ. აპრილის თ მოზღოკიდამე აქეთკენ გამოსლის დროს წიგნი მოგეერთმეგია და ჩვენი ყველა ვითარება მოგვიხსენებია. თუ მოიხსენოთ, ამ თვის კ შვილობით გიახელით აქ, ამტრახანს. მაგრამ მანდაური ნაღველი და ცეცხლი მომკიდებია. მოსვენება არა მაქვს, არ ვიცი რა დაემართათ, როგორ არიან, ან რა ნაღველი



აქვთ. ვერა შავიტყე რა, ვაი ჩემს სიცოცხლეს! რო თქვენგან მოშორებულნი და უთქვენოთ მე სიცოცხლე მექნება. ვაი ჩემს ამ დღის და ამ სიმწუხარეს დასწრებას. მართლა ჭეშმარიტათ სიკვდილი ჩემთვის ღთის წყალობა იყო ამისთანას სიცოცხლესა. აბა რა შემიძლია, ან რა უნდა ვქნა ამის მეტი, რო მადლობა მიცვა ღმერთსა. ნება თავისი შეთავდეს.

ჩემო მოწყალე ხელმწიფევ! აქ ჰართლა არა გვესმის რა. ღთნ განაძრიე-ღოს ყოვლათ მოწყალე ხელმწიფევს და ღთნ იმას ასეთი გული მისცეს, რო თავისი სახელი და ფარვა არ მოაშოროს ჩვენი საცოდავი ქვეყანას და მაგოდენა საქრისტიანოს. ღა მოწყალეა მოიღოს და შეგვიბრალოს, მოგვარჩინოს მტერსა და ურჯულს ხელითგან. რაც ქალაქი დამე გამოსული ვარ, ახალი წიგნი და ანბავი აღარა მაქვს. არ ვიცი თუ რა დაემართათ, ან რა ფიქრში არიან, დღე ღა ღამ (recto-ს აშოაზე) მოსვენება აღარა მაქვს. ცეცხლი მამკიდებია. ერთი სიმართე არა მაქვს, არ ვიცი ჩვენ ქალაქს ეშველება, ღთგან ერთი მოწყალეა დაგვემართება თუ არა. კიდევ მომიხსენებია თქვენ იცით, ეგ საცოდავების პატრონი თქვენა ბძანდევ (verso) ბით, თქვენი ღმერთი ნება თქვენია, მეტი თავს ვერ ვაწყენთ ამას წინათაც მომიხსენებია.

მოზღოკი დამე ოთხმოცი ოქრო გამომიგზავნია სოლომონაზე, რო თქვენ მოგართოსთ ჩვენი ანგარიში აიღოთ და გვედრებით რაც ფქვილი, თუ სამარხო, ან სხვა იმისთანა რამე გიბოძებიათ, რომ ფასი არ გიბძანებიათ. ყველ უბძანოთ და სოლომონას უბოძოთ, რომ მე გამომიგზავნოს, შავიტყოთ. რაც კიდევ თათიმა მოსაცემი დავრჩებით, ისიც თავისის ანგარიშით მოგართმევთ. რო თქვენი სირცხვილისგან გამოვიდეთ ამას გარდა მოზღოკი დამაც მოგვიხსენებია, რო ის საცოდავი სიძე სტეფანას სამოცი თუმნისა არის, თუ არ ვიცი რანითისა, თამასუქი რო გახლავსთ, მატინანთ ბეყანას სახელითა, ის უზბაშის შვილის იე თუმნის ვექსილი უბოძეთ სოლომონას, რო ვინც მოდიოდეს, გამოგვიგზავნოს. იმისი შვილები დიდის დოვლათით გამოსულან პეტრებურქს. აქ მოსასლელნი არიან, ეგება ვავასალოთ. ვიცი დარჩიასგან არა გამოვა რა.

წყალობას ვითხოვთ, თქვენს შვიდობის ანბავს არ დაგვაკლოთ, მუღამ გვიბძანებდეთ.

მაისის ზ-ში ქვს უბე
აშტარხანს

მათი უბედური და მდაბალი
მონა სტეფან ტერ-შმოვანოვ

ჩემო საყვარელო და თვალის სინათლე შვილო ელისაბეტ! თქვენი ნახვა ხო არ მაღირსეთ. ღთნ იცის ცოცხალი დავრჩებით, ან ველირსებით თქვენი ნახვას თუ არა. ჩემი ცოდვისაგან ამ სიბერის დროს ამდენი განსაცდელი და ღთს წყრომა მამივიდა ჩემს თავსა. თქვენ კარგათ ბძანდებოდეთ, ნება ღთისა შეთავდეს. აბა ჩემი ვედრება ეს არის თქვენგან, რო საცოდავი დედათქვენი გებრალეზოდესთ და ყოველფრევ იმის ნუგეშის მცემელი იყოთ, რო თქვენს მეტი სიხარული აღარა აქვს. თუ თქვენი ნახვაც არ აღირსოთ, წიგნითაც არის ნუგეში სცეთ. (verso-ს აშოაზე) საყვარელს ჯიმშერს, პატარა ელისაბეტს და სანატრელ დავითს სიყვარულით მოვიკითხამ და თვალეზში კოცნას მოვახსენებ. იყავით დღეგრძელობით და მშვიდობიანათ.

თქვენი მეგობარი ბატონი ოპანეს ვართანჩიმა აქ არა ბძანდება. ბაქუს სადმე არის.

ოპანეზა ხელზე კოცნა მოვახსენათ.

№ 32. 1797 წლის 12 ივნისის წერილი სულხანის მანუჩარისადმი. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე. ზომა 26,5×15 სმ.
საქ. ც. ა. ფ. 226, № 2470.

ქ. აქაურს ანბავს იკითხავ, მაღლობა ყოვლისა შემძლებელსა ღთსა რომ საქართველოს დასამშვიდებელი ამბავი ამ თვის ია მოვიდა, რომ ალა მაჰმად ხან მოგლესო. თვალწინ წამოიყენე ამ საზოგადოებას რა სიხარული შეუდგებოდა. ამ ამბის მომტანი ერთი განჯის ხანის კაცი იყო, მისის წიგნით; ერთი ფრიდონ ბეგ მელიქის შვილი იყო და ერთი გურჯი უსუფ და მელიქ ჯიმშიტის წიგნიცა ჰქონდათ.

ალა მაჰმად ხანის სიკვდილი ასე ყოფილა: ამ თვის. ე. პარასკევს. შუშის ციხეში მყოფი თავის ფარეშებს გასწყრომია. ის ფარეშები, რომელიც ახლო მოსამსახურენი ყოფილან, მისულან და სადუხ-ხანისათვის მოუხსენებიათ: გვიშველე რამ, კემწიფე გაგვიწყრა, ხვალ დაგვზოცსო. იმას ეს პასუხი მიუცია: თქვე ჰარამზადებო, თქვენ ხუთნი ხართ და ის ერთიო. იმ ღამეს შუა ღამისას მძინარეს, მიხვევიან, დაუტრჩვიათ და მერე ყელი გამოუჭრიათ. შემდგომად სიკვდილისა ერთს ფარეშ(ს) დიდის ხმით ძახილი დაუწყვია. სადუხ-ხან შაჰსან-ისტარ მისულა. სადუხხან(ს) ალამაჰმად-ხან მკვდარი რომ უნახავს, ერთი ფარეში დაუძახებია, დიდის ხმით მილასვარ ბაში შაჰსანი-ისტარ მილასვარ ბაში მისულა. სადუხ ხან კარზე დახვედრია, უთქვამს: კემწიფემ საქართველოში ჩაფაულად წასვლა მიბძანა და რაც თავლაში ფარსავი ცხენია, ახლავ დაკავშე და აქ მოასხიო. ცხენები მოუყვანინებია, თავის კაცებისათვის შეუტყობინებია. შემსხდარან და წასულან. ბაზმან დე ბი ალამაჰმად ხანისა და რაც გაავაირი ჰქონია, მთლად სადუხხანს წაუღია და ერევნისაკენ წასულა და ესეც უქნია, რომ მირზა მოუყვანინებია და ალი ყულიხან, რომელიც ალა მაჰმად ხანის ძმა არის, იმასთან ერთი ფარმანი დაუწერინებია: სადუხ ხან შენთან მო(verso) ვა ჩვენის ბძანებით და რასაც ეს გეტყვის, ის ჩვენი სიტყვა არის და ისე მოიქეციო. ეს ამ გზით წასულა. დილა რომ გათენებულა, ჯარს შეუტყვია იმისი სიკვდილი და მისევიან იმის ხაზინას და დაუწყვიათ ერთმანერთის ყათლამი და ხოცა. ამ ამბავზედ, რომელსაც დღეს ეს დიდად სასიხარულო ამბავი მოვიდა, იმ დღეს მოღვენა (sic) იხადეს ეკლესიაში და თვრამეტის ზარბაზნის სროლით შადლუღი გარდაიხადეს. ჯერ სხვა ამის მეტი ამბავი არ მოსულა რა და რაც იქნება და მოვა, იმასაც გაცოდინებ. პურის საქმეზე ბეჯითად ცდას ეცადე, რომ ახლამდის ღთით არ დაგვაკლდეს. სხვას თქვენსა ღა მანდაურს ამბავს ნუ დამაკლებ. ივნისის. იბ. ქქს უბე

№ 33. 1797 წ. 19 ივნისის წერილი (სულხან მდივნისა) მანუჩარისადმი. დედანი. დაწერილია მხედრულით მოცისფრო ქაღალდზე. ხელრთვა არა აქვს.

ზომა: 27,5×15 სმ

საქ. ც. ა. ფ. № 226 საბ. № 2471

ქ. შენი ორი წიგნი მამივიდა, რომლითაც ვსცან თქვენი მშვიდობით ცხოვრება და ღთს მაღლობა შეგვსწირე და რაც მოგეწერა, ვისმინე. ამას წინათ წიგნი მოგწერე და ალა-მაჰმად-ხანის სიკვდილის ვითარება გაცნობე, რომელიც კიდევ მოგსლოდა. ახლა ეს ამბავი არის: ალიყულიხან სარდალი ერევნის ციხეში შესულა და თავაქალიხან და ის ერთად ერევნის ციხეში არიან. ჯერ ერევნილამ ბა-

ტონთან კაცი არ მოსულა. იბრემ-ხანისა ასე ითქვა ბელექნიდამ ბატონთან მოსვლას აპირებდეს, მარა იმისი არც წიგნი მოსულა და არც კაცი. მამად ბეგ, რომელიც იბრემ ხანის ძმისწული არის, ის შუშას აღამაჰმად-ხანთან იმყოფებოდა. აღ-მაჰმად-ხან რომ მოეკლათ, იმისი თავი ერთს პარკში დაბეჭდილი თავის ბიძა იბრემ-ხანთან გაეგზავნა, რომ სამუხში გაეტარებინათ. ქისიყური ქანიშვილი იქ ყოფილიყო და ეს ამბავი იმან მოიტანა. ის თავი, პარკში დაბეჭდილი, თავის თვალით ენახა. ამ თვის იე მელიქ ჯიმშიტ თავის ცოლშვილით ქალაქს მოვიდა, რომელსაც იხტიაბი აქვს ჯავად ხანისაგან, რომ როგორც ბატონის ნება იყოს, ისე გაარიგოს ჯავადხან. და ამას გარდა ბატონს დიდის საშოგრის გზებს უჩვენებს და თავს დებულობს, თუ ამ ხუთს დღეზედ ჩემის რჩევით გაილაშქრებთ და არ დააგვიანებთ, მრავალს თეთრს და საქონელს გაშოვნინებო და რაც ყარაბაღში სომხები და მელიქები არიან, იმათაც ჩემთან სიტყვა აქეთ. ყველანი აიყრებიან და თქვენს საფარველს ქვეშ მოვლენო. და თუ ხუთს დღეზე მეტად ლაშქრობა (recto-ს განის აშოზე) დაგვიანდა, საქმე აღარა გარიგდებაო. ბატონიც ჯარს მოელის და ვნახოთ ღი როგორ მოახდენს. რაც აღრე შეკრება ჯარები ამ მდგომარეს ჟამს, ისი სჯობს. იქნება ღვით საქართველოსათვის სასარგებლო საქმეები მოხდეს. პურისა ვისიც თხოვნა მოგეწერა, ის აქ აღარ ბძანდებოდა. (verso). ახლა მანდ ბძანდება და თუ იქნება, თქვენ მანდა ხართ. ჩვენის საქმის ბეჯითობა რომ მოგეწერა, ბატონი ყალმაყალში ბძანდება. იოსებ არქიერი წასვლას აპირებს. სარუსეთო წიგნებს სწერენ, თუ დრო დავახელე, აღარ დავაცადებ. პური აქ კი გაიადდა, ცხრა ბისტათ, აბაზათ და ხუთ შაურათ გაიყიდა. თავმსუბუქისა რომ მოგეწერა, წიგნმა აღარ მოუხსწრო, მარა მე რომ ვიკითხე, ასე მითხრეს — ქირა ჰქონდა, თავისი არა ჰქონიაო. წინამძღვრის პურისა რომ მოგეწერა, გივი მანდ არის და იმას ჰკითხე, თუ წამოუღია, გეტყვის, და თუ ნებით არ მოგვეცემს რაც დარჩომილა, ძალა ხომ არ შეგვიძლიან, რა ვქნათ. შიომს მოეწერა ზაზა ჯარებისათვის გაგზავნეო, იარი კაცი მყავს, ერთი ცხენებშია და ერთი ჩემთან. ზაზა რომ გავგზავნო, მე ვილა უნდა უამრჩეს. ბატონიშვილი და თამაზ ბატონმა დაიბარა, მოვლენ აქ და ვნახოთ რა იქნება. თუ აღმიტყვეს, ქირით კაცს ვიშოვნე და გავატან. სტვას თქვენს მანდაურს ამბავს ნუ დამაკლებთ. ივნისის ით, ქქს უბე.

ქ. გივის უთხარ ამ ოქმის თეთრი გაარიგოს და ბატონს მოართვას, საჩქაროდ ქცნილვანს გაგზავნოს ვინმე და იმას გაარიგებინოს.

საბუთის ბოლოს იმავე ხელით

— ქ. ღვით მანუჩარ მდივანს მიერთოს.

იქვე მანუჩარის ხელით მიწერილია:

ქქს უბე თიბათვის კა მამივიდა.

№ 34. 1797 წლის 23 ივნისის წერილი სტეფანე ტერ-შმოვანოვისა მანუჩარ თუმანიშვილისადმი დედანი. მხედრული ხელით ნაწერი ორად გაკეცილ მოყვიბალო ქალაქზე. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

ზომა თითო გვერდისა 22,5×18 cm.

საქ. ც. ა. ფ. 1448 № 2535

მისს ბრწყინვალეობას, უფალს მანუჩარ მდივანს თუმანოვს

ჩემს მოწყალეს ხელმწიფეს!

ქ. მამისის ზ აქილამ წიგნი მოგვირომეგია და ჩვენი შვილობიანათ აქ მოსვლა, თუ სხვა აქაური ყველა აფალი მოგვიხსენებია.

• თქვენი გორიდან აპრილის კ მოწერილი წიგნი ამ თვის ი გვებოძა. თქვენი შვილობა და რომელიც გებძანათ ვსცანით და მადლობა მივეციოთ ღმერთსა, რო გველირსა ძათი ბრწყინვალეების შვილობის ანბავი, ისე სიხარულით ნახვაც გვადირსოს.

ჩვენ ანბავს მოიხსენებთ, ცოცხალი გახლავართ. მაგრამ ვაი ამისთანა სიცოცხლეს, რო ვინცა გვყავს, ყველასგან მოშორებული ვართ. დღე და ღამ უცეცხლოთ ვიწვეა და მანდავური და მაგათი ფიქრით და ნაღვლით მოსვენება არა გვაქვს, დღე თვალ ცრემლით დავადამებთ და ღამეს გავათენებთ, არაფერი ვერას ვარიგებთ ამის მეტი, რო ღმერთს მადლობას ვაძლევთ. ნება თავისი შეთავდეს.

გებძანათ, ჩვენი ღუშეთიდან მარტის კბ და მოზდოკიდანე აპრილის თ მოწერილი წიგნები თავის დროს მოგრთმევიათ, რომელიც პასუხიც გებძანათ და მადლობით მივიღევით. ამასაც ბძანებთ, რო თქვენი უნახავათ ჩვენი აქეთკენ წამოსლა ელისაპეტს მეტად შეუწუხებია და დიდათაც უტირნია. ჭეშმარიტათ, თქვენ ნუ მომიკვდებით, რო უმაგის უნახავათ ჩემი გამოსლა და შაგისგან მოშორება ჩემთვის სიკვდილი იყო, მაგრამ რა ვქნა ვერ შევიძელ. ჩემმა უბედურობამ არ მაღირსა. ამას იქით ღთნ, იცის ცოცხალ დავრჩები ან არა. ან, ღთნ მაღირსებს თქვენი ნახვა თუ არა, ნება თავისია.

ბძანებთ რო ჩემს თავს გავფრთხილდე და მეტი ყუსა რა ვქნა. ჩემო მოწყალე, რა სიკეთე მჭირს, ან ვისგანა მაქვს იმედი და ნუგეში. ჩემის უბედურობით სიბერის დროს ეს ამდენი განსაცდელი დ ღთის რისხვა მომევილინა. შვილები დამეკარგნენ, რომელიც მყვანდნენ და მეგულებოდნენ, რო იმათ ხელით უნდა დავემარხებოდე. ამ სიბერის დროს ყველას უღალატე. უპატრონოთ დავაგდე, მოვშორდი და გამოვეცალე. აბა რა ნუგეში უნდა მქონდეს, ან რომელ ერთს დავივიწყო. ან რა სიცოცხლე უნდა მქონდეს. ჩემთვის სიკვდილი მიჯობს ამისთანა სიცოცხლესა. ესეც მეტი რო მანდაური ჭორი, ანბავი და ნაღველმა მე გამათავა. არ ვიცი, თუ ბოლო რა იქნება. ღთნ იცის.

რუსის ჯარის მანდ დგომა შავიტყვეთ. დიდი ღთის წყალობა იქნა. აქ ხო ყველას პირამდე სულ ეს გამოდის, თუ ყოვლათ მოწყალე ხელმწიფემ საქართველოდამე ხელს არ აიღებს. კიდევ სხვა ჯარიც უნდა მოვიდესო. ღთნ იკის. უფალმან განაძლიეროს ამისი ხელმწიფობა და მისი მოწყალება არ დავგაკლოს, მართლა გვიპატრონოს და იმდონი საქრისტიანო მოარჩინოს ურჯულოსაგან.

თქვენი მოყვარე და მეგობარი, ბატონი ოჰანეს ვართანიჩმა აქ არა ბძანდება, გაღმა ყიზილბაშიჩი გახლავსთ. იმისი წიგნი რო გებოძათ შევინახამთ, მანამ მოვიდეს. და ჩემს საყვარელ ჯიმშერს აქ, იმასთან გამოსტუმრებას რო ბძანებთ, ნება თქვენია. მე დიად ავათა ვნახე ეს აშტარხანი, ძალიან წამხდარა ყოველფრივ აქავურობა. აღარაფერი სიკეთე აღარ არის. არა კაცში სიმართლე და ეპთიბარი არ დარჩომილა. აქაური ძვირობა ხო არ გავგონილა. თუ საქმელი, თუ სასმელი, თუ ჩასაცმელი, თუ ხელფასი, თუ სხვა რიგი ყოველი რამე. ღთნ ბოლო კეთილი ქნას. ყოვლათ მოწყალე ხელმწიფემ თუ ერთი ფიქრი არა ქნა, ან ერთი წამალი არ დაუდო ამებსა, ძნელია, სხვა არ ვიცი. ბატონი ოჰანეზა მოვიდეს, ვნახოთ იმის პირი როგორ არის. მერმე მოგახსენებთ. კიდევ ნება თქვენია.

თქვენი სიღედრი დავიბარებიათ და მანდა გხლებიათ. დიად მიამა. ეგება მაგას ელისაპეტის ნახვით ცოტა გული დაედვოს და ნუგეში მიეცეს. მაგისი ნაღველმა მე მამკლა. ვერა უშველა რა. ახლა ეგება თქვენ დააჩუბოთ და დაავიწ-

ყოფ. რაც იქნა, იქნა. მაღლობა მისცეს ღმერთსა, კიდევ ის, რომელიც მიუცია ჭირი, წამალიც შეუძლია მიცემა. ნება თავისია.

სიძის სტეფანას სახლების გირავოს თამასუქი, რო მეთხოვნა, გებძანებინათ სოლომონასათვის, იმას გამოეგზავნა. მამივიდა, მაგრამ არა გახდა რა. მე ასე მეგონა თოლინას შვილ ბეჟანას სახელით არის თამასუქი. იმისი შვილები დიდის დოვლათით ინდოეთიდან გამოსულან პეტრებუტრქს მეთქი. ეგება ეს თეთრი იმათგან გამოვართოთ. აბა იმას მოწმობა დაეწერა, არაფერი ვალი არა აქვს. და ისაის ვექსილისა ბძანებთ, რო ვერ გიპოვნიათ. თქვენ კარგათ ბძანდებოდეთ.

ელისაბეტის შალის თეთრი მაიას ჯერ არ გამოუგზავნია. ათი ადლი ყირმიზი ბაშმაჰუდი ვითხოვნიათ. აქ ვერ ვიშოვნეთ, მაკარიდამ დამიბარებია. და ბაგრასტი არის. ადლი ჯ (8 მინალთუნი), ასე მაძლევენ. მაგრამ კაი ბაგრასტი არ არის. კაი მაჰუდიც ადლი ერ(თ) თუმნათ ძლით მისცემენ აქაუტრს ადლსა. ვნახთო.

ჩვენი მორთმეული 3 (80) ოქროსი გებძანათ, რო ისე საჩქაროთ რა იყო. ვალი უნდა მიეცეს, მამა-შვილშიაც ანგარიში უნდა სწორე და მართებულათ იყოს. კიდევ მომიხსენებია თქვენი ანგარიშის პირი სოლომონასათვის მიმიცია. რაც პური იყო, თუ სხვა იმისთან რამე, რო გიბოძებიათ და ფასი არ გიბძანებიათ, ისიც უბძანეთ, უანგარიშეთ და მეც შემატყობინეთ, რო დანარჩომიც თავისის ანგარიშით მოვართოთ. ჩვენს ვალს მოვრჩეთ. დიდათ დაგიმადლებთ.

რევაზ ადას არც სახლი არის, არც სახლობა დარჩომილა. იმათან თქვენი რა წიგნები არის ან როგორა, არ ვიცი, მაგრამ არა მგონია იმათგან გამოჩნდეს რამე.

ჩემი თვალის სინათლე ელისაბეტის შვიდობით დაწოლა და მორჩენა და ვაჟის ყოლა ღთნ მალირსოს შავიტყოთ. და მაგისი ნაღველსაც მოვრჩეთ. ღთნ გაგვიტრა ყოვეგნით. ჩვენი სიხარულბ ერთი ეგ დარჩომილა. ჩვენი ყოვლათ ნუგეში რო ღთნ ნუ მოგვიშალოს.

ალა აბრამ ჩეჩატურჩიმა და ჩვენი ბატონი დავით სამსახურის ნატრა მოგახსენათ. დავითა ხო ანგარიში არ არის და ამისი ნაქნარი ზომა არა აქვს. აბა თქვენ ნუ მომიკვდებით, რო ალა აბრამას გულისტკივილით სიყვარული და ნაქნარიც ანგარიში არა აქვს. ღთნ ადღეგრძელოს და ღთსაგან მიიღოს მაგერი.

თიბათვის კგ-ში ქკს უბე

მათი ბრწყინვალეზას მონა

აშტრახანს

უბედური სტეფან ტერ-შამოვანოვ

ამიაზე იგივე ხელით მიწერილია: შვილო საყვარელო ელისაბეტ! ღთნ არ მალირსა თქვენი ნახვა. ამას იქითაც ღთნ იცის ცოცხალი დავრჩები ან მეღირსება თქვენი ნახვა თუ არა. დედა თქვენი მანდ წავიყვანიათ. დიად კარგი გიქნიათ, გებრალეზოდეს ეგ საცოდავი და ნუ გაუშვებთ, მეტი ნაღველი ქნას. თქვენ იყავით მაგისი ნუგეშის მცემელი. სხვა არსაიადამ არა აქვს სიხარულის ადგილი თქვენს მეტი.

რაც მაისის კ. დამიწერია აბაზ ხანის კაცის გაგზავნა თუ სხვა. ყველა შეატყობინოთ დედა თქვენსა. ის ძალღისათვის ყოველგნადამ იწერებთან, თუ მოვაქართველზე. ნაღველით ვიხოცებით, თუ იარობ რა უნდა ეშველოს. ღმერთი თითონ იყოს თქვენი შემნახავი. დედი თქვენის წიგნი მდივნის წიგნში ჩამიდვია.

ჩემს საყვარელ ჯიმშერს, პატარა ელისაბეტს და თვალის სინათლე დავითს სიყვარულით და სურვილით მოვიკითხამ.

ჩემი ოჰანეზ თქვენ თუ ელისაბეტს ხელზე კოცნა მოგახსენათ.

№ 85. 1797 წლის 28 ივნისის წერილი (სულხან) თუმანიშვილისა მანუჩარისადმი. დედანი.
დაწერილია მხედრულით რუხი ფერის ქაღალდზე.

ზომა 33×10,8 სმ

საქ. ცსაფ. № 1448 საბ. № 2472

ქ. ორი რიგობა წიგნი მოგეწერა. მომივიდა და რაც მოგეწერა, ყველა ვსცან. აქაური ამ მდგომარეს ჟამში ეს არის: იბრეიმ ხან ისევ ბელაქანში არის, ალისქანდი მოსულა იბრეიმხანთან და ომარ-ხანიც მოსასვლელი არისო. დაღისტნი-დამ ჯარებს ცდილობს, ერთი შვილი ომარხანთანა ჰყავს, ერთი შვილი ახოშის ყადთან, ბატონთანაც კაცი გამოგზავნა. ბატონმაც, რაც შეიძლებოდა, პური, თამბაქო და მარილი გაუგზავნა და როგორ დააწყობს თავის საქმეს, ღთმან იცის, როგორც უნდა იმისთანას ჯარს იშოვნის თუ არა.

ამ თვის თვრამეტს ალი-ყული-ხან სარდალი და ერევნის ციხეში რომ თავაქალიხან იდგა, ორნიც ციხიდან გამოვიდნენ და წავიდნენ. ერევანი ორს თარაფათ არის გამხდარი, ზოგთ მამადხანის მხარე უჭირავსთ და ისივ უნდათ ხანათ. და ზოგთ სხვა ხანის დაჯდომა უნდათ. და ჯერეთ ერევნიდან ბატონთან კაცი არ მოსულა. ბატონმა კი გაგზავნა ერევანს უთრუთ ყორღანოვი და მელიქი შაქარა და ჯერ არც ისინი მოსულან.

ამ თვის კე იოსებ არქიერი წავიდა რუსეთად; მელიქ ჯიმშიტმაც უმაღლესს კარს წასვლა მოინდომა და ბატონმაც არქიერს თან გაატანა.

ოთანოვი თამაზა მოვიდა მირიან ბატონიშვილიდამ და (verso) ამბავი სათქმელი არა მოჰყოლია რა.

დუშეთიდან იოსებ არქიერის წიგნი მომივიდა. ასე მოეწერა: აქ რომ მოველ, წიგნი მომივიდაო მაისის სამს, კელმწიფე მოსკოვიდამ პოლმისაკენ წაბძანებულა და ფამილია პეტრებრუდისაკენ (sic) გაუსტუმრებიაო და გარსევანი-სათვის უბძანებიაო, პეტრებრულს მოდი და პასუხი იქ მოგეცემაო.

ხენისა რომ მოგეწერა. სანახევრო ყანისა, თქმულა, თავი გალევსო, მარა ვეგეც ვცადოთ ვნახოთ, როგორი იქნება. ეგების ხენასა და თესვას შევეჩვივნეთ, სარგებლად ეს დაგვრჩეს.

პურისა მოგეწერა. ახლამდის ვეცდები ვიშოვნოო სყიდვით იქნება, თუ სხვებ როგორმე, ჰალბათ უნდა ეცადო და იშოვნო. აქ კი მოვიდა ახალი პური თათრებიდან და აბაზათ გაიყიდა. ამ ცოტას ხანში გამრავლდება ღის ძალით.

წისქვილის საქმეს ნულარ დაადებ, ახლავ კელი მიჰყავ, თითქმის ერთს გუთნეულს უდრის, ახლა მოცლითა ხარ. მას უკან იქნებ საქმე გაგიჩნდეს რამე და შენს მეტი თავს ვერავინ გამოაბამს. მანდ გორის იჯარიდამ გაარიგე და იარაღი გააკეთებინე.

ფირანი შვილის მამულისა რომ მოგეწერა, რადგანაც ბატონსა და არქიერს შუა მე ვიყავ სიტყვის მთარგმნელი, ჩემის პირით ხომ ვერას მოახსენებდა. დუშეთიდან წიგნი მოერთმია იმ საქმეზედ და ვნახოთ რას ნაყოფს გამოიღებს.

აქ მყოფის ჩვენის გლეხებისა რომ მოგეწერა, ვისაც ხენა აქვს, როგორც მოგიწერია, ისე ვიმოქმედებ. სხვა ჩვენმა ყმებმაც მოგვცეს პური და ქერი და ამათაც უნდა მოგვცენ. დავხედავ მოსავალს და რომელს როგორ ექნება, ისე ვთხოვ. (verso-ს განის აშიაზე) ღალის საქმეზე ბეჯითად მოიქეც, შარშანდელსავით არ მოხდეს შეუტყობელი და სხვა რიგადაც, რაც ღთმა შეგაძლებინოს, ეცადე პურის შოვნას. ივნისის კმ, ქკს უპე.

verso-ს აშიაზე მანუჩარის ხელით მიწერილია:

მკათათვის ბ, მამივიდა.

№ 36, 1797 წლის აგვისტოს წერილი სტეუანე ტერ-შმოვანოვისა მანუჩარ თუმანიშვილისადმი. დედანი. მხედრული ხელით ნაწერი ორად გაკეცილ რუხი ფერის ქაღალდზე. ვანკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. ზომა თითო გვერდისა: 22,5 × 18,5 cm.

საქ. ც. ა. ფ. 1442 № 2537

მის ბრწყინვალეობას, უფალს მანუჩარ მდივანს თუმანოვს,
ჩვენს მოწყალეს ხელმწიფეს!

ქ. თიბათვის კგ წიგნი გვიახლებია და ჩვენი ყველა აფალი. თუ თქვენი ნაბოძი წიგნის პასუხი მოგვიხსენებია. იმედი გვაქვს მოგერთმევეოდესთ.

თქვენი, გორითგან თიბათვის ი ნაბოძი წიგნი კათათვის კი მივიღევეთ. პირველი თქვენი შევიდობა, მერმე რომელიც გებძანათ, ვისცანით და ღმერთს მადლობა მივეცით.

ჩვენი მამისის ზ მორთმეული წიგნი თავის დროს მოგართმევიათ და რომელიც პასუხიც გებძანათ, მადლობით მივიღევეთ.

მამილოცავს ძალღის ალა-მაჰმადხანის იმ რიგათ ჩაძალდება და გაფუჭება. და ჩვენი ქვეყნის და იმდონი ქრისტიანის მორჩენა. ქეშმარტათ რო ამოდუნა ღთის მოწყალეების ღირსი არ ვიყავით. ისე რო ჩვენ გვესმოდა, თუ ცოტა ხანი კიდევ ცოცხალი დარჩომილიყო, ვერას გზით ვერ მოვრჩებოდით. და მართლა უარესათ და მთლად კიდევ წავხდებოდით, არა თუ მარტო ჩვენ და ჩვენი ქვეყანა. საცა ცოტა რამ რო ქრისტიანი დარჩომილიყო, მთლად გააფუჭებდა. არა თუ ჩვენი ქრისტიანი, თათარიც, ვისაც თვალში სინათლე ქონდა. გამოართმევედა და გააფუჭებდა. ქრისტემ გააფუჭოს როგორც ის იმ რიგათ გაფუჭდა და სახელიც ამოვარდა. ვმადლობთ ღთის მოწყალეობასა. გევედრებით ისევ მოწყალე ღმერთი შეგვიბრალოს, ამას იქით შევიდობა მოგვეცეს და იმისთანა განსაცდელი და ღთს რისხვა ნულარ დაგვანახოს და არც ვაგვაგონოს. საცოდავი ჩვენი დაქცული, დამწვარი და წამხდარი ქალაქი, შენობა და ცხოვრების შეძლება მისცეს და ბოლო კეთილ ქნას.

ის ძალღის მეორე ფარვანის პირიც გებოძებინათ. ოხრათამც დარჩეს იმისი წერილი და ფარვანი და ნულარ ვაგვაგონოს იმისი სახელი.

ჩვენი ოხერი თავის შენახვა და გაფრთხილებასა ბძანებთ. ვაი ჩვენი ამისთანა სიცოცხლეს, რო ასე უბედური გახდით და ამისთანას განსაცდელს ველირსენით ჩვენის სიბერის დროსა ჩვენი შვილების დაკარგვა ვნახეთ. კარგია მინდა რო დავივიწყო, მაგრამ როგორ დავივიწყო, ადამიანი ვარ, პირუტყვი ხომ არა ვარ. მაგრამ რა უნდა ვქნათ. უნდა დავთმოთ და მადლობა მივეცეთ ღმერთსა. აბა მეტათ ამას ვმადლობთ ღმერთსა, რო თუმცა ჩემს ცოდვისაგან ყოველფორვ ჩემი სიხარული და ნუგეში მოუტრია. ყველას მაგიერათ თქვენი ბრწყინვალე თავი უბოძებია. დღეს ჩვენი სიხარულიც თქვენა ბძანდებით და ჩვენი ნუგეშიც. ღთნ ნუ მოგვიშალოს და დიდხანს გვიცოცხლოს თქვენი თავი და მეორეთ გვადირსოს თქვენი ნახვა და ხილვა. ეს არის ჩვენი ვედრება ღთისგან. სხვა ნება თავისი შეთავდეს.

ჩვენი ანგარიშის ნუსხა გებოძებინათ სოლომონასათვის. იმან ჩვენთვის ვამოგვზავნა. მივიღევეთ. ეს რა არის იმოდენა ქვილი, ერბო, ზეთი, ყველი, ლობიოს ფასი არა ვიანგარიშებიათ. ისე პირველ გორითგან თქვენი ნაბოძი ორი დავა შევიდი თუმანი თეთრიც ბძანებთ რო არ ვიანგარიშოთ. და — ჩვენი მორთმეუ-

ლი ორიოთ შაურის ცუდი რამეები ვიანგარიშებით. ნება თქვენია. ბძანებთ, რო არ ვილაპარაკოთ, მეც ვერ მოგახსენებთ უარსა და თქვენს ბძანების წინამდებობას არა ვიქით. მაგრამ საუკუნოთ მოვალეთ გაგვხადეთ და დავრჩით თქვენს სირცხვილის ქვეშ. ღ^თნ გადღეგრძელოთ. მადლობელი ვართ. მაგიერი ღთისაგან მიიღოთ ერთი ათასათ. ჩვენ ხო აღარა შეგვიძლია რა.

ჩვენი მორთმეული 3 ყვითელისა ბძანებთ, რო ჯერ სალამონასთან არის. დიად, კარგი. ქალაქიდამე იწერებიან, რო ძს (სამი მინალთუნი და 1 აბაზი), ასე იყო. ახლა ძფნ (3 მინალთუნი და 11 შაური) ასე გამხდარა, იმედი მაქვს უფრო მოემატოს აქაც ძდნ (3 მინალთუნი 25 შაური) ასე იყო, ერთი თვე იქნება მოემატა. რო ახლა წფ (4 მინალთუნი და 10 შაური) ასე არის. ამას იქით ღთნ იცის.

საწვიმარე მაჰუდი ან ბაგრასტი აქ არ იყო, მაკარიდამე მითხოვნია. ვნახოთ აქაც იშოვნინ თუ არა. მაკარის ქარავანიც ამ ა თვეში მოვლენ. იმედი მაქვს, რო მაჰუდი ან ბაგრასტი იშოვნონ.

თქვენი მეგობარი პარუნ ოჰანეზ ვართანიჩ-მოვიდა შეიძობით. თქვენი მოწერილი წიგნი მივართვი, კიდევ მოგახსენე, თუ პასუხს მისწერთ, მიბოძეთ წამსლელი არის მეთქი. თუ მიბოძა, მოგერთმევით.

აქაური რამ მოგახსენოთ. ძალიან წამხდარა აქავურობა და ავთა ვნახე. ჩემი ნახული აშტარხანი აღარა არის, არც ის კაცები არიან. ყოველი რამე ცეცხლის ფასათ არის. და ძალიან ძვირობა არის. აღარც ეპთიბარი დარჩომილა; არც სისწორე და სამართალი. ღ^თნ ბოლო კეთილი ქნას.

ყოვლად დიდებულნი და მოწყალე ხელმწიფისათვის მოგახსენებენ. რო აქ უნდა მობძანდესო. ღ^თნ განაპრიელოს ამის ხელმწიფება. და ამას წინათ მე პეტერბორქს გარსევან ეშვიკადასბაშთან რაღაც საქმისათვის წიგნი მივწერე. ჩვენი შეწუხება და ყოვლად დიდებულნი ხელმწიფისაგან ჩვენთვის ერთი რამ წყალობა არის თუ არა, მიბძანოს. დიად კაი ანბავი ებძანებინა. კათავის ბ პეტერბორქში დამე ნაწერი იმავე თვის კ მომივიდა, რო იმისი პირი გარდმოვწერე ა ქალაღზე და მოგართვით, რო ნახოთ. ჯერ ის ძალღის ჩაძალღების ანბავი არ მისულა. მერმე იმაზე კარგი ითუ ავი. თუ გამოიცვლება, ის არ ვიცი. იმედი მაქვს, კიდევ მომივიდეს იმისგან წიგნი.

იმედი მაქვს ჩემი საყვარელი ელისაბეტი დაწოლილიყოს და შეიძობით მორჩომილიყოს. ვაჟი თუ ქალი, რაც ღმერთს უბოძებია, კეთილია. ღ^თნ დედამით გაზარდოს და კაის ფეხისა იყოს. იმედი მაქვს თქვენი სიღედრიც ქალაქ მოსულიყოს. შუშანა და რძალიც მარტოკობით არ შესწუხდნენ. თქვენც მგონია ჩამობძანდებით ქალაქს. გეყოფათ რაც სოფლებში იყოფებით, რომელიც თქვენი ნება, ის არის კარგი, ღთნ ბოლო კეთილი ქნას.

აღა აფრიამამ ჩვენი ბატონი დავით თავდაბლობით მოკითხვას მოგახსენებენ. პატარა ოჰანეზ თქვენ და ელისაბეტს მადლობა და ხელზე კოცნას და ჯიმშერს, ელისოს, დავითს, დათოს მოკითხვას მოახსენებს. გევედრებით თქვენს წიგნს და ანბავს არ დავაკლოთ. თქვენ თუმცა შორა ბძანდებით ჩვენგან. თქვენი წიგნიც დიდი სუგეშია ჩვენთვის და სიხარული. იოსებ არხიერი, მელიქ ჯიმშიტ, მელიქი ფრიდონ ხო მობძანებულან მოზღოკს. ამ ცოტა ხანში მობძანდებიან აქ და ასე მოგახსენებენ, რო ყოვლათ მოწყალე ხელმწიფის კარზე უნდა მივიდნენო. მათლამ რა არის არ ვიცი. ქეს უბე წელსა მარიაშობისთვის ვ-ში.

აშტარხანს

მათი უბედური და მდაბალი მონა
 სტეფან ტერ-შმაგონოვ

არშიაზე იმავე ხელით: ჩემს თვალის სინათლეს ელისაპეტს მოკითხვა. ნახვის ნატვრას მოვასხენებთ. საყვარელ ჯიმშერს, ელისოს, სანატრელ დაუთს და და-თოს მოკითხვა, თვალეზში კოცნას მოვასხენებთ.

მეორე გვერდის verso-ზე იმავე ხელით მიწერილია: მის ბრწყინვალეობას უფ-ალს მანუჩარ მდივანს გორჯასპის ძეს თუმანოვს, ჩემს მოწყალეს ხელმწიფეს, გორს ან ქალაქს.

იქვე მანუჩარ თუმანიშვილის ხელით მიწერილია: ქქს უბე, ენკენისთვის გ მამი-ვიდა გორს, ჰაშტარხნიდან ჩემი სიმამრის მოწერილი. პასუხი ენკენისთვის იე მივსწერე.

№ 37. 1797 წლის 27 სექტემბრის წერილი სტეფანე ტერ-შმაგონოვისა მანუჩარ თუმანი-შვილისადმი. დედანი. მხედრული ხელით ნაწერი მოყვითალო ფერის ორად გაკეცილ ქაღალდზე. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. ზომა თითო გვერ-დისა: 22,5×19 cm.

საქ. ც. ა. ფ. 1448 № 2539

მის ბრწყინვალეობას უფალს მანუჩარ მდივანს
 თუმანოვს ჩემს ფრდ მოწყალე კელმწიფეს!

ქ. ამას წინათ, მარიამობისთვის ვ და ენკენისთვის გ ორი რიგობა არზით, ჩვენი ყველა აფალი თუ თქვენი წიგნის პასუხი მოგვიხსენებია. იმედი გვაქვს თავის დროს მოგრობეგოდესთ.

მათი კათათვის ით მოწერილი წიგნი ამ თვის ე მივიღვეთ. პირველ მათი შვიდობა. მერე რომელიც გეზძანათ ყველა ვისმინეთ და მადლობა მივეცით ღმერთსა.

ბძანებთ რო ჩვენი თიბათვის კგ მოწერილი არზა მოგრობეგიათ, რომელიც პასუხი გეზძანათ მადლობით ვსცანით.

აღა-მაჰმად-ხანის ჩაძალდება და რა რიგათ გაფუჭება გეზძანათ. აბა ის ღო დიდი ღთის წყალობა იყო. ნაჰათი ჩვენ გვეგონა თუ მოვრჩით და მოვისვენებთ. მაგრამ სხვადასხვა მრავალი ჭირი და ნაღველი გვესმის კიდევ და ბევრი რიგი მტერი ადგომილან და აპირებენ ქალაქზე მოსვლას, რათგან ქალაქის სახე-ლიც გატყდა და პატრონიცა. მეტადრე რუსის ჯარის ქალაქიდამე გამოსლა გვე-სმის. ეს უმეტესათ დიდი გასაფიქრებელია. რო ღთნ შეიბრალოს საცოდავი ჩვენი ქვეყანა. დამწვარი და დაქცეული ქალაქი და მაგოდენა ქრისტიანი. და ყდ დიდებული და მოწყალე კელმწიფეს გული ღთნ გაამტკბილოს ჩვენს ქვე-ყანაზე, რო თავის მოწყალება და ფარვა არ მოაშოროს ჩვენგან და შეიბრალოს.

მერმე ბძანებთ, რო მეტი ფიქრი არ ვქნათ. ჩემი თავი შავინახოთ, ისე შე-წუხებული წიგნი არ მოგწეროთ და სხვა ამისთანები. დიად, ბატონი ბძანდებით. დაგმორჩილდები და თქვენს ბძანებას წინამდევობას აღარა ვიქ. ვნახო ღთნ თავის წყალობას მაიღოს. ბოლო კეთილი ქმნას.

საწვიმარი ბაგრასტისათვის ბძანებთ, რო მანდაური ადლი თუ მანდ ჯ (მ მანე-თი) ასე დაჯდებოდეს, მოგართოთ. თუ არა, იყოს. ჩემო მოწყალე, თქვენს თავსა

ფვიცავ და ღმერთი, რო არც აქ შევიძელ შოვნა, არც მაკარის ეშოვნათ. ჩვენი ბატონი დავითა თავის გემით ამ ათ-თხუთმეტ დღეში გასვლას აპირობს გაომა ყიზილბაშისაკენ. შვიდიოთ მთელი თოფი ბაგრასტ ეყიდნა. აქაურს ადლს ქვ (7 მინალთუნი და 10 შაური) ასე. სულ თითო-თითო გავხსენ, ენახე, არ მოვიწონე, ცუდი რამ იყო. არა თუ მანდაური ადლი ჯ (8 მინალთუნი) ასე, თქვენმა მზემა კაი ბაგრასტი თუ მეშოვნა მანდ რო მანდაური ადლი ა ც (1 თუმახი) ასე რო დამჯდარიყო, დიად ვიყიდდი. აბა ფარსაკი ყირმიზი მაჰუდიც ვერ ვიშოვნე. სხვა ფერი მაჰუდიც აქაური ადლი ექვს მინალთუნიდამე დაჭერილი ერთ თუმნამდინ ნაკლებ არ არის.

რევაზანთას რა წიგნები გაქვს, მიბძანეთ, ეგება ვაპოვნირო. იმის სახლ-კარი, შვილები ხომ გაფუჭებულან. ნაჰათი ცოლი არის სიძემ ინახამს. თუ რამ არის ან ვისგან მიჰბარებიათ, მიბძანეთ.

თქვენი მეგობარი პარუნ ოჰანეზა, რამთენჯერ მითხომს, მდივანს თუ თავისი წიგნის პასუხს მისწერო, წამსლელი არის. მისწერეთ. არაფერი მოსახსენებელი არ მაქვსო. ჩემ მაგიერათ მოკითხვა მოახსენონო.

თქვენი სარუბეჟანის ბუხარიდამ მოსვლა ამ თვის გ მოგვიხსენებია. ამას სულ ექვსასი წყვილი სტანბოლის ხარჯი ტყავი ქონდა და წასასვლელი იყო სტანბოლს. აქ ღავიჭირე და ველაპარაკე: მეტი უბრალოთ შენს სახლსაც ნუ დააქცევ და მეც ნუ მაცოდვილებ, მანამ თეთრი არ გამოვართო, არსად არ გავიშვებ. დიად და(მ)მორჩილდა და არც სულ წინამდევობა არ ამას მეტი, რო ხვეწნით და ტირილით მეუბნებოდა, თუ შენ იცი შენმა ღმერთმა, ამას გარდა რკ (120) თუმანი ქალაქში ქართველსა ვარ მისაცემი ერთი იმოდენიც წურინანთ მოსესა არის, იმასა ვარ მისაცემი და ოციოთ თუმანიც თან ბუხარიდამე მამყოლია ვალი. ნება შენია, რაც გინდა მიყავიო. ბევრი ველაპარაკეთ, დიად ბევრი კაცი შვა შაჰოვიდა. აქ თეთრი ვერ იშოვნა, რო ბარათი აედო. ტყავი გასასყიდლად მოინდომა წყვილი ჭ (5 მინალთუნი) ასე. მეტი მამცემი არ იქნა. თეთრის მამცემი არ იყო და თითონ თავს იკლევდა რო ანბობდა, მე წყვილი ერთ თუმნათაც ხელს არ მომცემს. მეც დავლონდი, თუ რა უნდა მექნა, არ ვიცოდი. ბოლოს ვიფიქრე და წაველ ჩვენს არქიერს იოსეფ ვართაპეტასთან. თუ ამისთანა საქმეა ამა და ამ კაცისგან, ამოდენა თეთრი მინდა. სტანბოლს გასაგზავნი თეთრი ხო არ არის შენთან? მიბძანა, თუ არის, მაგრამ ამ თავიდან ვერ მოგცემ. მივიდეს სტანბოლს, იქ ელუსარემის ვექილს მისცეს, იქიდანვე წიგნი მამივიდეს, მერმე მე აქ თქვენ მოგცემო. ულონობით ამას დავჯერდი. სხვა გზა და ილაჯი ველარ ვიშოვნე. ბოლო ასე მაილო, რო სამას ორმოცდათ ბაჯალლუის ოქროთ გავჭერით. რო შეიქნა ამ თარიღში აქაური თეთრი რნზ ჭ. (157 თუმანი 5 მინალთუნი) ამდენი. ცამეტ წელიწადს დ თვე ნაკლებ გასულყო. ამ პირობით ვართაპეტამ მე წიგნი მამცა და ბეჟანამ თითონ თავისი სახელით ტნ (350) ამდენი ოქროს ბარათის წიგნი მისცა. და ტყავი რაცა ქონდა, გირავოთ დავაწერინეთ. რო შვიდობით მივიდეს სტანბოლს ტნ ოქრო იქ ელუსარემის ვექილს მისცეს და იქიდანვე ანბავი მოვიდეს. აქ ვართაპეტამ ტნ (350) ამდენი ოქრო მე მამცეს და თავისი თამასუქის უკან ხელი მოვაწირე, და მივეც. ამას მეტი ვერ შევიძელ. ვერც სამართალი და გზა ვიპოვნე. თუ ჰუჯათი ექნა და სამართალში წავსულიყავით, ამას არ მამაცემინებდენ. სამართალმა თუმანი ერთ შაურათ მეტი არ მამცემდა. მახლას, ამის მეტი ვერ შევიძელ, წყალობას ვითხოვთ, არ გავვიწყრეთ. იმედი გვაქვს, რო შვიდობით მივიდეს, იქ მისცეს და პასუხი ძალე მამივა. ღწ აქ გამოვართმევთ. აბა, ესეც მოიხსენოთ. ბეჟანა წასასვლელიყო, ორი-

ოთ დღის უკან რო ის წურინანთ მოსესა ვილაც არის ყიზლარზ ყოფილა. თურმე შეუტყვია, ადგომილიყო, მოვიდა. კაი მოხტაბარი თამასუქით ამისაც სამოცი თუმანი მართებია. ქალაქში მიუცია. თქვენს თამასუქზე ერთი წელიწადი მეტ უწინ ყოფილა მიცემული. ბევრი ილაპარაკეს. ვერა გაარიგა რა ამას მეტი. ას თუმნათ გასჭრეს და ერთი კაცი დაიჭირა, თან გაატანა. რო წავიდეს, სტანბოლს მისცეს. ადგა ამ თვის კ წავიდა, ღ თნ შვიდობის გზა მისცეს და ხელი მოუმართოს.

არშაზე მიწერილია: ჩემს საყვარელ ელისაპეტს დიდის სიყვარულით მოკითხვა, ნახვის ნატვრას მოვასხენებთ. საყვარელს ჯიმშერს, პატარა ელისაპეტ სანატრელი დავითს სიყვარულით მოვიკითხამთ.

ენკენისთვის კზ ქკს უბე აშტრახანს
ყდ უბედური და შეწუხებული მონა სტეფან
ტერ-შამოვანოვ.

№ 25. 1797 წლის 3 დეკემბრის წერილი სტეფანე ტერ-შამოვანოვისა მანუჩარ თუმანი-შვილისადმი. დედანი. მხედრული ხელით ნაწერი ორად გაკეცილ რუხი ფერის ქაღალდზე. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირი თითო წერტილი.
ზომა თითო გვერდისა: 23×19 cm.
საქ. ც. ა. ფ. 1448 № 2541

მის ბრწყინვალეობას უფალს მანუჩარ მდივანს
ჩვენ მოწყალეს კელმწიფეს!

ქ. ამას წინათ ენკენისთვის კზ წიგნი მომირთმევია და ყველა აფალი თუ საკუთ-ბეჟანას საქმის და ანგარიშის ტითარება მთლად მომიხსენებია. იმედი მაქვს თავის დროს მოგართმევოდეს და მოგხსენებოდეს.

თქვენი ენკენისთვის იე და ღვინობისთვის ზ მოწერილი გორითგან ორი რიგობა წიგნი ერთათ გიორგობისთვის თერამეტს მივიღვეით. ჯერ თქვენი მშვიდობა და კეთილის ანბავი, მერმე რომელიც გებძანათ ყველა ვისცანით და მადლობა მივეციტ ღმერთსა, რო მათი ბრწყინვანეს შვიდობის ანბავი გვეღირსა და ჩვენი მარიამობისთვის ვ და ენკენისთვის ვ მოწერილი არზების პასუხი გებძანათ. დიდის მადლობით მივიღვეით. ღთნ თქვენი თავი და სახელი ნუ მოგვიშალოს.

თქვენი მოვალე სარუბეჟანის თეთრის ჯაჭტად მე რომელიც გებძანათ ვისცანით ნაჰათი. მეორეთ გრძლათ თავი რა შეგაწყინოთ. იმის მეტი გზა და სამართალი ვერ ვიპოვნე, რაც მიქნია და მომიხსენებია. თუ შემენახა, საქონელიც წახდებოდა და სახლიც დაიქცევოდა. ჩვენც ვიზიანებდით. აბა ისე საქმე არ დამიჭერია, რო იქ წასულიყო სტანბოლს და სხვა რიგი ლაპარაკი შეეძლო, როგორც ბაღდადს უქნია. სულ ექვსასი წყვილი ტყავი ქონდა. ოსეფ ვართაპეტის სახელით ბარათის წიგნი გამოვირთმევია, რო ღთ მივიდეს სტანბოლს, იქ ელუსარემის ვეჟილს მისცეს და ტყავიც მთლათ ჩვენი პუტუკათ დამიწერინებია. რო ღთ ღვინობისთვის კე-ში გემში ჩამჯდარა და წასულა. რო ღთ ამ თარიღში დიდი ხანი იქნება რო მისულიყოს. ღთ შვიდობით მისულიყოს. იქ უმიზუზოთ მისცემს, ვერას ილაპარაკებს. იქიდამე რო ანბავი მოვა, აქ სამას ორმოცდაათს ოქროს გამოვართმევთ. ამას მეტი ვერა შევიძელ, თუ სამართალში წავ-

სულეიყავით ესეც დიად არ მოგვაცემინებდენ. გევედრებით არ გაგვიწყრათ. ამას გარდა წურიანთ მოსესაც სამოცი თუმანი უნდოდა. ა წელიწადიც ჩვენს სანით იმის მეტი იყო. რა ძალით ის თუმნათ გასკრეს. რო მივიდეს სტანბოლს მისცეს. ჯამაგირით კაცი დაიჭირა და გაატანა. თუ მოსესა ადრე მოსულიყო, მე იმდენს ვერ ვამოვართმევდი. იმისი ქონება სულ ექვსასი წყვილი ტყავი იყო და ოციოთ თუმანიც თან ბუხარიდამ ჰოტანული ვალი ქონდა. მახლას საქმემ ასე გაიარა. ღნ ბოლო კეთილი ქნას და იმისი ასლი სანათი როდისაც მოვიდეს, მუზაღა არ არის.

ჩემი საყვარელი ელისაბეტის მორჩენა და ქალის ყოლა გებძანათ. მადლობა დმერთსა შვიდობიანათ და ადვილად მორჩომილა. ღთნ დედ-მამით გაზარდოს და შვილობა მისცეს.

თქვენი სიდედრის ქალაქს წასვლა გებძანათ. შუშანის წაღველი არა ყოლოდა, თქვენი ჩამოსლამდინ დადგებოდა. დიდი მადლობას იწერება. ღთნ თქვენი თავი ნუ მოგვიშალოს. ამხახათ ყველას მაგერათ ჩვენი ყოველფრივ სიხარული და ნუგეში თქვენა ბძანდებით. ღთისაგან თქვენს მეტი არავინ აღარ გვეგულება. ღთნ თქვენი სახელი და თავი ნუ მოგვიშალოს.

დავით ბატონიშვილის წიგნი ფოშტით მივართავით. ყდ მოწყალე კელმწიფე დიად კაის თვალთ უნახამს. დიდხანს ულაპარაკნია. იმ დღეს თავის სტოლზე სადილათაც შეუნახამს და დიად მეტათ წყალობსო. სხვა იმედიც გვესმის. ღთ კი ნიშანი ჩანს ყდ დიდებული კელმწიფის მოწყალება და საფარვა იმედი ვგაქვს დაგვემართოს. მელიქებისთვისაც დაუბარებია კაის წყალობითა. ამ თარიღში ამათაც მიდიან გულდოვიჩთან. რო იმან იქიდამე უნდა გაისტუმროს.

ისე რო ქალაქიდამე იწერებინან. იმედი ვგაქვს რო ომარხანიც ამ თარიღამდინ გაფუჭებულიყოს. ან გაბრუნებული. მუდამ მოველით იმის ანბავსა, რო გვედირსოს ერთი სიხარულის ხმასა.

საწვიმარე ბაგრასტი თუ მაჰუდისათვის მომიხსენებია, რო ფარსაკი ვერა ვინოვნეთ რა. თუ ამას იქით ჩავიგდევით, არ დავივიწყებ, ვიყიდი.

საჩიქლე განგებ მოქსეული სეთკა თუ სადერიე ან საჩიქილე ვიწრო ჰაშირა გითხოვნით. თუ მისხალი ტ (6 შაური) ასე მომცენ ვიყიდი. ამ თარიღში აქ სულ არ არის. მოსკოვიდამე დაბარება იქნება. მაგრამ მისხალი არც უ (2 აბაზი) ასე მომცემენ. რო მოგესენებათ მისხალშიც ასში ათი დაიკლებს მანდ ნაპათი დამნიშნა, ვინახოთ როდის ჩავიგდებთ. ან როგორ მოგვცემენ ამას უკან. ამას წინათ მოზლოვიდამე თქვენი თანხაში ოთხმოცი რაღაც მოგერთმივნა. იმის მანდაური ფასიც გებძანათ. ბძანებთ რო ის საღმე გაუგზავნიათ ლალის ჯაჰტადმე. ამას მეტი არ შემიტყვია. დიად ულაყბით და დაუშავებიათ. აბა რა გარიგებულა. ან იმასთან რა საქმე ქონდათ. წინაზე იქითკენ გასაგზავნათ ასიოთ კიდევ გამიგზავნია. ახლა დამიწერია. რო იქიდამე აიღონ. გაყიდონ და თეთრი თქვენ მოგართონ. მაგაზე არა მგონია მოემატოს ვაი თუ დაიკლოს.

გასაკეთი საპათი გიბძანებიათ. სოლომონას არ გაუგზავნია. ეგება ამას იქით გამოგვიგზავნოს, გავაკეთებინებთ.

აღა აბრამ ხეჩატურიჩ, ბატონი ჩვენი დავით მოკითხვისათვის მადლობა და სამსახურის ნატრა მოგახსენეს.

ჩემ პატარა ოპანეზამ თქვენ და ელისაბეტს თავ-დაბლობით ხელზე კოცნა და ყმარწვილების სიყვარულით მოკითხვა, ნახვის ნატრა მოგახსენათ. გევედრებით და წყალობას ვითხოვთ, რომელიც თქვენის საკადრისათ ვერ მოგახსენებდეთ. თახსირი გვაჩუქოთ, რათგან უწინ არ ვიცოდით და ახლა ხო დამვიწყებია.

ქს უბე ქრისტობის გ
აშტარხანს

მათი უბედური და ყოვლად შეწუხე-
ბული მდაბალი მონა სტეფან ტერ-შამგანოვ

განის აშიაზე მიწერილია:

ჩემ თვალის სინათლე და საყვარელ ელისაპეტს მოკითხვისათვის მადლობა და
სიყვარულით მოკითხვა. ნახვის ნატრა მოვახსენებთ.

საყვარელი ჯიმშერს, პატარა ელისაპეტს, სანატრელ დავითს და პატარა ქა-
ლის სიყვარულით მოვიკითხავ და ღთს წყალობით ნახვის ნატერას მოვახსენებ.

№ 39. 1798 წლის 3 თებერვლის წერილი სტეფან ტერ-შამგანოვისა მანუჩარისადმი. დე-
დანი. დაწერილია ცისფერ ქაღალდზე.

ზომა: 17×11,3 სმ

საქ. ც. ა. ფ. 226 № 3388

ეს წიგნები დაწერილი მქონდა, თქვენი იანვრის კე მოწერილი წიგნი ამ
თვის ა მივიღევი. თქვენი მშვიდობა, მერმე რომელიც გეძძანათ, ყველა ვის-
მინეთ. მადლობა ღმერთსა, დიად დიდი ფიქრში ვიყავით. მაგრამ ესეც ძველი
წიგნი იყო. რვა დღის წიგნი იყო. მართლა გული არ დაგვაჯერა. ღთნ გვადირ-
სოს თქვენი ერთი ახალი წიგნი და მშვიდობის ანბავი, რომ ხათრიჯამი შავიქნათ.

ლილისათვის რაც გეძძანათ, ვისცანით. თქვენ კარგათ ბძანდებოდეთ, ზეგ-
თაც მომიხსენებია, ნახევარი გაუყიდნია. ისიც გაჰყიდის. ეგ .ბ. სიყა ლილის ფა-
სი რაც იყოს, გამოართვიდ, გვიბოძეთ.

ზალბეგას ხელით ჩვენი მორთმეული წიგნი და ამანათის მოგრთმევა გეძძა-
ნათ. დიად კეთილი.

განჯისკენ პურის წაღებას არ უშვებენ. მაგრამ კიდევ ოპტიდამ ვერ
მოდიან, ჩუმათ და ქურდულვებ მიაქვთ. მეღიქ აპოვსაც ლ ურემი ფეტვი და სო-
მინდი დაუმზადებია, უფრო მეტიც იქნება. უიმისოთ არ არის, რო პურიც არ
იყოს. მახლალი რამე თუ თეთრიც მიუთრთმევია ბატონისათვის თუ სხვისათვის.
ლაპარაკობენ, მაგრამ უიმისოთ არ იქნება რო არ წაიღოს. გარსევანაც ხვალ-ზეგ
მოვა, ისევე ის გახდება.

იეზდის დარაიან გურგინბეგანთ სტეფანასი არ არის კარგი. არ მოგე-
ცემს რო გაახლოთ. თალხი ხარა არ მომიჭრევიანებია როგორც ბძანებთ ბო²
ადლს მოვაჭრევიანებთ და გაახლებთ. ტერ-არაქელასთვის რაც გეძძანათ, ისე მო-
ვახსენე. მადლობა მოვახსენათ. მარქარა მანუჩაროვის ტიტული მგონია მაღალ
კეთილშობილი იწერე (verso)ბოდეს, შიგნიდამაც და გარედამაც. მე ასე ვიცო.

ქაფქირი, ჩამჩა თუ ხაიათი მაშინვე გამიკეთებინებია. მზათ არის. მამტანი
არ ყოფილა, რო მამერთმევიანა. თუ იკითხოთ, ჩვენი მეგობარი განჯის სტეფან-
ალა იმ თვის ლ მობძანდა. აქ, ჩვენსა, ბძანდება. სამსახურის ნატრა მოვახსენათ.

იმ თვის ლ. შაფათს დღეს ა მეურმე გაიხლათ. ა ძველი ტომარაში ერთი
პარკით ლობიო მოგვიტანა. მდივანმა გიბოძათო. შიგ ლობიოში ა პატარა პარ-
კით ჩურჩა ა ქილით ზეთის ფალუტაკი იყო. მოგვივიდა. დიდის მადლობით მო-
ვიღევი. ღთნ თქვენი თავი ნუ მოგვიშალს. თუ იკითხოთ, ზარაფხანა დიად
აიწია. ულ (430 თუმანი) აქამდინ იჯარა მივიდნენ. ოთხი-ხუთნი არიან. დიად
ბეჯითათ დგანან. არ ვიცი რა შეუტყვიათ. მგონია ხუთას თუმანამდინაც წავიდეს.

1 ბი—ნიშნავს ორ ნახევარს

ამ საპატიო ავთანდილამ მითხრა, წამსლელი არის. წიგნი დაგებუდა და მივეც. არ ვიცი მომსლელი ვინ არის. ჩამჩა ქაფქირი ვერ მოგართვით.

მდაბალი მონა სტეფანე ტერ-შმოვანოვი
თებერვლის გქქს უბე

განის აშაზე

სტეფან ალა გვედრებათ, რო ჩემთვის ორიოთ ურემი ქვილი იყოს თუ ხორბალი, იყიდეთ. დიდათ დაგიმადლებთო.

№ 40. 1798 წლის 11 თებერვლის წერილი სტეფანე ტერ შმოვანოვისა მანუჩარ თუმანიშვილისადმი, დედანი. მხედრული ხელით ნაწერი ორად მოკეცილ ქალაღზე. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. ზომა თითო გვერდისა: 23×19 cm
საქ. ც. ა. ფ. 1448 № 2526

მისტრწყინვალებას უფალს მანუჩარ მდივანს თუმანოვს
ჩემს მოწყალეს კელმწიფეს!

ქ. ამას წინათ დეკტენბერის (sic) გ გეურქ-ალას ხელით წიგნი მოგვირთმევია და თქვენი წიგნის პასუხი თუ ჩვენი ვითარება მოგვიხსენებია.

თქვენი დეკტენბერის ა გორითგან მოწერილი წიგნი იმერეთზე იმავ თვის კვ გვებოდა, რომლითაც ვისცანით ქალაქის უმიზეზოთ და უეცრათ აყრა, დაფანტვა, აქეთ-იქით სოფლებში წასვლა და ჩვენთანებიც შვიდობიანათ მანდ გორს ხლება. ამ თქვენის წერილით ხათრიჯამი შავიქენით, ღთნ თქვენი თავი სახელი და სიკეთე ნუ მოგვიშალოს. ჩვენც თქვენთვის ერთი დიდი საჭირო შავიქენით. რა ვქნათ, ღმერთი ჩვენს ცოდვისაგან ხელს არ იღებს. მარცხი მარცხზე და უბედურება უბედურებაზე არ გვაკლდება. მადლობა ღმერთსა თქვენ კარგათ ბძანდებოდეთ. რა შავიქენია, ან რა უნდა უყოთ? ნება თავისი შეთავდეს!

ჩვენი ენკენისთვის კვ მოწერილი წიგნი თავის დროს მოგართმევიათ. რომელიც პასუხი გებძანათ, ვისცანით. და ნონბრის კდ თქვენი თუ სოლომონის დუშეთზე მოწერილი წიგნი ჯერაც ამ თარიღამდინ არ მოგვსლია, არ ვიცი სად, ან ვისთან დარჩომილა. აბა დეკტენბრის ა ქალაქიღამე და იანგრის თ თელავიღამე სოლომონის მოწერილი წიგნები ადრე მამსლია, და ყველა ქალაქის აყრის მიზეზო და ვითარება გარჩევით ვვიცნია.

ბძანებთ, რომ ამ ხანათ ომარ-ხანისაგან მორჩით, მოგშორდათ. შავხულში ღთნ გვასწიოს ჩვენი ქვეყნის ფიქრი. აბა ჩვენ აქ გვესმის, რომ ის ძალდი ამ ხამთარს შამახის დაუხამთრებია და ჯარი იქითკენ ეღებს, შაქის, ყარაბაღს დაუფანტებია. არ ვიცი იმის ნება რა არის. ღთნ გააფუჭოს და მოგვარჩინოს საცოდავი ჩვენი ქვეყანა თუ ქალაქი ყველა მტერსა და ურჯულოსაგან. თვითონ მოგვემველოს.

პარუნ ოპანეზ ვართანიჩისათვის რომელიც გებძანათ მოვახსენეთ, იმასთან დიდი ხჯალათი მაქვსო, სხვა არაფერი. დავით ბატონიშვილისათვის რო წიგნი გებოდათ, მაშინვე ფომტით მივართვით და პასუხიც უბძანებია, რო ამ წიგნით, მოგვირთმევია.

რევაზის ცოლი თითონ ვნახე. ნიშნულად მოვახსენე. რევაზა რო მიიცვალა, ჩემა შვილმან რაც მაგისთანა წიგნები იყო მთლად ცეცხლში ჩააგდო დასწვა. დიდის ფიცით დამაჯერა, რო არაფერი წიგნი არა მაქვსო.

სარუმბეჟანასი გებძანათ, რო ექვსასი წყვილი ტყავი მეტი ქონია. ღონ ქნას ვ ათასი ქონიყოს, მაგრამ არა ვ ასი მეტი არა ქონია. ამისი სამოცი წყვილიც სხვას ამანათია. იმ ქარვანში ერთი წყვილი ტყავი არავისი არ ყოფილა. ოციოთ თუ-თეთრის გირავოში პუტიკათ დამიწერინებია. რო ათასი თუმანი ვალი ქონდეს იმი-სგან ერთი ფულს ვერას გამოართმევენ, მანამ ჩვენი თეთრი არ მოგვეცეს. ბ. ფარდი ბარათის წიგნი გამოგვირთმევი. ა თავისი ქარავანით მოსულა, მიორე პეტერბურჟილამე ფოშტით იოსეფ სრფახან არხიერს გამოუგზავნია. მუდამ დღეს მოველი რო ღთ ანბავი მამივიდეს. ესეცა ბძანებთ, რო ტნ (360) ოქროთ რო გავვიჭრია სარგებელი ან ქალაქის თეთრისა როგორ გვიანგარიშებია. სოგახსე-ნოთ: სულ ეს არის რო ტნ ოქროთ გავვიჭრია, როგორც გინდათ იანგარიშეთ. სა-რუმბეჟანის ტნ ოქროს სომხური ბარათის წიგნის პირი ავიღე და ამ წიგნით მო-გართვით. თვითონ ბეჟანა ღვინობისთვის კე ზღვაში ჩამჯდარა. იქილამე ათ-თხუთმეტ დღეში მოვიდოდა. ღთ ასე იცოდეთ და ხათრჯამი ბძანდებოდეთ, იქ არაფერი ეშმაკობას ვერ იქს, ასე რიგათ შემიკრავს და საქონელი სულ ჩემი თეთრის პუტიკათა დამიწერინებია. ვნახოთ ბოლოს ღთნ რის წყალობას გვიზამს.

ჩღეშ თებერვლის ია
აშტრახანს

მათი უბედური და ყოვლად
შეწუხებული მონა სტეფან
ტერ-შმოვანოვი

ამ ფოშტით მოზდოკილამე ჩვენის მოწყალის მეფის მიცვალემა მოგეწერათ. ტყვილი და მართალი ღთნ იცის. აშაზე იმავე ხელით მიწერილია: ალა აბრამ ხანატურიჩმა დიდის თავდაბლობით მადლობა და მოკითხვას მოგახსენებთ. ჩემს საყვარელ ელისაპეტს დიდის სურვილით და სიყვარულით მოკითხვა ნახვის ნატრას მოგახსენებთ.

საყვარელ ჯიმშერს, ელისაპეტს, სანატრელ ღავითს თავისი ახალი დით სი-ყვარულით მოვიკითხამთ
მანუჩარის ხელით მიწერილია: ქ. სარუმბეჟანას ტნ ოქროს სომხური ბა-რათი ამაში ძეს. ეს წიგნი მამივიდა მარტის კ მოვიდა ქქს უბე. პასუხი მივეწერე აპრილის ია.

№ 41. 1798 წლის 19 ივნისის წერილი შიომთმანიშვილისა მანუჩარ თუმანიშვილისადმი. დედანი. თხელი რუხი ფერის ქაღალდზე ნაწერი მკაფიო მხედრულით. ზომა: 21,5× 14 სმ. საქ. ც. ა. ფ. 1448. № 2456.

ჩემო კელმწიფეე ბიძავ!

ქ. რა ქისიყილამ მოგსულვართ, მუდამ დღეს-ხვალობით ვაპირებდით წამო-სვლას, ამის მიზეზით ვეღარც წიგნი მოგართვით და აქაც საქმეს ვერას მო-ვეკიდენით. ახლაც აპირებს დედოფალი წამობძანებას, მაგრამ ვკვონებ ერთი კვირა კიდევ დაუგვიანდეს და არც ეს ვიცი უეჭველად. ამათი საქმე თქვენც კარვით მოგეხსენებათ. დავით ბატონისშვილის მობძანებას გაიგონებდით. ასე მესმის, რომ მშვიდობის აზრი ჰქონდეს და თავის ბიძებთან რიგიანად გზას წავი-დეს. ბაბახან. ვეჭობ. აღირბეჟანში მოვიდა და აქ ფარვანია მოსული ერევნის ხანს გამოგვზავნა, შვიდი დღე არის და ჯერ ბატონს ის კაცნი არა ხლებიან, არც

აშკარად ფარვანი წაუკითხებია. მაგრამ შვილის თხოვნა თურმე არის. და იქნება გოგჩაზე მოვიდესო. რუსული ამბავი უნაყოფო ხე არის. სხვა არა ჩანს რა ამ ყამად და ჩვენი საზოგადო საქვეყნო საქმეც ჯერ სასწორში მგონია. არ ვიცი. საით დასძლევს და მაშინაც ღონ წარმართოს ჩვენი საქმე. წინათვე საქართველო ასეთ მდგომარეობაში არის (verso). მიყვანილი, რომ, თუ დრომაც არა მსახურა, მართო მინისტრებსა გაუჭირდება საქმის დაწყება.

თქვენის კარვის ფასისა არა გარიგებულყო რა. ბატონისშვილმა ეს ამბავი დამახვედრა: ჩემს შვილს მეფეს სთხოოსო. მე მიცემა არ შემძლიან, ესეები სხვა რიგად საჭირო არისო. ესტატე ღვდლისაც მომცდარიყო. ასე ებძანებინა: ამის ჩემგან თქმა არ მახსოვსო და თუ ძირს დარჩა რამ, ეგების მაშინ მიეცე რამეო. სურსათის თქმისა ხომ წინათვე მოგხსენდათ, რომ ბატონმა არ ინება. თურმე აღარ უნდოდა დარჩომილის აკრეფა. ერთი თქმი გამოართო ამბარდარმა. თქვენ, ომან და ვენატი დაგიბარესთ, — ანგარიში გაწმინდეთო. მაგრამ მე კიდევ ერთი ცალკე თქმი დავაწერიწე, მოვართმევიწე. ქორონიკონს იქით კიდევ რალაც მოაწერინა და დაბეჭდა. ამ წიგნთან მომირთმევია. ამას იქით თქვენ იცით. როგორც მოიქცევით. ივნისს ით. ქქს უბე მონა და ძმის წული თქვენი შიოშ

ქ. მისს ბრწყინვალეხას თუმანოვს მანუჩარ მდივანს მიერთოს.

№ 42. 1798 წლის 1 ივლისის წერილი სულხან თუმანიშვილისა მანუჩარისაჲში დაწერილია მკაფიო მხედრულით ცისფერ ქაღალდზე. ზომა: 32×13,5 სმ.
საქ. ე. ა. ფ. 1448. № 2458

ქ. ორი რიგობა მანდემამ კაცნი მოვიდნენ და არც ერთხელ შენი წიგნი არ მომივიდა. არ ვიცი რა მიზეზი არის. ერთხელ გივის წიგნი კი მომივიდა.

ამას წინათ წიგნი მოგწერე და ბაბახანის ფარმნის მოტანა ერევნის ხანის კაცისაგან გაცნობე. მარა იმ ყამად სწორედ არ ვიცოდი როგორ იყო. ახლა ასე ცხად იქმნა: ის ფირმანი სულეიმან სარდალს მოეწერა თავრიზიდან ერევნის ხანისათვის. ზოგიერთი სხვა თავეთა სარისტა და ჯაფარყულის-ხანის გავლილი საქმეები ეწერა და საღუხ-ხანისა და ბაბახანთან წასვლა და ბოლო ეს ეწერა. საქართველოს მეფეს გიორგის მისწერეო. რომ ერთი თავის შვილი ჯეშქაშაი ბაბახანთან გამოგზავნისო და თითონ ბაბახანიც ამ ცოტას ხანში ურთმის მოვაო.

ბატონმა თაყა არღუთაშვილი მოამზადა გასაგზავნად და ქალაქიდან ამბავი მოხსენდა: ბაბახანიდან ერთი დიდი კაცი მოვიდაო. ერთი მოკთაბარი კაცი ზუის ხანისა, და ერთი მოკთაბარი კაცი ერევნის ხანისა თან ახლავსო. ოცდაათამდის იქნებიაწო. მაშინვე ასლან ყაფლანიშვილი ქალაქს იმ კაცთან გაისტუმრა და ქისიყს დაიბარა. ამიტომ რომ იმ კაცის ნახვა იქ ამკობინეს და თითონ ბატონიც ქისიყს წასასვლელად ემზადებოდა. მანამ (verso). ასლან ქალაქს მივიდოდა, ის კაცი ქალაქიდან წამოსულიყო და საგარეჯოს შეჭყროდა. ქისიყს წასვლა არ ეყაბულებინა. ასლანს ბატონისათვის არზა მიერთმივა და ბატონმაც თქმი მისწერა ასლანს და აქ თელავს დაიბარა. დღეს რომ ამ თვის ერთი არის, ის კაცი საღამო ყამზე ხოდაშენს მოვიდა და იქ დადგა და ხვალ დაღლავს მოვა. მისაგეგებლად დავით ბატონიშვილი და მირიან მოამზადეს და სხვა თავადები, რომ უნდა მიეგებნენ და პატივით შემოიყვანონ.

მომსვლელი კაცი ყაზმინის ხანი არის სახელოდ ნასკაღჩიბაშობა აქეს, სახელოდ მაჰმად ხან ჰქვიან. მიჩნეულს და პატიოსანს კაცს ამბობენ. მეფესთან ფარმანი მოაქვსო და ხმა ასე დავარდა, რომ შვილი და თავადები ეთხოვნოს და დიდი წყალობა აღეთქვას. როდესაც მოვა, სწორე ამბავი მაშინ შეიტყობა. ბატონიც ფეშქაშების მზადებაში შევიდა და ვნახოთ, საქმე როგორ მოხდება და წასასვლელად ვინ გამოირჩევა. დღეს მუხრანის ბატონიც თელავს მოვიდა. ეს ამბები ასეა და იქნება რომ დახიზნაც მოხდეს. რაოდენ შეიძლო თადარიქი, კელიდამ ნუ გაუშვებ და ყოველსა შინა ნება ღრისა იყოს. სხვას შენსა და მანდაურს ანბავს ნუ დამაკლებ. მკათათვის აქეს უპე

ქ. ღითით მანუჩარ მდივანს მიერთოს გორს

verso-ზე: მანუჩარის ხელით მიწერილია:

„ქ. ბაბახანის ამბავი სწერია“.

№ 43. 1798 წლის 4 ივლისის წერილი შიომ თუმანიშვილისა მანუჩარისადმი. დაწერილია რუხ ქაღალდზე შკაფით მხედრულით. ზომა 28×12 სმ
საქ. ც. ა. ფ. 1448 № 2459

ჩემო კელმწიფე ბიძავ!

ქ. სელიმ აღამ აქედამ ერთი თათარი გამოისტუმრა, იმის კელით წიგნი მოგართვით აქაურის ამბითა. და თქვენ მთიბათვის კო დაწერილის წიგნით მიბძანებთ, რომ კარგა ხანია შენი წიგნი არ მამსვლიაო.

ბატონის შვილის დავითის ამბავი გეკითხათ, კარგს გუნებაზე ბძანდება, საქართველოს და კარის ბინასაც მისცემს, თუ ან დრო იშოვნა, ან დაუჯერეს და ან არავინ გააჯავრა. ჯერ კი არა მინახავს რა, თორემ რადგანაც გეკითხათ, მოგახსენებდი.

კარის ამბავი გეკითხათ, რა იგი ქმნილი იგივე ქმნადი. სამეფო მოხელეს ჯერ საქმეში ვერავის ვხედავ თავის წესზედა. სუ დალაგლაგები არიან ყველანი. ისევე ის ორნი და სამნი ძველად შეჩვეულნი არიან. თქვენს უკან დაკლებული არის, მომატებული არაფერი. არცავენი საქმეში შესულან.

ბაბახანის ამბავი გივს მოგსწერე. ის მოგახსენებთ. იმავ ამბის მეორეთ წერა უქმი იქნებოდა. თადარიქი ყველას მართებს. ვინ იცის, როგორ მოხდეს და ესეც არის, ნეტავ ორიოთ ფალნის იაზო გვყვანდეს.

მონა და ძმისწული თქვენი
შიომ

ივლისის დ

ქკს უპე (verso) მის ბრწყინვალეობას თუმანოვს მდივანს მანუჩარს მიერთოს დასმულია ლუქის ბეჭედი ასომთავრული წარწერით „შიომ“
ქობაზე მხედრული წარწერა: „თუმანიშვილი...“

№ 44. 1798 წლის 5 ივლისის წერილი (სულხან) ისა მანუჩარ თუმანიშვილისადმი. დედანი.
მხედრული ხელით ნაწერი მოცისფრო ქაღალდზე.

ზომა: 34×14 სმ

საქ. ც. ა. ფ. 226 № 2460

მთიბათვის კთ დაწერილი თქვენი წიგნი მკათათვის ვ მომივიდა. კარგა ხანი იყო შენი წიგნი მაკლდა და შენის კეთილი ცხოვრების ამბის სმენისათვის ღთს მადლობა შეგსწირე, და რაც მოგეწერა, ყველა ვსცან.

ბაბახანიდამ რომ ელჩი მოვიდა, იმის ამბავი ბნელათ სხვას წიგნით მოგწერე იმისთვის, რომ ჯერ ნათლად არ გამოჩენილიყო. და ახლა ცხადი და ნათელი ამბავი ეს არის. ფარმნის პირი ამ წიგნში გახვეული მოვივა და იმით სცნობ, რომელიც იმის ბძანება არის. იმ კელად შვილის გაგზავნა მულუფა (sic) გიორგი ციციშვილს ამზადებენ ფეშქაშით ბაბახანთან გასგზავნათ. და იქნება რომ ჟამზედ შვილის გაგზავნაც მოხდეს.

ბატონს მოციქულები მოგეზავნა ჩემთვის. ჩვენი მურასა საათი ეთხოვნა ბაბახანის საფეშქაშოთ და ასე ებძანა: რაც გინდოდეს ყმა და მამული მთხოვე. ის საათი ორმოც და ათ თუმნათ გირაოთ მქონდა ჩემს დასთან³. მოგახსენე, რადგანაც ვინებებიათ, მიირთვით საათი, ქვეყნის სასარგებლოდ შვილსაც არ დავიშურებ, მარა ამდენათ გირაოთ არის, ის თეთრი მიბოძეთ, გამოვიხსნა და სხვა. რაც თქვენი ნება იყოს, ის მიბოძეთ. თეთრის ღონეს ვერსად გახდნენ. იმაზედ ბევრი მოციქულობა იყო. ბოლოს, რომ არ იქნა, გორს სახასო ნაზვრევი ვთხოვე და მირიანაშვილის სასახლე. ესეებ სიგლით მიბოძა და სათის დახსნაც მე დამედო თავს. მანდ ყდ სამღვდელო ბოდბელი გამოისტუმრა ბატონიშვილს იულონთან და იმას უბძანა ოქმით, საათი შენ გამოართვი და მოგვიტანეო. ბოდბელი რომ მობძანდეს, იმ საათის სამაგიეროდ ჩემს დას სხვა გირაოები მიეცით, ის საათი გამოართვით და შენ (verso) და გივმა ყდ სამღვდელის ბოდბელს მოაბარეთ, და ბატონის მოწერილ ოქმზედ ბოდბელს კელი მოაწერინეთ მიბარებისა და შეინახეთ. ამავე წიგნში გახვეული ოქმი არის, რომ ნაზვრევიდამ რაც სარგო ადგების, ჩვენ უნდა მოგვბარდეს. ჰალბათ როგორც რივი არის, ისე აიღებთ და სამერმისოდაც იმის თადარიქს ისე დაიჭერ, როგორც ამჯობინებ.

სამკალისათვის სახარჯო გეთხოვნა. სამიოდ თუმანი მქონდა, შავი გამოვიცვალეთ და იმაზედ დამეხარჯა. ახლა კელად ფული არა მქონდა, რომ გამომეგზავნა. ისევ მანდავ უნდა გაღონიერდე. მე გორის იჯარებიდამ არა დამიხარჯავს რა თორმეტ მინალთუნის მეტი. იქიდან დახარჯე. შინ შენს რძალთან რომ წამოველ, თორმეტი მინალთუნი გაუშვი. მას აქეთ ამას ვსწერ, ვალი აიღევით, ისე წადით იოლასა — მეთქი. ჰალბათ მაგათი ცხოვრება ვალი იქნება. სამკალის ხარჯს მანდავ უნდა გაღონიერდე და თუ ღთმა მომცა რამე, მეც მოგამველებ და გამოგეზავნი. აქ ულუფა ხომ მუდამად არა გვაქვს, ხანდახან მოგვეცემა. სულ სყიდვითა ვართ და მაგდენს რას ვიშოვნო, რომ გადავარჩინო. ბატონის არზა და ბატონიშვილის არზა რომ იდვა ჩემს წიგნში, ისიც თავთავის ადგილს მივართვი. პურის თადარიქი რომ გინახავს, დიახ კარგად მომხდარა. ივლისის ე ქკს უპე.

recto-ზე განის აშიაზე მიწერილი: ქ. ისაი აღამ მოკითხვა მოგახსენა, წიგნის პასუხი ვეღარ მოგასწრო. ორს დღეზე მოსასვლელია მანდეთ.

მანუჩარის ხელით: ქ. საათის დაბარება, ნაზვრევისა და სასახლის საქმე სწერია.

³ შია თუმანიშვილი.

№ 45. 1798 წლის 23 ნოემბრის წერილი სულობან თუმანიშვილისა მანუჩარისადმი. დედანი. დაწერილია მკაფიო მხედრულით ლურჯ ქაღალდზე. ზომა 33×13.5 სმ.
საქ. ც. ა. ფ. 226. № 2461

ქ. ლოს მოწყალებით აქ, ქალაქს, ამ თვის :კა: მოვედით მშვიდობით. ბატონიშვილი დავითიც იმ დღეს შემობძანდა ქალაქში, რომელსაც დღეს ჩვენ მოვედით. ამათს უგანათლებულესობას აცხელებს. ამ მიზეზისათვის მობძანდა. ღთისთ უკეთ რომ შეიქნება, აქედამ თელავს აპირებს წაბძანებას. მე გოგებაშვილებს ვითარება მოვასხენე. რომ მოხსენდა, მაშინვე ოქმი მიბოძა. რომ ის ოქმი ამ წიგნში გახვეული მოგივა. ბუქანიშვილთან გავზავნე და როგორიც ბძანება იყოს, ისე აღასრულებინე და ისევ საჩვენოდ დადევ ის კაცი. იოანესაც მუხლს ვაკოცინე და ვაახელ ბატონიშვილს დავითს და მე ხელის მომართვა მაკლია საჭირო ნივთები რომ უიმისოთ საფარში გასვლა შეუძლებელია. კარებზე რაც ჩვენი სარგო არის, არას იძლევიან. ოქმი აუღიათ—მანამ ანგარიშს უნახევდეთ. ნურც მოხელე და ნურც მობარათე ნურას შეაწუხებთო და ამისთვის დავრჩომილვარ სარგარდანი. ვნახოთ საიღამ გავემართები, რომ აქედამ ბატონს ვიახლო. თუ გავემართე საითმე, ხომ ის არის: თუ არა და მაშინც ბატონს ვიახლები... რა ღონეა.

ართინა გაღვგაშვილი მოვაცვანინე, ბაღის ვითარება ვკითხე. ასე მითხრა: შვიდი საპალნე და ნახევარი დაწმენდილი ღვინო მექნებაო და ასორმოცი თუნგიც შენის ბართით შენის სიმამრიანთათვის მიუტია, რომ ჩვენ წილად იქნება რომ გვრგებია ცნრა საპალნე და ოცი თუნგი, ოთხმოცის თუნგიანის საპალნით. კიდევ აქებს. დიად კარგი ღვინო დადგაო და ჯერ მე კი არ მინახავს.

ბატონი ბაიდარში ბეგლარში ბძანდება და ხუთიათამდის ლეკის ჯარი ახლავს და კიდევაც მოდის ლეკის ჯარი. ღმან კეთილად წარმართოს ამ ჯარიანობის საქმე. (versu) სარუბეყანა მოვაცვანინე და ასე მითხრა, რვა თვე არის რომ საცა დანიშნული იყო, იმ ადგილს თეთრი მივაბარე, ჩემს თამასუქზე ხელი მოვაწერინე და მე მაქვსო. მარა იმ თამასუქს შენ ვერ მოგცემო, იმიტომ რომ ორი ფარდი თამასუქი მიმიციაო, ერთი აშტრახანს შეინახეს და ერთი სტამბოლს გავზავნესო. მანამ ის ერთი ფარდი თამასუქი ჩემთან არ მოვაო, ამისი მოცემა არ შემიძლიაო. მე უთხარ: წადი, ის შენი თამასუქი კელმოწერილი მოიტანე, ვნახო; ორს სოვდაგარს ვკითხოთ როგორც იმათ თქონ, ისე ვქნათ მეთქი. ამიტომ რომ მაგ თამასუქის თეთრი ჯერ ჩვენ არ მოგვბარებია. მანამდის ეგ შენი თამასუქი, იმათგან კელმოწერილი. იქ, აშარხანს, არ მოვა, ჩვენ თეთრი არ მოგვბარდება მეთქი. ამ წიგნის წერაში ჯერ თამასუქი არ მოუტანია. რომ მოიტანს და ვნახამ, როგორც მოხდება, იმას მოგწერ.

მანდ რაც ნაზვრევის ღალა იყოს, ნულარ დაავადებინებ, აიღევ და ორმოში ჩააყრევი. ასე სჯობს. სხვას თქვენსა და მანდაურს ამბავს ნუ დამაკლებ. გიორგობას ეგ. ქქს უბე.

ქ. ამ წიგნს რომ სისრულე მივეც, სარუბეყანა მოვიდა, რომელიც თამასუქი იოსებ არქიერისათვის სამასორმოცდაათ ბაჯალლუსი მიეცა, იმ თამასუქზედ იერუსალიმის ვექილისაგან კელმოწერილი იყო სამასორმოცდაათი ბაჯალლი მომეზარაო. მომიტანა და მიჩვენა და მოცემით კი არ მომცა.

№ 46. 1798 წლის 26 ნოემბრის წერილი შიომ თუმანიშვილისა მანუჩარისადმი მიწერილია დღეშეთიდან. დაწერილია რუხ ბარათზე.

ზომა 21,5×11 სმ

საქ. ც. ა. ფ. 226. № 3558.

ჩემო კელმწიფევ ბიძიავ

ქ. დღეს თქვენი ორი რიგობა წიგნი მივიღე. ერთი კდ. ამ თვესა და მეორე კე. რიცხვში იყო დაწერილი. ბატონისშვილს ვახტანგთან და ბატონის სძალს ქეთევან მოსახსენებელი რაც მოგეწერათ, როდესაც ვნახავ, მოვახსენებ და ჯერ კი არსად დავიარბები. აქ დიდი თოვლი მოვიდა. ძალიანი ტალახებიც არის და ვერიდები სიცივეს. ბატონის სძალი ნინო აქ, დღეშეთს, ბძანდება. დედოფლისაგან ულუფა ეძლევა და სცხოვრობს ყარიბულად და ღარიბულად. მურვანის შვილისა როგორც გეძძანებინა, ვეცდები. მაგრამ მეძნელება ამისგან რიგიანი პასუხის მოცემა და მოსამართლევ სამართალს ერიდება. გორელებს რაც დედოფლისაგან სთხოებოდა ღვინო და ზოგი სამარხო. ვეჭობ, (verso) რო უპატიებია და პურს ისევ სთხოვს. მდივნის წასვლა რომ გეძძანებინათ, კეთილია და მამულის საქმეზე არ ვიცი დავით ბატონისშვილს წიგნი მისწერეთ თუ არა. ჯანუაშვილს რომ ურმები მოუხსენებია. ჩემი სიტყვა არ არის. მე ისევ ის ურემი მინდა, ღვინისათვის რომ დავიბარე. ცოდვა გამყდავნებული სჯობს. თუ თეთრი მქონოდა, აქავ ვიქირავებდი ურემს ერთის ადგილიდამ. თქვენი ერთი თუმანიც დავხარჯე სურგუნაშვილისაგან რომ არა მქონდა და ახლა თქვენ როგორც გიბძანებიათ, თქვენთვის თეთრის გამოართმევა, თუ ნებით არ მომცეს. იასაულს დავაყენებთ. მე ვიცი კიდევ იყაყანებენ და იასაული იმისთანა არა ჩანს, რომ იმ პირობით დავაყენო, როგორც მოგეწერათ. მაგრამ მაინც ვეცდები. რაოდენ შეიძლება. ნოემბერს კვ. ქკს უპვ.

მონა და ძმისწული თქვენი შიომ

№ 47. 1798 წლის 23 დეკემბრის წერილი სულხან თუმანიშვილისა მანუჩარისადმი. დედანი. დაწერილია მხედრულთ, ლურჯ ქალაღზე. ხელრთვა არა აქვს, მაგრამ შინაარსისა და ხელის მიხედვით ვასკნით, რომ წერილი სულხანისა უნდა იყოს.

ზომა: 31×10,5 cm.

საქ. ც. ა. ფ. № 226 საბ. № 3556

ერთი შენი წიგნი ამ თვის 3 დაწერილი კბ მომივიდა და მეორე ივ დაწერილი კ მომივიდა. რაც მოგეწერა, ყველა ვსცან და ღთს მადლობა შეგვსწირე თქვენის მშვიდობის ამბის სმენისათვის. ბატონისშვილი ფარნავაზ რომ მობძანდა, ელისბარ ერისთვის შვილის პირით ბატონის ნაბოძებ მირიანაშვილის სასახლეზედ სიტყვა მოვახსენე. საქმემ ღთით კარგად გაიარა. გორის მამასახლისის ისაის ოქმი მოსწერა, ის ოქმი ამ წიგნში გახვეული მოვივა. მამასახლისის უჩვენე წააკითხე და ნუ მისცემ კი. შენვე შეინახე; თუ უნდოდეს, პირი აიღოს. შიომ თუ ცოლშვილით მოსულიყოს, რაც გაკეთება ეჭირებოდეს, გააკეთებინოს და იქ დადგენ. და თუ არ მოსულიყოს, როცა მოვიდეს, მაშინ მიაყოფინოს გაკეთებას კელი.

დიმიტრი მდივანმა ბატონს არზა მიართო, ფირანიშვილის ყმისა და მამულის საჩივარი. ბატონმა სამართალი დავით ბატონისშვილს, მუხრანის ბატონს სახლთუხუცესს იოანეს და მსაჯულთ შეკრებილებას უბძანა. ეს წიგნი რომ მოგივიდეს, რაც საქმე გქონდეს, უნდა (verso) გაუშო, საბუთები და წიგნები რაც გეგულვებოდეს ყველა ოქმებითურთ თან უნდა წამოიღო და წამოხვიდე, რომ

12. ქართული წყაროთმცოდნეობა

საქმე გარდავსწყვიტოთ: თუ შიომ მანდ იყოს და წამოსვლა შეეძლოს, ისიც თან წამოიყვანე. თუ არ მოსულიყოს და ან წამოსვლა არ შეეძლოს, შენ წამოდი.

ბალის ამბავი ივანესაც ხომ მოუწერია, ლეკებმა კრჩხის დაწვით და გაკაფვით როგორ ააოხრეს. რა მანდილამ წამოვსულვარ, არც ჩვენის შემოსავლიდამ, არც კარიდამ, არც ულუფიდამ ერთის ფულის დანაფასების მშოვნელი არა ვარ. სულ რომ პირები შევიკრათ, დღეში ცხენებს ხუთი აბასი უნდება. ხუთნი ვართ, ჩვენი საზრდო სხვა არის. მე ბალიდამ ხორაგისათვის არა დამიხარჯავს-რა. არც იოანეს. ცოტა რამ ჩვენის კაცებისათვის გამოერთმია, თორემ იქილამ არა დაუხარჯავს-რა. სხვაგან რომ არა გვიჩანს რა, ამას ვამბობ—ბალის ღვინის ფასით არუთინა გაღვევაშვილმა ის ბალი შეიმუშავოს კრჩხით და ლატნით და მე-ბალის საზრდოთი. შენ ხომ ორი საბალნე ღვინო კიდევ დაგიხარჯავს და ჯერ მე ჭაშნიკის მეტი არ მიინახავს. თუ არა სჯობს, რომ ბალი ვაკეთდეს, თუნდა სულ მთლად წააღებინე. მანამ მამა ცოცხალი გვეყვანდა იმის კელთ იყო ხოლმე და როდესაც მიიცვალა, იმისი იჯარა რაც (recto-ს განის აშიაზე) იყო, შენ მოგანდევ. რომ ბალის მიღები კირით გემუშავნა. ის ხომ აღარ იქნა და ჩემს რუსეთს ყოფაში ქვიდკირის გაღვანი შემოგვევლო. შემოსავალიც შენს კელში ყოფილა და მუშაობაც. ახლაც ისევ ჰქმენ. მე არც დამიშლ და არც დაგიშლი. ამ წიგნის წერაში (verso-ს განის აშიაზე) ჩემი ცხენები მშვიერი დგანან. თუ სხვაგან ვერსად გავღონიერდი, მამინ კი იქილამ დავნარჯამ, მამ რა ექნა. მე რომ ვხედავ საქმე თუ ასე გაივლის, ჩემი აქ ვდება უხმარია. ახლა თქვენ მოდიოთ. თქვენ ეგების გამოსდგეთ ამ კარზედ. ქრისტიშობის კვ ქკს უბე.

№ 48. 1799 წლის 3 იანვარის წერილი სულხანისა მანუჩარისადმი. დაწერილია მხედრულად. ქალაქი დაზიანებულია. ხელის მიხედვით წერილი სულხანისაა.

ზომა: 33,5×10,5 cm.

საქ. ც. ა. ფ. 226 № 2462

ქ. ქრისტიშობის : ლ: დაწერილი შენი წიგნი იანვრისა: ა: მივიღე და რაც მოგეწერა, ყველა ვსცან და თქვენის მშვიდობით ყოფნის ამბის სმენისათვის ღთს მადლობა შევსწირე და ჩემს თავს ბედნიერად ვრაცხ, რომ შიომმა და ჩემ(მ)ა რძალმა მანდ მშვიდობით მოაწიეს და ახლა თქვენთან არიან.

დიმიტრი მდივანი რომ გვედავება, იმაზედ რომელის საბუთები გვაქვს, იმ საბუთების წამოღებით დაგიბარე და შენ წამოსვლის ნდომა მოგეწერა და გიქუასაგან ნათქვამს სიტყვას დაუყენებინარ. ზებირ თქმას წიგნი არა სჯობდა? მე გიქუასათვის შენი წამოღესგლელობა არ დამიბარებია; მართალია, მკითხა, თქვენ რას აპირობთ, ბატონს გაჰყვებით, თუ შინათკენ წახვალთ, მე უთხარ ჩემგან ბატონის მოშორება არ იქნება მეთქი. მე მამინ (ვერ?) ვშორდებოდი, რადგანაც (დიმიტრი) მდივანისათვის ოქმი ებოძა სამართალში ლაპარაკისა. არამც ამაში. ჩამომერთვას სამართალს თავს არიდებხო. ბატონს მოვასხენე, დიმიტრი მდივანს ოქმი აუღია სამართალში ლაპარაკისა, როგორ მიბძანებთ—თან გიხლო თუ აქ დავდგე და სამართალში ველაპარაკო? მიბძანა დგომა და სამართალში ლაპარაკი და იმისათვის დავდე და ჩვენთვისაც (ის)ე სჯობს რომ გადავსწყვიტოთ. (verso)

ბატონიშვილმა ფარნავაზმა რომ გორის მამასახლის(ს) მოსწერა, იმ წიგნის თქვენთან მოწევნა მოგეწერა და როგორც საქმე მოხდა, ბატონის მოუხსენებლად მოგწონებოდა. შიომს რომ ის სახლები უნახავს, მოსწონებია და იქ დადგომა გიმჯობინებიათ და რაც ვაკეთებთ ეჭირება, იმის ვაკეთებას და დგომას

აპირებს. ღონ შეაძლებინოს და კეთილი ქნას ჩვენი (იმ) სახლში შესვლა და დგომა.

რადგანაც გიქუას სიტყვამ შენი წამოსვლა დააყენა ჩვენგან მეორედ წიგნის — (და?) ბარება გეთხოვნა, მე ამ ორი დღის წინათაც წიგნი მოგწერე. დაბარებისა და ერთის ტიკჭორით, შვიდი თუნგი დუათეში არაყი და ერთის საცალოთი პირგაკერილი გამხმარი უნაბი და ოცდაათი ბროწეული რომ საცალოთი ავაწონინე, შვიდი ლიტრა გამოვიდა. ესეები, რომ ერთი მარცვალი უნაბი და ბროწეული მე არ დაიხარჯავს. რაც გალუგაშვილმა მიჩვენა, ეგ იყო. ბაშინჯალელს გამოვატანე, ღთით წიგნიც და რაც გამოვგზავნე. ისიც მოგივიდოდათ. იმ წიგნით სცნობდი შენს დაბარებას და მანამ ეს წიგნი მოგივა, მე იმ ჩემის წიგნის ძალით წამოსულიც მგონიხარ. თუ მიზეზი არა მოგეცრა და ამ წიგნითაც ამას გწერ რომ ღთით წამოხვიდე. ერთხელ საქმეს ბოლო მოუღოთ და დავა გარდაესწყვიტოთ.

ჩვენის ბიძაშვილის ნიკოლოზის მოწერილი წიგნის პირი რომ გამოვეგზავნა. მამივიდა და რაც მოეწერა, ვსცან, მე ამის მეტს ამაზედ სხვას არას ვიტყვი და თუ იმაზედ სამართალი გეჭონდეს, ღთი ჩვენ შეგვეწიოს. თუ არა და იმას შეეწიოს. იოანესი მოგეწერა, ჰკითხე, იმას გამოუტყხადე და რაც იცოდა, ყველა წიგნად მოგწერა. ბატონიშვილის იოანესი მოგეწერა აქ მოველითო. მე ახლა მაგათი მანდ ბძანება მგონია. შენ რომ ამას წინათ ნიკოლოზის საქმეზე ოქმი გეთხოვნა, მე ბატონს არზა მივართვი ისე, როგორც შენ მოგეწერა და ბატონს ბატონიშვილის იოანესათვის ებძანათ, რომელიც ოქმი მანდ გამომიგზავნია და (გადადის recto-ს აშოაზე) ღთით ამ წიგნთან მოგივა. ის ოქმი თუ ამჯობინო, გამოაჩინე, თუ არა და შენ იცი. ახლა ხომ მაგის სალაპარაკოდ არა გცალიან. აქ წამოსასვლელი ხარ და თუ შიღვს მიანდობ და მაგისგან ლაპარაკს ამჯობინებ, ის არ იცი. მაგრამ მარტო რას უნდა ელაპარაკოს. ჯერ ამისი გარდაწყვეტა სჯობს რომელიც სადაო არის. იანვრის გქვს უპუ.

ცხენი და კაცი ახლა აქ თერთმეტნი ვართდა დღეში რცვა-ცხრა აბაზი ხორაგზე გვეხარჯება. და ამ მდგომარეს უამში ჩვენთვის ეს ცოტა ხარჯი არ არის. ბატონი დეკემბერს ქ. აქედამ წაბძანდა ხაშმზე და ჯერ იქავ ბძანდება.

№ 49. 1799 წლის 27 იანვრის წერილი სულხანისა მანუჩარისადმი. დედანი. დაწერილია ჩხედრულად ლურჯ ქაღალდზე. ზომა: 30×11 სმ.

საქ. ც. ა. გ. 226. № 3561

ქ. შენი ორი წიგნი მივიღე, რაც მოგეწერა, ყველა ვსცან და თქვენის მშვიდობის ამბის სმენისათვის მხიარულ ვიქმენ.

შენი წამოუსვლელი პირველად ავის დროს მიზეზით მოგეწერა და მერე დიმიტრი მდივანი რომ მოსულიყო, იმიტომ აღარ წამოსულიყავ. რადგანაც დიმიტრი მდივანი მანდ მოვიდა. შენი წამოსვლა რაღა საქირო იყო, მაგრამ როდესაც დიმიტრი მდივანი წამოვიდოდეს. სჯობს რომ შენც წამოხვიდე და ჩვენს საქმეს მოვრჩეთ.

ჩემი მოგეწერა, ვითამ ბატონთან წასვლას ვაპირებდე. ბატონი ამ ხუთ-ექვს დღეზე აქ მოსაბძანებელი არის და მე რაღათ წავალ. როგორც იქნება, აქ უნდა გავძლო.

ჩვენის სარგოს ამბავს იკითხავ: ორი თუმანი ღვინის ბაჟიდან გვერგო და ხუთი მინალთუნი ყაფნიდამ. ამასაც თითო-ოროლა აბაზობით ვართმევთ და ცხე-

ნებს უნდება. ჩელიექის იჯარადარი ბატონთან არის, ჯერ არ მოსულა. ყასაბბა-ში დამალულია და ბევრნი ეძებენ და ვერ უპოვნიათ.

სამი ნაბადი გეთხოვრა. ბაზარში ნაბადი ძვირათ იშობება და თუ აქვს ვის-მე, თორმეტის აბაზის ნაბადს ხუთათ და ხუთ ათშაურათ აფასებენ. თეთრი ხომ არა მაქვს და ნისიათ არ იძლევიან და ძალათ ვერ წავართმევ. ახალი იჯარები (verso) რაც სადგდოფლო იყო, ის კი აიღეს, ჩელიექს და ღვინოს არავინ მოუდგა. სხვა ხომ აღარა არის რა სათქმელი. ჩელიექისაც ამანათქარია და ღვინისაც. რაც შემოვა, უკან დასდევენ და ართმევენ. ჩვენ ვინ რას მოგცემს. ღრმან იზრუნოს თავის მოწყალებით, თორემ ჩვენთვის სარჩო ჯერეთ არსაით რა ჩანს. ღვინის კაბა შემომამაგლიჯდა, ჯერე ერთს კაბას ვერ გავღონიერებულვარ რომ შევიკერო. ერთს დედაკაცს შენის რძლისა სამი თუმანი ემართა. ის მოვახელებ. ერთს თუმანს ვაწუხებ რომ კაბა გამოვიცვალო. ისიც არ ვიცი, იქნება თუ არა.

ნიკოლოზის საჩივრის საქმეზე ბატონისშვილს დავეითის მოხსენება და წიგნის მოწერა არ ვამჯობინე და მე მოვართვი წიგნი იოანე ბატონისშვილს. ვნახოთ, რა გამოვა. ამას წინათ შიომის რეკომენდაცია მოვახსენე წიგნით და იმის პასუხი ებოდა. ის წიგნი შიომს გამოუგზავნე და შენც ნახავ, როგორ მწყალობლობას იწერება. ვნახოთ, საქმის შედგინებასაც რნებებს, თუ მხოლოდ წიგნს დაგვაჯერებს.

ლალისა და სურსათის ვითარება რომ გეკითხა, იოანემ წიგნი მოგწერა. ამ წიგნთან მოვივა და იმის ვითარებას სცნობ.

ამ თვის .კე. ნიკოლოზა ჰაუშტროვი რუსეთიდან მოვიდა. პეტერბურხიდან ბატონთან წიგნები აქვს. ზეპირი ამბავი არა თქვა რა. თელავს წავიდა და ბატონთან წიგნები წაიღო. ვნახოთ რა ამბავი იქნება. სპარსეთის მხრიდან ჯერ ამბავი არა არის რა. რუსეთიდან ოცი საპალნე სტეფანწმინდას მოსულა და აუშტროვმა ასე თქვა (ჯანის აშიაზე) ასეთი ავი გზა არის, დიდმარხვამდის ძლივს მოვლენო. ნიკოლოზის არზის პირი რომ გამოგეგზავნა, ისიც ვცან. ღრის ნება იყოს ყოველსა შინა. რაც სამართლით მოხდება, უმჯობესი ის არის. სხვას თქვენსა და მანდაურს ამბავს ნუ დამაკლებ. იანვრის კზ. ქკს უპზ.

№ 50, 1799 წლის 28 მარტის წერილი სულხან თუმანიშვილისა მანუჩარისადმი. დღიანი. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე. ზომა 35,5×10,5 სმ

საქ. ც. ა. ფ. 226. № 3562

ქ. მარტის იმ დეწერილი შენი წიგნი მარტის იე მივიღე. რომლითაც ვსცან თქვენი მშვიდობით ყოფნა და ღთს მადლობა შევსწირე და რაც მოგეწერა, ყველა ვსცან.

ჩვენის წილის სარგოსი მოგეწერა, რატომ არ იღებთ? ჩვენს ამხანაგებს სხვათ ყველას აუღია, თქვენ რა დაგემართათო? ჩელიექის იჯარიდან ხომ არაფერი არა მოგვეცესრა. ბატონს ოქმი უბოძებია. მოხელეები თავეთს სარგოს ნუ სთხოვენ. ანგარიშს რომ უნახვენ, რაც მოხელეების სარგო იქნება, სხვაგნიდამ მივსცემთო. ჯერ არც ანგარიშის მნახველი ჩანს, არც ჩვენის სარგოს მომცემი. ღვინის ბაჟისა, რაც გვერგებოდა, და ყაფნისა, თითო-ოროლა შაურობით გამოვართვი და ცხენის ხორავზედ დაიხარჯა. რომელიც სადგდოფლოდ იჯარები დაიდო, რომ იქიდან რაც გვერგებოდა, სხვაგნიდამ უნდა მოგვეცემოდა. ჩვენს წილად ენდროზედ შვიდი თუმანი მიგვიგდეს, რომ ვასპარამ და წაკოსკორამ უნდა მოგვეცეს. თუ გან-

სომს, თელავს რომ ვიყავით, გასპარას რომ ხუთი მინალთუნი სახ (verso) არჯო გამოვართვით ის ორ თუმნიდამ სხვა იმათგან დამიხარჯავს. ამას გარდა ჯერ არა დაგვიხწვევია. ერთი ფული საშოვარი არსაიდამ ჩვენთვის არა ჩანს, ცხენზედ და კაცზედ ხარჯის მეტი. მე ტანთ არა მაცვია რა. ჩემი კერძობა ხომ ერთი წელიწადია ისე არიან საშიშვლოთ არა მიმიცია რა. სხვა რომ არა იყოს რა, ახალი შემოყვანილის რძლებისა მრცხვენინან. თითო ხელი ტანისამოსიც ვერ შევიძელ რომ შემეკერა. რა ვქნა, უნდა გავძლოთ და მოვითმინოთ. მე აქამდის შინ ამიტომ არ მოველ. რომ მრცხვენოდა კელცარიელს მოსვლა, თორემ აქ რას ვაკეთებ ხარჯის მეტს. ეს არის ყარალთად ვარ, თორემ სხვა არაფერი. მანდემამ, რომ წამოველ, შინ სახარჯოც არ დამიგდია, "შიოშს ზოგი თითონ ჰქონოდა, ზოგი რძლის შინაცემის პირის სანახავის ფრულები დაეხურდაებინა და სამარხო თადარიქი იმით ენახა. ახლაც უხარჯობის საჩივარი მოეწერათ. შენ ვეჭობ გგონია აქ ჩვენ ერთს საშოვარში ვიყვენთ რაშიმე. ჩვენი თუ არა გჯერა, აქედამ მომსვლელებს ჰკითხე.

ზაზა ბიჭი დამეთხოვა.: შინ რძალი ავათა მყავს და ძმაც მომკვდომია. მე ხომ ორი ბიჭის მეტი არა მყავს. ერთი ცხენებს უვლის და ერთი ჩემთან არის. ცოტას ხანს მახარა ბიჭი დაითხოვ, შინ იყოს. და თუ არ დაითხოვ, ის ბიჭი წამოვა და მე უბიჭო დავრჩები და მეტათ ძნელი იქნება.

აქაურს ამბავს იკითხავ, გატეხილ ხიდს აქეთ ელებს ათასი თუმანი სალუკო შესწერდათ. ქალაქშიც არჩევით კაცებს თეთრს სთხოვენ. იოსებს ყუყუს ბატონი გაუწყრა, ძალიან გაღებინა და (განის აშაზე) ბორკილით დაჭერილი ჰყავთ. შანშიაშვილის კაცებისა რომ მოგეწერა, მე ვაძებნინე, ვერა გავიგე რა შიოშისათვის თემურაზას ეთქვა, მე ვიპოვნით. ვნახოთ, იპოვნის თუ ტყუილი ეთქვა. სხვას თქვენს ამბავს ნუ დამაკლებ. მარტის კმ ქკს უბზ.

№ 51. 1799 წლის 10 აპრილის წერილი სულხან თუმანიშვილისა მანუჩარ მდივნისადმი.

ზომა 32×12 სმ

საქ. ც. ა. ფ. 266. № 3548

ქ. ამ თვის .თ. დაწერილი შენი წიგნი ათს ჩარუხეშვილის კელით მომივიდა. თქვენი თავს გარდასავალი წვრილად მოგეწერა და ყველა ვსცან. მადლობა ყ'დ ძლიერს ღთსა! თუ მისი წმინდა ნება არის, იმას რა გაეწყობა, და თუ მტრისაგან არის დაქსული, ღ'თი მეფის გულს მალე კეთილად შესცვლის და ყველა დაირღვევა, რაც ჩვენთვის მახეები მტერს მოუღდამს, თვითვე შთაცვივიან. მე ვსასოებ ამას თვალულების მსაჯულის ღისაგან.

თქვენ ორისავ ბორკილის შეყრა და ისე შენახვა მოგეწერა. ჯერ ჩვენთვის ბატონს არც სიტყვა უბძანებია და არც დაჭერილი ვართ. ამას იქით როგორ მოხდებ. მან მხოლომან უწყის. ვართ ჩვენს სადგომს და ვისაც ვებრელებით და ვეწყალვით იმ უბედურობისათვის, ისინი კიდევ მოვლენ ხოლმე ჩვენ სანახავათ და ნუგეშს გვცემენ.

ჩემთვის მოგეწერა — ნუ შესწუხდებით. ამ საზარელის უბედურობი მომსწრეს არა მმართვეს შეწუხება? სანატრელი იყო ჩემთვის ან ალა-მაჰმად ხანის ომში მომკვდარიყავ, ან ჰირს მოვეკალ წაუწყმენდლად და რომლისაგანაც სასოება მქონდა ჩემის ამ (verso) სოფელს ცხოვრებისა, იმათგან ეს უბედურობა ჩემის უსჯულოებითა და ცოდვით ჩემს ოჯახს არ მოსგომოდა. სამწუხრად

ეს არ მეყოფა რომ ჩემის უბედურობით მაგდენი სულნი იტანჯებით. მადლობა მას, რომელიც უმჯობესად განაგებს დაბადებულთა თვისთათვის. მე ასეთი ბედ-მალაშე გამოველ ჩემს სახლში, რომ კიდევ უარესების ღირსი ვარ. ეს ცოტა ძგონია ჩემს სატანჯველად. მე ჯერ ბორკილი არ მიყრია და არავენ რას მაწუხებს, თქვენ უფრო არ გეჭირებათ ნუგეში შეპყრობილთ და შებორკილთ?! შენ, ვიცი, მოითმენ. გივს არა გაუგონია რა და არა უნახავს რა. მაგას მოათმენინე, თუ ერთად იყვნეთ. ღის მოწყალება ესოდენ არის კაცთა ზედა, მარჯვენეს კელს რომ დაჰკრავს, მარცხენას დააფარებს. მასვე ვევედრნეთ, რომ მეფის განფიცებული გული ჩვენზე უამყუდროოს ოოდესაც მებძანება რამე, წინათვე ფიქრით ხომ არ იქნება, რასაც იმ ჟამზედ ღთი მამცე(მ)ს, იმ პასუხს მოვახსენებ და ნება მისი აღსრულდეს ყოველსა შინა. სხვებ თუ ღთი შეგეძლებინებს, ჰალბათ ცდას არ დავაკლებთ. აპრილის ი. ქკს უპზ
საბუთის ბოლოს სხვა ხელით:

ქ. ღლით მანუჩარ მდივანს მიერთოს.

№ 52. 1799 წლის 11 აპრილის წერილი სულხან თუმანიშვილისა მანუჩარისა და გივი თუმანიშვილებისადმი. დედანი. დაწერილია მხედრულით მოცისფრო ქაღალდზე. წერილი კონვერტით ყოფილა გაკეცილი და ლუქით დაბეჭდილი. ლუქის ბეჭედზე წარწერა აღარ ირკვევა. ზომა: 22,5×12,5 cm.
საქ. ც. ა. ფ. № 226 საბ. № 3413

ქ. თქვენი წიგნი მომივიდა. რაც მოგეწერათ, ვიუწყე. მუხრანის ბატონის სალთხუცისაგან ნუგეშის ცემა და იმედი მოგეწერა. ღთნ მშვიდობა მისცეს. ასეთი რა შეცოდება გვექნება, რომ ამისთანას უბედურებისათვის არ ვეწყალოდეთ. დიად ვიცი, რომ თავის კეთილ მოქმედებას ამ დროს ქვეყანასაც დაანახვებს და ჩვენც შეგვეწვევა ალბათ მაგ საქმის მიხედვით, რომელიც რომ ოქმით გამოგცხადებიათ. ჩვენც ვეცდებით რაც შეგვიძლიან, რომ ჩვენმა კელშიფემ უმოწყალოდ არ დაგვაგდოს. თუ ღთთან სხვა გზით შეცოდება არ დაგვცხის, სხვა რიგად ჩვენი სინდისი არ შეგვასმენს, რომ ჩვენს ბატონზე შეცოდება რამ გეჭონდეს და, თუ ჩვენი ღთთან შეცოდება დაგვცხის, ნება ღისა არის. ჩვენ ისევ, როგორც მოგვიწერია დაუჭერლად და შეუწუხებლად ვართ. არცარა ბატონისაგან გამოგცხადებია. ჩვენც, რომ არ ვიცოდით მიზეზი, ბატონის ბძანებას ველოდით, ახლა თქვენ ის (versus) მწერთ, რომ შევიტყუეთ იმის მიხედვით უნდა მოვახსენოთ. ვნახოთ, როგორ ნება(ვ)ს. ეს ერთი საკვირველი მტრის მანქანება არის ჩვენზედა, თორემ ამას როგორ მოვიგონებდი. ალბათ, თუ სიმართლე გვაქვს, ჩვენს მტრებს და შემასმენელთ შეარცხვენს და თუ სიმართლე არ გვექნება, სამართლით რაც დავგემართება, ღირსნი ვიქნებით. ქალებსაც ნუგეში ეცით, ეს წიგნიც გაუზავნეთ, ნუ შეწუხდებიან. ბევრს უფრო დიდებულთ და ჩინებულთ მოსდგომიათ ამისთანა საქმე. საცა მწუხარება არის, იქ სიხარულია; საცა რისხვა არის, იქ წყალობა და სიტკბოება. რა სათაკილოა მეფისაგან, რომ ჩვენ ეს მოგვდგომოდეს. აპრილის ია ორშაბათს ღამეს ქკს უპზ.

უზის მურის ბეჭედი წარწერით: სულხან.
საბუთის ბოლოს ქ მდივანს მანუჩარს და გივს მიერთოს.

№ 53. [1799 წ.] 13. IV-ის წერილი სულხანისა მანუაჩრისა და გივისადმი.

დედანი დაწერილია ცისფერ ქაღალდზე მხედრულით. წერილს არა აქვს თარიღი, უზის მხოლოდ თვე და რიცხვი, მაგრამ შინაარსიდან ცხადია, რომ ეს 1799 წელს უნდა იყოს დაწერილი. იხ. აქვე, საბუთი 1799 წ. 11. IV-ის თარიღით.

ზომა: 21×12,5 სმ

საქ. ც. ა. ფ. № 226 საბ. № 5185.

მანუჩარ ' გიო!

ძმაო ბატონო და შვილო!

გულშინ მუხრან ბატონის სალთხუცის კაცი იახლა ბატონს, სია, ვეჭობ, მოერთმია. ასე გავიგონეთ, გივის ბორკილის გამოყრა და აშვებაცა ბძანა. რაც აქეთ ჩვენს სახლში დაუწერიათ, იქილამ რამდენიმე ნივთი წამოსაღებათ დაენიშნოს. ძმაო, შენიც წამოყვანა უბძანებია. ეს ბძანება დღეს მოსული იქნება და როდესაც გადმოაცხადებენ, უფრო სწორეს მანდ შეიტყობთ. ასე გვესმის, რომ შენ როგორმე შებეზლებული იყო და შენის სამდღურავით მომხდარიყოს. მე ღთით სარწმუნო ვარ, რომ რაც შესმენა იყოს, მომხსენებელი გაცრუვდეს და საქმეც უფრო კეთილად შეიცვალოს. გულს მწუხარებას ნუ მისცემ, თუ სამართალი (ვისა) იქნება, მართალს არ ეშინიან. თუ ბატონს გულში წყენა რამ ჰქონდა, ისევ სჯობს, რომ ერთხელ გაწმინდეს. იმდენი ღრის წყალობა გაქვს, რამდენი მართალი ამ გვარად შეწუხებული იყოს და უფრო უდიდესთ მისდგომოდეს. ბატონს ჯერ კიდევ ჩვენთვის არა უბძანებია-რა, არც არა მოგვიხსენებია. ასე გვიმჯობინებია და ვიცოდი, არც არას გავგიგონებდა, სანამ სია არ მოსლოდა და ახლა რომ მორთმევი. არც დაჭეშმარიტებით ის ვიცით, როგორ უნებებია, რომ იმ გვარად გველაპარაკნა. ხვალ-ზეგ აქ მოხვალთ, ალბათ დანაშაულსაც გამოგვიცხადებს და საქმესაც შევიტყობთ. იმ გვარად სჯობს მოხსენება. აჩქარება საქმეს წაახდენს. აპრილის იგ, ოთხშაბათ წირვის დროს⁴.

მირზასაბამ(?) მოკითხვა მოგახსენათ.

საბუთის ბოლოს: ქ. მანუჩარ მდივანს და გივს მიერთოს.

№ 54. [1799 წლის 13 აპრილის]

წერილი სულხანისა მანუაჩრისადმი. უთარიღო. საბუთი თავის შინაარსით წინა წერილის ამბების გაგრძელებას წარმოადგენს. (შეუღ. 1799 წ. 13. IV-ის საბუთს). ამიტომ ვხედავ უნდა დათარიღდეს 1799 წლით.

ზომა 21× 13,5 სმ.

საქ. ც. ა. ფ. 226. № 3549

მანუჩარ

ქ. ძმაო ბატონო გულშინ სალამო. ეჰამს ყანწიაშვილი მოვიდა და შენი წიგნები მომიტანა. გასინჯე, რამდენი რიგი ცეცხლი აენდებოდა ჩემს გულშია. მოუთმენლად ვიტანჯები უმეტესად გონებითა, რომ ამისთანა რა ვჰქენით, თუ ღრის გუ-

⁴ ბეჰელი მურის წარწერით: სულხან

ლის წყრომა არ იყო, რა ამბავია. როგორც მომეწერა, ისე ვიყავ იმ ცდაში რომ მოეყვანენით და რაც ბატონის ნება იყო, აქ აღსრულებულიყო. ამ წიგნების მოსვლაზე კიდევ მოვახსენე მოციქულით მოკლედ ესე რომ ჩემი ძმა დაიბარეთ. ვიახლოსთ, ერთმანერთს ვნახავთ, ჩვენს შეძლებას დავაყურსებთ და იმის მიხედვით, რაც შეგვიძლიან, გემსახურებით. თუ თქვენი გული არ შეგვჯერდეს, მერე იმ შეუძლებელზე გენებებოდეს გვტანჯე, გენებოს დაგვყიდე, გენებოს verso- დაგვხოცე. ელაპარაკნათ. წუხელის ბატონს ებძანა, კარგია, დილაზე დავბეჭდო. ეს წიგნი გაუთენებლივ გამოვგზავნე. რასაც წამს ოქმი მომივა, ყანწიაშვილს გამოვატან. ოთხშაბათს განთიადზე.

5

სულხან

ვანის აშიაზე:

დავით ბატონიშვილსაც მოვართვით შენი წიგნი და ვევედრენით. ამანაც იმედი ბძანა.

ბარათი დაკეცილი ყოფილა კონვერტად, რომლის გარე მხარეს აწერია:

ქ. მანუჩარ მდივანს მიერთოს.

№ 55. [1799 წლის 13 აპრილის] წერილი სულხანისა მანუჩარ და გივი თუმანიშვილებისადმი. თარიღდება სხვა საბუთების მიხედვით. (იხ. აქვე, № 51, 52, 53, 54).

ზომა 21×13 სმ

საქ. ც. ა. ფ. 226 № 3550

მანუჩარ და გივი

ქ. ძმაო ბატონო და შვილო! ამ საათში მოგვევიდა ეს ბატონობის წიგნი, სალთხუცესთან და ალიაზარ მდივანთან მოწერილი. შენი და გივის დაბარებისა არის და სხვაც, რაცა სწერია, მანდ წაგიკითხავენ და სცნობ. როგორც მეორეს წიგნით მომიწერია, იმ თხოვნით მოხდა დანიშნული ნივთები და თამასუქებიც დაუბარებია. ეცადე და ევედრე მაგათ, მალე წამოგიყვანონ. ბძანება აღარ შეიცვალოს. აქ რომ მოხვალთ, ვნახოთ, ღთი როგორ წარმართებს ჩვენს საქმესა. სხვა რაღა მოგწერო. ამასაც ეცადე ჩვენის საქონლის აწერის სიისა ორისაგ მხრისა ერთი პირი გვიბოძონ. ოთხშაბათს წირვის დროს.

(verso), მანუჩარის ხელით:

ეს წიგნი ოთხშაბათს ღამის მესამედი ღამე იყო რომ მოიტანა, მაგრამ მე ხუთშაბათს დილაზე მამცა.

ბარათი დაკეცილი ყოფილა კონვერტად, რომლის ზედა მხარეს უზის ლუქის ბეჭედი და მურის ბეჭედი წარწერით „სულხან“ და აგრეთვე აწერია:

ქ. ღთით მანუჩარ მდივანს მიერთოს.

№ 56 (1799 წლის 14 აპრილის წერილი სულხანისა მანუჩარისადმი. დაწერილია ცისფერ ქაღალდზე, რომელიც კონვერტად ყოფილა დაკეცილი. ზომა 21×13,5 სმ

საქ. ც. ა. ფ. 226 № 3563

თარიღდება 1799 წლის 10.IV-ის საბუთის თარიღის მიხედვით. იხ. აქვე, № 51.

მანუჩარ

ქ. ძმაო ბატონო⁷ რაც წიგნები მამსვლია, ყველას პასუხი მამიწერია, რომელიც შენი მოწერილობა იყო, ყველა ჭეშმარიტი და სამართლიანი მგონია. მაგრამ ღწისა და ბატონის ნებას რა გაეწყობა, მესმის, რომ დაბარებულები და დღეს მუხრანსაც მეგულებით. ასე ჩანს საქმე ბატონის ნებასა და ბძანების ძალით რომელიც გვესმის, რომ შენს მოსვლამდინ არც სრული მიზეზი გვებძანოს და არც მოხსენებულმა პასუხი მიიღოს. ამის მიხედვით არა მოგვისხსენებია რა. რომელიც გაგვიგონია, დღეს წამოსულნი იქნებით იმ ვადითა და აქ რომ მოხვალთ, ბატონის ნება და ჩვენი მოსახსენებელი მაშინ გაირჩევა. ასე თურმე ბძანებს ბატონი, მანუჩარ (verso) თან საქმე მაქვს. პირდაპირ რომ დამიდგება, მაშინ გამოვაცხადებ წერილსაო. მე ხომ სარწმუნო ვარ, რომ ჩვენი საამგვარო წერილი არა ახლდეს რა. თუ სხვას თავის წიგნით არა მოუხსენებია რა და სხვის წიგნით, გაუკითხავად, ხომ არ წავგახდენს?! აპრილის იღ. ხუთშაბათს, წირვის დროს. ერთს კაცთან რომ წიგნი მოგეწერა, ჩვენ იმასთან წინათვე ნასაქმნი ვიყავით.

7
სულხან

კონვერტად დანაკეცის გარე მხარეს:

ქ. მანუჩარ მდივანს მიერთოს.

№ 57. (1799 წლის) 16 აპრილის წერილი სულხან თუმანიშვილისა მანუჩარ და გივი თუმანიშვილებისადმი. დედანი. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრულად.

ზომა: 27×11,5 სმ

საქ. ც. ა. ფ. 226. № 3564

ძმაო და შვილო

ქ. ოთხშაბათს შულამისას ჩარუხაშვილის გოგიას კელით რომ წიგნი მოგეწერა, პარასკევს დილაზედ მომივიდა და რაც მოგეწერა, ყველა ვსცან.

ჩემი ცოდვა და უბედურობა ასე განმრავლდა წინაშე მღვთისა რომ ერთსა და ორს სახეს სატანჯველს არ გვაჯერებს და ყოველ დღე ახალ-ახალი სატანჯველის ხმა ისმის. თურმე ღწის ასეთი რამ შევსცოდეთ, რომ ამათი უმადლესობის გული ჩვენზედ ამ სახედ განაფიცხა, არც ლაპარაკია, არც დანაშაულის თავს დადება. ამ სახედ მტრის შესმენით ვიტანჯებით. რუსეთიდან თუ მოვიტანე რამე მაგისი ანგარიში არც შენთვის მომიცია და არც გივისათვის. მე აქ ვახლავარ და მე უნდა მეკითხოს. თუ შემჯერდებიან ანგარიშის ჩვენებით, მე უნდა შემჯერდნენ; და თუ არ შემჯერდებიან, მე უნდა მტანჯონ. არც შენ ყოფილხარ რუსეთს და არც გივი. თუ კი საშინელი ღწის გულის წყრომა არ არის, ასე შეცვლილ საქმე როგორ იქნება და ასე უმავალითო დასჯა: ბრალეულისათვის უბრალო ის-

⁷ ბექელი მურისა.

⁸ დატოვებულია, ადგილი სახელის ჩასაწერად.

ჯებოდეს! ნება ყდ ძლიერის ღისა იყოს! ნათლად ჩანს, რომ ჩვენ ასეთი ბო-
 როტნი ვართ, რომ უარესისაც ღირსნი ვართ.

(Verso) შენ რომ ბატონი შვილის დავითისათვის არზა მოგერთმია, ის არზა
 თათულა აქიმის კელით მივართვა, ამას წინათაც ხომ მრავლის მოციქულების პი-
 რით შევავედრე თავი და დიდი ნუგეშები ებძანა. ჩვენი გარდამეტებული ცოდ-
 ვა ეს არის, რაც ამბები მოაქვსთ, არც ერთი ისე არა ხდება და სხვებ იცვლ-
 ბა. ღის გულისწყრომას თურმე სხვა რა დაეწყობა რა, ისევ იმისი მხურვა-
 ლედ ვედრების მიტი. ღთი ესოდენ კაცთმოყვარეა; კაცს რომ მარჯვენს
 კელს დაჰკრავს, მარცხენას დააფარებს. გვაქვდეს სასოება, რომ ისიც შეგვი-
 წყალებს და ჩელმწიფის გულს დაამშვიდებს ჩვენზედ.

პარასკევს დღეს რომ შენი წიგნი მოგვივიდა, მაშინვე არზა დავსწერეთ ბა-
 ტონთან და დავით ბატონიშვილს მივართვით და მოვახსენეთ; რომლის კაცის
 კელითაც გენებოს, იმისი კელით მიგვირთვით ბატონსაო. ელევთერ მოყ-
 ვანინებინა და იმისთვის მიეცა. ასე შემოეთვალა: ელევთერს მოვართ-
 ვი და მიბძანა ხვალ ვილაპარაკოთო, ბატონი საზიარებელი ბძანდება, ვნახოთ.
 ღთი როგორ წარმართავს ჩვენს საქმეს. ამ დღებში მივიღებთ პასუხს თუ
 არა. არზის პირიც მანდ გამოგვიგზავნია. რა საკურველია, ამ დღებში ჩვენს
 ცდას და გარჯას არ დაგვზოგავთ. მაგრამ ღი უნდა იყოს საქმის წარმართებე-
 ლი. თქვენ შებორკილულნი ხართ ბორკილით და ჩვენ უბორკილონი, მაგრამ
 ძილში თუ ღვიძილში გონების თვალთ სხვადასხვა სახე ბორკილები გვეყრება
 და ვიტანჯებით თქვენთვის და მაგდენის უბრალოს სულის შესახოს მწუხარები-
 სათვის. ასე აბეზარი შევიქვენ, რომ ამასაც შევესწარ ცოცხალი; რა ვქნა, ქრის-
 ტიანე ვარ, წაწყმედისა მეშინიან, თავი ვერ მომიკლავს, თორემ თქვენს მაგ მწუ-
 ხარებას როგორ გაუძლებ. მაგრამ თქვენც იმასა გწერ, რომ მოითმინოთ, ღის
 (განის აშიაზე) მაღლობით ჩვენი სახლის კაცი კაცია მაგალითად წინ გვიძევს.
 აკი ცოლშვილით დატყვევდა, მაგრამ ბოლოს კიდევ ღთმა მოხედა. ჩვენც იმი-
 სი უხვი მოწყალება არ დაგვაგდებს და ჩვენის კელმწიფის გულს კეთილად
 შესცვლის და ამ მწუხარების ბოლო კეთილი იქნება, თუ მაღლობით მოვითმენთ.
 აპრილის. ივ. შაბათს, შუადღე გარდასულს დაიწერა.

recto, განის აშიაზე:

სხვაც ბევრი საქონელი უძევსთ. ამისი რა უნდა ვთქვა, რომ აზრი სულ თა
 ვიცი რა? ნეტამც სახელი არ ერქმევა რომ პასუხი ჩვენთვისაც არის ვთქვათ.
 თუ არავინ მოიხსენებს, მაღლობა ღთის ახალახალი შესმენაები ჩვენთვის იბა-
 დება. ეგების ამითიც არის ღთმა შეგვიწყალოს.

განის აშიაზე მანუხარის ხელით მიწერილია:

ორშაბათს საღამოს ლოცვის ზარი დარეკეს, რომ ეს წიგნი მამივიდა.

№ 58. 1800 წლის 30 იანვრის წერილი სოლომონ ტერ-შმოვანოვისა მანუხარ თუმანიშვი-
 ლისადმი. დედანი. დაწერილია მხედრულით მოცისფრო ქაღალდზე. საბუთს დასაწყისი აკლია.

ზომა: 23×18,8 სმ

საქ. ც. ა. ფ. № 226 საბ. № 6062.

ესეც მოვახსენო, ყალოანთ არუთინას საქონელი გამოვატანე. მაგდენი არა
 იყო რა. იშ გირვანქა ვერცხლია, ისიც ნახევარი დაბალია და წიგნებიც ბევრი

არის, მაგრამ რიგიანი ნუსხები არა აქვს. ახლა, რადგან გიგავურიანთ მეღქო-
ას ცოლი თქვენ გეხვეწებოდით და წიგნიც დაგაწერინათ, ახლა უბძანეთ შეი-
ტყოს რომ იმისი ოქროს ნიშანი ამის საქონელში არ გამოჩნდა, არც ნუსხებში
სადმე წერილი აქვს და ეს რაც არის ვერცხლი, ჩემთან არის, თუ რამ შეუვა,
მაგათთან ილაპარაკოს. მერე არა თქვას, თუ რატომ არ შემატყობინაო.

ოქვევურტერის სიკვდილის ანბავი აქ მოვიდა და ჯერ არ გამოუცხადებიათ.
ამ თვის იწ ჩემი ბიძის შვილის ქალის მეფის რძლობის ანბავი მოგვივიდა.
ბატონის შვილის ხელით ნაწერი წიგნი ვნახე. რომ აღასთან მოეწერა, რომ ჩემო
კელმწიფევ სიმამრე, იანვარს თ ჯვარი დავიწერეო და ნაცვლად ხანუმისა ელი-
საპეტ დავარქვიო. ახლა ნახე მდივანი, რა მდივანი. ერთ მორიგის მდივნის თქმა.
ჩვენი აბელა ადრე შემოეყვანა დალაქ ბეროანთ ქალი, რადგან ჩვენი ოჯახისა-
თვის იმისი ფეხი აგრე ბედნიერი იქნებოდა, რომ საქართველოს მეფის ძახალი
შევიქნებოდით. ამას წინათაც დამიწერია, მდივანი იოვანეს ჩემ მაგიერ სამსა-
სურის ნატვრა მოახსენე. ოსეფ არქიერი პეტრებრუხს არის, მუდამ დღეს მოე-
ლიან აქა. შენი საქმისთვის წიგნი მიმიწერია და ფოშტით გამიგზავნია, ჯერ პა-
სუხი არა მაქვს. რაც პასუხი მომივიდა, მოვახსენებ-თქო.

სარუბეყანას საქმისათვისაც მიმიწერია და კიდევ თქვენთვის მომიხსენე-
ბია, ჯერ პასუხი არ მომსვლია.

ამ ხანათ ამ ფოშტით ბევრი წიგნი დავწერე და რაც არეული წიგნი დამე-
წეროს, შემინდე და თქვენს ანბავს ნუ დამაკლებ.

და მე დავშთები თქვენის ბრწყინვალეების სარწმუნო და მდაბალი მონა
სოლომონ ტერ-შმოვანოვი

ქკს უბჭ. იანვრის ლ. აშტრახანს

ჩემს ბრწყინვალე დას ელრსაბედს თავის ყმარწვილებით ნახვის და სამსახუ-
რის ნატვრას მოვახსენებ.

№ 59. 1800 წლის 27 თებერვლის წერილი სოლომონ ტერ-შმოვანოვისა მანუჩარისადმი.
დედანი. დაწერილია ორად მოკეცილ მოცისფრო ქაღალდზე. ზომა თითო გვერდისა 23×18,5 სმ
საქ. ხ. ი. ფ. Sd № 3623.

მათს ბრწყინვალეებას ჩემს მოწყალეს კელმწიფეს

თქვენი იანვრის :ია: და :კა: მოწერილი წიგნი ამ თვის. :იწ: მივიღე დიდის
სიხარულით და ვიხარე თქვენის მშვიდობისათვის. ჩემის წიგნის მოუწერლობი-
სათვის გებძანათ, მე ხომ ყოველ ფოშტში წიგნს ვგზავნი მოზდოქს და იქიდან
თუ მომსვლელი არ იქნება, რა ხელი ეყრება. და იანვრის ბ და ლ თქვენი წიგნე-
ბის პასუხი, თუ ჩემი ვითარება, მომიხსენებია და, იმედი მაქვს, ამ თარიღში
მოგრთმეოდესთ.

მის უმადლესობის თქვენზე მოწყალეობა და იმედი და თქვენთანების ხლება
ბატონს დედოფალთან და სხვა, რაც გებძანა, შევიტყე. ღონ განაძრიელოს
მაგისი მეფობა და მაგისი მოწყალეობა ნუ მოგიშალოსთ.

ჩვენი აღას ქალის ბატონის რძლობა მოგელოცა, მადლობელი გახლავარ და
მართლა დიდი ბედნიერობა მოადგა მაგ ოჯახს. ღონ საბოლოოდაც ბედნიე-
რობით გაატაროს და ეს უხუმრობრივ მოვახსენებ. რადგან ბატონს მელიქს ან

ჩემს მეზობლებს და ამებს არ ვებრალები და სანამ სახლ-კარი დაქცული და დაღვევებული არ ვიყავ და ჩემი ხე მწიფე მამაც ცოცხალი მყვანდა, მოქალაქების თავიდან მესამე თავში გვწერდნენ და რა ახლა დავიქეც, დავტყუვდით. და ამისთან ოჯახის ამშენებელი მამაც მამიკვდა, არსით მამული არ დამრჩომია და დედული, თუ მანდ, თუ აქ, ოთხასი თუმანი ვალი მაქვს, ახლა პირველი ქეთხუდათ და თავზე მე მწერენ. გაბრიყვების მეტი სხვა ხომ არა არის რა! ვინც უნამუსობას იქს და ბევრს ილაპარაკებს, იმასგან ეშინიანთ და ჩემისთანა ჩუმი და უპატრონოს ხომ ეგრე უზმენ, რომ რაც ქალაქიდან გამოვსულვარ, კვირაში ერთი ბარათი გზავნიან ჩვენსა. მაშ თუ გინდ საბოლოოდ არა სჯობდეს და თუ გინდ სჯობდეს, მე უნდა მაგით ძმობისგან გამოვიდე. არც სირცხვილია და არც უსამართლო. ტერ-შმოვანას ორნი შვილნი ოჰან და სტეფან ყოფილან. ოჰანას შვილი ალა და აბელა არიან. სტეფანას შვილი მე ვარ. თუ კი ისინი მაგათგან გამოვლენ, მე რაღა ვარ, თუ იმათ გვართ თავადნი არიან, მეც იმათი ძმა ვარ ჩემის ბატონის და ბატონის შვილის თავადობის ბაშპორთით გამოსული. ესეც ახლა მეტი ღთს წყალობა, რომ მეფის ძე სიძე გვყავს და ჩემი და ბატონის რძალი: მე რათ უნდა მაგათ ვეძმო? სწორე ეს არის, რომ მე ასე ვამბობ, რომ კაი დრო გვაქვს ვიღონოთ რამე და შესავალი ვიფიქროთ. თუ თქვენც ამჯობინოთ, მანდ ალას ვაჟი გიორგი ნახოთ მაგრამ ჯერ ჩვენი აბელა (II გვ.) რომ ნახოთ. ის უკეთ კარებს გაჩვენებს და მერე იმასთან გიორგასაც დაუძახოთ და უთხრათ გიორგამ თავის დას მოახსენებს ან ბატონის შვილს და იმედი მაქვს, რომ ბატონის შვილმაც ინებოს და მეფესგან ოქმი გამოიტანოს, რომ აბიშელი-ქოვ სტეფანას შვილი სოლომონა თავადია და მოქალაქებთან საქმე არა აქვს და ქალაქის მელიქი, მამასახლისი ანუ სხვანი ამისი სახლთან საქმე არა აქვს მოქალაქების სათხოვარში. ამისთანა, რომელიც თქვენ უკეთ იცით. და თუ ბატონის კარზე ცოტა თეთრიც დაიხარჯოს მწერალზე ანუ სხვა, მუშადა არა აქვს, მაგრამ თუ იქნას, ასე უნდა იქნას, რომ სანამ ოქმი არ გამოვიდეს, ხმა არ გავარდეს, თორემ მელიქი მოშლას და ბატონს ამ რიგათ გაასინჯებენ, რომ სოლომონა განა თქვენს სამსახურს ერიდება, მაგრამ თავის ძმებისაგან რომ გამოჩეული იყოს. ამას თავილობს რომ მაშ მე ამ ოჯახის ბუში ვყოფილვარ. თუ გინდა როგორც აბელა წელიწადში ერთ რამ ემსახურება, ისე იქნას და მელიქმა ჩემთან საქმი არა ჰქონდეს. ეს საქმე იქნება თუ არა, აბელასთან ილაპარაკე, ნახე რას გეტყვის და ისაის კი ნუ გამოუცხადებ. თუ ამას დავით ბატონის შვილი თავს დაიდებს და იქს, მე აქედამ ერთ თაიგული იმასაც ვემსახურები. ახლა ეს ცოტა აზრი და შენ ბევრი იფიქრე. თუ სჯობდეს, რა კარგი; თუ არა და ყარა ეშაქ ყაფი და ბაღლუ დურ.

ალაზადას შვილის შუშანას დავობა და ათ თუმნის დადება გეძმანა. ღონე რა არის, ან რა უნდა ვქნათ? კარგია, რომ არ უთქომს მელიქს, თუ ამის შუშანა შვილად აიყვანოსო. ჰალბათ მაშინ უფრო მეტი ერგებოდა.

ხოშის ძმისწულისა ამისწინათაც მოგახსენე, რომ როგორც იყო, მორჩენა სჯობს, თორემ მუდამ დღე თავს გაწყენსო. დედაჩემთანაც დამიწერია.

ოსებ ვარდაპეტა ჯერ არ მობძანებულა. მუდამ მოველით. იმისი წიგნი აქავ ვევიანახე, როცა მოვა, მივართმევ და ის ახლა პეტრებურხს დიდს ცდაშია. სტანბოლისაკენ წიგნები დაწერინებს და როგორც საქმის შესავალი ჩანს, თახიხათ და უთუთო ამან დაიშვიდრებს ჰოქევეურტერობა. ალაჰ ვერსა და აფარურ ვერმასა და აფარურ ბედნიერობა იმუშაა(?) რომ რუსნი ოსმალუსთან შერიგებულნი არიან.

შენი ნათესავი ოპანეზა ვნახე, ავით იყო, ახლა კარგად არის. დიად კაი კაცი ჩანს და ამბობენ დოვლათიც აქვსო ჭ (1400 თუმანი) ამდენი. თქვენი საქმეები შეტყობილი არა ჰქონდა. რომ მოვახსენე, დიად ბევრი ინაღვლა და წეწუხდა და სიყვარულით მოგიკითხათ. დედაც ხომ მომკვდარა.

ბაღდადოვი გასპარა დისწულათ რომ დაგირქმევია, მგონია კარელი გასპარა იყოს, გურგინბეგანთი. კარგად იყო, ეს ხუთითო დღეა ძალიან ავით არის. გუშინ წავედით სანახავათ. შენ მაგიერ მოგიკითხე. მადლობა მოვახსენათ. დიად უცხო მოლაპარაკე კაციცა.

(III გვ.) ჩვენი სახლის ბატონი გორელი გიორგას და დედა ანას წიგნი მისწერე, რომ მაგისი მოვალეს ველაპარეკები. ამას ხელში მაგტელი არა აქვს რა, სხვის ფრჭაშოკია და მანდ სხვა ვალეებიც ბევრი აქვს სადმე. ახლავ ხვეწნით თავს აქაუროს ფულს მაძღვეს და არც სარგებელი შემიძლიათ, არც თეთრის სარფი და თუ მომიცდიახ, ფულს მოვიგებ და მაშინ ყველას სრულად მივცემო. და მე არ ვყაბულობ. ვეუბნები — ნახევარ სარგებელს გაპატიებ. და მართლა საცოდავი ვაყი. ახლა მისწერე, რომ ერთი წიგნი მომწეროხ, როგორც ინებებენ. აქტიარი მომცენ, რომ ისე გადავწყვიტო. ვინცობა არის ბოლოს სიკეთე სამ-ზღაპრე დასე მანდა დნე გ ისაბი ყო დასე დაიდი იდეცნენგ და დიდყმანდ წყვიტ. მართლია, ვეჭილობა მოუციათ. ვეჭილამაში სწერია რომ სრულად სოლომონას მიაბარე. ერთი წიგნიც საკუთარი ჩემთან მომწერონ, თუ როგორ იხტარს მაძღვევენ, რომ გასკრიან თუ არა.

ბირთველ მდივანი თუმანიანი, მელიქის სიმამრის შვილი, თუ სადმე დაგხედეს, ჩემ მაგიერ სამსახურის ნატრა მოახსენე და შენი მოვალე მელიქის ქალი სტანბოლს არის თქო და მეზარნიშე ფრანგი აქ არსაით არა ჩანს.

შენი ორი საათი აქ გასაკეთებლად მივე. დიდ საათს ზანბარაკი არც სულ არა ჰქონდა და ოქროს საათს შიგნით ჯინჯილი არა ჰქონდა, და ორივე ძალიან დაყენიანებული იყო. ორს ა ჩ (1 თუმანი და 1 მინალთუნი) იმდენად შევრიცხვით, რომ ახალი ზანბარაკი და ჯინჯილი ჩაავდოს, კარგად გასწმინდოს და გამართოს. ერთი ღვეა მიმიცია. ჯერ არ მოუცია, მე ვამბობ, როცა გააკეთოს ოქროს საათი აქ გავყვილოთ, ან გილანს გავცხავნოთ, რომ ყიზილბაშებმა იყიდიან, ან მანდ გაახლებ რაგორც მიბძანებენ.

განდილურის და გურგურის ნატრები რომ ვებოძათ, გურგური არის წითელი და წვანეა. ამ ფერისა არ არის და განდილურიც დიად ბევრია. მაგრამ არც ამ ფერისაა და არც ამისთანა კაი ადგილიანია. და კიდევ ვეცდები რომ ვიშოვო. მანდაც გამიგზავნია განდილურები. ახლანდელი არავი ეგ არის. ასე გეგონე თავთაა. და ფურფური ვებძანა. ქალისთვინაც მინდოდა, ვერ ვიშოვე და იქნება რომ მოვიდეს. მაგრამ ამის წინათ ჩვენი აღას ზანდუკით ერთი რიგი საჩიქილე ვიყიდე, არ ვიცი მოიწონებთ თუ არა. მაგ გვარის ახლა ბევრი იყო.

გ. ტანლული მათე ვიყიდე ახლა ფითუანთ ბატონი აღასთვენი და ბატონი ისაისთვენი ადლი ხ ქ (6 მინალთუნი და 3 აბაზი) ასე. და გავცხავნე მოზდოქს. მინდოდა შენთვინაც მეყიდნა, მაგრამ შენ გიბძანებია, რომ განიერი მათე დიად კარგი და ადლი მანდ ჯ (8 მინალთუნი) ასე დაჯდეს ეგ მათე. არც განიერი მათე იყო და ფასიც (IV გვ.) რვა მინალთუნზე მეტათ მოვა. თქვენ არ მოიწონებდით. ახლა ამ მათედებში ოთხი ყალბუხის ქუდი ჩამიდვია. თქვენი ამანათი ბარჯალლუს (sic) ოქროთ ვიყიდე, ოთხში ჭ (5 მინალთუნი) ეს მომიცია. მართალია პატარებია, მაგრამ ორი ტყავი არის, რომ ერთმანერთს მიუდგება და ერთი კაი ყალბა გახდება. თუ ინებოთ, თქვენთვისაც გამოაყენებ. ერთიც ჯიმურს და ერ-

თიც დავითს შეუკერებთ. ნება შენია: ყველაზე თქვენი სახელი დამიწერია. და თქვენის რძლისათვის ერთი ზეითუნი გილანის მუხაირი დარაიაც ჩამიდგია ამ მაუღებში. არ ვიცი, ჩემი და მოიწონებს თუ არა. მე მამეწონა. მაგაზე მოჭირებულებს ბევრია და ღიაც.

ფოშტის ქალაქი გეთხოვნა. უზარო არც სულ არ არის, შენ ნუ მამიკვდები; და ზარინი ბევრია. დასტა მჭ თაბახი ღ (14 შაური) ასე, რომ ამას წინათ ისასათვის გამიგზავნა. იმისას გაახლებ, მაგრამ ძვირია და ერთი ქალაქი თუ ან სანდუღით ცოტაობით მანდამდინ სულ გაფუჭდება. იმისთანა ვინმე მოვიდეს, მოგართმევ. შპალერიც მიყიდნია და მომტანი უნდა იყოს. ახლა შენც ბძანებ, რაც მეთხოვნა, ყველას თითო პასუხით გაათავაო. მაგრამ ასეა, შენ ნუ მამიკვდები. ამ ხანათ ყველარამ აქ არ იშოვება და თუ არის ძალიან ძვირია. კაცი ან მოსკოვს უნდა აყიდვინოს, ან მაკარიას და რომარ იქნას, მაკარიის ქარავანი რომ მოვა, მაშინაც იქნება ყოველი რამე. სათვალეც ასლი ფრანგისა არ იშოვება და უბრალო შუშებისა ზომ რათ მინდა. ეგების ვისმე თავისთვის ჰქონდეს, ვიშოვნოთ; ვეცდები, შენ ნუ მომიკვდები.

დღეს ფოშტის დღე იყო. ბევრი წიგნი დავწერე მანდ გამოსაგზავნი და დიად სიჩქარით მომიჩმხამს. როგორღაც არეული წერა მამივიდა. თახსირი მაჩუქე. სხვა ჩემი ანბავი, რაც ამის წინათ მომიხსენებია. ისევ ჯერ ისეა. და აღა აბრაჰამა მოკითხვის მადლობა და სამსახურის ნატრა მოგახსენა. ჩემი ოპანეზა ხელს კოცნას მოგახსენებს.

თქვენის ბრწყინვალეების მორჩილი და სარწმუნო მონა სოლომონ ტერ-შმოვანოვი

ტეს უამს
თებერვლის კვ { აშტარხანს

ჩემს ბრწყინვალეს დას ელისაპეტას თავის ბრწყინვალე შვილებით ნახვის და სამსახურის ნატვრას მოგახსენებ.

№ 60. 1800 წლის 20 აგვისტოს წერილი სოლომონ ტერ-შმოვანოვისა მანუჩარისადმი. დაწერილია ორად მოკეცილ თეთრ ქაღალდზე; რომელიც კონვერტად ყოფილა დაკეცილი. ზომა თითო გვერდისა 22×18,5cm.

საქ. ხ. ი. ფ. Sd № 3622

ბრწყინვალეო კნიაზო უფალო მანუჩარ მდივანო,
ჩემო წყალობელო კელმწიფევ!

ამის წინათ თქვენი წიგნების პასუხი კათათვის ბ. და. თ მოგახსენეთ და თქვენი კათათვის.ია. მოწერილი წიგნის პასუხი იმავ თვის .დ. ფოშტით მიგახლებია და იმედი მაქვს მოგართმეოდეს. და ამ თვის ე ქალოპანეზას შვილი ქარავნით მიდიოდა. იმის ხელითაც წიგნი მომიერთმევია. და შენი აქ გირაო სანათი თუ სამხანაკო წიგნის სავადები რომ გეთხოვნა, ის სავადებიც გაახელ და მდივანი უფალი იოვანე ბეგთაბეგოვის წიგნის პასუხიც მიახლება, რომელნიც დროზე მოგერთმევა.

მანდაური არეულობის გამოისად, რასაკურველია, მუდამ შაწუხებული ვიქნებოდით. და თვალი გზაზე გვეჭირა, თუ რა ანბავი მოგვივა. ამ თვის ია თათ-

ხუმის შაფათს საღამოს ერთი ასეთი მამაკუდინებელი და საზარელი ხმა დაადგეს, რომ სიკვდილს მივეწურენით: — ქალაქი აუღიათო! ახლა ნახე ჩვენი ყოფა, თუ რა გლოვა და ტირილი გვექნებოდა, თქმა აღარ გვეჭირება, მოგეხსენება, თუ ცოლშვილის დამკარგავი და ყოვლის მოყვარისაგან ხელაღებული კაცი რასა იქს?! ამ ღამეს გათენებამდინ ამ უხილავის ცეცხლით ვიწოდით. რა გათენდა ყველაწმინდის კვირა, ღმრთის მადლით შევიტყუეთ, რომ ტყუილი ანბავი ყოფილა. მაგრამ მაინც გულმა როდის დაიჯერებდა?! ასე სიკვდილს მიწურვილნი ფოშტის გზას უყურებდით, რომ თქვენი მარიამობისთვის ა. ნაწერი წიგნები ამ თვის (ივ) მოგვივიდა, რომლითაც ცოტა იმედი მოგვეცა და სიხარულს მივეცენით. თქვენ ხომ ანბავი ბატონი ისაისტვის დაგინებებია და შენ შენს ხუმრობას და ცილისწამებას არც ბორკილში დაივიწყებ და არც ყალბანდლუხში. და გრძელად ოხუნჯობას მცირე ოხუნჯობა დაგიჩქმევია. მე რომ შენს უკუღმართი მთარგმნელობისგან ვიწმინდე, პასუხი ველარას მოგახსენებ და შენს ნათესავს ოპანეხაზე კი ვერ გამართლდები. ჩემზე კი მუდამ გამარჯვებული ხარ. მე არა თუ ტყავის სყიდვაში, არამედ ყოვლის ფრით ვინავათი ვარ.

(II გვ.)

ვიშ, ბეჩავ, რომ მებაღის ცოლი საღლა მომიგონე, რას შემართლებოდი. ძლივს დამეიწყებოდა და შენ რომ აქ რეკამენდავათი მოგეწერა, მაგიერ ჩემგან რეკამენდავათი გითხოვნია მებაღის ცოლზე დიად, ბტონი ბძანდები. მაგრამ ეგ სოვდა აქედამ მანდ არ იქნება თუ შეღირსება თქვენი ნახვა მანდ, როცა მებაღის მაგიერ უმაღლესის გვარსაგან შემაპირებ, მაშინ სოვდა იქნება. და არც არას იზიანებ. და ერთიც გეძმანათ, თუ რათ გეთაკილაო, მე რომ შენ გიცნობო, ეგ არა. სხვა უსაკვირველესებიც დავიჯერებ შენგანო: ეგ არა, თუ ხუმრობ, დიად მართალი ბძანებაა, კარგათ გიცნივარ. მაგრამ ამისთანა საკვირველი არა მჭირსრა, რომ, ან მანდ და, ან აქ, მრავალი კაი ამხანაკი არ ვიშოვო. მაგრამ მაინც და მაინც მე მადლობელი ვარ თქვენის მოწყალეობისაგან, რომ ხუმრობით და დაფარულად ჩემს დარიგებას ცდილობ და კარგი და ავი მახილებ (sic). ღთმა შენი მოწყალეობა ნუ მამიშალოს.

ოვსებ ჭოქვეურტერი. აქ კონდაკი გამოგზავნა რომ საყდრებში წაიკითხეს— და ჭოქვეურტერობით ასხენეს. თითონ მოსკოვით ნახჩვანს წასულა და, იქიდან მალე აქეთ წამოვავო. მობძანდეს, რასაკურველია, ვეცდები შენი თალაბის გამორთმევა.

შენი ვერცხლის საპათის აქ გაყიდვა გეძმანა. ვეცდები. თუ გაყიდე, რა კარგი; თუ არა და მანდავ უნდა მოგართო. აქ ამისთანა ძველს მანერს საპათს არ ეწყობიან. ნაკლებ ფასს მომცემენ. ახლავ მიმიცია გასასყიდლათ, მაგრამ არა მგონია თუ გ (3 თუმანი) ამაზე მეტად მოგვეცენ და ამ ფასათ ამისი გაყიდვა ცოდვა. კაი მუშა საპათია, მანდ გამოაყენებთ.

მანდაური ანბავი, როგორც ბატონი ისაია იწერება. იმედი მაქვს, რომ მაგტელი საფიქრებელი არა გქონდესთ. და აქედან ჯარის მოშველიებაც რომ ამბობენ, თუ მალე მოგეშველად, ხომ კოვზით ზიარება იქნება. მაგრამ დიად საჭირთა საქართველოს, მერე ამისთანა დაჭირებაში, რომ კვარაში ერთი წიგნი მეფემ გარსევანს უნდა მისწეროს და მანდაური ანბავი და დაჭირებაები აცნობოს; ამისგან კეთილი ის გამოვა, რომ იმ მეფის წიგნის ძალით გარსევან შეძლებს კერსარს მალმალ მოხსენება და პასუხის მიღება. მაგრამ მანდიდან (III გვ.). გარსე-

ვანს გვიან იწერებიან ანბავი და რუსები ყოველ ფოშტაში თითო რიგი ანბავი სწერენ. რა გარსევანს ჰკითხავენ თუ ასე ანბავი გაუვლიაო საქართველოში. პასუხი ვერას ვაცემს და ველარც საჭირო საქმის მოხსენება შეიძლება. პალბათ მათი უმალღესობა ესენი კარგათ დანახული ექნება. მაგრამ მე ეს კარგს ადგილიდამ შეტყობილი მაქვს და მოვახსენე. სხვა აქაური ანბავი ზოგი ბატონი ისაიას წიგნით მოგხსენდება.

საჭირო არ არის ჩემგან მოხსენება რომ მოვახსენო. ჩვენიანები თქვენის ბრწყინვალეების მაყურებელნი არიან. მუდამ ნუგეში სცემდეთ. საწყალი დედა ჩემი, ვინ იცის, ბევრის ნაღვლით და ფიქრით გათავებულა.

ბრწყინვალეს ბატონს ჩემს საყვარელს დას ელისაბეტას თავის ბრწყინვალე შვილებით პირს კოცნას და სამსახურის ნატრას მოვახსენებ.

თქვენი სამსახურის მოსურნე

მღაბალი მონა სოლომონ ტერ-შმოვანოვი

ქკს უპშ

მარიამობის კ

აშტარხნით.

IV გვ.

მის ბრწყინვალეებას უფალს მანუჩარ მდივანს

თუმანოვს

ჩემს მოწყალეს კელმწიფეს

მანუჩარის ხელით:

ტფილისს

ქკს უპშ ენკენისთვის კ მამივიდა, პასუხი ენკენისთვის კდ მივსწერე. ოსეჟ ოქტე-ვარტერისაგან ჩემის თაბის გამორთმევის ცდას იწერება.

№ 61. 1800 წლის 24 სექტემბრის წერილი სოლომონ ტერ-შმოვანოვისა მანუჩარ ფე-მანიშვილისადმი. დედანი. დაწერილია მხედრულად ორად მოკეცილ მოყვითალო ფერას ქაღალდზე.

ზომა თითო გვერდისა 22×18,5 см.

საქ. ცსა ფ. № 1448 საბ. № 2542

პრწყინვალე მდივანო

ჩემო მწყალობელო კელმწიფე!

მარიამობის (კ) და (კზ) თქვენი წიგნების პასუხი მომიხსენებია. რომ ჯერ თქვენგან პასუხი არა მაქვს და თქვენი მარიამობის (კგ)-ში მოწერილის პასუხი ამ თვის (იზ) მომიხსენებია. რომლით სცნოთ ჩემი ვითარება.

ენკენისთვის (ე) ში მოწერილი წიგნები მოვიდა აქ ამ თვის (ით) ში, რომ ალა ფითუნოვიც ეფრემ არქიერთან მოეწერა. იწერებიან ყიზილბაშის ჯარს ნახჩივანს გამობრუნება და კიდევ ჯარების დამზადება და კიდევ თქვენზე მოსვლა და ეჯმიაწინს ვარდაპეტების ცემა და ეჯმიაწინის აკლება. ამის გარდა ომარ ხანის დიდი ჯარით გამოსვლა და ქისიყისგან ხუთასის ტყვეს წაყვანა და მრავალი ამის-თანები მოეწერათ სხვებმა. მაგრამ ალა ფითანოვის წიგნი მე ვნახე, ესენი არც

ერთი არ მოეწერა. უფრო ხათრიჯამი შევიქვენ, მაგრამ მაინც უფიქროთ არა ვართ. და იმ თარიღებში რუსის ჯარი სტეფანწმიდას ყოფილან. ახლა იმედი გვაქვს ამ თარიღამდენ მანდ იყოს მოსული და ღთთ ახლა უფრო უფიქროთ იქნებით.

ამას წინათ მის უწმინდესობის უფალის იოსებ ჰოქვეურტერის აქ მობძანება მოგახსენეთ. ახლაც აქა ბძანდება და ამ ფოშტში მიულოცეს, რომ სხვა უკეთესი კავალერიაც მოდის ამისთვის დიდებულის კელმწიფისაგან და ამისმა უწმინდესობამ კელმწიფის მიორედ ბძანებას მოელის. რომ დათხოვნის ბძანება უთხოვნია. ის ბძანება მოუვა და მერე აქედამ წავა ყიზლარს. ორიოთ კვირა იქ იქნება. იქილამ წავა მოზდოკს. იქაც ჰალბათ ხანი დაჰყოფს. მასუკან მანდეთ წამობძანდება და ეს კი არ იცის თუ კელმწიფის ბძანება როდის მოვა.

რაც მის უწმინდესობა მობძანდა, სარუ ბეჟანას ბარათისა მოგახსენე. მიბძანა. რადგან შენ უნდა მოგბარდეს, შენი ხათრისთვის უნდა მოგცე, მაგრამ მე კი ჯერ სტამბოლიდამ მაგის მიბარების წიგნი არა მაქვსო. მერე ბარათის საგადი ვაჩვენე, რატომ ასლი არ გამოართვიო, ამისთანა ცული მიზეზები მიბძანა, მაგრამ დიდი კაცია და ამხანაკებრ ვერას მოვახსენებ. უთხარ მე მაგისი თანხა ვალი მაქვს, რომ საწყაღს მამა ჩემს მაშინვე მდივანს მიუცია. და თქვენი წიგნიც მივართვი. ეგ ჩემია მეთქი. ბოლოს ამ თვის (კ) ტნ (360) ამდენი დანა ოქრო მამცა. და სარგებლისათვისაც სიტყვა გავატარე. დიად იწყინა და ავთ ჩამომართო. მახლას მე ამისგან არც ამის ასე მალე მოცემის იმედი მქონდა, რომ დიად ხასისი ვამხდარა და თვალი აქა-იქ უჭირავს თუ ვის რა გამოვართოო. მე ჩემ წილად მადლობელი ვარ რომ მამცა და მანდ რომ მობძანდება, სარგებელიც მანდ თქვენ გამოართმევთ.

უფალი მდივანი იოვანე ბეგთაბეგოვს ჩემ მაკიერ თაყვანის ცემა მოახსენეთ. და ასე მოხსენდეს მაგისი ბარათი ვაჩვენე. ბარათი გამამართო და თეთრს ამ ახლო ხანებში მოგცემო. რა უნდა მეთქო, ჰალბათ მამცემს. და რადგან ამ ხანათ ეს მაკარიის ქარავანი მოდიოდა მაგისი ქარსაში მე ვნახე: მაგისი თანხა ხუთი ნაჭერი ზარი ფარჩა ვიყიდე ადლი ა წფ (14 მანეთი და 10 შაური).

ა წ. (14 მანეთი), ა ჩ (11 მანეთი). კფ (7 მინალთუნი და 10 შაური), ჰფ (5 მანეთი და 10 შაური) ამდენად. ნვ ადლი და ჩარექნახევარია. ეს ერთ მუშანაში გავაკეთე. ჩემი ზანდუკები ადრე შეკრული იყო. ვისაც შევეხვეწე, წამოდება არ იკისრეს. ბოლოს ყუზანანთ ბატონი სანველას მივეცე. ორი ოქროც სახარჯოთ გამომართო. მაგრამ სანველა ამას ამბობს: მე მოზდოკს დავაგვიანებო და იქ დამოქნაში ამისთანები ჯუქამი აქვსო. თუ ჩუმათ გავიტან, ვაი თუ ნახონ და ერთი ბალაში დავება, თუ ვაჩვენო, მახლადი გუმრუკი გამამართმევენო. სანამ უფალი მდივანი არას მომწერს, ვერ გავგზავნიო. ხომ იცი, ეს სანველას ანბავი, სხვა რიგი ადამიანია, თორემ ესენი არც ერთი არ ეჭირებოდა. მაგრამ რა ეს წიგნი მოგივიდეს, მოახსენე მდივანს იოვანეს, რომ სანველასთან მოზდოკს მალე წიგნი მისწეროს, როგორც უნდა, ან ინებებს, ან სხვაზე მისწერს, რომ ისე გამოგზავნონ. ნება თავისია, მე ჩემი მოვალეობილად გამოსული ვარ და სამსახური ამითავევბია. იმედი მაქვს, რომ მშვიდობით მოვიდეს, მოიწონოს. მოსკოვსაც რომ გავგზავნა, ასე პირიანი ხრიდი არ მოუვიდოდა. ამ ხანათ ცალკე წიგნი ვერ მოვართვი. ის რკ (120) ოქრო როცა გამოვართმევ, გავყიდი, მერე წიგნიც და ანგარიშიც მოვახსენებ, ახლა საჩქაროთ ეს მოვახსენე, რომ მალე მოზდოკს სანველას წიგნი მოსწეროს.

13. ქართული წყაროთმცოდნეობა.

№ 62. 1800 წლის 12 ნოემბრის წერილი სოლომონ ტერ-შმოვანოვისა მანუჩარისადმი. დაწერილია მოყვითალო ქაღალდზე. ზომა 22×18,5 სმ
საქ. ხ. ი. ფ. Sd № 3624

ბრწყინვალეო მდივანო
ჩემო მოწყალე კელმწიფევ.

ღვინობისთვის ზ დიდის ფაკეთით წიგნები მიახლება თქვენთან და ჩემი ყოველი ვითარება, ანუ ჩვენი ზანღუეების ნუსხა, ან რაც თქვენთვის მიახლება, იმისი ნუსხა ყველა მამიხსენებია და პასუხი არა მაქვს თქვენი. ენკენისთვის კდ და ლ, ღვინობის მ მოწერილი წიგნების პასუხიც ამავე ღვინობის კბ და კთ მომიხსენებია.

ამისმა უწმინდესობამ, გუშინ რომ კვირა იყო. საღძრებში იქადაგა და გამოესალმა. ამ კვირას მივა ყიზლარისაკენ. ახლა ეჩმიაწინილამ წიგნები მოერთო. ის წიგნებმა მეტად ააჩქარა.

ჩვენს ალა აბრაჰამას ერთი კაი ძმა ჰყვანდა — ივან ხეჩატურიჩ, რომ ეს ახლო ხანებში ჯვარი დაიწერა და ოც დღეზე სათილჯამით თქვენი ჰირი წაიღო. ამ თვის გ მიიცივალა.

აქ ყიზილბაშის, ან ამათი ერთი მოსახსენებელი ახალი ანბავი არ არის, რომ მოგახსენოთ და მანდაური ანბავის მოსურნე ვართ. უფრო ჩემი ივანუშკას მშვიდობით მოსვლის წიგნს მოველი.

ამ ხანათ ბარჯალღუ ა წლ (4 მან, 14 შაური) ასეა და თანდათან კიდევ ფასი იკლებს და მანდ არ ვიცი, როგოა. უფალი მდივნის იოვანეს, რე (120) ოქროს გამორთმევა რომ მომიხსენებია, რომ ღვინობისთვის იზ(17) მამცა. ამისი ასი გამიყიდნია წლნ (14 მანეთი, 15 შაური) ასეა და ოცი დარჩომილა. წონაში დიად ნაკლებები იყო. ესეც გავყიდი და პასუხს მოგახსენებ. თქვენს წიგნს ნუ დამაკლებთ. თქვენი სამსახური მოსურნე, მდაბალი მონა სოლომონ ტერ-შმოვანოვი

1800 ქკს უპმ }
გიორგობის იბ } აშტარხანს

ვანის აშიაზე) ჩემს სასურველს დას ბატონს ელისაპეტს თავის ყმარწვილებით სამსახურის ნატრას მოვახსენებ.

კონვერტად დანაკეცის ზედაპირზე:

მის ბრწყინვალეებას უფალს მანუჩარ მდივანს
თუმანოვს ჩემს მოწყალეს კელმწიფევს

ტფილისს.

მანუჩარის ხელით:

ქკს უპმ ქრისტიშობის თ მამივიდა. პასუხი ია მივსწერე. ამავე თვისას. იოვანე მდივნის ოქროს გასყიდვისა მოუწერია.

№ 63. 1801 წლის 18 მარტის წერილი სოლომონ ტერ-შმოვანოვისა მანუჩარისადმი. დაწერილია ორად მოკეცილ თეთრ თხელ ქაღალდზე, რომელიც კონვერტად ყოფილა დაკეცილი. ზომა თითო გვერდის 19×11,3 სმ.
საქ. ც. ა. ფ. 226. № 7432

ბრწყინვალე მდივანო, მოწყალე კელმწიფე!

ამ თვის ი თქვენი წიგნების პასუხი მომიხსენებია, მაგრამ იანვრის აქეთ არც თქვენგან, არც სხვა ჩემიანებისაგან წიგნი არა მაქვს და ამისთვის არა მცირე მწუხარებაში ვარ.

ამის წინათაც მომიხსენებია, რომ ჩვენი ერემიას საქონელზე თვალ-ყური გეჭიროს და ან რა ისყიდება, ან როგორ და თირმაშალები აქვს, იმისი ერთი თქვენის რძლისათვის დედა ჩემმა აიღოს, სხვა აქ გამოგზავნეთ. მაგრამ თუ მან-დავ ერემიასთან მანდაურის მაზანით ფასებს ვასჭრით, ისა სჯობს რომ აქაური ყიდვასთან საქმე და საკითხავი არა ჰქონდეს მაგას. და საქონლის სრული ნუხსა დედაჩემს აჩვენეთ, რაც უნდოდეს, აიღოს. ბატონი ისაიასთანაც დამიწერია და თქვენც, თუ რამ მოიწონებთ, აიღეთ. მე დავიმაძღვებ.

უფალი მდივანი იოვანესთან ამ თვის ათს წიგნი ვაახელ, თქვენის წიგნით და იმისი ანგარიშიც მივართვი. ჩემი თათიმა არის ზედ წქ (4 მინ. 3 აბაზი) ამდენი. ეს გამოართოთ, დედა ჩემს უბოძოთ; რაოდენი ხანი ჩემი თეთრი ზედ დარჩა, მე ხომ სარგებელი როგორ ვახსენებდი, დანახვაც არის, ჰქონდეს.

(II გვ.)

ამითი დიდებულობის ფრანგსზთან მტკიცე შერიგება და იგნლიზთან ომი რომ მოხსენებული გექნებათ. ახლა ითქვა, რომ ოსმალუსთანაც აშლილანო და ასეც იქნება, ახლა ამაების მიხედვით მანდეთ ძალიანი ჯარები გადმოვლენ და პური აიწვეს. ცოტათო პურის თადარიქი ნახოთ საჩვენოთ და შრალა პურიც არის არ დაიკლონ.

აქ უნაბი კაი მაზაა. და მერე ჩვენი ალა აბრაჰამა მეტათ ეწყობა. ჩვენსა უნაბი ექნებათ, თუ მომსვლელი დაახელოთ, ცოტა-ცოტა რამ გამოატანოთ, დაღვიძლდებთ.

ჩემს სანატრელს დას ბატონს ელისაპეტას თავის ბრწყინვალე ყმარწვილებით ნახვის და სამსახურის ნატრას მოვახსენებ.

თქვენი სამსახურის მოსურნე მდაბალი მონა სოლომონ

ტერ-შმოვანოვი

ქკს უბთ.

მარტის იმ

ასტარხანს

IV გვ-ზე

მანუჩარ მდივანს მიუვიდეს.

მანუჩარის ხელით:

ქკს უბთ აბრილის 15 მამივიდა, პასუხი მივსწერე მაისის ა. ირემიას მოტანილი საქონლისა და იოვანე მდივნისაგან წქ (4 მინალთუნი, 3 აბაზი) ამდენს გამოართმევა სწერია.

№ 64. 1801 წლის 15 აპრილის წერილი სოლომონ ტერ-შმოვანოვისა მანუჩარ თუმანი-
შვილისადმი. დაწერილია მოყვითალო ფერის ქაღალდზე.

ზომა: 22,4×18,5 სმ
საქ. ც. ა. ფ. № 1448 საბ. № 7433

მის ბრწყინვალეებას უფალს მდივანს
ჩემს მოწყალეს კელმწიფეს!

ამის წინათ მარტის ი და იმ-ში თქვენი ნაწერი წიგნი ამ თვის ი მებოძა, რაც
დამამწარებლის, ჩვენს კნიაზ ალის მიცვალება მოვახსენე. და თქვენც შეტყო-
ბილი გექნებათ. იმ ხანათ ჩემს რძალს წიგნი არ მოვწერე, რომ პირველი შეტ-
ყობაში ჩემი წიგნის ხლება ვერ გავბედე და ახლა მოვახსენე. ვითხოვ თქვენ მი-
ართოთ, როგორც რიგი იყოს.

ამის წინათ მარტის ი და იმ-ში თქვენი ნაწერი წიგნი ამ თვის ი მებოძა, რაც
გებძანათ, მადლობით მივიღეთ და ვიხარეთ თქვენის შვიდობის ანბავის ცნობით.

ჩემი წიგნის დაგვიანებას ჩივით. მე დროზე არ დამიკლია და თქვენი წიგნიც
ამ გზობით ძალიან დაიგვიანა. მაგრამ ამას იქით იმედი მაქვს აქაური ფოშტით
მანდამდინ ისაქმოს და მანდაც ფოშტი გამოაჩინონ. მერე მალმალ მოგვივა წიგ-
ნი, და რაც ანბავები მოგეწერა, მადლობელი ვარ, მუდამ ვთხოვ მანდაური ან-
ბეები მიბძანებდე. თუ თქვენც ალა ისაისავით წიგნის ანგარიშები დაიჭერ და
დავა გახდი, ნება შენია. მე ვალ ქვეშ ნურც შენ დამაგდებ. ჩიქილიც შაშისა ამას
წინათაც მომიხსენებია, რომ აქ არც სულ არ არის და მოსკოვიდამ თხოვნით
ჩვენის გუნებისა არ მოგვივა. თუ მოიტანეს და აქ დავინახე, ვიყიდი და ამ
თვის ია თოხათელი ბაღდასარა რომ არის, ტერ-არაქელას სიძე, ამისი საქმე ხომ
როსტევეანასთან გავარიგეთ და სანათი გამოვართვით და ამისი საქმე გა-
ვსაღეთ და ამ თვის ია აქედან მოზდოკს წავიდა და იქილამ მანდ ვიახლებათ. ამ
ბაღდასარას კელით გაახელ ერთი ტანლული მაუდი, რომ არის სამი ადლი აქაუ-
რი და ასე ნაჭერი იყო, დიად კაი ფერია, მე უცხოდ მომეწონა და მგონია თქვენც
მოიწონოთ. არ ვიცი რა ფერი ითქმის, მაგრამ მოჭირებული მუხუნდის ფერი
ითქმის, ასე ორ თუმნათ მიყიდნია და ორი წვერებზე ლაქით დამიბეჭდავს და
ზედ ქაღალდზედაც თქვენი სახელიც დამიწერია. შვიდობით მოგერთოსთ და
კიდევ, თუ კაი ფერი მაუდი დამხვდეს, ვიყიდი.

ჩემი საქმის დაგვიანებისთვის იწერები და გიკვირს, მართლა რომ საკვირვე-
ლია. მაგრამ ბედი უბედო ჩემზედა მიწყევ ავისა ქმნელია. განა მე აქ მეხალისე-
ბა დგომა. ანუ ჩემი ცოლშვილის ნახვა განა არ მინდა? მაგრამ ასე მოხდა. ან
კაცის საქმე ასეა, რომ ამისგან არა გამოდის. ვამბობ ეგების ცარიელი ვექსი-
ლიც არის გამოვართო და ამისი საქმე ძალიან ძნელს ალაგს არის. და მე თუ ამა-
სთან მალა მდლაპარაკნია, მაშინ ვე თოფს ისროლს, ვამბობ; მე ამისი მიზეზი
არ შევიქნა და არც მე მიჯობს. რა ვქნა ასე საქმეა და თუ ყველა წიგნში ჩემი
ყველა ნაღველი ყველას მოვახსენოთ, თუ არა მეტი შაწუხება, სხვა რა ნუგეჟია
თქვენთვის, ან რა მეშვილება მანდიდამ. ღონ გაარიგოს.

ქკს უპთ.

აპრილის იე

ქკს უპთ.

ქკს უპთ

თიბათვის იზ

{ აშტრახან

თქვენი სამსახურის მოსუოთი
მდაბალი მონა სოლომონ ტერ-შმოვანოვი.

განის აშიაზე: ჩემს სასურველს ბატონს დას ელისაპეტს თავის ყმარწვილებით
ნახვის და სამსახურის ნატრას მოვახსენებ.

№ 65. 1801 წლის 17 ივნისის წერილი სოლომონ ტერ-შმოვანოვისა მანუჩარისადმი. დაწერილია თეთრ თხელ ქაღალდზე, რომელიც კონვერტად ყოფილა დაკეცილი. ზომა: 22×18,5 სმ
 საქ. ც. ა. ფ. 226. № 7426

მის ბრწყინვალეობას უფალს მდივანს ჩემს მოწყალეს
 კელმწიფეს

ამ თვის ათს თქვენი მაისის ზ და კე-ში ნაბოძები წიგნების პასუხი მომიხსენებია. იმედი მაქვს დროზე მოგერთოსთ და ამ თვის იე ბატონი ისაიას ამ თვის ორს მოწერილი წიგნი მომივიდა. კაი ახალი წიგნი იყო და მანდაური ანბავებიც ზოგიერთი მოეწერა. მადლობელი ვარ.

მოზღოკილამ ქარავანი მოვიდა. თქვენი ერთი პარკით უნაბი ოქრომჭედლის შვილი მომიტანა, მადლობელი გახლავართ. და ბატონი არუთინ ირიცფუხოვმან თქვენი ნაბოძი ორი ყალამქრის ხონჩაფუში ისე სამოსელში შეკრული მომიტანა. დიად კაი რამ არის. მაგრამ აქაური ხარჯი არ არის. და ერთი თუმნათ იაფიც არის. მაგრამ ამისთანები აქ წყვილს აძლევენ ერთ თუმნათ. ახლავ დალალს მიმიცია. ვნახოთ, ეგების ცოტა ჭკვიანი და ბევრი თეთრიანი რუსი დახედეს. ეგების გაისყიდოს.

სხვა ახალი ანბავი არა არის რა მოსახსენებელი, რომ მოგახსენოთ და ძალიანი სიცხეა. ბუზიც ბევრია. მაგრამ ყინული ოხრათ არის. მე კაი სარდაფიცა მაქვს. რომ ყინული არც კი მეჭირება. ღთთ იმედი მაქვს და ვეცდები ამ თილისძითგან ამ ზაფხულ მოვრჩე და ზამთარი მანდ გახლდე. თუ ღთსაც ნება არს.

თქვენს ანბავს და სამსახურს მიბძანებდეთ.

თქვენის ბრწყინვალეობის სარწმუნო და მდაბალი მონა სოლომონ
 ტერ-შმოვანოვი.

ქკს უპთ

თიბათვის იზ ასტარხანს

მისს ბრწყინვალეობას უფალს მდივანს მანუჩარ

თუმანოვს ჩემს მოწყალეს კელმწიფეს ტფილისს

მანუჩარის ხელით:

ქკს უპთ თიბათვის კჭ მამივიდა და პასუხი თიბათვის კთ მივწერე. ჩემი ორის ყალამქრის ფარდის მისგლა ამაში სწერია.

№ 66. 1801 წლის 19 ივნისის წერილი სოლომონ ტერ-შმოვანოვისა მანუჩარისადმი. დედანი. დაწერილია ორად მოკეცილ თეთრ ქაღალდზე, რომელიც კონვერტად ყოფილა დაკეცილი. ზომა თითო გვერდისა 18,5×11,5 სმ.
 საქ. ც. ა. ფ. 226. № 7427

მის ბრწყინვალეობას უფალს მდივანს, ჩემს მოწყალეს
 კელმწიფეს!

ამას წინათ ამ თვის ი და იზ-ში თქვენის წიგნების პასუხი, ან ითვანე ბატონის შვილის წიგნის პეტრებორჩს გაგზავნა, ან სხვა მომიხსენებია.

და დღეს თქვენი ამ თვის ი-ში ნაწერი წიგნი მებოძა, რომელიც სიხარულით: და მადლობით მივიღე და ვიხარე თქვენის შვიდობისათვის. რადგან ეფრემ არქიერი დღეს კურიელი გზავნიდა მოზღოკს, ეს ორიოთ სიტყვა საჩქაროთ მოგახსენე და ახალი ანბავი ანუ სხვა მოსახსენებელი არა მაქვს რა

რაც გითხოვნია, თუ ქოლგა, თუ სხვა, მოგერთმევა. ყალამქრის ორი ხონ-
ჩაფუში და უნაბი მამივიდა. მადლობელი გახლავარ და ხონჩაფუშიც ვნახოთ,
ეგების გაისყიდოს.

(I, 83.)

მიკვირს, ტერ-არაქელას სიძის ხელით რომ მაუდი გაახელ, თუმცა ვიცი
მოგსვლიათ, მაგრამ თქვენ არც მოსვლას იწერებით და არც მოიწონეთ თუ არა,
ის მიბძანეთ. თქვენს ანბავს ნუ დამაკლებთ.

თქვენი სამსახურის მოსურნე, მდაბალი მონა სოლომონ

ტერ-შმოვანოვი.

ქკს უპტ: ასტრახანი

თიბათვის ით

IV გვ-ზე:

მის ბრწყინვალეობას უფალს მანუჩარს მდივანს თუმანოვს მიერთოს. ტვი-
ლისს.

მანუჩარის ხელით:

ქკს უპტ. თიბათვის კჴ მამივიდა და პასუხი თიბათვის კთ მიმიწერია.

ყალამქრის ფარდებისა და უნაბის მისვლა სწერია.

**№ 67. 1801 წლის 3 ივლისის წერილი სოლომონ ტერ-შმოვანოვისა მანუჩარისადმი. დაწე-
რილა ლურჯ, ორად მოკეცილ ქალაღზე, რომელიც კონვერტად ყოფილა დაკეცილი.**

ზომა თითო გვერდისა 21,5 X 17 სმ

საქ. ც. ა. ფ. 226. № 7428

მის ბრწყინვალეობას უფალს მდივანს ჩემს მოწყალეს

კელმწიფეს

თიბათვის ი, იზ, ით-ში თქვენი წიგნების პასუხი მომიხსენებია, რომლითაც
ჩემი ვითარება შეიტყობთ. ამ ხანათ რადგან ჭეჭიმ-ალას ძე ბატონი დავითა მო-
დიოდა, ეს მცირე არზი მოგახსენეთ.

შენი პატარა სპათი რომ გილანს გამეგზავნა, ის წამლები ამ თარიღებში მო-
ვიდა და იქ ნაღდათ ვერ გაეყიდნა და ხუთი რუპანი იზდის მოვი და ერთი ბადრი-
ჯანის მუხაირზე სოვდა ექნა და მამიტანა და მუხაირი და ორი მოვი ერთათ
ერთ სამოსელში გაკეთებული მიმიცია აღას შვილს ჭეჭიმი დავითას. ჩვენი სა-
ხელი სწერდა ზედა. შვილობით მოვა და მიირთმევთ. და სამი მოვი აქ შევინახე,
რომ ეგების გავყიდო. მგონია თითო შვიდ მინალთუნათ გაისყიდოს. მანამდინ
თუ მომწერთ, ამასაც მოგართმევთ.

ერთი ლიჯანის ღილი რომ არს გილანს, ხრიდი ღზ (4 თუმანი და 6 მინალ-
თუნი) და ათი ადლი გრნაფი ადლი ც (ორი მინალთუნი) ასე არს ნაყიდი. ესე-
ნიც ერთათ ამავ დავითს მიმიცია ჩვენ საშინოთ. და ეს გრნაფი თუ ფერი. თუ
ადგილი მომეწონა, მაგრამ ამის მეტი აღარ იყო. არ ვიცი, თქვენც მოიწონებ თუ
არა. სამი ფერი ძაფი აქვს: იისფერი, ფსტაი და ფირუზი რომ შაფალია და სხვა-
დასხვა ფერად ჩანს. შვილობით მოვიდეს, ჭალბათ ნახავთ.

(II გვ.)

ამ ხანათ ახალი ანბავი არა არის რა და ამათმა დიდებულობამ ინგლიზთან
შერიგებულაო, რომ ეს სოვდაგარისთვის კაი ანბავია.

დავით ჭოქევეურტერისა ანუ დანიელ პატრიერქისა ახალი ანბავი არ მოვი-
და და ეფრემ არქიერი ემზადება პეტრებურსს წასვლასა რომ აქაურის ხალხის

რჩევით და აღა ოპანეზას სიტყვით მიდის. უფრო გრიქურ ვარდაპეტას გამოი-
სად, რომ ეგ აქეთ აღარ წამოვიდესო.

ჩემს პატიოსანს დას, ბატონს ელისაბეტას თავის ყმარწვილებით ნაზვის და
სამსახურის ნატრას მოვახსენებთ.

თქვენი სამსახურის მოსურნე, მდაბალი მონა სოლომონ ტერ-შმოვანოვი.
ქკს უპთ.

კათათვის გ.

ასტარხანს

IV მგ.- ზე: მის ბრწყინვალეობას, უფალს მანუჩარ მდივანს თუმანოვს მივთ-
თოს. ტფილისს.

მანუჩარის ხელით:

ქკს უპთ. მარიამობის დ ქკს უპთ მამივიდა, პასუხი მარიამობის კა მივწერე.
სათში აღებულის, იქ თავისთან შენახულის, სამის იეზდის მოვისას იწერება, თი
თოს შვიდ მინალთუნათ მიხოვენო.

№ 68. 1801 წლის 15 ივლისის წერილი სოლომონ ტერ-შმოვანოვისა მანუჩარისადმი. და-
წერილია თხელ თეთრ ქაღალდზე, რომელიც კონვერტად ყოფილა დაკეცილი. ზომა 21,5×18 სმ.
საქ. ც. ა. ფ. 226. № 7429.

მის ბრწყინვალეობას უფალს მდივანს ჩემს მოწყალე
ხელმწიფეს

ამ თვის გ წიგნი მოგართვი და ჰექიმ აღას შვილის ხელით ორი რეჰანი მი-
ვი. ერთი ბადრიჯანი მუხაირი მოგართვი და მომიხსენებია რომ შენი პატარა სპა-
თი გილანს ხუთი მოვით და ერთს დარაით სოვდა ექნათ. ახლა სამი მოვი აქ
არის, ეგებბის აქ გაისყიდოს, თუ არა, ამასაც მოგართმევთ.

თქვენი თიბათვეს კთ ნაწერი წიგნი ამ თვის ი მამივიდა და თიბათვეს კდ-ში
მინაწერი წიგნი ჯერ არ მამსვლია. ისიც მამივა და პასუხს მოგახსენებ.

რაც გითხოვნია, ვეცდები რომ ვიშოვო და მოგართო. მაგრამ მემკვიდრის
მეფის ძის სასახლის კეთება და საყინულის ყინულით სავსება საკვეთურად მიგე-
ჩნია და იკვები. რომ მაგის სიამოვნეს ჩვენისთანას მოჩივრობას დაგვაწყებინებ.
ეგ მართალია, რომ სამკვიდრო ყველასაგან სანატრელია და ჩვენც ვინატრით
მაგრამ შენ სარაიდრობა რომ შერგილაშვილს წაართვი და საყინულო აღიბეგს
წაართვი, განა მაგის მეტი ოხერი სახელო აღარ იყო. ეგელა დაგრჩეს სანაც-
ლოდ მის იმედისა დიდისა:

თქვენს ანბავს ნუ დამაკლებთ.

ქს უპთ { ასტარხნით თქვენი სამსახურის მოსურნე მდაბალი მონა.
კათათვის იე |

სოლომონ ტერ-შმოვანოვი

განის არშიაზე:

ჩემს პატიოსანს დას ბატონს ელისაბედს თავის ბრწყინვალე ყმაწვილებით
ნახვის და სამსახურის ნატრას მოვახსენებ.

(verso)

მის ბრწყინვალეობას უფალს მანუჩარ მდივანს თუმანოვს

ჩემს მოწყალეს ხელმწიფეს ტფილისს.

მანუჩარის ხელით:

ქეს უბთ მკათათვის ლა მამივიდა. პასუხი მივსწერე მარიამობის კა. ჩემი პატარა სათი ხუთს მოვათ და ერთს მუხაირათ გაყიდულა. ერთი მუხაირი დარაია და ორი მოვის გამოგზავნა ამაში სწერია. სამი მოვი თავისთან არის.

№ 69. 1801 წ. 28 ოქტომბრის წერილი სოლომონ ტერ-შმოვანოვისა მანუჩარ თუმანიშვილისადმი. დაწერილია ძნელად გასარჩევი ხელით ორად გაკვეცილ მოყვითალო ფერის ქაღალდზე.

ზომა: 22×18.5 სმ.

საქ. ც. ა. ფ. № 1448 საბ. № 8131.

ბრწყინვალე კნიაზო
ჩემო მწყალობელო კელმწიფევ!

თქვენი წიგნების პასუხი გრძლად მომიხსენებია და თქვენგან ანუ ჩვენი სახლიდამ ახალი წიგნი არა მაქვს და ვწუხვარ.

იოვანე ბატონის შვილი ჩემთან წიგნი ებოძებინა და თქვენი წიგნების სუხიც გამოგზავნა, რომ ამით მოგართვი. ვგონებ მის უგანათლებულესობას ზედის ძის მემკვიდრესთანაც იყოს ამ ფაქტში წიგნი.

ამ თვის იმ-დამ მოსკოვიდამ წიგნი მამივიდა, რომ მეფის ძებს კავალერთა უბოძებიათ დ თავიანთ სათხოვრის მიღების იმედი უბძანებიათ.

კნორინი აქ მობძანდა და ამ ორიოთ დღეში გამოვა აქედამ. მანდ უნდა მოვიდეს, მანდაური საქმეების გასარიგებლად.

(1 გვ-ის „ვერზო“) გაზეთები გამოვიდა, რომ საქართველო შეიქნა რუსეთი და კავალენცი (sic) მანდაური გუბერნათი და კნორინი ვოენი გუბერნათი. ამ თვის იმ ეფრემ არქიერი კელმწიფეს თავის პალატში უნახავს. რიგიანი შესხმა მოუხსენებია და კაის მოწყალის თვალით უნახავს. პნაეეე უბოძებია და კავალერას იმედიც არისო. გრიქურ ვარდაპეტი ძალიან გაუცურებიათ. და ამ თვის ესტამბოლს ელჩთან უქაზი წასულა, რომ დანიელ ბატრიარხისთვის ფარვანი გამოვიდეს და დავით შოქვეურტერის ფარვანი დააყენონ. ეს საქმეები სულ გრიქურ ვარდაპეტის აქ გამოგზავნამ აქნევიანა. ეგ ახალი შოქვეურტერი ეფრემ არქიერს ასე არ უნდა გამოემეტნა. მეტათ ცუდი და უსაქმო კაცი ჰგონებია ამას. მაგრამ ყოველს ამის მნახველს ამას (მე-2 ვერლის „რექტო“) წმინდანებისაგანი ჰგონიათ. მგონია ამის მიზეზით, მაგის შოქვეურტობას დინჯობა არ მოადგას. ალა ოჰანეზა თავის ძმებით და აქაური სრულ დიდ-პატარანი ეფრემისთვის და დანიელისთვის მეტათ დგანან. ბოლო ღთნ გაარიგოს.

მე ამ ხანათ ჩვენსა წიგნი ვერავის მოვწერე. მიორე ფოშტაში მოვწერე. ჩემი სიცოცხლე ამით სცნან და აკმარონ.

იმედი მაქვს ამ ზამთარ მანდ ვიზამთრი, თუ ღთსაც ნებაა.

ქეს უპნ
ღვინობისთვის კმ
ამტრახანს

თქვენის ბრწყინვალეების მდაბალი მონა
სოლომონ ტერ-შმოვანოვ. მეტათ სიჩ-
ქარით მოვწერე, თახსირი მაჩუქეთ.

(1 გვ-ის „ვერზო“-ს განის აშიაზე) მეფის ძეს წიგნი მოართვი და ჩემი მუხლს კოცნა მოახსენე. ბატონი ისაიას სამსახურის ნატრას მოვახსენებ.

ლექსიკონი¹

ა

ადიდა—11²—„აქედამ მოწერილმა წიგნმა, იფიქრეთ, რამდენს ადიდაში უნდა გაიაროს“.
ალაჰ ვერსა და აფერურ ვერმასა და აფერურ ბედნიერობა იმუშაა—59, თურქული გამოთქმა—ალაჰმა რომც მოგცეს, წაიღებს, არ მოგცეს, (მაინც) წაიღებს. ბედნიერება ყოფილა³.

ბ

ბაიმათლუ—22. ტომის სახელი
ბალა—61. უბედურება
ბანდი—14. წვრილი თასმა

გ

გელდი—28. შემოსავალი.
გრანფი—67. დამახინჯებული ფრანგული (gros de Naple)—აბრეშუმის მსუბუქი ქსოვილი, თავდაპირველად ნეაპოლში დამზადებული.
გურგური—59. მძიმე აბრეშუმის ინდური ქსოვილი.
გუმრუკი—61—გუნბრეკი, ბაჟი.

დ

დავაყურსებთ—54. დავამრგვალებთ; ყურსი—მრგვალი.
დამოყენა—61. დამახინჯ. რუსული таможня—საბაჟო.
დუშმან ფათოლდი—9. თურქული გამოთქმა—მტერი დამარცხდა.

ვ

ვალხამი—1—ვალსამო, ბალხამი.

თ

თაბი—60. იგივე თალაბი, ვალი.
თათიმა—63. ნაშთი, დანარჩენი.
თარაფა—35. ნაწილი.
თახსირი—59,69. დანაშაული; თახსირი მაჩუქე—დანაშაული მაჩუქე, ე. ი. ნაბატე.
თახიხათ—59. ქეშმარიტად.

¹ საბუთთა ამ კრებულში ხმარებული უცხო სიტყვათა დიდი ნაწილი ჩვენს მიერ უკვე განმარტებულია ლექსიკონში, რომელიც დაერთო „მასალებს საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“ (იხ. „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“, დანართი I, II და III წიგნების ლექსიკონი და საძიებლები, თბილისი, 1959 წ.). ამიტომ ესეთი სიტყვები ამ ლექსიკონში აღარ შევიტანეთ. ზოგი სიტყვის განმარტება ვერ მოხერხდა, მაგრამ სისრულისათვის მაინც მოგვაქვს კონტექსტის ჩვენებით.

² ციფრი აღნიშნავს საბუთის ჩვენი გამოცემის რიგით ნომერს.

³ თურქული გამოთქმების ახსნა მოგვაწოდა პროფ. ს. ჯიქიამ, რისთვისაც მას დიდად ვმადლობთ.

ი

იარანალი—4,20. დამახინჯ. გენერალი. აქ იგულისხმება ზუბოვი
იოლაგედარი ხარი—61 გზადმიმავალი ხარი.

კ

კურელი—27. დამახინჯ. კურიერი.

ლ

ლაიჯანის ლილი—67 „ლაიჯანი—ადგილი შირვანში, ლითონის ნაკეთობით ცნობილი
ლულა—3. დახვეული, შეგრავნილი.

მ

მაზანი—63.—იგივე მაზანდა, საბაზრო თასი.

მაზა—63. გემრიელი საჭმელი

მათაბ—36. სასურველია!

მანძილი—29. სადგური, გზად დასადგომი ადგილი

მარამაითი—3. ერთდაგვარი ქსოვილი

მიშკარბაში—1. მოხელე მეფის კარზე. აქ იგულისხმება ოსეთა ყორღანაშვილი.

მოლევნა—29. დამახინჯ. რუსული МОЛЕННЯ

მონახილობა—3. მოსამსახურე. ერთერთი მოხელე.

მუზალა 38. 59—დასანანი, დასაშურებელი

ნ

ნაშაითი—37,38.(?)

ო

ოჭტი—39. ოხტი, სამაგიეროს გადახდა, ჯავრის ამოყრა.

პ

პნაეგ—69. პანაგია (?)

პუტიკა, პუტუკა—38 (?)

ს

სათილგამი—62. ანთება

სალავათი—18,19. იგივე სალამათი—საბაჯრებზე გამვლელ ვაჭრებისაგან აღებული გადასახადი

სანდუღი—59,61. ღობე.

სარგარდანი—26,45—დაბნეული, მოხეტიალე, შეწუხებული.

სიქადარი—22. სინჯი.

ტ

ტანლული—59,64. იგივე ტონლული. ქსოვილის ზომის ერთეული, უდრის 360 სმ.

უ

უდები—28. უკანონოდ დადებული გადასახადი.

უქაზი—28—რუს. указ

ფ

ფალუტაკი—39. ფალუსტაკი. შაქარარეული ფქვილი ვერბოში ან ზეთში მოხრაკული.

ფარეზი—9,11. დიეტა.

ფრქაშიკი—59. დამახინჯ. რუსული приказчик

ძ

ქამხარჯობა—4. ყაირათობა, ხელმომჭირნობა.

უ

- ყალბანდღუხი—60. ყელზე შესაბამელი ჯაჭვი პატიმრისა.
 ყალბა—59. ხუტუტი ბეწვის ქუდი
 ყალბადი—14. სიძნელე, უბედურება
 ყარალთად ყოფნა—50 (?)
 ყარა ეშაკ ყაფი და ბაღლუ დურ—59. თურქული. „შავი სახედრის კარიც დახშულია“.
 ყარიბულად ცხოვრება—46. უცხოებაში ყოფნა
 ყაიმათი—74. აფორიაქება
 ყულულჩი—11. მსახური

შ

- შაფალათი—14. შუამდგომლობა, თხოვნა.
 შაფალი—67. გამჭვირვალე
 შეიდიში—3. აბრეშუმის ქსოვილი.

ჩ

- ჩაფაული—32. დარბევა

ჯ

- ჯაჭტადი—38 მიზეზი (?)
 ჯუქაში—61. დანაკლისი

ხ

- ხაზმუზიანობა—20. თავის ქვრქში არ ყოფნა.
 ხაჯალათი—5,40—ხიჯალათი. სირცხვილი, შერცხვენა.
 ხახისი—61. ძუნწი.

ჭ

- ჭალა—5,18. ახლა
 ჭარაქათი—19,20, 29. ძალი
 ჭუჯათი—37. საბუთი: კამათი, ჩხუბი

პირთა სახელების სპიშეზელო

აბასოლომი—8*)
 აბაზ-ხანი—34
 აბრამ ხეჩატურიჩ—34, 38, 40, 62
 (აბიმელიქოვი) აბელა—58,59
 (აბიმელიქოვი) ალა—58, 59
 (აბიმელიქოვი) გიორგი, ალას ვაჟი—59
 აბიმელიქოვი ზანუშ (ელისაპეტ), დავით ბატონიშვილის მეუღლე—58
 აბელა-ტერ-შოვანას შვილის—ოჰანას ვაჟი—იხ.
 აბიმელიქოვი აბელა.
 აბრაჰამა ალა—59, 62, 63
 ადიბეგ—68
 ავეტიქ მდივანი—27
 ავეტიქა—2
 ავეტიქაშვილები—2
 ავთანდილა—39
 ავთანდილასშვილი—12
 ალისქანდი—35
 ალიყული-ხან, ალა-მაჰმად-ხანის ძმა—32
 ალი სულთანი—29
 ალიყული-ხან—21, 33, 35
 აღმასხან ბატონიშვილი—იხ. ვახტანგ (აღმას-ხან) ბატონიშვილი
 ანშანანთ არუთინა—5
 ანახანუშ—28
 ანტონი—22
 ანანია, ალექსანდრე ბატონიშვილის მსახუ-რი—17
 ანა დედა—59
 არუთენა—4
 არუთენა, არუთინა ბატონი—13
 არღუთაშვილი თაყა—42
 არღუთაშვილი ფასანა—2
 არღუთოვი სოლომონ—15
 ასატურა სიძე—
 აფია—22
 აფრიამა ალა—36
 აფრიამა—12, 17, 19
 აფრიამა (ტერ-შოვანოვი)—13
 ალა-მაჰმად ხან—2, 7, 8, 12, 15, 21, 27, 29, 32, 33, 35, 36, 37, 51

ალაზადასშვილი შუშანა—59
 ალა, ტერ-შოვანას შვილის ოჰანას ვაჟი—იხ.
 აბიმელიქოვი ალა
 ალა კნიაზი—64
 ალალთანოვი—61
 ალალუა—6, 9, 10
 ბაბანა, ბაბანასა—18, 22
 ბაბახან—41, 42, 43, 44
 ბასტამაშვილი—7
 ბაღდადოვი გასპარა—59
 ბაღდასარა თოხათელი, ტერ-არაქელას სიძე—64
 ბაშინჯალელი (გოგია)—48
 (ბებუთაშვილი) იოსებ, მისკარბაში—1, 7
 ბებუთოვი დარჩია—იხ. დარჩია მელიქი
 ბებუთოვი იოსებ—9
 ბეგთაბეგოვი იოვანე, მდივანი—58, 61, 63
 ბეჟანა—28
 ბეჟანა თოლინასშვილი—34
 ბეჟანიშვილი—45
 ბერძენაშვილი—29
 ბირთველ—იხ. თუმანიშვილი ბირთველ
 ბოური, გენ-მაიორი—29
 გალეგაშვილი არუთინა, ჭალეგა არუთინა—5.
 45, 47, 48
 გალეგაშვილები—27
 გარდუქეტასშვილი ისაია—17,28
 გარსევან—იხ. ჭავჭავაძე გარსევან.
 გასპარა—14
 გასპარა—50
 გასპარა, მანუჩარ თუმანიშვილის დისწული—19
 გეურქ-ალა—46
 გიგავურიანთ მელქოა—58
 გივი—იხ. თუმანიშვილი გივი
 გიორგა გორელი—59
 გიორგი ბატონიშვილი—7,27—გიორგი მეფე
 —42
 გიქუა—48
 გიქუა მეღვინე—2
 გოგია ბაბანა
 გოგია—27
 გოგია (თუმანიშვილი?)—29

*) ციფრი აღნიშნავს საბუთის ჩვენი გამოცემის რიგით ნომერს.

- გოგია მეურმე—13
 გოდერძი მწერლისშვილი (ფირალისშვილი)—7
 გრიჭო ვარდაპეტი—67, 69
 გუდლოვიჩი—16, 21, 23, 24, 27, 28, 29, 38
 გურგინბეგანთ გასპარა—59
 გურგინბეგანთ სტეფანა—19, 39
- დავითა—12, 17
 დავითა ბიჭი—3
 დავითა, ჭექიმ-ალას შვილი—67, 68
 დავითა ქართველი—17
 დავით—იხ. თუმანიშვილი დავით მანუჩარის ძე
 დავით ბატონი—34, 36, 37, 38
 დავით ბატონიშვილი—38, 40, 41, 42, 43, 45, 46, 47, 49, 57, 59.
 დავით ჰოქვერტერი—67, 69
 დათო—36
 დათუა, ძიძის შვილი—29
 დაუთი—17
 დალაქ-ბეროანთ გოგია—61
 დალაქ-ბეროანთ ნინო—28
 დალაქ-ბეროანთ ქალი (აბიმელიქოვის რძალი)—58
 დანიელ პატრიარხი—67, 69.
 დარჩია მელიქი (ბებუთოვი)—7, 8, 22, 31
 დაუთა—19, 22
 დეკანოზიშვილი ფილიპე—11
 დიმიტრი—29
 დიმიტრი კნიაზი—27
 დიმიტრი მდივანი—10, 47, 48, 49
 დოლდურუჯი, პოლკოვნიკი—29
- ეგნატი—იხ. თუმანიშვილი ეგნატი
 ელევთერ—59
 ელიაზარ მდივანი—35
 ელისაბეტ—იხ. თუმანიშვილი ელისაბეტ მანუჩარის ასული
 ელისაბეტ—იხ. თუმანიშვილი ელისაბეტ. ტერ-შმოვანოვის ქალი, მანუჩარის მეუღლე.
 ელისაბარა—2
 ელისო—იხ. თუმანიშვილი ელისო.
 ემანაღასშვილი სტეფანა—4, 5
 ერემია—63
 ერისთავი ელისბარ—11, 47
 (ერისთავი) რევაზ—11
 ესტატე ღვდელი—41.
 ეფრემ არქიერი—61, 66, 67, 69
- ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი—4, 11, 20, 27, 46
 ვართაპეტა—26
- ზაალ—27
 ზაზა ბიჭი—50
 ზაზა—39
 ზალბეგი—17, 39 (ყაფლანისშვილი)
 ზურაბა—13, 26
 ზუბოვი—5, 11, 15, 16, 21, 27
- თავაქალიხან—33, 35
 თათულა (აქიმი)—2, 57
 თამაზ—33
 თამაზა კაპიტანი—27, 29
 თაყოანთ ისაია—5
 თარხანაღის შვილები—5
 თაყოს ცოლი—61
 თემურაზა—50
 თუმანიშვილი ბირთველ, მდივანი; მელიქის ცოლისძმა—29, 59
 თუმანიშვილი გივი სულხანის ძე 8, 10, 16, 22, 24, 33, 43, 44, 51, 52, 53, 55, 57.
 თუმანიშვილი დავით მანუჩარის ძე—3, 5, 12, 13, 19, 28, 31, 34, 36, 37, 40, 41, 59
 თუმანიშვილი ელისაბეტ—ტერ-შმოვანოვის ქალი—მანუჩარის მეუღლე—5, 12, 13, 16, 17, 19, 22, 26, 28, 31, 34, 36, 37, 38, 40, 58, 59, 60, 62, 63, 64, 67, 68.
 თუმანიშვილი ელისაბეტ, პატარა—მანუჩარის ქალი—17, 19, 22, 34, 37, 38, 40—იგივე ელისო (იხ.)
 თუმანიშვილი ელისო მანუჩარის ასული—3, 5, 12, 13, 27, 36. იგივე ელისაბეტ (იხ.)
 თუმანიშვილი კატია—57
 (თუმანიშვილი) მაია—მანუჩარის და, ჩითაზანთ სტეფანეს მეუღლე—27, 29, 34.
 თუმანიშვილი მანუჩარ გორჯასპის-ძე, მდივანი, ლაშქარნივისი—1—69
 თუმანიშვილი ნიკოლოზ, მანუჩარის ბიძაშვილი—48, 49
 თუმანიშვილი სულხან გორჯასპის ძე, მანუჩარის ძმა—1, 9, 15, 27, 32, 33, 44, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57.
 თუმანიშვილი შიომ სულხანის ძე—1, 2, 4, 5, 6, 8, 9, 10, 11, 25, 30, 41, 42, 43, 46, 47, 48, 49, 50
 თუმანიშვილი ჯიმშერ მანუჩარის ძე—3, 5, 12, 13, 17, 19, 22, 28, 31, 34, 36, 37, 38, 40, 59.
 თუმანიშვილი იოანე—45, 47
- იასე—19
 იარანალი—(გენერალი) 4, 20, 24 იგულისხმება ზულცი
 იბრეიმ-ხანი—5, 33, 35
 ივანუშკა—იხ. ტერ-შმოვანოვი ოჰანუხა—62.
 ივან ხეჩატურიჩ, ალა აბრაჰამის ძმა—62
 იოვანე მდივანი—იხ. ბეგთაბეგოვი იოვანე იოანე—2
 იოანე ბატონიშვილი—48, 49, 66, 69
 იოსებ, იოსეფ, ოსოფ არქიერი—11, 27, 33, 35, 36, 37, 40, 45, 58, 59
 იოსებ ვარდაპეტი—12, 38, 58, 59,
 იოსებ მილახვარი (ყორდანაშვილი)—9
 იოსებ მისკარბაში (ბებუთაშვილი)—7
 იოსებ ყუყო—50
 იოსებ, ოვსებ ჰოქვერტერი—60, 61
 იოსეფ—19

- იოსეფა—22
 იოსეფა ქართველი—12, 17
 ირაკლი მეფე—10
 ირიცფუხივი არუთინ—65
 ისაია—5, 12, 59, 60
 ისაია ალა, ისაია ბატონი—44, 63, 64, 65, 69
 —(ფითუაშვილი?)
 ისაია—22
 იულონ ბატონიშვილი—10, 11, 25, 27, 44

 კავალენცი—(→კოვალენსკი)—69
 კაციაშვილი ბირთველ—27
 კაჭკაჭოვი იოანე, აფიცარი—21
 კვებურელი—5
 კნორინი—(→კნორინვი)—69
 კოჩუაშვილი—29

 (ლეონიძე) სოლომონ მსაჯული, სოლომონ დე-
 კანოზის შვილ—2, 6, 7, 8, 9, 11
 ლუკასას შვილი

 მაია—იხ. თუმანიშვილი მაია
 მალხაზ, კიზიყის მოურავის შვილი (ანდრო-
 ნიკაშვილი)—29
 მამად ბეგ, იბრეიმ-ხანის ძმისწული—33
 მანუჩარ—იხ. თუმანიშვილი მანუჩარ
 მანუჩაროვი მარქარა—39
 ბატინანთ ბეჟანა—31
 მალაქელაშვილი—5
 მალაქელაშვილი ოპანეზა—2
 მაჩაბელი დათუა—3
 მახარა ბიჭი—50
 მაზატელი—10, 11
 მაჰმად, ყაზვინის ხანი—42
 მაჰმად ემინ-ბეგ—
 მდივანი—5 (იხ. თუმანიშვილი სულხან)
 მეთოტიშვილი სოლომონ—29
 მელიქ აპოზი—20, 39
 მელიქიანი ავეტიქა—24
 მეჭრაბ-ალა (იენოქაშვილი)—5
 მირიან ბატონიშვილი 23, 35, 42
 მირიანაშვილი—44, 47
 მირზა აფრასიობ—3
 მიწარბაში—(ბებუთიშვილი იოსებ)—1
 მურვანისშვილი—46
 მურვანიშვილი ქაიხოსრო—29
 მურასა ყული, ალა-მაჰაად-ხანის ძმა—15
 მულუმა—2, 3
 მუხრან-ბატონი იოანე, სახლთუხუცესი—47
 მუხრან-ბატონი იოანე—52, 53
 მუხრან-ბატონი—11, 27, 29

 ნახარბეგანთ იოსეფას შვილი—19
 ნახარბეგისშვილი—22
 ნახარბეგისშვილი გოგია—7, 13, 20
 ინო (ტერ-შმოვანოვი?)—61

 ნინო, ბატონის სძალი—ქაიხოსრო ანდრონაკა-
 შვილის ასული, ლევან ბატონიშვილის მეუღ-
 ლე—46.

 ოთანოვი თამაზა—35
 ომან (ხერხეულიძე)—1, 41.
 ომარ ხანი—35, 38, 46, 61
 ოვსებ ჰოქეფურტერი—იხ. იოსებ ჰოქეფურტერი
 იოსებ ვარდაპეტი—იხ. იოსებ ვარდაპეტი
 ოქრომჭედლიშვილი—65
 ოქრომჭედლიშვილი დავით—10, 11
 ოპანეზა—12, 13, 14, 17, 19, 22, 26, 59, 60
 ოპანეზა ალა—67, 69
 ოპანეზა ტერ-შმოვანოვი—იხ. ტერ-შმოვანოვი
 ოპანეზ.
 ოპანეზ ვართანიჩ—31, 34, 36, 40
 ოპანეზა პარუნ—37

 პაპა—12, 19, 20
 პაპა (არღუთაშვილი?)—2
 პატრი ჟუროსი—6, 12
 პეტრე ხელმწიფე—28
 პოლკოვნიკი (დოღლორუკი)—28, 29

 რევაზა—46
 რევაზ-ალა—34
 რევაზის ცოლი—64

 სადუბ-ხან—32, 42
 სარუბეჟანა—5, 37, 38, 40, 45, 58, 61
 სელიმ-ალა—43
 სელიმ ხან—11
 სიმონ თბილელის ყმა—17
 სოსია—13
 სოლალაშვილი ზაზა—21
 სოლომონ—12, 17, 26, 40
 სოლომონ მდივანი—იხ. ლეონიძე სოლომონ
 სოლომონ, ვართაპეტას ძმისწული—16
 სოლომონ—იხ. ტერ-შმოვანოვი სოლომონ
 სტეფანა, ავეტიქას შვილი—13
 სტეფან-ალა—19
 სტეფან-ალა განჯისა—39
 სტეფანა სიძე—31, 34
 სტეფან ვაჟი—22
 სტეფანე—იხ. ტერ-შმოვანოვი სტეფანე
 სტეფანა ბატონი—18, 22
 სულეიმან სარდალი—42
 სულეიმან-ხან—21
 სულონისშვილი მანუჩარ—12
 სულხან—იხ. თუმანიშვილი სულხან.
 სურგუნანთ მკრტუმა—26

 ტალუშკა—ტერ-შმოვანოვი სოლომანას ქალი
 —61
 ტერ აყოფა—5
 ტერ-არაქელა—39, 66



- ტერ-გრიქორა—17, 19
- ტერ-დავითა—17
- ტერ-შმოვანა—59
- ტერ-შმოვანოვი—12, 16
- ტერ-შმოვანოვი ოპანეხ II ივანეშკა—მანუჩარ თუმანიშვილის ცოლის ძმისშვილი—13, 26, 34, 36, 38, 59, 61, 62
- ტერ-შმოვანოვი სლომონ—მანუჩარის ცოლის-ძმა—13, 19, 22, 28, 31, 34, 36, 38, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69.
- ტერ-შმოვანოვი სტეფანე—მანუჩარის სიმამრი—2, 5, 12, 13, 16, 17, 18, 19, 22, 23, 24, 26, 28, 31, 34, 36, 38, 39
- ტერ-შმოვანოვი შუშანა, მანუჩარის სიდედრი—12, 13, 17, 19, 22, 38
- უხბაშისშვილი—31
- ✓ უხბაშისშვილი ისაია—16, 19, 22
- უხბაშისშვილი შაქარა—13
- უსუფ გურჯი—32
- ფარნაოზ ბატონიშვილი—8, 11, 28, 47, 48.
- ფასანა—1
- ფითონათ ალა—5, 59, 61,
- ფირანიშვილი—27, 35, 47
- ფრიდონ ზელიქი—36
- ფრიდონ ბეგ, მელიქის შვილი—32
- ქალია—17, 19, 22,
- ქალია (ტერ-შმოვანოვი)—13
- ქალუა—1
- ქალოპანეხისშვილი—60
- ქეთევან, ბატონის სძალი, ვახტანგ კარგის ქვრივი—46
- ქოქორა—8
- ლოთისავარი—24
- ყალოანთ არუთინა—58
- ყანწიაშვილი—54
- ყარა ანტონის შვილი—12
- ყაფლანიშვილი ასლან—42
- ყაფლანიშვილი ხაალ—16

- ყაფლანისშვილი ხალბენი—17
- (ყორღანაშვილი) იოსებ, მილახვარი—9
- ყორღანოვი უთრუთ—35
- ყუხანანთ სანველა—61

- შაბუდალანი—12
- შაბუდალანთ გოგია—17
- შადინანთ არაქელა—19
- შაქარა—12
- შაქარა მელიქი—19, 35
- შაჰსან ისტარ მილახვარბაში—32
- შერგილაშვილი—68
- შიომ—იხ. თუმანიშვილი შიომ
- შუშანა—იხ. ტერ-შმოვანოვი შუშანა

- ჩარუხაშვილი—51
- ჩარუხაშვილი გოგია—57

- ციციშვილი გიორგი—44
- ცარიელაშვილი—27

- წაკოსკორა—19, 50
- წიწუაანი—2
- წიწუაშვილი—1, 2, 3, 27
- წურინანთ მოსესა—37, 38

- ქავჭავაძე გარსევან, ეშკიკლასბაში—5, 8, 10, 11, 17, 20, 24, 25, 28, 35, 36, 60
- ქანიშვილი—33

- ხანუმ (ელისაპეტ)—დავით ბატონიშვილის მე-უღლემ—იხ. აბიმელიქოვი ხანუმ
- ხარაზოვი ოსეფა—61
- ხატისანთ ონანა—26
- ხითარნიშვილი—21, 23

- ჯავად-ხანი—2, 12, 13, 28, 29, 33
- ჯავარ-ყული-ხან—21, 42
- ჯიმშერ—იხ. თუმანიშვილი ჯიმშერ
- ჯიმშიტ მელიქი—32, 35, 36, 39

- პაუმტროვი ნიკოლოზ—49
- ჭექიმ-აღას შვილი—იხ. დავით, ჭექიმ-აღას შვილი

გეოგრაფიულ სხეულთა საძიებელი

- ადირბეჯანი II ადირბეჯანი—21, 41
- ავლაბარი—2
- არდაველი—21
- არაგვი—20
- ასტარაბათი—2
- ასტარახანი, ასტარახანი, ასტარახანი, პაშტარახანი—28, 31, 34, 36, 37, 38, 45, 58, 59, 60, 62, 63, 64, 65, 66, 67

- ასტარახანი—იხ. ასტარახანი
- ახალციხე—5, 12
- ახოში—35

- ✓ ბაიდარი—45
- ბაქუ—31
- ბაღდადი—38
- ბაშათის მხარე—8

- ბერბუკი—29
ბელაქანი—11, 33 34, 35,
ბუხარა—37, 38, 40
- განჯა—5, 12, 20, 22, 27, 29, 39
გარეთუბანი—2, 5
✓ გატეხილი ხიდი—50
გილანი—67, 68
გორი—9, 19, 29, 34, 35, 36, 38, 40, 41, 44
- დაღისტანი—35
დიღმის მინდორი—2
დუშეთი—1, 2, 3, 26, 28, 34, 35, 40, 46
- ელუსარემი—37, 38
ერევანი—12, 19, 21, 22, 32, 33, 35
ეზმიაწინი—61, 62
- ფერე—22
- თავრიზი—თავრეზი—21, 22, 42
თერანი—4, 21, 29
თელავი—3, 13, 14, 40, 42, 45, 49, 50
თიანეთი—1
- იმერეთი—40
ინგლიზი—63, 67
ინდოეთი—34
ისპაჰანი—22
- კახეთი—7, 27
- მაკარია—34, 36, 37, 59, 61
მარაბდა—5, 27
მთიულეთი—2, 7
მისრიდანი—22
მოზდოკი—23, 28, 31, 34, 36, 40, 59, 61, 64, 65, 66
მოსკოვი—16, 28, 35, 59, 60, 64, 69,
მუხრანი—56
- ნახჩევანი, ნახჩივანი—60, 61
- პეტერბურჟი, პეტერბრუხი, პეტერბორჟი, პეტერბრუდი, პეტერბრუხი—21, 31, 34, 35, 36, 40, 49, 58, 59, 66, 67
პოლშა—35
- რუსეთი—7, 20, 21, 26, 27, 35, 47, 49, 59, 69
- საგარეჯო—42
სამუხი—33
- საქართველო—32, 33, 41, 43, 60, 69
საშაბურო—2
სოლოლაკი—2
სოღანლუდი—2
სპარსეთი—15, 27, 29, 49
სტამბოლი, სტანბოლი—37, 38, 45, 59, 61, 69
სტეფანწმინდა—49
- ტკვარი—12
ტფილისი—61, 62, 65, 66, 67, 68—იხ. აგრეთვე ქალაქი
ურუშია—42
- ფრანგისი—63
- ქალაქი—2, 3, 22, 24, 26, 27, 31, 33, 36, 37, 40, 42, 45, 59, 60, 61. იხ. აგრეთვე ტფილისის ქართლი—27
ქისიყი.—3, 11, 41, 42, 61
ქლისაქანთი—29
ქონა შამახია—11
ქსანი—11
ქცხილვანი—33
- ყახანი—8, 11, 12, 29
ყარაბალი—33, 46
ყარადაღი—21
ყარსი—12
ყიზლარი—19, 37, 61, 62
- შამახია—40
შამშადილო—29
შაქი—40
შუბის ციხე—32
✓ შულავერი—20
შუშა—33
- ჩალაღი—11
ციხისძირი—2
- ქარი—11
- ხაშმი—48
ხელთუბანი—3, 12
ხოდაშენი—42
ხორასანი—29
- ჯავახეთი—19
- პაშტარხანი—იხ. ასტარხანი

3. დონეშა

პეტერბურგის ქართული კოლონიის საისტორიო
სამეცნიერო მემკვიდრეობა. იონა ხელაშვილის
მოსახსენებელი წიგნი

ქართველი ხალხის ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური განვითარების ისტორიის ფურცლებზე სულ მეტი გარკვეულობით ისახება ის მოწინავე ადგილი, რომელიც ასეთი განვითარების პროცესში კულტურული მშენებლობის გზაზე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პირობებში, დაიჭირეს ქართველთა ჩრდილოეთის კოლონიებიდან—მოსკოვისამ და პეტერბურგისამ. მოსკოვის ქართული კოლონიის საერთო მნიშვნელობამ ზოგადი შეფასება საბჭოურ ქართულ უახლეს ისტორიოგრაფიაშიც პოვა¹. ამ შეფასებიდან მკითხველისათვის საინტერესოა ცნობა, რომ იქ, მოსკოვის კოლონიაში, გრძელდებოდა გადასახლებულთა შემოქმედებითი კულტურული მუშაობა; იბეჭდებოდა, ვახტანგის დროინდელი თბილისური სტამბის ტრადიციებისამებრ, ქართული წიგნები. წარმოებდა რუსული ენის, ლიტერატურის შესწავლა, მეცნიერების სხვადასხვა დარგში მუშაობა. ამას უნდა დავეძინოთ, რომ აღნიშნული მუშაობის კონკრეტული შედეგი ჩვენ წარმოგვიდგება მის მონაწილეთა მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის სახით. ხოლო რადგან მოსკოველი ქართველების სამოღვაწეო ტრადიციების გამაგრძელებლად ჩრდილოეთის ნიდაგზე გამოდიან, მეტადრე XIX ს-ის დამდეგიდან, პეტერბურგელი ქართველები, ამიტომაც სპეციალურ გამოკვლევებში უკვე დიდიხანია საპატიო ადგილზე ჩანს წამოწეული პეტერბურგის ქართული კოლონიის ასეთივე მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა.—ამ მემკვიდრეობის საგანძურში შემოენახა ქართველ ხალხს, მაგალითად, ცნობილი ქართული ენციკლოპედია, ე. წ. კალმასობა, მთელი რიგი საისტორიო თხზულებანი და ა. შ. საერთოდ, რაოდენ მრავალფეროვანი და სოლიდურია ამ ერთგან—პეტერბურგში დაცული ქართული წერილობითი ძეგლები, მათ შორის ადგილობრივ შექმნილებიც, ამას ნაწილობრივ მოწმობს უახლესი აღწერილი ნაშრომი რუსუდან ორბელისა—„სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართული ხელნაწერები“², რომლის უკვე გამოცემული ნაკვეთი 1 მოიცავს შვიდ თემატიკურ განყოფილებას 161 ხელნაწერის აღწერილობით. პეტერბურგის სიძველეთსაცავთაგან მოპოვებული ძეგლებიდან ზოგს ეღირსა, ავად თუ კარგად და ნაწილობრივ, გამოქვეყნება. დავასახელოთ მაგალითისათვის პუბლიკაციები: იონა ხელაშვილის „კალ-

¹ ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. ნაწ. I, გვ. 373; თბ., 1948.

² P. P. Орбели. Грузинские рукописи института востоковедения АН СССР, в. 1. М.-Л., 1956.

მასობა³, „სოლომონ დოდაშვილის წერილები 1825—1832“⁴, დავით ბატონი-შვილის „ობოზრენიე გრუზიი პო ჩასტი პრავ ი ზაკონოვედენიჲა“⁵ და ზოგი სხვ. პეტერბურგის ქართულ სიძველეებს, მათ შორის ეპიგრაფიკის ძეგლებს ჩვენ შევხედეთ საქართველოს ისტორიის საკვლევი ინტერესების თვალსაზრისით—სათანადო წყაროთმცოდნეობის მხრიდან და განვიზრახეთ აღნიშნული ძეგლების გამოვლენასა თუ შესწავლაში მცირედიც იყოს ჩვენი წილი დაგვედო. ერთ-ერთ ასეთ ცდად ჩვენ ჩაგვეთვალა, მაგალითად, პეტერბურგის ქართული სიძველეებიდან იქაურ ალექსანდრე ნეველის ლავრაში დაცული სამი წარწერის კრიტიკული შესწავლა და ქართულ ჩვენ თარგმანებთან ერთად გამოქვეყნება, მეტადრე დიმიტრი სვიმონის-ძის ბაგრატიონის სახსოვარი წარწერისა, პირველად ჩვენ მიერ ზუსტად გაშიფრულისა, ცალკე კიდეც იმ წარწერისა, რომელიც შეიცავს ედიშერ ამილახვრის ოჯახის სახსოვარს⁶. ასეთი წყაროთმცოდნეობითი ინტერესი დაბადა ჩვენში ქვემოთ აღწერილმა ძეგლმა—იონა ხელაშვილის „მოსახსენებელმა წიგნმა“.

მართლაც, თვალის ერთი გადავლებითვე ამ „მოსახსენებელ წიგნში“ ვარჩევთ ჩვენ XVIII—XIX ს-ის ისტორიულ მოვლენათა ანარეკლს, ვარდა იმისა, რომ მასში ისმის გამოძახილები უფრო ადრინდელი ცხოვრებისაც, ისე რომ, ეს „წიგნი“ იონა ხელაშვილისა აღნიშნული საუკუნეების ისტორიის შესწავლის საქმეშიც უთუოდ შემწეობას მოგვცემს.

ამის საწინდარია დადებითი ღირებულება თუნდაც იმ მცირისა, რაც დღემდე მეტ-ნაკლებად ნაცნობია მკითხველისათვის დაუფიწყარი იონას ლიტერატურული ფონდიდან⁷. „მოსახსენებელი წიგნი“-ს შენიშნულ ღირსებას ერთვის ის განსაკუთრებული სოციალურ-პროტესტანტული ჟღერადობა და ვფიქრობთ, ორიგინალური ფორმაც ძეგლისა, რომელმაც, მიმზიდველ შინაარსიანობასთან ერთად, ვინძლო გაამართლოს ჩვენი წადილი ამჯერად წინ წამოგწიოთ ხელაშვილის სახელთან დაკავშირებული ეს ძეგლი—„მოსახსენებელი წიგნი“, უკეთ—ამ წიგნის დღესდღეობით მიკვლეული ნაწილი (იხ. ქვემოთ); თვითონ ტექსტი, ჩვენ მიერ დადგენილი, ქვემოთვე ამისა იკითხება.

იონა ხელაშვილის (1770—1835⁸) ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების ვითარებაში მან გაიზიარა ჩრდილოეთში გადასახლებულ, მისთვის მახლობელ ბაგრატიონ ბატონიშვილთა ბედი და საბოლოო ბინა, 1806 წ-დან, პეტერბურგს დაიდო. აქ ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების უმაღლეს კურსს დაუფლებული (ალექსანდრე ნეველის აკადე-

³ უახლესი (ნაწილობრივი) გამოცემა, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, ტ. I—II (ტფ., 1936—1948).

⁴ ს. ხუციშვილის გამოც. იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1944. ნაკვ. II. თ., 1945. აგრეთვე: სოლომონ დოდაშვილის თხზულებანი, გვ. 233—312 (წერილები) და 385—432 (ს. ხუციშვილის შენიშვნები). თ., 1961—ამ წერილთაგან პეტერბურგშია ნაწერი პირველი ოცდა ორი, 1825-გან 1827 წლის მაისის ოცამდე.

⁵ იხ. დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა. აპ. როგავას რედაქციით და გამოკვლევით. თ., 1959.

⁶ ამ წარწერების შესახებ იხ. ჩვენი „ვახტანგ VI-ის დრინდელი საქართველოს პალიტიკური ისტორიიდან (1712—1745)“—სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მიმომხილველი, ტ. III, გვ. 51, 54 და შდგ., თბ., 1953.

⁷ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 403—407; თ., 1960.

⁸ დაიბადა ს. ვაჭრის, სიღნაღის რ.; სხვის მოჯამაგებობაში ნაზარდი, ეწია მაღალი საფეხურის განათლებას თელავის და თბილისის სემინარიებში.

მიამი; 1809—1812 წ. წ.), იგი, უკვე იერომონახის წოდებაში, შეიქმნა ქართული კოლონიის—მეფის ძეთა, დედოფალთა და სხვათა ავტორიტეტის მიმდევარი და მოქადაგე, მრავალ ნაშრომთა ავტორიც. ბუნებრივია, რომ იონას ჩრდილოური გარემოცვა აისახა „მოსახსენებელ წიგნში“.

მაგრამ—მცირე განმარტება სათაურის შესახებ. „მოსახსენებელი წიგნი“—გულისხმობს იმ პირთა სახელების (სახელთა სიების) წიგნს, რომელთაც ეკლესიაში მღვდელთმსახური მოიხსენიებდა ხოლმე ლოცვაში, უფლის წინაშე, მოხსენიებული პირის ღვთისაგან შეწყალების, შეწყნარების უზრუნველსაყოფად. ეს არის მწირველი მოძღვრის მიერ რეკომენდაცია ღვთისადმი, რომ მან დაეწყებას არ მისცეს ესა და ეს პირი, ცოცხალი თუ „შესვენებული“, მაღლი თვისი არ მოაკლოს მას. რეკომენდაცია ჩვეულებრივ მოკლეა: „მოიხსენე, უფალო, თავდადებული მეფე დიმიტრი“. სათანადო სიები, რომელნიც ჩვენამდე მოღწეულან სხვადასხვა საუკუნეთაგან, სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებიდან, საბუთებში აღინიშნებიან სხვადასხვანაირად. მაგალითად, იერუსალიმის ქართველთა წ. ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში ირიცხება ნუსხა—„მოსახსენებელი სახელები“ XVII—XVIII ს-ისა⁹. ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა „მატიანე მოსახსენებელი სულთა“ და თუნდაც „მატიანენი სალაპენი“.

ამ რიგის ძეგლები, საერთოდ, მნიშვნელოვანი კულტურული მონაპოვარია ქართველი ხალხისა, და ამიტომ ბუნებრივია ის ინტერესი, რომელსაც იგინი იწვევდნენ ჩვენი სპეციალისტების ცნობიერებაში (ე. თაყაიშვილი, ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი და სხვ.), რომელთა სათანადო პუბლიკაციები უკანასკნელ წლებში შეივსო ახლით¹⁰. იონა ხელაშვილისეული ძეგლი, ფეიქრობთ, თავისი შინაარსობრივი სიცხველითა თუ სოციალური ტონის სიმაღლით თავის ადგილს დაიჭერს სხვა თანამსგავს ძეგლთა შორის.

სახელოვანი მწიგნობარი იონა ხელაშვილი, რა რომ ის მღვდლად ეკურთხა (პეტერბურგს, 10.X.812), თვითონ გახდა უფლისა მიმართ სულთა მომხსენიებელი. მის საეკლესიო პრაქტიკაში „სახელების მოსახსენებელმა“ თავისი მიუცილებელი ადგილი დაიკავა. იონა ხელაშვილს აქ, ჩრდილოეთში, დიდი სამწყსო ჰყოლია. მაშასადამე, მოსახსენებელ სახელთა რიცხვიც მცირე არ იქნებოდა. მაგრამ ამას ემატებოდა იონასათვის, საერთოდ; მოსახსენებლად სანუკვარი ისტორიული სახელები, რიცხვით უთვალავი, სხვადასხვა დროის წლის, საუკუნეთა გარდაცვალებულებისა („მოიხსენე, უფალო, მარაბდას ომში მოწყვეტილნი, დიდრიცხენი, სპარსთაგან“). არდაზარება და ამათ და სხვათა მრავალთა ღვთის საფარველ ქვეშ გადაცემა იონას თავის წმიდა მოვალეობად მიუჩნევია. როგორც ჩვენ მიერ წარმოდგენილი საბუთიდან ჩანს, სადაც არ შეიძლებოდა პერსონათა სათითაოდ ჩამოთვლა, გულუხვი მოძღვარი მიჰმართავდა შემკრებლობით ფორმებს: „მოიხსენე, უფალო, ქალაქებთა (ან სოფლებთა, დაბებთა, სანაწებთა.—გ. დ.) შინა აღსრულებულნი“. ახლა გასაგებია, რომ მოსახსენებელ სახელთა სიებისაგან შემდგარა მთელი წიგნი,

⁹ А. Чагарели. Памятники грузинской старины. Правосл. Палестинск. сборник т. IV, вып. 1, СПб, 1888, стр. 189 и 190.

¹⁰ ქ. შარაშიძე. გერგეტის მათიანე. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 30, გვ. 263 და შდგ. თ., 1954; ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (თ., 1962), სადაც „მოსახსენებელთა სახეები“—ც არის მოკლედ მიმოხილული, და სხვ.

რომელსაც იონა უთითებს ქვემოთ მოყვანილ წერილში (სვ. ტაბიძის სახელზე; იხ. გვ. 01) და რომელსაც უწოდებს „მოსახსენებელ წიგნს“. ჩვენ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით ეს „მოსახსენებელი წიგნი“, საგულისხმებელია, მდიდარი შინაარსით და მეცნიერებისათვის საინტერესო, სამწუხაროდ ჯერ არ არის მოპოვებული, გამოვლენილი სიძველეთსაცავებში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სპეციალისტებს წინამდებარე წერილი პირველად—ჩვენთან ერთად—დააფიქრებს ამ „მოსახსენებელი წიგნის“ ადგილსამყოფელის შესახებ.

მაგრამ—იკითხავს მკითხველი — ჯერ არნახული წიგნი, ვინ იცის, შესდგება თუ არა „მოსახსენებელ სახელთაგან“? თვით სათაური — „მოსახსენებელი წიგნი“ განა არ შეიძლება სხვა დანიშნულებისა იყოს? აკად. ა. შანიძეს („გიორგი მთაწმიდლის ენა“ და ზედდართული საიმისო ლექსიკონი¹¹) განმარტებული აქვს გიორგის მიერ ნახმარი „მოსაცხენებელი“, როგორც „მემორანდუმი“¹². მაგრამ ჩვენ მიერ შემჩნეული „მოსახსენებელი წიგნი“ რომ უთუოდ უნდა გულისხმობდეს მოსახსენებელ სულთა მატთანეს, ამაში გვარწმუნებს ჩვენ თვით იონა ხელაშვილის წინადადება ტაბიძის მისამართით: ესა და ეს „მიცვალებულთა სახელებიო“, წერს იგი მას, „შთასწერე მოსახსენებელსა წიგნში, რათა ვიხსენებდე“, და ა. შ.

ამრიგად, ტაბიძეს, როგორც გადამწერელს, იონასგან გადასცემია „შთასაწერად მოსახსენებელსა წიგნში“ გარკვეული სია სახელებისა, ის სია, რომელიც თვით იონას, როგორც აღნიშნულია მის წერილში, „მეფე ირაკლის ძის შირიანისაგან მობოძებული“ ჰქონია. ეტყობა, ასეთ სიებს იონა, სხვათა დახმარებით, საგანგებოდ ჰკრებდა და „მოსახსენებელ წიგნში“ შესატანადაც ვარაუდობდა. ერთ-ერთი სია (იონას წინაპართა, მშობელთა, და ა. შ.) თვით იონას დაუწერიანებია ტაბიძისათვის („დამაწერინა“).

მთელი ის მასალა, რომელსაც ჩვენ აქ ვაქვეყნებთ, ჩვენის ვარაუდით, წარმოადგენს შავს, „მოსახსენებელ წიგნში შთასაწერად“ დანიშნულს. მოასწრო თუ არა ტაბიძემ მისი იმ წიგნში შეტანა, ამის გამოკვლევა მომავლის საქმეა. რაც შეეხება ჩვენ განკარგულებაში არსებულ დედანს, იგი ჩვენ მიერ შენიშნულ (და 26.XII.55 გადმოწერილ) იქნა საკავშირო აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის (აწ „აზიის ხალხთა“) ინსტიტუტში დაცულ ქართულ ხელნაწერთა შორის (საქალაქდ, E 156). აღნიშნულ საქალაქდში, რომელიც შეიცავს სხვადასხვა შინაარსისა და ცალ-ცალკე დანომრილ ხელნაწერებს, № 122-ით გამოყოფილია ჩვენი დამაინტერესებელი სულთა მატთანე (უსათაურო). ის ამჟამად მოთავსებულია ოთხ შეუქვრელ, დაცალკეებულ, ფურცელზე (რვავე გვერდი შევსებულია). პირველი ფურცლის (თეთრი ქაღალდის) წინა გვერდზე მოთავსებულია იონას წერილი ტაბიძის მისამართით, ხოლო გვ. 2 უკავია „მოსახსენებელის“ ტექსტს (რამდენიც დატეულა); გაგრძელება, ტაბიძის მინაწერთურთ, მოთავსებულია დანარჩენ, ლურჯი ქაღალდის, ფურცლებზე. ეს სამი ფურცელი პაგინირებულია ასეთი სახით და თანამედვერობით: (1) Ծ, (2) Ծ, (4) Ծ. ნიშნავს თუ არა ეს მხოლოდ იმას, რომ ფ. (3) Ծ გაბნეულა ან დაკარგულა? ან რას მოასწავებენ Ծ-ონები? ამ საკითხის გადაწყვეტას ჯერ კიდევ დრო უნდა. აღნიშნული ქართულ ხელნა-

¹¹ გიორგი მთაწმიდელი. ცხორება და იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად დაანხადა ივ. ჯავახიშვილმა. თბ. 1946.

¹² დაახლებულ ი ლექსიკონი, სიტყვასთან—„მოსაცხენებელ“.



წერთა ფონდის აღწერა (რუსუდან რუბენის ას. ორბელის შრომითა) ჯერ კიდევ გრძელდება¹³.

აქ დასახელებული სვიმონ ტაბიძე, „გურიული“ (გურული), ხშირად ჩნდება ჩვენს წერილობით სიძველეებში, როგორც მესტამბე (რომელიც შეაქო აკადემიკოსმა მ. ბროსემ, იხ. ვეფხისტყაოსანი, სპბ., 1841, გვ. 224, ხანა 2) და მეტადრე—როგორც გადამწერ, დაახლოებით—მ. ბროსეს შრომების სანიმუშო ბიბლიოგრაფიის მიხედვით—1838—1852 წლებში¹⁴. ჩვენი ნუსხა მას, ჩანს, გადაუწერია იონას სიცოცხლეში (იხ. ტაბიძის მინაწერი), თვით ნუსხა, გამოდის, თანდათანობით შედგენილია 1812—1837 წლებში.

მაგრამ მივმართოთ ჩვენს დამაინტერესებელ ხელნაწერს. ჩვენ ვიცით, რომ მღვდელ-მონაზონი იონა 1806 წლის იანვრის 20-გან ცხოვრობდა პეტერბურგს, სადაც ის შეიქმნა „სული და გული... ქართული კოლონიისა“¹⁵, გახდა რა მოძღვარი ამ კოლონიაში დაბინავებულ ქართველ სამეფო სახლთა, პოპულარული მოღვაწე იქაურ არისტოკრატულ და სხვა წრეებში. მაშ, ადვილი წარმოსადგენია, რამდენი საინტერესო სახელი უნდა მოხვედრილიყო მის „მოსახსენებელ სულთა“ სიებში. საქმე ხდებოდა პეტერბურგში—და, მაშასადამე, აქაური ქართული კოლონიის ცხოვრებიდან არაუმნიშვნელო საისტორიო მასალა უნდა დაეცვა იონას, თუნდაც რომ მას გარდაცვალებულთა ლიტონი სახელები აღენუსხა. მაგრამ საქმე ის არის, რომ იონას ხელში მოსახსენებელ სახელთა სიებმა ხორცი შეისხეს, საინტერესო ფაქტობრივი, საისტორიო მნიშვნელობის მასალით შეივსნენ. იონა ხელაშვილი სიცოცხლით სავსე კაცი ჩანს მთელი მისი სამწიგნობრო მემკვიდრეობის ფონზე, —პროგრესისტების მებრძოლი პატრიოტი, დაულაღავი მოღვაწე და პრინციპული მსაჯული კაცთა საქმიანობისა. თავის „მოსახსენებელ წიგნშიც“, ვხედავთ, იგი მეტის ხალისით კისრულობს თავისი უფლის წინაშე იმ პირთა წაყენებას, რომელთაც, საეკლესიო სტილით თუ ვიტყვოდით, ქვეყნის განკითხვის დღეს განკითხულთა რიგებში „მარჯვნივ დადგომა“ ელოდათ. თან იონა ხელაშვილი ცდილობს უფლისადმი თავის ვედრებაში („მოიხსენე, უფალო“) უსაბუთო რეკომენდაციით არ წარდგეს მის წინაშე. აი აქ იწყება ოლარ-ფილონით შემოსილი „უბრალო“ ვაჭირელი მღვდლის დასაფასებელი, საშვილიშვილო საქმე:—ჩამოთვლის რა „შესვენებულთა“ სახელებს უფლისათვის გასაგონად, მთელ რიგ შემთხვევებში თანვე უჩვენებს, თუ რა მოტივით სჩადის ამას. ამ მოტივირებაში მკითხველი გაარჩევს მაშინდელი ქვეყნის ტკივილებს, მოწინავე ინტერესებს, თვით სოციალური ანტაგონიზმის გამოძახილსაც. ოლონდ კი ისე, როგორც ყოველივე ეს ასახულა თვით მოძღვრის ცნობიერებაში და რამდენსაც „მოსახსენებელი“ დაიტევდა.

იონა ხელაშვილის ავტობიოგრაფიიდანაც ვიცით, რომ იგი შთამომავლობით დაბალ წოდებას ეკუთვნოდა, ხოლო „დრომ ისე აწარმოვა“¹⁶, რომ იონა ხელაშვილი სიყმაწვილითვე აღმოჩნდა ერეკლე II-ისა და მერმე გიორგი XII-ის მზრუნველობაში. ასეთი სოციალური მდგომარეობის მქონე იონას რა

¹³ P. P. Орбели. Грузинские рукописи института востоковедения АН СССР, в. 1. стр. 11 (М.-Л., 1956).

¹⁴ სვ. ტაბიძის მოღვაწეობის შესახებ იხ. ტ. რუბაძე, ქართ. ეპოსი, თ., 1939, გვ. 22, შ. 1.

¹⁵ კეკელიძე, I, 405.

¹⁶ ეს განოთქმა ჩვენ გამოვიყენეთ „კალმასობის“ მიბაძვით.

სიმწარე არ გამოუვლია, სანამ ის, ეკლესია-მონასტრების ჭირისუფალთა ხელის შემწყურე, სწავლა-განათლების პირველ საფეხურებზე აღიოდა; ჩავვრის, ხელზე სამსახურის, მოჯამაგირობის, მწყემსობის რამდენი სივავალაზე არ განუცლია¹⁷, მის ნაშრომებშიც, მეტადრე მის კერძო წერილებში მძულვარებით ფეთქავს მისი გული იმ კაცებრივი უკეთური თვისებებისადმი, რომელთაც გაბატონებულ კლასში ასაზრდოებდა წოდებრივ-ფენობრივი პრივილეგიები. საინტერესოა, რომ ღმერთთან მღვდელურ ენაზე საუბარშიც („მოიხსენე, უფალო“) იონა ხელაშვილი ვერ იკავებს თავს, რომ მოსახსენებელთაგან ცალკე არ გამოჰყოს დემონსტრაციულად, ერთის მხრივ, მაშვრალნი, რომელნიც სიცოცხლეში იყვნენ—„კეთილმსახურებით მუშაკნი, თვისისა ოფლებისა ნაყოფითა ცხოვრებულნი“ (ფ. 1 ა); რომელნიც არსებობდნენ, როგორც „თვისისა ხელითა მშრობელნი (sic) საზრდელისა და ხორცთა საფარებელისა ბებკვისა“; რომელნიც მამასადამე საკუთარი შრომით რჩებოდნენ და იმოსებოდნენ;—ხოლო, მეორეს მხრივ, თავიანთი არ მიუზღოს იმათ (მართალია, ამას მოძღვარი იქმს ირიბი გზით), რომელნიც ავინებდნენ დაბრიყვებულებს, ჰგვემდნენ მათ და სძარცვავდნენ. აი თავისებურად გაფორმებული ბრალდება მათდამი: „მოიხსენე, უფალო... რომელნი ივინებოდნენ (ე. ი. ვინებას იტანდნენ.—ვ. დ.), ივგემებოდნენ და მიიხვეჭებოდნენ უდიერთაგან“ (ფ. 1 ბ.). მკითხველი ქვემოთ მოყვანილ ტექსტში უმუშალოდ დაინახავს; ვის მხარეზე იდგა იონა ხელაშვილი, რა თანაგრძნობით მოიხსენებდა იგი მათ, რომელნიც სოციალურ უსწორო ბრძოლაში აღმოჩნდნენ—„მდიდართაგან დაწუნებულნი და ყუსდრებულნი და შეურაცხნი და ჭირვეულნი (ე. ი. შეჭირვებულნი,—ვ. დ.)“ (ფ. 1 ბ.). იონა ხელაშვილის სოციალური პროტესტი დე იყოს პასიური,—ეკლესიური „დიდფრიადისა სინანულებითა და მოთმინებითა“ შეზღუდული; მისი მამხილებელი სიტყვა მაინც გაისმის ძველი ქვეყნის აღვირახსნილობის დამატუქსად. იგი მაინც კარგად აგრძნობინებდა „უფალ ღმერს“ ფეოდალური ქვეყნის საბატონყმობა ძალმომრეობის მთელ სიმწვავეს და მე-20—30 წლების რუსეთისათვის დამახასიათებელ „ახალ ქროლათა“ სანუგეშო გავლენას. ბატონყმობით ძლიერნი—იონას შეფასებით, უმწეო ხალხს მოვლენიან როგორც „მავნებლები და მქენჯნელნი და ზემო სამოსელისა მიმკლდელნი დამგლახაკებელნი“ (ფ. 1 ბ.). ხელაშვილის თანაგრძნობას იწვევს ზღვარს აქეთ მყოფი დაბრიყვებული ერი—„თქსსა მუცელსა—საჭმელთა და სასმელთა დამაკლებელნი და გვაჩისა—საბლარდნელთა“, მათ უხდებათ იკმარონ „მწარე მხალი და ნაღვარევი წყალი“ (იქვე).

აი კიდევ ნიმუში იონასათვის დამახასიათებელი სტილისა, რომლითაც ის გამოჰხატავს თავის სიმბათიას ხალხისადმი, მიწის მუშის შრომისადმი, რამაც ადგილი ჰპოვა ერთ მის კერძო წერილში ვინმე „ბრწყინვალე თავადის“ მისამართით, 1826 წლის აგვისტოს 9-ის თარიღით. ჰმოძღვრის რა ადრესატს, იონა წერილს ასე ამთავრებს: „ემსახურე ღმერთსა და ჯელმწიფეს, რათა უქმად (ნაარმად.—ვ. დ.) არ შეგვრაცხოსთ ჭამა ქუსყანის ოფლებისა, ე. ი. კეთილმსახურთა მუშაკთი მეერქენეთი“¹⁸. აი ჩვენს მედგარ მღვდელს, „კეთილ-

¹⁷ იხ. ჩვენი „კალმასობა როგორც ყოფაცხოვრებითი მოვლენა ძველ საქართველოში“, თ., 1949, გვ. 25—27.

¹⁸ ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, H 2226, გვ. 289—ჩემი აღბომი, I, გვ. 142. —„ბრწყინვალე თავადი“, ი. ხელაშვილის ეს ადრესატი, ვფიქრობთ, არის ქვემოთ მოხსენიებული „მადალ-ბრწყინვალე მამუკა“, ხოლო მამუკა უნდა იყოს XIX ს-ის წყაროებში

შობილთა“ სამყაროს მცველად მოწოდებულს თავისი ოფიციალური მდგომარეობით, მაინც გული უთქვამს—მუშაკნი მეერქვენნიც, უბრალო მხენელ-მთესველები, „კეთილმსახურთა“ საპატიო სახელით მოქარგოს.

იონა ხელაშვილის პატრიოტული გული ძგერს მათთვის, ვისაც ჰყოფნია სიქველე „მამულისა დიდფრიად სიყვარულითა თვისთა სულთა“ გასაწირავად—რა წოდებისაც უნდა ყოფილიყო იგი. მათ რიცხვში იხსენებიან წამებულები სპარსთაგან, თურქთაგან, და სხვა გმირები, რომელთა არა ერთი სახელი ჩვენს ხელნაწერში თითქოს პირველად ცხადდება (სასულიერო წოდებებიან: ვასილი, გიორგი, სვიმონი—სპარსთა და თურქთაგან ჩამოღრხობილნი) გმირი ქალები—„ქრისტინა მოხუცებული“¹⁹ და ტურფა ქალი „თალია“; „ნალეკარი ევსტათე“; ან „მეომარნი მქისიყისანი“; „ერეკლე მეფე და მკედრობა მისი“; ყვარლის ციხისა და ალის ციხის გმირები და სხვანი;—მათი საარაკო საქმეების მოთვლით. სიზუსტე აკლია იონას ცნობას, რომ ერეკლეს დედას თამარს ორჯერ უქისრია მძიმე დიპლომატიური მისია სპარსეთში.

სპარს-თურქ-ლეკთა საუკუნოებრივმა მძლავრობამ და უკანასკნელ—1795 წლის ამბებმა (თბილისის აკლება ალა-მაჰმად ხანისგან) შეარჩია ქართველი პატრიოტები იმ მწელად ასატან პოლიტიკურ მიმართულებასთან, რომელიც მიიღო საქართველოს და რუსეთის ურთიერთობამ 1799 წლიდან. ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობისა და წინსვლისათვის საჭირო გახდა სულგრძელებით დათმენა საქართველოში სამიპერიო ხელისუფლების დამყარება-გაბატონებისა დღეს საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მიღებულია ის სწორი დებულება, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთება, საერთოდ, პროგრესული მოვლენა იყო. ასეთსავე შეფასებას აძლევდნენ მას მოწინავე ქართველები XIX ს-ის უკვე პირველ ათეულ წლებში რუსული წყობილების დამყარების იმდროინდელ შედეგთა შეჯამება-შეფასებისას. კერძოდ, იონა ხელაშვილი თავის დამოკიდებულებას „რუსობისადმი“ გამოჰხატავს გარკვეულ ისტორიულ მოვლენათა ფონზე. მის „მოსახსენებელში“ კარგად ჩანს საქართველოს სამეფოს კრიზისული, სავალალო მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებდნენ „განსაცდელნი და სიყმილი (შიმშილი.—გ. დ.), მახვილი (ომიანობა.—გ. დ.), სასტიკი ჭირი, წყლულება და მძაფრი ამბოხება და წარმართთა მძლავრება“; თარეშები ავართა მთავრისა (იგულისხმება ნურსალ-ბეგი) და მისი შვილის, ომარხანისა; მძიმე მსხვერპლი, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე მოითხოვდა მტრისაგან თავ დაცვა, რომელსაც მწვავედ მოაგონებდნენ იონას დაღუპული მისი ძმები—კახელები, „ქართაგან (ქარში მობინადრე დაღისტნელ აბრაგთაგან.—გ. დ.)

კარგად ცნობილი მამუკა ორბელიანი, რომელიც მართლა მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთის ომში, რომელსაც ახალციხის იერიშში (1828 წლის 15 აგვისტო) მონაწილეობისათვის სახელიც მოუხვეჭია (Акты Кавказской археографической комиссии, кн. VII, стр. 765), თუმცა მალე მთავრობის მხრივ პატივი წყრომით შესცვლია (იგივე, გვ. 339).

იონა ხელაშვილის სოციალური იდეების დასახასიათებლად იხ. აგრეთვე ნინო მახათაძე, იონა ხელაშვილის „რონინი“—საიუბილეო კრებული კ. კეკელიძეს, თ., 1959. გვ. 188—189

¹⁹ ამ ქალის საგმირო საქმეს, მისი ქრისტიანობის აღუნიშვნელად, 1751 წლის ამბავში იხსენიებს დავით ბატონიშვილიც („ერთმან მოხუცმან დედათაგანმან“..) იხ. მისი „ახალი ისტორია“, გვ. 6; თ. ლომოურის გამოც., თ., 1941; შდრ. ბაგრატი ბატონიშვილის „ახალი მოთხრობა“, 1755 წლის ამბავი (იგივე გამოც., გვ. 50), ბაგრატი იცის, რომ გმირი ქალი იქებოდა შაირ-სიტყვაში, და ეს დასტურდება კიდევ. იხ. „ძველი საქართველო, ტ. III (ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თ., 1913—1914), განყ. 2, გვ. 6, შაირის 7—18 ტაეებში. იხ. გ. ლეონიძე, გმირი დედაბერი. გაზ. კომუნისტი, 1941, № 310.

დანთქმულნი ალაზანსა შინა“ და ა. შ. ამიტომ გასაგებია ხელაშვილის სიტყვები, რომ იმპერატორმა პავლემ ჩვენ, ქართველები, „განგლილი მტერთაგან“, ე. ი. სპარს-თურქთაგან გაცამტვერებულნი (გლა—მცირედ დანაყვა. ს.-ს. ორბელიანი) თავის საფარველქვეშ მიგვიღოო. ჩვენ ვიცით, რომ პავლეს (1796—1801) ხელში ქართლ-კახეთის მეფობა ჯერ „შეზღუდული ავტონომიური თვითმართველობის“²⁰ ჩარჩოებით შეიკუმშა და მალე სულ მოიშალა. სამაგიეროდ, ჩანს, წარუშლელი დარჩენილა თაობათა ხსოვნაში ის ნუგეში, რომელიც პავლეს დროს ნახა ქართველმა ხალხმა, იმ წლებში მძიმედ დაზარალებულმა თბილისმა რუსის ლაშქრის ჩამოსვლით (1799). ეს, როგორც დიდი ისტორიული სიკეთე, ი. ჭავჭავაძემაც შეათასა²¹.

ამას ეთანხმება დიდი მხედართმთავრის პეტრე ბაგრატიონის ერთ კერძო წერილში (1806 წლის აპრილის 30) გამოთქმული აზრი. „თქვენვე იცით,—სწერდა იგი,—თუ რუსეთის უძლეველი მკედრობა და ყოველად მოწყალის გელმწიფის საფარველი მაგ ქვეყანას (საქართველოს.—ვ. დ.) არ შესწეოდა, აქამდინ (საქართველო—ვ. დ.) დიდ უბედურებას მიეცემოდა“²². იონა ხელაშვილი, ამასთან ერთად, მომსწრე იყო საქართველოში იმპერიის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ხალხის აჯანყებებისა (1804, 1812, 1819—1820 წლებისა და სხვ.). იონა კარგად იცნობდა იმ დამპყრობლურ პოლიტიკას, რომელსაც ახორციელებდნენ ალექსანდრე I-ც და ნიკოლოზ I-ც. მაგრამ მოწინავე ქართველობა იმპერიასთან, როგორც ვიცით, შეარიგა ახალი ცხოვრების ზოგადპროგრესულმა მიმდინარეობამ. იონა სასოებით „მოიხსენებს“ ალექსანდრე I-ს (1801—1825) იმ მოტივით, რომ ამ მეფემ „აღვირ ასხა მტერთა ჩვენთა,—აღნიშნავს იონა;—და იწყო აღყვავება (საქართველოსი.—ვ. დ.) სულიერითა განათლებითა და ერისა გაბრწყინება სიბრძნითა და განმდიდრება გულისხმიერითა და განმრავლება თემებისა (ე. ი. შემოერთება ქვეყნებისა.—ვ. დ.) და განვრცელება საზღვართა“. უფრო გვიან ასეთივე ფერებით დახატა ახალი ცხოვრება დიდმა მოაზროვნემ ნ. ბარათაშვილიმაც²³. მართლაც, საიმედორო ანალები ჩვენებით, უკვე 1803—1804 წლებში მტკიცე დასაბამი მიეცა ლიხთ-იმერეთში ფეოდალური დაქსაქსულობის სალიკვიდაციო ღონისძიებებს, ამ ნაწილის ქართლ-კახეთთან კვლავ გაერთიანების საქმეს, თურქებთან ანგარიშსწორებას ახალციხე-ახალქალაქთან (1810—1811 წწ.), ფოთთან (რომელიც საბოლოოდ გასწმინდეს მტრისგან, 1809 წ.), აზერბაიჯანში სახანოების დამორჩილების და ირანის შევიწროების საქმეს (განჯის, შაქის, შუშის ალება 1804—1805 წწ.) და ა. შ.

ამასთან ერთად 1812 წლის სამამულო ომისა და საერთოდ ნაპოლეონის იმპერიის ბედსაც მაღალ სფეროებში ხომ ალექსანდრეს სახელს უკავშირებდნენ.

„მოსახსენებელში“ გამოთქმულ ამ პოლიტიკურ იდეებს იონა ხელაშვილი, მრავალ მის თანამედროვე პატრიოტთა მსგავსად, ელოლიავენა, სხვადასხვა შემთხვევებში უბრუნდება და ავითარებს. ერთ-ერთი მისებური რიტო

²⁰ საქართველოს ისტორია, I (დამხმარე სახელმძღვანელო), თ., 1958, გვ. 386.

²¹ გაზ. ივერია, 1899, № 255 (ფელეტონი: „ასი წლის თავზე“).

²² დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი. პეტრე ბაგრატიონის ერთი უცნობი წერილი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 7, 1944, გვ. 744.

²³ ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“, 1842 წ.

რიკული ჟინით გამსჭვალული კერძო წერილი (1826 წლის ოქტომბრით დათარიღებული) „მაღალ-ბრწყინვალე „მამუკას“ მისამართით ეხმაურება აღნიშნულ, 1826 წელს ამტყდარ რუსეთ-ირანის ომს²⁴. იონა ჯერ აღნიშნავს, რომ ალექსანდრე I-მა, აღასრულა რა „ანდერძი“ მამისა, საქართველოში „აღაორძინა ერნი და განამდიდრნა ვაჭარნი და ჰყო ფუძე ივერიასა შინა ათინისა (ე. ი. სიბრძნისმეტყველებისა.—ვ. დ.)“. ხოლო ამ წერილის წერის დროს (1826 წ.) „ახალცა ესე საღთო ცხებული კვიროს“ (იგულისხმება: ნიკოლოზ I.—ვ. დ.) განაგრძობს ალექსანდრეს საქმესო, რის სამადლობელადაც მღვდელმონაზონი იონა უსურვებს ნიკოლოზს ირანთან ამტყდარ ომში მტერზე გამარჯვებას, ხოლო ქართველ ხალხს—ამ ომში ენერგიული მონაწილეობით საუკუნეთა მანძილზე დაკარგულის ანაზღაურებას. აი იონას სიტყვები, მისი ლოცვა: „ეძიე (აღონაი უფალო.—ვ. დ.) სისხლნი ივერიისა, დათხეულნი მირიან მეფიდგან (IV ს.—ვ. დ.) ვიდრე აქამომდე და გამოიყვანე ერი იგი ფერიეთიდგან“, ე. ი. გამოიხსენ ქართველობა ფერეიდნის („ფერიეთი“) ტყვეობიდან, სადაც იგი,—გულისხმობს იონა,—შაჰ-აბასმა 1614—1616 წლებში წაასხა²⁵.

ამრიგად, იონა „ალიბრების ხარკს“ უხდის რუსეთს, როგორც საქართველოს პატრიოტი, სამხედრო—პოლიტიკური დიდმნიშვნელოვან წამოწყებათათვისაც და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა გატარებისათვისაც. მის თვალში, განვიმეორით, რუსეთმა „ჰყო ფუძე ივერიასა შინა ათინისა“, „იწყო (საქართველოს) აღყვავება სულიერითა განათლებითა“ და ა. შ. საეჭვო არ არის, რომ დონსეული ასეთი შეფასება სრულიადაც არ მოასწავებდა იმას, თითქოს იგი უგულვებელ ჰყოფდა ქართველი ხალხის უდიდეს საგანმანათლებლო ტრადიციებს, თითქოს მისი შეფასებით—ახლა, ალექსანდრეს თუ ნიკოლოზის მეოხებით, პირველად იღებოდა საქართველოში სწავლის კარი. მოვიგონოთ, რომ იონა ხელაშვილმა თვითონვე ჯერ საქართველოში წიილო უმაღლესი ტიპის განათლება, გაიარა რა კარგი სკოლა თბილისისა და თელავის სემინარიებში მოღვაწე მწიგნობრების ხელმძღვანელობით, რის შემდეგაც იგი პეტერბურგს ალექსანდრე-ნეველის აკადემიაში, როგორც ზემოთ ითქვა, სისრულით დაეფუტა ფილოსოფიას, ღვთისმეტყველებას, ენებსა და სხვ. ყოველივე ამას მოწმობენ მისი სამეცნიერო შრომები²⁶. ჩვენ თავის დროზე საგანგებოდ აღვნიშნეთ წვლილი, რომელიც, ვფიქრობთ, მწიგნობარ ხელაშვილს შეტანილი აქვს ცნობილი „კალმასობის“ შექმნის საქმეში²⁷. მისი მაღალი განსწავლულობის წარუშლელი ბეჭედი აზის მის „მოსახსენებელ წიგნსაც“. მაგრამ სამაგიეროდ იონა ხელაშვილს აინტერესებს რუსეთის საგანმანათლებლო უწყების თბილისში, საქართველოში მუშაობის მასშტაბები და ინტენსივობა, ის, რომ ახალ პირობებში სკოლის კარი (თუნდაც რომ ის სკოლა რუსული იყო) შეუდარებლად უფრო ფართოდ იღებოდა ქართველი მოსახლეობისათვის, ვიდრე ეს ხერხდებოდა განვლილ დროებში. ამ შემთხვევაში იონა ხელაშვილი გამოდის ბრძენი მსაჯული იმ ისტორიული მნიშვნელობის გარდატეხისა, რომელიც მის დროს იჩენს თავს საქართველოს სკოლის მატრი-

²⁴ მამუკა=ალბათ მამუკა ორბელიანი (იხ. ზემოთ, გვ. 8, შენ. 1).

²⁵ საქ. მუხეუმის საისტორიო ფონდი, ხელნაწ. № 2226, გვ. 269.

²⁶ ი. ხელაშვილის შრომების სია, იხ. კ. კეკელიძე, I, გვ. 406.

²⁷ Царевич Иоанн, Калмасоба, или хождение по сбору, Тбилиси, 1945, стр.

ანეში, საერთოდ, საქართველოს სწავლა-განათლების, კულტურის სფეროში. აი რამდენიმე მისი მკვეთრად გამოხატული საგულისხმო დებულება: ძველ ქართველ მოღვაწეთა (ათონელების, პალესტინელთა, თბილისელთა) სამწიგნობრო მემკვიდრეობა დიდია; მაგრამ სათანადო ძეგლები „მდებარებენ ზემირსა ქუშზე (ე. ი. სადღაც ხვიმირით თავდახურულ ორმოში.—ვ. დ.) საზოგადოთა ერთაგან განუხილველად“ (დაყოფა ჩვენია.—ვ. დ.); ამის მიზეზი შეიქნა საქართველოს ავბედითობა—„განწვალება (პოლიტიკური დაშლა.—ვ. დ.) და დასუსტება და შემცირება ერისა რიცხვისა“, და ა. შ.; ამ პირობებში ქვეყანას მოაქვდა, „არა აქუნდა ქარტანი (ქალაღი.—ვ. დ.) და ტეპოლრაფია (sic)...ბოროტ ბარბაროზთა უწიგნოთა მეზობელთაგან განსვენება“. ამის შედეგად „დაშთა არხივა (sic)—წიგნთსაცავები ცალიერ და სახლნი სასწავლებელნი—უმოწაფო და ერნი—უღრამატო („ნეგრამოტნიე“.—ვ. დ.)“; წიგნები—ძნელად საშოგარი, მხოლოდ აქა-იქ „იბოებიან ჩინებულთა სახლებთა შინა რაოდენიმე წიგნნი საკლასონი, კელით წერილნი“; სამაგიეროდ ამიერ იხსნება მომავლის დიდი პერსპექტივი: ქართველები იქნებიან „ენებთა ევროპიისათა მეტყუშლ“; აწ დრო „ვეუწყობს ქვეყანას ხელს, რომ „სასწავლო სახლები აღივსოს ყრმათა ერთაგან მოწაფედ და იწყოს ტეპოლრაფიამან წიგნებთა გამოცემა“, ხოლო ყოველივე ამის შედეგად—„ნათესავეები კავკასიის მთებისა და თუთ გარემო მეზობელნი მსახურ სიბრძნისა იქმნებიან“ და ა. შ.²⁵ იონა ხელაშვილი ელტვოდა ნათელ მყოობადს, როდესაც, მისი რწმენით, არა მხოლოდ ქართველი ხალხი, არამედ აგრეთვე სხვებიც—კავკასიის ბინადარი ტომებიც („ნათესავეები“), საერთოდ „გარემო მეზობელნი“, თანამეგობრობით, ხელი ხელს მიმცემნი, წინ წაიღებდნენ გამარჯვების აღამს. საგულისხმოა, რომ დაქსაქსული საქართველოდან ჩრდილოეთს გახიზნულ იონას, ტომით კახელს, თან გაჰყვლია ძველი ზრუნვა ერთიან საქართველოზე დიდი სასოებით იხსენება მისგან არა მარტო ირაკლი და მისი სახლობა არამედ აგრეთვე „დიდი სოლომონ მეფე“, რომელმაც „განწმიდა იმერეთი“ თურქთაგან, „მოსპო ტყუშთა გავაჭრება... იმერეთში, გურიაში და მენგრელიას შინა“ და ა. შ.

იონა ხელაშვილის წერილი დანასაქმი სვ. ტაბიძის მისამართით

კეთილმსახურო სულიერ(ო) ძეო ჩემო

სვიმონ გიორგის ძეო

უფ.(ალო) ტაბიძე²⁶

მეფე ირაკლის ძის მირიანისაგან²⁷ მობოძებულნი მიცვალებულთა სახელები—იმპერატორთა და იმპერატრიცათა და მეფეთა და დედოფალთა და ძეთა და სძალთა და ასულთა მათთა—პირუშლად დაწერე, პირუშლ მოხსენებად ცხებულთა შესვენებულთა და სქესთა მათთა, ერთბამდ ნეტარ სახსოვართა, მონათა და მწვევალთა მათ ქრისტეს მოყვარეთა,—შთასწერე მოსა-

²⁵ იონა ხელაშვილი, „ქადაგება“, გვ. 25—20 (=ჩემი რვეული. I, გვ. 142). საქმეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ფონდი, H 2226.—იონასს ეპისტოლარული მემკვიდრეობა მოსა-საცემად შემზადებულია ამ სტრიქონების ავტორის მიერ.

²⁶ სახელი, მამის სახელი და გვარი მერმეა ჩამატებული აღბათ თვითონ ტაბიძის ხელით.

²⁷ ეს სახელი მერმეა ჩამატებული ტექსტის ხელით.

ხსენებელსა წიგნში, რათა ვიხსენებდე, ვიდრემდ(ის) ვარ სოფელსა შინა. ვინ უწყის, შემდგომ განსვლისა ჩემისა, ქრისტეს მიერ სიყვარულითა მიცვალბულთა შემყვარებელთადა მოიხსენონ—წმიდათა მამათა, რომელნი მოქენობდენ თავთა თუსთა მოხსენებასა შემდგომთა თუსთავან, ღმრთის მოშიშთა მიერ, ვიდრემდის მოვიდეს ქრისტე უფალი მომხსენებელთა და მოხსენებულთა მიცემად სასყიდელთა სასუფეველსა შინა ცათასა.

შენი მლოცველი იონა მ. მ³¹. მ.

მოიხსენე, ულო (=უფალო), იეროსალიმის (sic) კრებული შესვენებულნი; [კრებულნი]—სინა, მთაწმიდისა, საბას ლავრისა³², კიავის (sic) ლავრისა, წ. სამების ლავრისა, წ. ალექსანდრეს ლავრისა, წ. დავით გარესჯის მონასტრისა, წ. ნათლისმცემლისა მონასტრისა, წ. ნინოს მონასტრისა, წ. ფერისცულალების მონასტრისა, წ. შიომღვიმისა, შუამთისა, ჯრუჭისა, ბარაკონისა, მღვიმისა, ქვაბთავევისა.

მოიხსენე, ულო, ქალაქებთა შინა აღსრულებულნი მართლმადიდებელნი მამანი და ძმანი. მოიხსენე, ულო, სოფლებთა, დაბებთა და სანაჯებთა შინა აღსრულებულნი მამანი სულიერნი მღვდელნი და ძმანი ერნი, მართლმადიდებლობით აღსრულებულნი, მღვდელთმთავარნი, მღვდელმონაზონნი, ხუცესნი, მწყემსნი და სამწყსონი, ჩიჯლნი, უსუფარნი, ყრმანი, ნინველნი, ჭაბუკნი, ჯომნი, ჭარმალნი, მოხუცებულნი, მკცენი, მიმკცოვნებულნი, თითოეული თვისისა ასაკითა მიცვალბულნი.

მოიხსენე, ულო, მართლმადიდებლობით აღსრულებულნი უწმინდესი და³³ მსოფლიო პატრიარხნი კოსტანტინე (sic) პოლისა, ალექსანდრიისა, ანტიოხიისა და იეროსალიმისანი.

მოიხსენე, ულო, მართლმადიდებლობით აღსრულებულნი უნეტარესნი (5) კათალიკოზნი საქართულოაჲსანი.

მოიხსენე, ულო, მართლმადიდებლობით აღსრულებულნი მიტრაპოლიტნი, არხიეპისკოპოსნი, ეგზარხნი და ეპისკოპოსნი.

მოიხსენე, (10) ულო, არხიმანდრიტნი, ილუმენნი, ილუმენიანი; მღვდელმონაზონნი (sic), მონაზონდიაკონნი, მონაზონნი და მონაზონანი და მორჩილნი, მონაზონებისა სურვილში აღსრულებულნი და მონასტრებისა მსახურებათა შინა დაძინებულნი აღდგომისა სასოებითა.

მოიხსენე, ულო, მართლმადიდებლობით აღსრულებულნი მღვდელნი და (20) დიაკონნი, დიაჩოქნი, მგალობელნი და პონამარნი და ყოველნი კეთილმსახურნი წმიდისა ეკლესიისა დასნი, აღდგომისა სასოებითა დაძინებულნი.

მოიხსენე, ულო, კეთილმსახურებით მუშაკნი, თუსისა ოფლებისა ნაყოფითა ცხოვრებულნი, სიმართლითა დაძინებულნი, რომელთა ნაყოფთა შეწირულებითა მონასტრები და ეკლესია(20)ნი შემკობილ არიან შუშნიერ სძლად ქრისტესა.

მოიხსენე, ულო, აღმაშენებელნი მონასტერთა და ეკლესიათა და მათ შინა შემწირულნი მოკვილებთა წმიდა სახარებათა, ჯვართა და ხატთა და ბარძიმთა და ფეშხუმთა და შესამოსლებთა და მოძრავ-უძრავთა და ხეასტაგთა და როჭიკთა—მწირულთა გამოზრდად სათნოდ შენ, საშინელისა ღთისა.

³¹ ეს ასო მ-ანი გადასწორებული ჩანს ს-ანად.

³² ტ-ტში: რავრისა.

³³ ამ სიტყვის მომდევნო სიტყვა „უნეტარესნი“ დედანში გადახაზულია

(25) მოიხსენე, ულო, კეთილმსახურნი მშობელნი, შვილთა თჳსთა სიბრძნით აღმზრდელნი, რომელ არს შიში შენ, მხოლო უფლისა, სჯულისა და მადლისა სწავლითა და განათლებითა; ძეთა და ასულთა განწვრთათა შინა აღსრულებულნი.

მოიხსენე, ულო, გლახაკთა, ქვრივთა, ობოლთა და მწირთა ზრდათა შინა დაძინებულნი დიდფრიადისა სასოებითა, შემყვარებელნი შენ, მხოლო ღთისა, და მოყვასთა (30) და მტერთაცა, რომელთა აღსასრული ქებით არს და ხსენება—კურთხევით მღვდელთაგან და ერთა.

მოიხსენე, ულო, მრავლის ჭირითა სასუფეველსა ძიებათა შინა აღსრულებულნი მამანი და დედანი მართლმადიდებელნი, დღე და ღამე განკაფულნი.

მოიხსენე, ულო, სულისა თჳსისა ცხოვნებისათჳს მომძულებელნი ჯორცთა თჳსთა მარხულობისა აღვირსხმითა და მოუკლებელისა ლოცვითა და მუტლდრეკისა ოფლითა (35) დამადნობელი თიჯა-თივისა, რომელი არს გვამი, ჭიაჭუათაგან შესაჭმელი, საფლავთა შინა ქუშწარმავალთაგან.

მოიხსენე, ულო, სიმშვიდისა, სიმდაბლისა და მრწემობისა და მსახურებისა და უკანასკნელობისა აღრჩევასა შინა დაძინებულნი.

მოიხსენე, ულო, წმიდათა მოციქულთა, წინასწარმეტყუშლთა და მართალთა მობა (40) ძაობათა შინა აღსრულებულნი, ყვედრებათა, დევნულებათა და სიგლახაკეთა შემყვარებელნი, თჳსისა ჯელითა მშრობელნი (sic) საზრდელისა და ჯორცთა საფარებელისა ბებკვისა.

მოიხსენე, ულო, რომელთა თჳთ ჰყონ პირუშლად ნება შენნი (sic) და ესრეთ ასწაონ ყოველთა მოყვასთა, რომელ არიან მართლმადიდებელნი, რომელთა სიკვდილსა—დაძინება ეწოდების ქრისტეს მიერ შესვენებულთა; რომელთა შვიდთა საიდუმლოთა დამარღვეველთა თანა არა ინებეს დაჯდომად (5) ჭამა პურისა და ზრახვა ჯორციელთა ამათა.

მოიხსენე, ულო, მოთმინებათა და სულგრძელებათა შინა აღსრულებულნი, რომელნი იგინებოდენ, იგვემებოდენ და მიიხვეჭებოდენ უდიერთგან და თავს იდებდენ ღუმილით მლოცველნი მავნებლებთა და მქენჯნელთა და ზემო სამოსელისა მემკლდელთა და დამგლახაკებელთათჳს.

(10) მოიხსენე, ულო, მდიდართაგან დაწუნებულნი, და ყუშდრებულნი და შეურაცხნი და ჭირვეულნი და მწირნი და მსხემნი და პყრობილებათა დილეგთა და ექვსორობათა (sic) შინა დიდფრიადისა სინანულებითა და მოთმინებითა, ლოცვითა და მარხულობითა, აღსარებითა, ზეთისკურთხევითა და ზიარებისა მიღებითა განმზადებასა შინა აღსრულებულნი.

(15) მოიხსენე, ულო, წმიდამყოფელისა ქალწულებითა აღსრულებულნი და კეთილმსახურებითა საწოლისა წმიდად დამცველნი, მ(ე)უღლეობითა შვილთა თჳსთა შენ, უფლისა, მიერ მშობელნი სასუფეველისა ძეებად და ასულებად; შენ, ქრისტე ღთისა, მიერ დაძინებულნი განრომად მეორისა სიკვდილისაგან, რომელ არს ჯოჯოხეთი.

მოიხსენე, ულო, მიმცემნი და არა მომღებნი, თჳსთა პირთა ოფლებთა ნაყო (20) ფთა ზეცისა საუნჯედ ამიერ განბნევთა შინა აღსრულებულნი.

მოიხსენე, ულო, მავასხებელნი თჳნიერ აღნადგინებისა, თავნთაცა მიტეებასა შინა დაძინებულნი, ცათა შინა საუნჯისა მიღებისა მსასოებელნი.

მოიხსენე, ულო, ვასხისა აღებისაგან ლტოლვილნი, თჳსსა მუტელსა საქმელთა და სასმელთა დამაკლებელნი და გვამისა საბლარდნელთა; მცირე

პურიტა და წყალითა (25) კმამყოფელნი მტერისა თვისისა, რომელ არს ტო-
მაქი მუცელი, რომელსა მწარე მხალითა და ნაღვარევისა წყალითა აღვირა-
სხმიდენ წმიდანი ყოველნი და მეუღაბნოენი მამანი³⁴ და ყოველნი სინანუ-
ლითა აღსრულებულნი.

მოიხსენე, ულო, კეთილთა ანდერძებთა დამწერნი შვილთა თვსთა და
მოყვასთა თვსთა და კურთხევით ლოცვათა შინა აღსრულებულნი.

მოიხსენე, ულო, სულიერნი, რომელ არიან მღვდელთმთავარნი და
მღვდელნი და დია(35)კონნი, და ჯორციელნი ერნი, რომელთა ნაყოფნი თვისნი
ჟანდერძეს მამულსა და ქვრივთა, ობოლთა და სასწავლებლებთა და მონას-
ტერთა და ეკლესიათა მოსახსენებლად თითოეულთა თვსთა სულთა და ჯორც-
თა აღდგომად.

მოიხსენე, ულო, მეფენი, დედოფალნი, ძენი და სძალნი და ასულნი
მათნი, და მთავარნი, თავადნი და თავადანი, აზნაურნი, — რომელთა საუკუნო-
სა ცხოვრებისათვს მსა(40)ხურეს მამულსა სიმართლითა და ქეშმარიტებისა
სწავებითა და გლახაკთა განმდიდრებითა და ჭრელთა შემოსითა, საუფლო
დღესასწაულებთა მიგებებად სულიერ მხიარულებითა სათნოდ შენ, მართლ-
მსაჯულისა ღთისა.

მოიხსენე, ულო, მამულისა დიდდურად სიყვარულითა თვისთა სულთა
დამდებნი დროსა შინა განსაცდელთა და სიყმილისა, მახვილისა და სასტი-
კისა ჭირისა, წყლულებისა³⁵ (45) და ნძაფრისა ამბოხებისასა და წარმართთა
მძღაგრებისასა.

მოიხსენე, ულო, თავდადებული მეფე დიმიტრი და იოთამ, და დავით
ბოსტა-ძე³⁶ და შეათსამეცე გიორგი მეფე, საქართულოჲსა და აზიისა ქრის-
ტიანეთი შემავედრებელი³⁷ დიდისა მონარხისა პავლე პეტრეს ძისა ჯელთა.

მოიხსენე, ულო, პავლე იმპერატორი, რომელმან განგლილი მტერთა-
გან შეილად თვსად (50) მიგვილო.

მოიხსენე, ულო, ა³⁸ აღექსანდრე კურთხეული მონარხი, რომელმან აღვირ
ასხა მტერთა ჩუშნთა, და იწყო აღყვავება სულიერითა განათლებითა და ერისა
განბრწყინება სიბრძნითა და განმდიდრება გულისხმიერთა და განმრავლება
თემებისა და განვრცელება³⁹ საზღვართა.

მოიხსენე, ულო, გრიგორ პატრიარქი, მოშთობილი საბერძნეთისა
გამოხსნისათვის; იოაკიმ (sic) დესპოტა მოშთობილი და ვასილ მღვდელი
მომშთავარი, ქართუელი ვასილ მღვდელი მოშთობილი სპარსთაგან ტფ(5)ი-
ლისს; კვალად გიორგი მღვდელი, მოშთობილი გორს თურქთაგან; სუმონ
მღვდელი, მოშთობილი ოსმალ-თურქთაგან ჭუეთსა; ზაქარია პატრიარხი
იეროსალიმისა, სპარსთაგან დატყუშებული; ათანასე მღვდელი მჰსგაეისი სამო-
ელისა; გრიგორ მღვდელი, ქრისტეს მოყვარისა მკედრობისა ცხოველისა ჯვა-

³⁴ ამ სიტყვას მოსდევს მწერალის მიერ გადახაზული შემდეგი სიტყვები: „და წმიდანი
მღვდელთმთავარნი მსოფლიონი: წ. დიდი ვასილი, ჯრიგორი და ოქროპირი და შედგო-
მილი მათნი — ქერის პურითა აუძლურე(30)ბდენ ტომაქსა თვსსა და მით ერთბამად გვამებსა
თითოეულნი თვსსა. მჰსგავსად მათსა დაძინებულნი — მოიხსენე, მეუფეო“.

³⁵ დედანშია: წყლულებისა.

³⁶ შდრ. ბოსტაშვილი (დავ. ბატონიშვი., ახ. ისტორია, გვ. 5).

³⁷ დედანშია: შემავედრებელი.

³⁸ ა = I.

³⁹ ამ სიტყვის უკანასკნელი შვიდი ასო („რცელება“) და მომდევნო სიტყვაც („სა-
ზღვართა“) ატანილია გვერდის ქვემო ნაწილიდან ზემო ნაწილში.

რითა (10) წინარე მიმდღომი სპარსთა სპარაზენთა ზედა—სამიათასითა სამე-
 ოცდაათათასთა ზე, რომელნი წარიქცნენ ოტებად მახლობელ ერევანისა გუ-
 ლოვნობითა ერეკლე⁴⁰ 2 მეფისათა.

მოიხსენე, ულო, მარაბდას ომში მოწყვეტილნი, დიდრიცხენი, სპარსთა-
 გან, და ქართაგან დანთქმულნი ალაზანსა შინა.

მოიხსენე, ულო, მეორე ერეკლე მეფე და მკედრობა მისი, ქრისტეს სი-
 ყვარულისათვის ომებთა შინა მოწყ(15)ვეტილნი,—სპარსთა, ლეკთა და თურქ-
 თა უკუნმქეველნი.

მოიხსენე, ულო, ქრისტინა მოხუცებული, რომელმან მჭადისჯვარს გა-
 რემოდგომილთა ბევრიცხეთა ლეკთა შვიდგზის⁴¹ აღმები მიწადა, და იქმნენ
 დამარცხებულ.

მოიხსენე, ულო, მეომარნი მქისიყისანი, რომელთა ავართა დალისტნის
 მთა(20)ვარი წარიქციეს ილუსის (sic) მკედრობითურთ სოფელსა შინა ბოდბესა
 და ძე მისი, ომარხანად წოდებული, დაკოდეს, და მოკვდა, და ხარკთა ძლე-
 ვისაგან განთავისუფლდა (sic) საქართუშლო.

მოიხსენე, ულო, ყვარელის ციხისა გამამაგრებელი კახნი, რომელთა
 მთისა და ბარის ლეკნი, შეკოლტებულნი, ოტებად წარიქციეს, (25) და ცხონ-
 დენ გაღმაურნი სოფლები მიერითგან.

მოიხსენე, უფალო, ალის ციხისა მიმშველებელნი—მეფე ერეკლე და
 დიდი მეფე სოლომონ, რომელთა აოტეს ოსმალნი და ლეკნი და აცხონეს
 შიდა ქართლი ალის ციხისა განრინებითა.

მოიხსენე, ულო, ნალეკარი, ვესტათედ წოდებული, რომელმან კავთის-
 ზეც ცხრაასთა გარემოდგომილთა ლეკთა შეუზახა ციხითგან: აჰა ერეკლე
 მეფე მოგვეახლა⁴² შეწვენად ჩუშნდა,—ვაჟ თქუშნდა, ლეკნო!—რომლისა კმი-
 საგან იწყეს ლტოლვა ლეკთა⁴³, და ცხონდა გარემოდგომილი ერი მეფისა სა-
 ხელითა.

(5) მოიხსენე, ულო, რომელმან ქუთაასით განაძო ოსმალ-თურქნი და
 განწმიდა იმერეთი დაპყრობილი—და მოსპო ტყუშთა გვაჟკრება და განამე-
 ორა (sic) ქრისტიანობა იმერეთში, გურიაში და მენგრელიასა შინა, და უწო-
 დეს დიდი სოლომონ მეფე.

მოიხსენე, ულო ამბაკომ არხ(ი)მ(ან)დრიტი და მონოზონი იონა და მო-
 შურნენი, ზეგარდამო მალლითა აღტყინებულნი.

(10) მოიხსენე, ულო, სჯულისმდებელი ვახტანგ მეხუთე მეფე.

მოიხსენე, ულო, მალაქია, კათალიკოზი იმერეთისა, რომელმან კრება
 ჰყო ამაღლებად ეკლესიისა—ერისა ცხონებად.

მოიხსენე, ულო, დომენტი, კათალიკოზი საქართუშლოასა, სულისა
 თვისისა დამდები წინაშე ხვანთქრისა, რომელმან სამ წელ ხომალდ(15)სა შინა
 შებოროკილა წინაპართა ჩუშნთათჳს⁴⁴ და განაძლიერა ქრისტიანობა.

მოიხსენე, ულო, თალია, რომელ გან თავი (sic) და ისწაულა განრო-
 მად ყენის ცოლობისაგან.

⁴⁰ დედანშია: ურეკლე

⁴¹ ამის მომდგენო ორი სიტყვა—„იდუმალ ღამე“ დედანში გადახაზულია.

⁴² დედანშია: მოგვიახლა.

⁴³ ეს სიტყვა დედანში გადახაზულია.

⁴⁴ ეს უკანასკნელი ორი სიტყვა დედანში გადახაზულია.

მოიხსენე, ულო, თამარ დედოფალი, დედა ერეკლე მეფისა, რომელი ორგზის მივიდა ნადირ-შაჰთანა (sic) ვედრებად, რათამცა განაძოს ოსმალნი საქართუშლოსაგან—და განაძვევინა⁴⁵ ნეტა(20)რმან, რომელსა ასული თჳსი წარტაცა უკეთმან—ქეთევან, გარნა აღსრულდა ქრისტიანედ⁴⁶.

მოიხსენე, ულო, სუმონ მეფე, სულთნისაგან მოშობილი.

მოიხსენე, ულო, დინარ დედოფალი, რომელმან მოსპო წვალემა⁴⁷, ადგილ-ადგილ შემოტანილი ერატიკოსთაგან (sic) უწიგნოთა ყურთა შინა რომელთამე ქართუშლთასა.

(25) მოიხსენე, ულო, ლაშა გიორგი, მომაქცეველი ფშაგ-გვესურთა.

მოიხსენე, ულო, ერეკლე მეფე, მომაქცეველი თუშთა—მღვდელთა მიცემითა.

მოიხსენე, ულო, გაიოზ არხიეპისკოპოსი ასტარხნისა (sic), ბუნებით ქართუშლი, რომელმან მოსდოქს მოსრულნი ოსნი (30) ერთბაშად მოაქცია ქადაგებითა და მისაცემლებითა⁴⁸.

მოიხსენე, ულო, ოთხნი მეფენი, მოსკოვს მოსრულნი საქართუშლოჲსათჳს მეოხად: არჩილ, ვახტანგ, ბაქარ და თეიმურაზ (sic) მეორე.

მოიხსენე, ულო, ლეონ მეფის-ძე და ანტონი პირუშლი კათალიკოზი, პეტრებურს (sic) მოსრულნი ხოიშნობად საქართუშლოჲსათჳს წი(35)ნამე ეკატირენე (sic) ჯელმწიფისა, რომელი შეეწია ერეკლე მეფესა მგედრობისა მოგებითა, და ძე მისი პავლე იპპ[ე]რ. (ატორი) მეფე გიორგის შემწე ყოღღეთა ოჯრებისათა.

იერომონახის იონას მიცვალებულნი წინაპარნი, მშობელნი, შობილნი⁴⁹ და მშობელნი, მამისა მკარენი, ძმანი, დანი, ბიძანი და ძენი და ასულნი მათნი, სულიერნი და ჯორციელნი, ერთბაშად მოხსენებად ყოველთა კუშათათა შინა და ასაშაღლებელთაცა, და უჟმეტეს შაბათებთა ში(5)ნა და სულთაობათა, მღვდელმონოზონის იონა სულიერ მოძღვრისგან,—უმაღლესთა დედოფალთა და უგანათლებულესთა მეფეთა ძეთა და ასულთასა,—რომელი ყოველთა მომხსენებელ არს—მართლმადიდებლობით აღსრულებულთა; და თჳსსა მოყვასთა თითოეულთა სახელდებით იხსენებს. ამად (sic) დაუვიწყებლობისათჳს დამაწერინა მე, სუმონ ტაბიძეს გურიულს, სულიერ მო(10)წაფესა თჳსსა პეტრებურსა შინა.

ამიერ მოხსენება მიცვალებულთა თჳსთა [იონას მღვდლად] კურთხევითგან წელსა ათას რვაას ათორმეტითგან ოკდომბერს (sic) ათითგან:

მამანტი მღვდელი	გრიგორი	ნიკოლოოს	ანნა
დავით	ნატალია	ელისაბედ	ვარვარე
მარიამ	ნიკოლოოს	დავით	ელისაბედ
გიორგი	მარიამ	თამარ	ადამ
მარიამ	თეო(15)დორე მღვდელი	პატაპი	ვარვარე
იოზ	იოსებ	თეოდოსია	სუმონ

⁴⁵ დედანში შეიქლება ამოვიკითხოთ: განაძვევინა

⁴⁶ დედანში ამ სიტყვის უკანასკნელი ოთხი ასო („ანედ“) წვრილი ხელით არის ჩართული სტრიქონებს შუა.

⁴⁷ ამ სიტყვას მოსდევს დედანში გადახაზული სიტყვები: „სომეხთი ქართუშლთა“.

⁴⁸ დედანში: მისაცემლებემლებითა.

⁴⁹ დედანში ეს სიტყვა გადასწორებულია თავში. შეიქლება წაკითხულ იქნეს რაგორც „მშობელნი“-ც.



მარიამ	დიმიტრი ⁵⁰	გიორგი	ტატინე
სოლომონ	იოთამ	მარიამ	დიმიტრი
ანასტასია	ნათან	გიორგი	ანნა
იოსებ	მარიამ	მარიამ	ბარნაბა
არსენი	ისმაილ	მამანტი	გიორგი
იოანე	ელენე	პელეგია (sic)	ბართლომე
მოსე	ირინე	ფებრონია	თადეოს
ჟაროვ	ელენე	ალრიპინა	ზაქარია
ანდრია	არჩილ	მელანია	ხიონა
ორესტი	ელ(20)ენე	როდიონ	ქრისტინა
იასონ	დარია	ორესტი	ნარკისონ
მანუილ	ალექსანდრა	ზაქარია	პაპილა

და ყოველნი მართლმადიდებელნი და სრულიად ნათესავნი მათნი.

მოწყალენი ჩემნი და კეთილისმყოფელნი—

მოიხსენე, უ¹ლო (25), იმპერატორი ალექსანდრე. იმპერატრიცანი ელისაბედ და მარიამ. მეფე ირაკლი. დარია დედოფალი. ძენი და ასულნი მათნი. გიორგი მეფე. ქეთევან. ძენი და ასულნი მათნი.

ანტონი კათალიკოზი
 დავით მემკვიდრე
 იოანე მეფის-ძე
 მირიან მეფის-ძე
 გაბრიელ მეფის-ძე
 გრიგორი
 დარია
 მარიამ
 მარინე
 მატეე
 გიორგი (30) დეკანოზი
 რაჟდენ მღვდელი
 ალექსი დეკანოზი
 ზაქარია მღვდელი
 გიორგი მღვდელი
 იოანე მღვდელი
 ონისიმე მღვდელი
 შიო მღვდელი
 დავით მღვდელი
 გიორგი დეკანოზი
 მეფე სოლომონ
 კაცია დადიანი
 ანნა დედოფალი
 გრიგორ დადიანი
 დოსითეოს არხიეპისკოპოსი
 ეფთიმე (35) მიტრაპოლიტი

ეფთიმე არხიმანტრიტი (sic)
 თომა არხიმანდრიტი
 გაბრიელ მღვდელმონოზონი
 პორფირი მონოზონხუცესი
 დავით ხუცესმონოზონი
 სტეფანე მღვდელი
 ონოფრე ბოდბელი
 დავით ბოდბელი
 კირილე ბოდბელი
 გერასიმე არხიმანტრიტი (sic)
 ტრიფილე არხიმანდრიტი
 იოსტოს მღვდელმონოზონი
 ქრისტესია მღვდელი
 იესე (40) დეკანოზი
 ზაქარია დეკანოზი
 იოანე დეკანოზი
 არსენ ტფილელი
 ვარლამ ეგზარხი
 ნიკოლოს
 ელისაბედ
 თეკლა
 ტარიელ დადიანოვი
 ალექსანდრე დადიანოვი
 თავადი პავლე
 თავადი აბრაამ
 დავით

⁵⁰ ჯერ დაუწერია „დემეტრე“. ეს გადაუხაზავს და დაუწერია „დიმიტრი“

მართა
ქრისტინა
იოსებ
რომანოზ
გიორგი
სტეფანიდა
ვასილიდა
ზებედე მღვდელი
ეფრემ მღვდელი
ტიმოთე
სილიბისტრო
ნატალია
ნიკოლოს
თავადი ნიკოლოს
ამბროსი მიტრაპოლიტი
მიხაილ მიტრაპოლიტი
თეოფილაქტე ეგზარხი
მოსე ეგზარხი
თავადი გორდი
ათანასე არხიმანდრიტი
იოანე დეკანოზი
პაფნოტი არხიეპისკოპოსი
გრიგორ ხარჭაშენელი
იოსებ კანდელაკი
გაბრიელ
ეკატერინე (sic) მეფის სძალი
ანასტასია მეფის სძალი
ელენე მეფის სძალი
ქეთევან მეფის სძალი
ნინო
მეფის ძის ასულნი ელისაბედ და ნინო
მართა
ანნა
იონა მიტრაპოლიტი
ევლოდი ეპისკოპოსი
ბატერმუფ მონოზონდიაკონი
ევლრა(10)ფი არხიმანდრიტ რეკტორი
სერგია არხიეპისკოპოსი
გაიოზ არხიეპისკოპოსი
გენადი მონოზონსუცესი

მაქსიმე
გრიგორი სტუდენტი
გედეონ არხიმანდრიტი
კოსტანტინე იერომონახი
გიორგი საჭურისი იერომონახი
ირინეი არხიეპისკოპოსი
არსენი ეპისკოპოზი
სერაფიმა ილუმენია
იოსებ
გაბრიელ
თამარი
ანნა
თამარი
დარია
ბაბილა
ეგნატი (ბუჭუა)⁵¹
ბარნაბა
ავვისტინე არხიეპისკოპოზი
გიორგი
მარიამ
დიმიტრი თავადი
თავადი იოსებ
სუმონ თავადი
სუმეონ
იოანე
თომა
პაპა
დავით
დადა
ზოსიმე
გაბრიელ მღვდელმონოზონი
ზაქარია მონოზონმღვდელი
სფირიდონ დეკანოზი
დავით დეკანოზი
პეტრე დეკანოზი
იოანე ახალშეძინებული
სუმონ ახალშეძინებული
მარიამ ახალშეძინებული
(ნათლისღებთა)⁵²

(20) მცნობნი ჩემნი ქრისტეს მიერ სიყვარულითა ამიერ განსრულნი ძმანი ჩემნი და დანი,

⁵¹ ფრჩხილები დედანს ეკუთვნის.
⁵² ამის მომდევნო ოთხი სიტყვა: „მცნობნი ჩემნი ქრისტეს მიერ სიყვარულითა“ — დედანში გადახაზულია. ფრჩხილები დედანს ეკუთვნის.

მოიხსენე, ულო,—

ანდრია
იოსებ
გიორგი
თეონა
იოანე
გიორგი
მარკოზ
ანნა
სუმონ
ლეონ
გრიგორ თავადი
ზაქარია თავადი
დარია თავადა (sic)
კვალადცა დარია თავადა
ევსტათი თავადი
ვასილი
გიორგი
ნიკიფორე
ლალაქტიონ
ევმელიანა
(25) პავლინა
დავით
აბრაამ
იაკობ
ისააკ
სუმონ დეკანოზი
ფორემ დეკანოზი
იოანე მღვდელი
თეოფანე არხიმანდრიტი
ნეოფიტე არხიმანდრიტი
ვალერიანე არხიმანდრიტი
ელეფთერ არხიმანდრიტი
ვასილი
პატაპი
გობრონ
საბა
გიორგი
ვასილიდა
თეოდოტი თავადი
ლუარსაბ თავადი
ალექსანდრე თავადი
სუმონ თავადი

გერასიმე თავადი
ქრისტეფორე
გორდი
(30) იასონ
დარია
იოანე
დავით რეკტორი
ზაქარია დეკანოზი
იოანე დეკანოზი
ბაბილა
ორესტი
სერაპიონ მონოზონდეკანოზი
იოანე კანდელაკი
ზაქარია დეკანოზი
რატონ თავადი
ნატალია თავადა (sic)
ნიკოლოს დეკანოზი
იოანე დეკანოზი
გიორგი ნატყუშვარი
გარიამ ნატყუშვარი
გიორგი ნატყუშვარი
გიორგი მოკლული
სუმონ, ომში მოკლული
გიორგი, ომში მოკლული
(35) გიორგი წყალში დამშთვალი
გიორგი, მბრძოლთაგან დამწვარი
ზაქარია, უნითგან გარდამოკუშთებული
იროდიონ ეტლ-ტანებული
ბარბარე ჩჩული⁵³
მანუილ ჩჩული
ნარკისონ ჩჩული
ნიკოლოს თავადი
პეტრე თავადი
ირაკლი თავადი
ავდუთია (sic)
პეტრე თავადი
რომანოზ თავადი
ზაქარია თავადი
სუმონ მესხი
იოანე
დავით მამასახლისი
დავით

⁵³ დედანშია: „ჩჩ ჩჩული“—სტრიქონის გადატანია გამო.

მამანტი

იოსებ ნაცვალი

იოსებ

ნარკისონ, ომში მოკლული

იოანე [და]

იროდიონ, ტყუობაში მომკვდარი

იოანე⁵⁴

და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტიანენი,—და ერთბაშად კმელთა ზედა
აღსრულებულთა და ზღვათა შინა დანთქმულთა განუსვენე, უწლო,—აქა ყო-
ველთა მოხსენებულთა ქრისტეს მიერ შესვენებულთა.

⁵⁴ ორი იოანე ზედიზედ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ი ბ ი¹

ვიცავთ დედნის ხელოვნურ მართლწერას, ნაწილობრივ ანტონი კათალიკოსის გრამატიკის გავლენით ძველ მწერლობაში გავრცელებულს. მაგალითად: საქართუშლო საქართველოს ნაცვლად. შუშნიერ—შუენიერ, მჰსგავსი, შაჰზი და სხვ.

ავართა მთავარი — ნურსალ-ბეგი (ნუცალ-ხანი). ნურსალის ბოდბეზე თავდასხმა (XVIII ს. 70-იანი წწ.) ცნობილია (დავ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თ., 1941, გვ. 13). მოიკლა შამახისთან ბრძოლაში 1774 წ.

ათანასე მღ. —

ალაზანსა შინა დანთქმულნი — იხ. ჭართავან დანთქ.

ალექსანდრეს ლავრისა — ალექსანდრე ნეველისა, პეტერბურგში.

ალექსანდრე I — იმპერატორი, 1801—1825. იხ. ზემოთ, გვ. 00.

ალის ციხისა მიმშველბეღნი — ალი (ხაშურის რ-ში) აიკლეს 1758 წ. ნურსალ-ბეგის რაზმებმა. დაცვაში თეიმურაზ II-ს მიეშველა სოლომონ I იმერთა.

ამბაკომ არხიმ.—

ანტონი I კათ. — ბიძაშვილი („ძმა“) ერეკლე II-ისა. ლეონ ერეკლეს ძესთან (1756—1781) ერთად ელჩად გაიგზავნა რუსეთს 1772 წ.

არჩილ — მეფე კახეთისა (1664—1675). მეფობდა იმერთსაც (ხანგამოშვებით 1678—1698 წწ-ში). 1799 წ. დაბინავდა მოსკოვში პეტრე I-ის მუარველობით. შველას ითხოვდა („ხოიშნობად“) საქართველოს გასათავისუფლებლად სპარს-თურქთა ბატონობისაგან. (გზრდ. 1713). მისი ძმისწული ვახტანგ VI-ც, თურქთა ომში დამარცხებული, იქ გადასახლდა (1724 წ., გზრდ. 1737, ასტრახანში). ვახტანგის ძე ბაქარიც, ქართლის მეფე (1717—1719), მოსკოვში განაგრძობდა მოღვაწეობას (1724—1750 წწ.).

ასამაღლებელი — ლოცვების ბოლო სიტყვები, რომელთაც მღვდელი ხმის ამალღებით (ხაზგასმით) დაღადაპყოფს „წ. სამების“ პატივსაცემად.

ასტარხანი — ქ. ასტარხანი. იხმარებოდა „აშთარხანიც“.

აღნადგინები — სარგებელი, თავნის მინამატი.

ბარაკონისა (მონ-რისა)—ამბროლაურის რ-ნში.

¹ ტექსტის ბოლოში დართულ სახელთა ნუსხას, ტექნიკური მიზეზის გამო, შენიშვნებს ჭუკეთებთ სხვა ადგილას.

ბაქარ — იხ. არჩილ.

ბებკვი — ბებკი, ძონძები.

ბოდბე — სიღნაღის რ-ნში.

ბოსტაძე დავით — საბუთი გვაქვს მივიჩნით ბოსტაშვილად, რომელმაც ერეკლე ომში (1749 წ.) ზიფათს გადაარჩინა. დავ. ბატონიშვი., ახ. ისტორია, გვ. 5; ფოლკლორში: გომტაშვილი დათუნი. პ. უმიკაშვი., ხალხ. სიტყვიერ., 101.

გაიოზ არხივზ. — 1746—1821. ქართველი მწიგნობარი. 1784 წ-დან რუსეთის ეკლესიის მსახური, წევრი ჩრ. კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელი, ე. წ. ოსეთის კომისიისა. 1793 წ. „მოზდოკის და მოყარის“ ეპისკოპოსი, მოზდოკის სახალხო სკოლის ხელმძღვანელი; მისი სასწ. წიგნები იბეჭდებოდა მოსკოვშიც. მოზდოკშიც (1797 წ.). 1808 წ-დან „ასტრახანისა და სტავროპოლის არქიეპისკოპოსი“. ხალხის მისაზიდად ქრისტიანობისკენ, სკოლისკენ მის განკარგულებაში იყო „მისაცემლებიც“: ფული, „ტილო“ (შესამოსად). 1783 წ. იყო წევრი ქ. გეორგიევსკში ცნობილი ტრაქტატის დამდები კომისიისა.

განკაფულნი — დაოსებულნი. ღონემიხდილნი (შრომით).

გალმაურნი სოფლები — მდ. ალაზნის მარცხნივ მდებარე სოფლები, „გალმაზრისანი“.

გიორგი ლაშა — იმედა 1213—1222 წწ. „მომამკეველი ფშავ-კვესურთა“: ჩვენი ავტორის ამ ვერსიას ეხმაურება იოანე ბატონიშვილი. „კალმასობა“. ტ. I, გვ. 82.

გიორგი XIII — გიორგი XII (1798—1800). ფაქტიურად მის დროს შეუერთდა საქართველო რუსეთს, რამაც გააადვილა „აზიის ქრისტიანთა“ დაკავშირება იმპერიასთან. იოანე ხელ-მა ეს კარგად შენიშნა. ჩვენს ტექსტში საინტერესოა გრამატი. შეთანხმება: „აზიის ქრისტიანეთ-ი შემავედრებელ-ი“.

გრიგოლ მღ. — ჩანს, მონაწილე ყოფილა 1751 წ: „ერევნის ომში“ ყირხბულახთან, აზად-ხანის („სპარსთა სპარაზენთა“) წინააღმდეგ. „სპარაზენ“ — მეომარი მძიმედ შეჭურვილი, სპარსნი — აქ სომხრ. აზერბაიჯანის მხედრები.

გრიგორ პატრ. — გრიგოლ, კონსტანტინოპოლისა. საბერძნეთის თავისუფლებისათვის თურქთა წინააღმდეგ ბრძოლის (1821 წ.) გმირი. თურქებმა ჩამოახრჩეს.

გურიია — აქედან „გურიული“ (გურულის ნაცვლად).

ღარია — დარეჯან დედოფ. (1726—1800), ერეკლე II-ის მეუღლე, დარია — უფრო ამ სახელით იცნობენ მას რუსული წყაროები.

დიმიტრი თავდადებ. — 1271—1289. საქართველოს ხსენისათვის თავი ხელთ მისცა მონღოლებს და მათგან იწამა.

დინარ დედოფალი — ჰერეთის დედოფალი, აღარნასე II-ის (გარდ. 896) ასული. იცნობს „მატიანე ქართლისა“. მონოფიზიტობას („ერატიკოსთა“, ერეტიკოსებს, „მწვალებლებს“) დაუპირისპირა დიოფიზიტობა.

დომენტი კათალ. — დომ. III (1705—1741), ძმა ვახტანგ VI-სა. ქართლში თურქთა ბატონობის სიმწვავის შესამსუბუქებლად გამოცხადდა სტამბოლში სულტნის, „ხვანთქრის“ (ახმად III) წინაშე. აქ იგი ჩარჩა 2 წ. 8 თვე; ტენედოსის კუნძულზე ტყვეობაში იყოლიეს 9 წელს (1728—1737).

ევსტათედ წოდებული, ნალეკარი — „ლევკობიდან“ (მუსლიმანობიდან) ქრისტიანობად მოქცეული; დაღისტინიდან მომხდურთა სააღყო რაზმებს უმკლავდებოდა კავთისხევის ციხეში. იხ. კავთისკეცხ.

ეკატერინე კელმწიფე — ეკ. II „იმპერატრიცა“ (1762—1796). მის მეფობაში ერეკლეს მოსდიოდა, მოკლე-მოკლე ვადით, რუსის ჯარი 1769 წ. (გენ. ტოტლენი). 1783 წ. (პოლკ. ბურნაშოვი), 1795 წ. დეკემბერი (პოლკ. სიროხ-ნევი).

ელისაბედი — „იმპერატრიცა“, ალექსანდრე I-ის მეუღლე. გარდ. 1825 წ. XVIII ს-ში რუს. „იმპერატრიცას“ ნაცვლად ზოგს მოუმარჯვნია სიტყვა „ივრადორა“. იხ. ისტ. ინსტ-ტის „მიმოხილველი“, ტ. III, გვ. 59, შენ. 1.

ერეკლე II — მის „სახელოვან ომთავან“ ავტორი ასახელებს ერევნისას (იხ. გრიგოლ მღ.), ალის ციხისას (იხ.), კავთისხევში კავთის ციხის (კასპის რ-ნი) დაცვას „ლეკთავან“; იყო „მომაქცეველი თუშთა“, — თუშეთს მართავდა მეფის მოურავი.

ექსორიობა — ექსორიაში, გასახლება-დევნილებაში მყოფის მდგომარეობა.

ვასილ მღ. —

ვასილ მღ. ქართულში —

ვახტანგ V სჯულმდებელი — „მეხუთედ“ აღრიცხავდნენ ვახტანგ VI-ს. ცნობილია მის მიერ შეკრებილი ქართული და არაქართული კანონები და აგრეთვე მისგანვე შედგენილი ქართ. „სამართლის წიგნი“. დიდხანს სარგებლობდნენ მას იმპერიის მოხელეებიც საქართველოში.

ზაქარია პატრ. იერ. — დაატყვევეს 614 წ. იერუსალიმის აღებისას შაჰის ზოსრო II-ის მიერ.

თავადა — თავადი ქალი. -ა მდებრობითი სქესის მაჩვენებელი ნაწილაკი ხელოვნურად შეტანილი ქართულში უცხო ენებიდან. შდრ. მონაზონა (იხ. მონაზონი).

თავს იღებდენ — ითმენდენ.

თალია —

თამარ დედოფ. — დედა ერეკლე II-ისა, ასული ვახტანგ VI-ისა. ნადირ-შაჰს (ირანის შაჰი, 1736—1747) მიუცია აუდიენცია, კერძოდ, დარუბანდში 1741—1742 წ. ნადირის ხელისწყობით, ტფილისიდან (ქართლიდან) ოსმალები განდევნილ იქნენ 1735 წ.

თეიმურაზ II — თეიმურაზ II, ერეკლე II-ის მამა. პეტერბურგს ეწვია დიპლომატ. მისიით 1761 წ.

თუშნი — იხ. ერეკლე II.

ილუსი — უნდა: ილისუ, ელისუ, ერთ დროს სასულტნო (შდრ. ვახუშტის გეოგრაფ., 96: ალის-სულთანნი): ეჭირა აღაჯანის მარცხენა შენაკადები ინგოლოთა და სხვ. სამოსახლოები: ილისუ, კახი, წახური) კავკასიის ქედის ძირობაზე. ახლა აზ. სსრ-შია.

იოთამ — ტიტულოვანი ფეოდალი („ამილახორი“) ზევდგინიძის გვარისა. ტრადიციის მიხედვით, თავი გასწირა ქვეყნისათვის, გიორგი VIII-თვის (XV ს.). ამ მეფის ნაცვლად ჩაწვა სამეფო სარეცელში, თუმცა იცოდა, რომ შეთქმულების დამეს იმ სარეცელში მწოლარეს შეთქმულთაგან სიკვდილი არ ასცდებოდა. იონა მონოზ. —

იოაკიმ დესპოტა — იოაკიმ „იოვალი“ („დესპოტა“) მისი „დესპოტობა“ უნდა ცხადყოფდეს მის მღვდელმთავრობას. შდრ.: „ყოვლად უსამღვდ. მიტროპ. ახტალელი დესპოდა იოაკიმ“, ტომით ბერძენი (ქართ ხელნაწერთა აღწ., I. S—1, გვ. 222. ხელნაწერთა ინსტიტუტი. თ., 1960);

იმპერატრიცა — იხ. ელისაბედი, იხ. მარიამი.

კავთისკევეს... ლეკთა შეუზახა ციხითგან — კავთისხევის ციხე (კასპის რ-ნი)

კიავის ლავრისა — კიევ-პეჩორის ლ-რისა. კიევში.

კუჭთათა შინა — კვეთათა შინა. მღვდლის მიერ სეფისკვირიდან („ლახვ-რიით“) ნამცეცების („წმ. ნაწილების“) ამოკვეთისას („პროსკომიდია“), „საიდუმ-ლო ზიარებისათვის“. ნამცეცების ამოჭრას ერთვის მღვდლისაგან (დუღუნით) წართქმა მოსახსენებლის სახელისა.

ლაგრა — დიდი მონასტერი.

ლეკნი — ძველი ქართული ზოგადი დასახელება დაღისტნის მკვიდრთა (ავართა, წახურთა და სხვ.).

ლეონ მეფის-ძე — იხ. ანტონი.

მალაქია კათალ. იმერეთისა — ცნობილია მალაქიას (1531—1549), მცხე-თის (და არა „იმერეთის“) კათალიკოსის, მონაწილეობით იმერეთს გამართული საეკლ. კრება (1543—1549 წწ.), სადაც შემუშავდა „სამართალი კათალიკოზთა და კრებისა მიერ“).

მარაბდის ომი — 1624 წ. გმირული ომი, გადახდილი გიორგი სააკაძის მე-თაურობით ქართველი ხალხის მიერ შაჰ-აბასის ლაშქრის მოსაგერიებლად. მარაბდა მდ. ალგეთზეა.

მარიამი — „იმპერატრიცა“, დედა ალექსანდრე I-ისა. გარდ. 1828.

მენგრელია — სამეგრელო. „მეგრელ“ („მენგრელი“) ევროპული დაბოლო-ებით -ია.

მეუღაბნოე (მამა)—მონაზონი, უკაცურ-უღაბნო ადგილს თავმეფარებუ-ლი ასკეტი. განთქმული იყო უღაბნო საგარეჯოს რ-ნისა.

მთაწმიდისა — ათონისა (საბერძნ.).

მიმკლდელი — წამრთმევი, (ტანზე) გამხდელი. იხ. მიკადა.

მირიანი — ერეკლე II-ის ძე, 1766—1814. ცხოვრობდა პეტერბურგს.

მისაცემლები — იხ. გაიოზ.

მიკადა — მიხდა (შდრ. გახდა), წართმევა.

მოგება — მოცემა.

მომღები — გამომრთმევი, წამლები.

მონაზონი — უნდა: მონაზონი მონასტრის „ძმობის“, „თემის“. სასკეტო, წესების დამცველი წევრი. „მონაზონა“ — იგივე მღვდრ. სქესისა, მონა-ზონდიაკონი — შემონაზვნებული დიაკონი, იეროდიაკონი. მღვდელი-მონაზონი — იერომონაზი, შემონაზვნებული მღვდელი.

მორჩილი — მონასტრის „შეგირდი“, რომელიც „ძმობას“ მსახურად აუ-ყვანია და სამონაზვნოდ ამზადებს.

მოსლოქი — მოზდოკი (ჩრ.-ოსეთის ასსრ).

მოქენეობდენ — ითხოვდენ.

მოშურნე — მაღალი სურვილის მქონე, დიდი ოცნებების აღსრულებას მო-წყურებული.

მრწემობა — უმცროსობა; მორჩილება.

მსხემი — იხ. მწირი.

მქისიყი — ქიზიყი (კახეთს). „მქისიყი“ სახელის მცდარი ეტიმოლოგიური გარჩევის შედეგად მიღებულია.

მღვდელმონოზანი — იხ. მონოზონი.

მღვმისა (მონ-რისა) — ყვირილის ხეობაში.

მწირი — უცხოებაში მყოფი, უთვისტომო; უმწეო, ღარიბი, სინონ.: მსხე-
მი — არამკვიდრი, გადახვეწილი, წარმავალი.

მწირუჭლთა — მღვდელმსახურთა (წირვა — ლიტურდია, მღვდელმსახურება
გარკვეული „პროგრამით“).

მჭადისჯვარი — დუშეთის რაიონში. ციხით, ეკლესიით ცნობილია.

ნადირ-შაჰი — ირანის შაჰი (1736—1747). იხ. თამარ დედოფ.

ნათლისმცემლის მონასტრისა — საგარეჯოს რ-ნში.

ნაყოფნი — შრომის, მეცადინეობის შედეგი, შენაძენი.

ნინველი — მოზარდი 10-დან 15 წ-მდე.

ნინოს მონასტრისა — წმ. ნინოსი, ბოდბეში, სიღნაღ. რ-ნი.

ნურსალ-ბეგი — იხ. ავართა მთავ.

ომარ-ხანი — ნურსალის ძე, ხუმიძის პატრონი (ავარიელი), დაღისტნის ფეო-
დალთაგან ყველაზე მაგნე მტერი ქართლ-კახეთის სამეფოსი. 1785 წლის შეთან-
ხმებით, ერეკლე II ომარ-ხანს წლიურ „ჯამაგირად“ უხდიდა 5000 მ. უკანასკნე-
ლი ბრძოლა მის უკუსაქცევად მოხდა ნიახურასთან იორზე, რუსთა და ქართველ-
თა შეერთებული ძალით, 1800 წ. 7. XI. (გარდ. 1801, ჭარში).

ოსმალნი — ოსმალთა თურქები; ზუსტი იქნებოდა: ოსმანლო (თურქ.
osmanli „ოსმანის ჩამომავალი“).

ოსნი — იხ. გაიოზ.

პავლე იმპ. — 1796—1801. მისი ხელმოწერილი იყო პირველი მანიფესტი
ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ.

როჭიკი — სარჩო (დღიური); ჯამაგირი; ფული;

საბას ლავრისა — საბა განწმედილის მონ-ძსა, იერუსალიმთან. ესეც იყო
ქართ. მწიგნობრობის კერა.

საბლარდნელი — შესახვევი, სამოსი.

სამების ლავრისა — სამება-სერგის ლ-რისა, მოსკოვთან.

სამოელი — „მსგავსი სამოელისა“: ბიბლ. წინასწარმეტყველი.

საუნჯედ (ზეცისა) განბნევა — ვითომ ღმერთთან „შესანახად“, დასაუნჯებ-
ლად გაცემა (ზეციდან საზღაურის მიღების რწმენით), კეთილის ქმნა.

საუფლო დღესასწაულნი — ქრისტეს სახელზე დანიშნულნი: შობა, ნათ-
ლისცემა, აღდგომა და სხვა.

საშინელი (ღმერთი) — ძლიერი.

სიბრძნით... რომელ არს შიში... უფლისა — მთავარი სიბრძნეა, რომ ღვთის
შიში გქონდესო. „დასაბამი სიბრძნისა შიში უფლისა“ (ფს. 110. 10).

სინანული — ცოდვათა მონანიება.

სოლომონ, დიდი მეფე — სოლომონ იმერთა (მეფობდა 1751—1784).

სულთანი — იხ. სუმონ მეფე.

სულთაობათა (შინა) — სულთაობა, მიცვლილების სულების მოგონების
დღე (საეკლესიო კალენდარში).

სუმონ მეფე, სულთნისაგან მოშობილი — სვიმონ I, ქართლის მეფე
(1558—1600), თურქთაგან საქართველოს დასაცავი ომების გმირი; მათ ტყვეო-
ბაში, „სტამბოლში „მოკვდა“ (ვახუშტი). რაღაც ვერსიით, ჩანს, სვიმონი ჩამო-
უხრჩვიათ თუ დაუხრჩვიათ.

სუმონ მღ. —

სძლად ქრისტესა — სარწმუნოებრივ სიმბოლიკაში „ეკლესია“ (მორწმუნეთა კრებული) — სძალია ქრისტესი, „სიძისა“.

ტაბიძე სკმონ — იხ. ზემოთ, გვ. 00.

ტომაქი მუცელი — სტომაქი („სტომახოს“, ბერძ. კუჭი). „ტომაქი“—კახური, იონასთვის მშობლიური, დიალექტიდანაა.

უსუვარი — უსუარი, ბავშვი 5-დან 10 წ-მდე.

ფერისცვალების მონასტრისა — თბილისში.

ქეთევან — გიორგი XII-ის მეუღლე, ანდრონიკაშვილის გვარისა, გარდ. 1782 წ.

ქეთევან — თამარის (და თეიმ. II-ის) ასული; ნადირ-შაჰმა შერთო (1737-1738 წწ.) თავის ძმისწულს ალი-ყული-ხანს (მეფობაში—ადილ-შაჰი).

ქვაბთაქევისა (მონ-რისა) — ქვათახევისა, კასპის რ-ში.

ქრისტინა მოხუც. — მჭადისჯვრის 1754 წ. ომის გმირი (დაღისტნიდან შემოჭრილ რაზმების შესაკავებლად). დაუსახლებლად ჩანს წყაროებში. დავ. ბატონიშვი., ახ. ისტორია, გვ. 6, 23—24, ფოლკლორში, „ძვ. საქართ.“, III, გვ. 6.

ქუთაძისთ განეძო... ოსმალ-თურქნი — სოლომონ პირველი გმირია ხრესილის ომისა (1757 წ.) თურქთა წინააღმდეგ.

ყვარელის ციხისა გამამაგრებელი კახნი — იგულისხმება ყვარლის გამირული დაცვა (1755 წ.) ნურსალ-ბეგის დიდი მხედრობის წინააღმდეგ. მტერმა ციხეს შემოარტყა ალყა. მათ სააღყო შეჯგუფებას ავტორი დაცინვით „შეკოლტებას“ უწოდებს: „კოლტი“—ღორის ჯოგია!

ყუჭდრებათა...—„სახარების“ (მ. V. 3, II) მონური მორალით, „ნეტარად“ უნდა ჩაეთვალა თავი მას, ვისაც იბრძვებდნენ, ვინც „ყვედრების“, ე. ი. ძაგების, ძვირის, სავანი იყო, რადგან ჯილდო ვითომ საიქიოში ეღრდა.

შებორკილა—ბორკილებში მჯდარა „წინაპართა ჩუჭნათაჲს“, ქართველობისთვის. იხ. დომენტი კათ.

შვიდთა საიდუმლოთა დამარღვეველთა თანა არა ინებეს... ჭამა პურისა — ეს გამოძახილია ძველი საქრისტიანო წესებისა „ურწმუნოებთან“ ერთად პურისჭამის შესახებ (1 კორინთ. 10. 20, 10; 21. 10, 28).

შიომღვიმისა (მონ-რისა) — ძეგვის მიდამოებში, კასპის რ-ნი.

შუამთისა (მონასტრისა) — თელავის რ-ში.

ცნონდნენ — ცოცხალი დარჩენ, ამოყლეტას გადარჩენ.

წვალება — ერესი (ეკლ.). იხ. დინარ დედოფ.

ჭარნი — ჭარს ჩასახლებული „ლეკები“ (ავარები, წახურები). ჭარი და მის მომიჯნავე იმდროინდელი „თავისუფალი თემები“, მათ შორის ბელოქანი, კახი. ილისუ, — დაღისტნის, თურქეთ-სპარსეთის ფეოდალებისათვის ბაზა იყო საქართველოს სარბევად. (ახლა აზ. სსრ-შია).

ჭართავან დანტქმულნი ალაზანსა შინა — უნდა იგულისხმებოდენ 1749 წ. ომის (ჭარელებისა და აჯი-ჩალაბის მოსაგერიებლად) მსხვერპლნი. მაშინ ალაზანში ჩაცვენილი ქართველების შესახებ (ერეკლე მეფის ჩათვლით) იხ. ფერ-მკრთალი ცნობა, დავ. ბატონიშვი., ახ. ისტორია, 5: „რომელიცა მოაქვნდა წყალსა“. იხ. ზემოთ, ბოსტაძე.

ჭირვეულნი — ჭირში მყოფნი.

ჭრელი — ლაშაზი.

ჭუეთი — ჭოეთი, ადრინდელი ხორნაბუჯი, ცივის მთის სამხრ. კიდურთან.
(ვახუშტი).

ხვანთქარი — თურქ. ჰუნქარ „მბრძანებელი“, თურქეთის სულტნის ტიტუ-
ლი.

ხვასტაგი — ხვადაგი; საქონელი; ფული.

ხოიშნობად — სათხოვრად; ხვაიშანი — თხოვნა.

კორციელი (ერი) — საერონი, არასასულიერონი.

ჯოში — ჰასაკით დასრულებული („დასრულებულსავეთ“, ს. ორბელი,
ლექსიკ.).

ჯრუჭისა (მონ-რისა) — საჩხერის რ-ნში.

შ ი ნ ა ა რ ს ი

რედაქტორისაგან	3
1. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. ფსევდო-სკილაქსის ზოგიერთი ცნობის შესახებ	5
2. ალ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე. პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ	11
3. ლ. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე. ხაზართა ლაშქრობა თბილძსა და ალბანეთში. მოსე კალანკატუელის „ალბანეთის ისტორიის“ მიხედვით	49
4. თ. ხ ა ყ ო მ ი ა. მელქისედეკ ყანჩაელის 1658 წლის საბუთი	95
5. ი. ტ ა ბ ა ლ უ ა. ს.-ს. ორბელიანის ევროპაში ყოფნასთან დაკავშირებული ერთი საბუთის შესახებ	105
6. მაქს. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი. ერეკლე მეფის კონფიდენტ გოდერძის ვინაობისათვის	113
7. მ ა მ ი ს ა ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი. მასალები XVIII ს. ბოლო წლების საქართველოს ისტორიიდან	121
8. ვ. დ ო ნ დ უ ა. პეტერბურგის ქართულ კოლონიის საისტორიო-სამწიგნობრო მემკვიდრეობა. იონა ხელაშვილის მოსახსენებელი წიგნი	211

ГРУЗИНСКОЕ ИСТОЧНИКОВЕДЕНИЕ

(На грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ვ. დონდუა
გამომცემლობის რედაქტორი დ. ბაქრაძე
ტექნორედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ც. კახაბრიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.1.1965; ქალაქის ზომა $70 \times 108^{1/16}$;
ნაბეჭდი თაბახი 20.44; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17,67;
უფ 02005; ტირაჟი 1000; შეკვეთა 755
ფასი 1 მან. 37 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8
Издательство «Мецниереба», Тбилиси, ул. Дзержинского № 8

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, ул. Г. Табидзе № 3/5

5.575/20 & 10/121



ფანო 1 მან. 37 კაპ.

6.1/17.